

დავით-დეფი  
გოგიბედაშვილი

**ბ ა ლ ე ბ ი**

რომანი

დავით-დეფი  
გოგიბედაშვილი

**ბ ა ლ ე ბ ი**

რომანი

სიესტა

თბილისი

2010

დავით-დეფი  
გოგიბედაშვილი

ბალები

David Dephy

The Gardens  
Novel

“უკანასკნელი მტერი განქარდება – სიკვდილი”  
(1 კორ. 15. 26.)

გამოცემაზე პასუხისმგებელი | ჯგუფი „სიესტა“  
გამომცემელი | ქეთევან კილურაძე  
ტექნიკური უზრუნველყოფა | ტატა ხიდაშელი  
ყდის დიზაინი | მათა მარაღაძე  
© გამოცემლობა „სიესტა“, 2010  
გამოცემულია 2010, თბილისი  
ISBN 978-9941-414-28-2  
გამომცემლობა შპს „სიესტა“  
თბილისი, თაბუკაშვილის ქ. 27  
ტელ./ფაქსი: +995 32 92 31 49  
ელ-ფოსტა: books@siestagroup.ge  
www.siestabooks.blogspot.com  
www.dephy.ge

თავი პირველი

**ჩარლი ასეულის ასმეთაური  
გიორგი სარდლიშვილი**

3 სექტემბერი 2008

გეტყვით ყველაფერს. გეტყვით ზუსტად. ის წყეული დღეები ერთმანეთს როგორ გადაეწყობა და გეტყვით ვიდრე ჯერ კიდევ პირში სული მიდგას და ღმერთმა უწყის რამდენი წამილა დამრჩა აქ, სააქაოში ყოფნისა. გავიფიქრე და ცას გაფხედე, აფეთქებები ყველა მხრიდან მესმოდა, შორიდანაც და ახლოდანაც. ისმოდა სროლები და ვერტმფრენთა გრუხუნი.

გახლავართ გიგლა, სარდლიშვილი გიორგი, მეოთხე ქვეითი ბრიგადის, მესამე ჩარლი ასეულის ასმეთაური. ლეიტენანტი... და ახლა, როცა სასიკვდილოდ ვარ დაჭრილი და ჰოსპიტალში შესაძლოა სულიც ამომხდეს და მგონი სიკვდილის წინ დრომ სვლა შეანელა, თუ საერთოდ არ გაჩერდა, მოვასწრებ ვთქვა...

იმ დღეებში ჩვენ კრწანისის პოლიგონზე ვიყავით, საერაყო წვრთნებს გავდიოდით, სხვა ბრიგადა უნდა ჩაგვენაცვლებინა, ეგ იყო ამოცანა და მაშინ

S-2-მა, დაზვერვის სამსახურის ოფიცერმა, ამბავი მოიტანა, 4 აგვისტოს, რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, 1 აგვისტოს ქართულ სოფლებზე თავდასხმის შემდეგ, იმ სოფლებში გაემგზავრაო. ადგილობრივებს შეხვედრია და ეუთოს წარმომადგენლებსაც, გაერთიანებული სამშვიდობო ძალების სარდალსაც, უმაღლეს სამხედრო ხელისუფალსაც. დაზვერვის სამსახურის ოფიცერი თათბირზე ყვებოდა, ჩვენი სახელმწიფო მინისტრი მზად იყო სეპარატისტთა წარმომადგენლებსაც შეხვედროდაო, მაგრამ ისინი არ თანხმდებოდნენო, მაინც იყო ერთი შედეგი, დაბრუნებისთანავე სახელმწიფო მინისტრმა, სეპარატისტებთან ორმხრივი შეხვედრის მონყობის თაობაზე, მოლაპარაკებები ისევ განაგრძო. მაშინ მედიაში დიდი ანტი ქართული ისტერია აეტეხათ, თითქოს ჩვენ დავესხით ოსეთს და თითქოს ამ თავდასხმის მიზანი, ეთნიკური ოსების გენოციდი იყო. დამეთანხმებით ამ მიზანმიმართულ სიბოროტეს მილიონობით ადამიანის შეცდომაში შეყვანა შეუძლია და ასეც იყო იმ დროს, თან ოლიმპიადა ახლოვდებოდა, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო მართლაც ვინ წარმოიდგენდა ომი რომ იმ დღეს დაიწყებოდა. 5 აგვისტოს, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსი, ადგილზე გაეცნო, ცხინვალის რეგიონის, ქართულ სოფლებზე, სეპარატისტების მიერ, ყველა განხორციელებული აგრესიის შედეგებს.

თანაც ეს ხდება მაშინ, როცა მიუხედავად ჩვენი ხელისუფლების და საერთაშორისო თანამეგობ-

რობის პრევენციული მოქმედებისა, იმათ მაინც შემოიყვანეს სამხედრო დანაყოფები, შემოიყვანეს ჩვენს საზღვრებში და მოემზადნენ, აი ასე, ფეხებზე მკიდხართ თქვენ, თქვენივე ყველა თანამეგობრობით და თქვენი ქვეყნიანად აღეგავებით ერთხელ და სამუდამოდ თქვენივე დამოუკიდებელი სახელმწიფოთი, აღეგავებით პირისაგან მინისა, იმეორებდნენ ასე დღედაღამ... და მოემზადნენ, დიდი ესკალაციისთვის, ვითარების ფართომასშტაბიან ომში ესკალაციისთვის. ჩვენი ბრიგადის გეგმები ნამებში შეიცვალა, ველოდით მთავარსარდლის ბრძანებას.

6 აგვისტოს გახსნეს ცეცხლი. ზუსტად ამ დღეს. შეიარაღებულმა ფორმირებებმა, სოფელ ნულში განლაგებულ, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგუშაგოს გაუხსნეს ცეცხლი. ისროდნენ ნალმსატყორცებიდან და მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევებიდან. იმავე დღეს და იმავე დროს, ცეცხლი ქართულ დასახლებულ პუნქტსაც გაუხსნეს, დიახ, სწორედ სოფელ ნულს, ხოლო ხეთაგუროვიდან ცეცხლი, ავნივეში განლაგებულ სამშვიდობო ძალების საგუშაგოებს გაუხსნეს. ეგრე იყო. ოფიცერმა შტაბის უფროსს ისიც უპატაკა, რომ სროლა ოსური სოფლიდან იყო დაწყებული, სახელიც ვიცი იმ სოფლის, ტილინა. გამოიყენეს 82 მილიმეტრიანი ნალმსატყორცები, ყუმბარსატყორცებიც და მუშაობდნენ სნაიპერებიც.

სწორედ ექვსში, თბილისში, მაგათი საგანგებო დავალებათა ელჩი ჩამოვიდა, თუმცა 7 აგვისტოს, ცხინვალში დაგეგმილი შეხვედრა არ შედგა. გა-

საკვირი არაა. მიზეზი მაგარი სულელური მოიგონეს, გვინდა შეხვედრა, მაგრამ მანქანის საბურავი დაგვეშვა და ვერ მოვდივართო. ომი მართლაც დაწყებულიყო, მაგრამ ჩვენი მხრიდან საპასუხო ცეცხლი ჯერ დუმდა. მარტო ის ერთი ბატალიონი პასუხობდა. იმავე დღეს, სარაბუკის მიმართულებითაც იყო სროლა. მსხვილკალიბრიანი ავტომატური იარაღიდან ისროდნენ და თავდასხმა ხანმოკლე შეჩერებით გაგრძელდა დილამდე. დილის ექვს საათამდე.

ხეთაგუროვი, ოსური მხარის ძირითადი საარტილერიო ბაზა იყო, მაქედანაც და პრინციდანაც და როგორც S-2-ის ოფიცერმა თქვა, უბიათიდანაც, ქართულ სოფლებს, ერედვს, ფრისს, აენევს, დვანსა და ნულს, ნაღმები დაუშინესო და მთელი ღამის განმავლობაში იყო სროლა. ჩვენთვის ყველასთვის ნათელი იყო, რომ სეპარატისტები და რუსები, წინასწარ ემზადებოდნენ, წინასწარ, კარგად დაგეგმილად და აქტიურად ემზადებოდნენ, ჩვენს წინააღმდეგ ომის გასაჩაღებლად.

7 აგვისტოს, დილის სამსა და ორმოცდაერთზე, დაახლოებით 150 ერთეული ჯავშანტექნიკა და სხვა მანქანები, სატვირთო მანქანებიც კი, როკის გვირაბში შევიდა.

თავი მეორე

## ოჯახი

6 ივნისი 2008

ყოველთვის დგება ასეთი დღე, როგორც დღევანდელია, ფიქრობდა ფარნა მთვარელიძე, ირაკლი მთვარელიძისა და ლალის შვილი, ლელიოსა და ფიდოს ძმა. ლელიო მაშინ თექვსმეტი წლის ქალიშვილი იყო, როცა პირველად მისგან გაიგონა ფარნამ ყოველთვის დგება ასეთი დღე, როგორც დღევანდელიაო. მაშინ თითქოს არ ესმოდა თავისი დის, მერე კი ფიქრობდა უკვე სამი წლის შემდეგ, მართალი იყო ლელიო, მართლაც ყოველთვის დგება ასეთი დღე, ზუსტად ასეთი როგორც დღევანდელია.

ერთანმინდა, სოფელი მათი, სადაც ბალები ისე სურნელობენ, თითქოს არც ზამთარი ეკარებათ და ზამთარი კი არა, დრო ჩერდება თითქოს და სულ ყვავილობენ დღედაღამ... მათივე სახლი იყო. იყვნენ თბილისშიც, მაგრამ ზაფხულს აქ ატარებდნენ. ირაკლიმ სამეცნიერო შრომისთვის გრანტი მიიღო და ოჯახთან ერთად აქ გადმოვიდა. სამუშაოდ ყველა პირობა შეიქმნა და მშვენიერი თავისი კარმიდა-

მო, სულ ადრე სააგარაკოდ ნაყიდი, ახლა კი სავანე, ინტერნეტი და ყველა საჭირო კომუნიკაციით, დიდი სიმყუდროვით დააფუძნა. ლალი ბალს უვლიდა, მათ ეზოს მთელ გაყოლებზე ლამის ხევამდე მიხარებულს, შემოლობილიც რომ არ ჰქონდათ და ვაშლის ყვავილის მოუხელთებელი და მსუბუქი სურნელება ფრენდა ყოველთვის. ფიდო და ფარნა, ლელიოზე უმცროსნი, უსიტყვოდ ჩასქეროდნენ ხოლმე, ბალის შუაში ამოშენებულ ჭას, ღამლამობით შიგ ჩატივტივებულ ვარსკვლავებს ჩაჰყურებდნენ, დილაობით და შუადღისას კი ბაღში თამაშობდნენ, კალიებს დასდევდნენ და ხოჭოებს. ლელიო აივანზე იჯდა. გრძელ თავის თმას ივარცხნიდა, იწნიდა, მერე იშლიდა და ისევ ივარცხნიდა. ერთი-ორჯერ თუ გაირბენდა ძმებთან ერთად და მერე ისევ მარტოობდა, თავისსავე ანარეკლზე მიცქერილი.

ირაკლი, ფიზიკოსი, თემაზე მუშაობდა, გრავიტაციასა და განზომილებაზე. ევროპის საუნივერსიტეტო ლექციებისა და მოგზაურობის შემდეგ, კომპიუტერთან ყავის ჭიქით მიმჯდარი, საათობით არ გამოდიოდა ოთახიდან, თუ არა ზოგჯერ ბაღში გაისეირნებდა, შვილებთან ერთად წაითამაშებდა, წამით ბალას დააშტერებდა სახეს და მერე ჩქარი ნაბიჯით ბრუნდებოდა ოთახში, გაახსენდაო თითქოს რამე.

— ფარნა მოდი, — ჩუმად დაილაპარაკა ფიდომ. ხის ქვეშ იყო გულაღმა განოლილი და ალუბლის ზემოთ აჰყურებდა ტოტებსა და ფოთლებს შორის, როგორ მძიმედ ფრენდა ფუტკარი.

— რა იყო, — მოვიდა ძმა. მონყვეტილი ბალახი ჰქონდა კბილებს შორის გაჩხერილი.

— ნახე, — თქვა ფიდომ. ფარნამ ალუბლის ხეს ააყოლა თვალი. ცას ააცქერდა, — ჰო, რა მერე? — თქვა ასე პირლიამ.

— ვერ ხედავ?

— რას?

— კარგად დააკვირდი.

ფარნა ძმის გვერდით განვა. პირიდან ბალახი გამოიღო და ხელები თავქვე დაიღო, — ფუტკარი?

— არა მარტო.

— არა?

ფიდომ ძმას შეხედა. ორივენი გვერდიგვერდ იწვნენ. ფარნა თვალს არ ამორებდა ტოტებსა და ფოთლებს. ფიდო კი ფარნას უცქერდა და უღიმოდა.

— რა გაცინებს, — თქვა ფარნამ.

— კიდევ ვერ ხედავ?

— რას ვერ ვხედავ? — წამოჯდა ფარნა, — ალუბლებს ვხედავ, ფოთლებს, ფუტკარს, ცას, კიდევ რა გინდა დავინახო...

ფიდომ არაფერი თქვა.

— ბიჭო, თვრამეტი წლისები ვართ, რა გემართება.. ბავშვობიდან სულ რაღაცეებს ბოდილობ, ხან რას, ხან რას, ხედავ ხედავ, გაუთავებლად ხედავ, ხედავ? თქვი პირდაპირ და იქნებ ეგრე უფრო დავინახო..

— გაჩუმდი, ჩუ, — ადგა ფიდო და ბალს მოატარა თვალი, სახლისკენაც გაიხედა, აივანზე ლელიო დაინახა და დედა, როგორ არჩევდნენ თხილს და

მერე სახლის სახურავის ავლით ისევ ცას ააყოლა გაკვირვებული მზერა.

გვერდით მიუდგა ფარნა. პერანგი გაიხადა და იქვე მიაგდო, — ჰა იტყვი? თუ დაგახრჩო ახლავე?

— გაფრინდნენ, — ჩუმად თქვა ფიდომ, — იქით გაფრინდნენ.

— ვინ, სად?

— ოჰ შენ რა გითხარი, — ქასთან მივიდა ფიდო, — დე! წყალი ამოვქაჩო? — გასძახა აივნისკენ, არც გაუხედავს ისე, ჭაში ონინარი ჩანია და შხეფების ხმა გაიგონა თუ არა, დამძიმებული და დაჭიმული თოკი ამოქაჩა უკან. ჭის, ქვის პირზე ჩამოდო ცივი და გამჭვირვალე წყლით სავსე, თოკზე მობმული გობი და იქვე დოქში გადმოასხა. ონინარი მსუბუქად აინია ზევით.

ფარნამ დოქი აიღო და აივანზე ავიდა, — მალე ვისადილებთ?

— მალე, — თქვა დედამ.

— ლელიო ერთხელ რომ ჩაიხედო სარკეში და იქ არავინ დაგხვდეს რას იზამ?

— მიდი მიდი წყალი დამისხი, აგე ჩემი ჭიქა, — თქვა დამ.

— არა, მართლა რას იზამ?

— რა უნდა ვქნა, გიკბენ და შენც ვამპირად გადაიქცევი, არც შენ აღარ აირეკლები სარკეში და მერე რაც გინდა ის ქენი.

— რა შუაშია ვამპირი. ისე გკითხე.

— ოო.

— ფიდო! წამო სახურავზე, — ფარნამ დოქი მაგიაზე დადგა და სახლში შევიდა.

კიბეები აირბინა და სახლის მეორე სართულიდან, სხვენზე აძვრა. სახურავზე დოინჯმომართული დადგა.

— ამო, მაგარია.

— ფარნა ფრთხილად იყავი მანდ! — სახლის შიგნიდან გაისმა მამის ხმა.

— ფრთხილად ვარ.

— ჰოდა უფრო ფრთხილად იყავი.

ფარნამ არაფერი თქვა. საკვამურთან ჩამოჯდა, მზით ნაკვალევ ცხელ კრამიტებზე, — რომ ამოხვალ ჩემი პერანგი წამოილე! მაგრა აჭერს! — ჩასძახა ფიდოს.

მაგრამ, იმ ჭის წყალივით გამჭვირვალე იერის ბიჭს, თითქოს არ გაუგია ძმის შეძახილი, ახლა ბაღში იდგა სადღაც სმენამიპყრობილი, ხელები ძირს დაეშვა და თავიც, ძირსდახრილი, ოდნავ გაენია გვერდით, თვალები გაშტერებოდა თითქოს, მხოლოდ ფოთლების შორი შრიალი თუ ესმოდა და ფუტკრის გაბზარული ხმა. მუხლებთან გადაჭრილი შარვალის ეცვა და ფეხშველა იდგა. პერანგი ორ ქვედა ღილაზე ჰქონდა შეკრული და თითქოს ბალის სურნელებას გაჰყოლოდა, თითქოს ძმის მეორე შეძახილიც აღარ ესმოდა, ამო რას დაყუდებულხარო, ქასთან ჩაიცუცქა, მიწას დააცქერდა და ჭიანჭველებს, რამოდენიმე წამი იყო ასე გაჩუმებული და მერე უცებ წამოფრინდა, სახლში შეირბინა, იქიდანაც წამში გამოქანდა უკვე სანდლებჩაცმული, იქვე



ბალახზე მიფენილ პერანგს დაავლო ხელი და შინ შებრუნდა. ავიდა სახურავზე.

— აჰა არ დაინვა, — ძმას გაუწოდა პერანგი. სატელიტური თეფში-ანტენების გვერდით ჩამო-  
ჯდა.

— დაყრუვდი რომ გეძახდი? — პერანგი ჩაიცვა ფარნამ, — ნახე რა ღრუბლებია... მინდვრები.. მინის მინდვრები ცალკე და ცის მინდვრები ცალკე. ღრუბლები ცის მინდვრებია... რამხელა ბალი გვაქვს არა? იქით ხედავ იმას?

— რას.

— მიგახედე-მოგახედე... აი! კაია?! შენ რომ მა-  
გიჟებ ხოლმე!

— მე არ გაგიჟებ, უბრალოდ შენ ვერ ხედავ.

— ბოლო ბოლო იტყვი რა გინდა? რას უნდა ვხე-  
დავდე?

— ბრჭყვიალა სინათლეებს, — ფიქვით თვალელები მოისრისა, — აი გააკეთე ასე.

ფარნამაც მოისრისა თვალელები და გაახილა, —  
მერე?

— ხომ ხედავ რალაც ბრჭყვიალებს ჰაერში...

— კი.

— ჰოდა ეგრეა ხოლმე, ოღონდ უფრო დიდია ის ნერტილები, სინათლეები არიან ირგვლივ, ან ერ-  
თად შეჯგუფებული ან ბევრი ან ცოტა, მათ ვხედავ ხოლმე.

— ეგ ვიცი, ადრე სულ ეგრე იყავი, მაგრამ კიდევ  
ეგრეა?

— თვითონ ჩნდებიან, ყველგან არიან, ძირს, ზე-

მოთ, მარჯვნივ, მარცხნივ, დღე, ღამე, ყველგან. ახლა გაქრნენ, მაგრამ მოვლენ ისევ. ვიცი.

— გეცოდინება...აუცილებლად უნდა დავაკ-  
ვირდე, — თვალელები კიდევ მოისრისა ფარნამ, —  
უნდა დავაკვირდე, — თქვა ისევ გახელისას.

— რალაცნაირი სინათლეები არიან, ატმისხე-  
ლები თითქოს, მრგვალებიც და რალაცნაირებიც, თითქოს ირხევიან, წყალზე რომ მზე თრთის ხოლმე ხომ იცი, ათინათები წყალზე, დაახლოებით ეგე-  
თები ოღონდ ჰაერში, მზე როცაა მაშინაც ჩანან და როცა არაა მაშინაც. თან ფერებს იცვლიან ხშირად.

— ვაა, — ხელებით კრამიტებს დაეყრდნო ფარ-  
ნა, — აუ რა ცხელია, — ადგა, — ადრე... ვიცი, ადრე ამბობდი ასე, მაგრამ ამდენი ხანი თუ გამოგყვებო-  
და არ მეგონა, ისე მართლა სად გინდა ჩააბარო?

— რავი ფარნიკო, ვნახოთ. ენები მიტაცებს ხომ იცი, იქნებ უცხო ენები შევისწავლო, ვნახოთ, არ მინდა წინასწარ, გავიდე ჯერ გამოცდაზე.. და რა არის აურაცხელი?

— ჩააბარებ, ყველაფერი კარგად იქნება..რა? ა..აუ რა ცხელია-მეთქი, ცხელი, ერთ-ერთ საგნად მე გეოგრაფია არ ჩავწერე? ჰოდა გეოგრაფიულზეც მოვხვდი. მაგარია. ვივლი, ქვეყნებს ვნახავ, ვიმოგ-  
ზაურებ, შენც ივლი, ან ლინგვისტი გახდები...

— გაჩე, წინასწარ ნუ ამბობ.

— კაი რა, გჯერა მაგ სისულელებების?

— არა, უბრალოდ წინასწარ რა აზრი აქვს ლა-  
პარაკს. გამოვა? გამოვა, არ გამოვა და რამე სხვას ვიზამ.

— მერე ალბათ რეზერვისტებადაც წაგვიყვანენ.

— წაგვიყვანენ და წავალთ, როგორც ყველა მიდის ისე ჩვენც, მაგრამ სტუდენტები მიყავთ ჯარში ან რეზერვში?

— კომანდოსში ვერ მოხვდები.. არა, თუ მოინდომებ და ივარჯიშებ მოხვდები, მაგრამ შენი არ იყოს.. ვნახოთ, — თმები გაუჩეჩა ფარნამ, — ძალიან ლამაზია ის მთები და ის მინდვრები.

— ძალიან, — წამოდგა ფიდოც, — ჰამაკი უნდა დაგვეკიდა დღეს, მოგვხვდება ირაკლისგან, წამო.

— წამო და წყალი შემასხი მერე, ნახე რა ოფლიანი ვარ.

უკვე თხილის ფცქენაც თითქმის დაემთავრებინათ ლელიოსა და დედას, ჩუმად ისხდნენ სახლის აივანზე, პირველივე სართულზე, რომელსაც ხისავე კიბეები უერთდებოდა და თხელი ფარდები ეკიდა საჩრდილობლად. მიწიდან ოდნავ აცილებული, ამ ვრცელი აივნის ხის მოაჯირზე ჩიტები სხდებოდნენ დროდადრო და მერე ისევ ბალს შეუფრენდნენ და საიდანღაც სულ მოისმოდა ზაფხულის თითქოს ეს თანმდევი სტვენა, სიმშვიდისა და სიცხის გარდაკიდევ რალაცით რომ გამოარჩევს მას, წელიწადის დანარჩენი თვეებისაგან. ლელიოს კაბა ემოსა. ძმასავით ისიც ფეხშიშველი იჯდა და აწვდილი ყელი მისი, მისივე გრძელნაწნავიან თავს ერთვოდა, რალაც ჯერუხილველი სიმნიფით რომ სხივოსნობდა მასზე გოგონას სახეც, როგორც ხის მთელი ტანი გვირგვინდება მნიფე ნაყოფითა და ქრელი ჩრდილებით ფოთლებს შორის, როცა სინათლე შედგამს

ხეხილში სხივებს. ღიმილი უკრთოდა ფერმკრთალ სახეზე და თვალები დაეხარა. დიდის გულმოდგინებით ტეხდა და აცლიდა თხილს თავისსავე ფოთოლსა და ნაჭუჭს და იქვე ყრიდა მაგიდაზე. თხილის გულს კი ჩალრმავებულ თეფშზე იგროვებდა, ორი დღეა ვეხვენები, ფიქრობდა ლელიო, ჰამაკი ჩამოკიდეთ-მეთქი და ხელი არცერთს გაუნძრევია, დილას მამამ სთხოვა და ამათ ახლა გაახსენდათ, ფიქრობდა თავისი ძმების შემყურე, ორ ხეს შორის რომ ჭიმავედნენ ჰამაკს და კვანძებით ამაგრებდნენ, ნეტავ დღეს გიგლა თუ გავა სათიბად, ფიქრობდა ისევ, გიგლა თუ გავა იქნებ მოვკრა სადმე თვალი, ჯერ დედაჩემს ვეტყვი რომ მომწონს, არა ჯერ მამას ვეტყვი, ანდა ჯერ არავისაც არ ვეტყვი, გიგლამაც კი არ იცის. ვინმე თუ ყავს? რა ვქნა, რა უნდა ვქნა, ცხრამეტის ვარ და ნუთუ არ შემიძლია როგორც საჭიროდ ჩავთვლი ისე მოვიქცე? როგორ მოვიქცე? ფცქენიდა და ტეხდა თხილის ნაჭუჭს და ეჩვენებოდა თითქოს აშიშვლებდა თხილს, თითქოს ცოცხალ არსებას აშიშვლებდა თავისი თითებით, როგორც არაერთხელ გაუშიშვლებია თავი, ღამღამობით სარკის წინ და ტანს დაკვირვებია, დავქალდი უკვე, აი თუ არ დავქალდი და რა ჩემი ბრალია გიგლა რომ ამ მკათათვეს ვნახე და ახლაც ვნახე და...შემიყვარდაო. მაგრამ ჯერ ლელიომ არ იცოდა რაა სიყვარული, კი ატყდა და სხეულიც შეუხურდა ხორბლის ქალებში კაცის დანახვისას, მაგრამ თავს არ უტყდებოდა ნუთუ მართლა ასე მომწონს, ნუთუ უკვე შემიყვარდა, იქნებ მზემ დამარტყა შარშან და

შევირყიე და ამდენი ხანი თავს მართლაც არ ვუტყუდებიო.

— რას გაჩუმებულხარ, — თქვა დედამ, — მოიხარშებოდა ესეც. მომეხმარე, სუფრა გავანყოთ.

ადგენ. მაგიდიდან აიღეს თხილებით სავსე თეფშები და ნარჩენი ჩენჩოები ერთად მოაგროვეს თუ არა, იქვე სანაგვე ყუთში ჩაყარეს. დედა გაზქურასთან მივიდა.

სამზარეულოც შესასვლელში ჰქონდათ და კედლებზე კარადები იყო აყოლილი, საიდანაც დედამ თეფშების გამოლაგება დაიწყო, — ცოტაც და მზად იქნება ჩვენი ჩახოხბილი, — ჩაილაპარაკა თავისთვის და ხმამალა თქვა, — ფიდო! ფარნა! ირაკლი! მოემზადეთ! ხელები დაიბანეთ!

— ჯერ თუ არაა მზად აი პური, — თქვა ლელიომ, — დაჭერი და მოვალ ახლავე.

— სად მიდიხარ უნდა ვისადილოთ!

— წყაროზე გავრეცხავ ხილს და მოვალ მალე.

— ჭასთან გარეცხე.

— არა არა, წყაროზე, — ხილით სავსე კალათს ხელი სტაცა და კიბეები სწრაფად ჩაირბინა, ბალიდან და ჭიშკრიდან გავიდა, რომლის გაყოლებაზე, ორივე მხრეს, ბალისა და კარმიდამოს შემოგარენის ირგვლივ, კოხტად ჩარგულიყვნენ ბუჩქები და ვარდის ხეები, ლობის სანაცვლოდ რომ იყვნენ შემორკალულნი და მათ მიღმა ვინრო ქვაფენილი მიკირწყლულიყო, მის იქით კი, იქვე შორი-ახლო მიიკლაკნებოდა პატარა რუ, საითაც მიდიოდა ლელიო და გული უფრო და უფრო ჩქარა უცემდა, თვა-

ლი მოვკრა, ოდნავ მაინც, გიგლას თვალი მოვკრა სადმეო, რომ ეფიქრებოდა ნაბიჯების კვალდაკვალ.

— ფეხზე ისევ არ ჩაიცვა ამ გოგომ, — უკმაყოფილოდ ამოთქვა დედამ, — სულ გატყუორდა. ფიდო! მოხვალთ თუ არ მოხვალთ!? ფარნა!

— მოვდივართ დე, — გამოსძახეს ძმებმა, ერთი ც მოქაჩეს ჰამაკის თოკები და როცა დარწმუნდნენ რომ კარგად ეკიდა, წამოვიდნენ სახლისკენ.

ლელიო, წყაროზე რეცხდა ატმებსა და ვაშლებს. ფეხებიც დასველებოდა და კაბის ქვედა ბოლოც, მაგრამ არაფრისთვის მიუქცევია ყურადღება. გარეცხა ხილი და კალათთან ერთად იქვე დატოვა. ჭალაში გაირბინა. ბუჩქნარის ტოტები განი-გამონია და სათიბებს მოავლო მზერა, ლამის მთელ ხეობაზე, რომ გადაშლილიყო სხვადასხვა ბალის შუაგულში და ტანზე მოოქროვილი ფარდასავით დაუდიოდა, სიოს მონაბერი.

კი, მისი გიგლა იქ იდგა. მარტოდ-მარტო იდგა მინდორში და ამოზრდილ თავთავებს ხელით სინჯავდა. გადაუსვამდა ხელის გულს და მერე გაიხედ-გამოიხედავდა. ჩიტები უფრენდნენ თავზე. მინდვრის ბოლოს კი დიდი ცაცხვი ამოზრდილიყო. დიდი ტოტებაშლილი ხე. თითქოს მისკენ დააპირა ნასვლა, თან ჩიტებს აავლო თვალი, გასწით იქით, აქ რა გესაქმებათო, ისე აუქნია ხელი და იქვე მორზე ჩამოჯდა. ლელიოს კი სუნთქვა ეკვროდა, მისი შემყურე მუხლებში აკანკალებულიყო და ბუჩქნარსამოფარებული თავს ძალას ატანდა თავი არ გაეთქვა, რომ გიგლას არ შეენიშნა მისი თვალთვა-

ლი. ჩაცუცქულიყო ფოთოლნარში და გულის გახშირებული ბაგაბუგი, ყურებსა და ყელში უცემდა. უნდოდა წამოეყვირა, მაგრამ შიშობდა, არა, არა, არ უნდა შემამჩნიოსო გაბნეუნდა ფიქრი და თავის დამშრალ ტუჩზე წამიან ხელს გაიფარებდა, ღმერთმა დამიფაროს თავი გავთქვა და რაიმე წამოვიძახოო. მუცელში იგრძნო მონაჭერი რალაც და შიშმა თუ ფეთიანმა, საიდანლაც მოვარდნილმა ელდამ მოუჭიმა ტანი, თითქოს ფილტვებიდან არც კი ამოუშვია წამისწინ ჩაყოლილი ჰაერი, შიგრომ ოდნავ ატანდა სუნთქვაც და თითქოს წამიც შენეღდა და გაჩერდა მის წინ, კი, გაჰკრა თავბრუსხვევამაც, მაგრამ ლელიო ახლა ვერაფერს გრძნობდა, მხოლოდ მიწის სიმხურვალე ეკვროდა შიშველ ტერფებზე და ისე გაყურებულიყო ბუჩქნარში ჩამალული, რომ ასე შეყოვნებული წამისას გულის ბაგაბუგიც სადღაც მიუქრა. მიშტერებულიყო გიგლას, შორიდან რომ თვალს ადევნებდა მინდორში მის სიარულს და წარმოდგენა არ ჰქონდა რა ძალით იკავებდა ასე თავს და რისი ეშინოდა, დაენახა გიგლას, მერე რა, რა დიდი ამბავი იქნებოდა რომ დაენახა, მაგრამ გოგონა თითქოს რალაცა ისეთით შეპყრობილიყო, რომ ერჩინა მომკვდარიყო, ოღონდ თავი არ გაეთქვა. არა რა დროს სიკვდილია, წამით ისევ გაკანრა ფიქრმა, რა დროს ეგაა, ერთი სულელი და მშიშარა გოგო ვარო, მაგრამ იქნებდა შევეფეთოთო სადმე, დამინახავს და ყველაფერს მიხვდებოო. გიგლა ცაცხვისკენ წავიდა და როცა მოშორდა ლელიოს მზერას, გოგონაც შე-

მობრუნდა, ხილით სავსე კალათი აიღო და ჩქარი ნაბიჯით დაბრუნდა სახლში.

— მობრძანდა, — თქვა ფარნამ.

ოჯახი სუფრასთან იჯდა. აივანზე სადილობდნენ. მამას გვერდით ადგილი იყო ცარიელი. ამოვიდა ლელიო და მამის გვერდით დაჯდა. ხილიც იქვე დადო.

— რა წყაროზე სირბილი აგიტყდა, — თქვა მამამ და ქალიშვილს აკოცა, — ფეხებიც დაგსველებია.

— არაუშავს, — დედამისს თეფში გაუნოდა ლელიომ, — სამაგიეროდ იქ გარეცხილი ატამი უფრო გემრიელია.

— ვითომ რატომ, — თქვა ფარნამ.

— შენ ვერ გაიგებ.

— რა გაგება მაგას უნდა.

— ო ჭამე რა.

— მორჩით, — ჩახოხბილიანი თეფში ქალიშვილს დაუბრუნა დედამ, — მიდი სალათიც გადაიღე, — უთხრა იქვე და დაჯდა, — ფიდო კიდევ დააჭერი სალათს.

— მე დავჭრი, — კიტრები და ხახვები აიღო მამამ, — იყავით თქვენ, — როგორ ჩქარა გარბის დრო, ფიქრობდა ირაკლი ხახვის გაფცქვნისას, უკვე რამხელეები არიან, კანონზომიერებაა, დამთხვევები არა, დამთხვევები არ არსებობენ, ლელიოს მერე თუ ფარნა გაჩნდა ოცდაერთ სექტემბერს და ერთი წლის მერე ფიდო, ისიც ოცდაერთ სექტემბერს, ფარნა ღამით, ფიდო დილით, დამთხვევაა რამე? არა, ჩანაფიქრია რალაც ან რას გაიგებ, მალე

ლელოს დაბადების დღეა და რა ვაჩუქო? თუმცა რატომ რას გაიგებ, მილიონი ვარიანტი არსებობს ამის გაგებისა, ბავშვები რომ ერთი წლის დაგვიანებით, მაგრამ ერთი და იმავე დღეს გაჩნდნენ, ინდიგო, მათი თაობაა ინდიგო, კიტრებიც მიათალა ირაკლიმ, მწვანელი დააჭრა და ზეთი მოასხა თუ არა სუფრაზე დადო, — გთხოვთ ინდიგოებო, მიირთვიოთ, — უთხრა შვილებს.

— ლელი, — წამოიძახა ფიდომ, — რას ინატრებდი დაბადების დღისთვის?

— სიყვარულს, — დამაც უნებლიედ მიაძახა.

დედას გაეცინა.

— რა სიყვარულს? — თქვა ფარნამ, — დიდი სარკე არ გინდა? დიდი მალალი სარკე, მთლიანად რომ ჩაეტიო.

— ახლა თუ გაგცხე განახებ სარკეს!

— სიყვარულს რატომ ინატრებდი? როგორ შეიძლება სიყვარული ინატრო? — წყალი მოსვა ფიდომ და პურის ნატეხი მოუსვა თეფშს.

— აბა რა ვინატრო?

— რამე ისეთი.

— როგორი.

— ლელიო დაანებე თავი და ჭამეთ. ბუზები არ დააჯდნენ, — თქვა დედამ.

— ო მართლა, — ისევ ადგა ირაკლი, ფარდებთან მივიდა და გადმონია. კიდევ უფრო ჩამოჩრდილა აივანი, — ასე არ ჯობია? იმდენი აღარ შემოვა.

— მამა პირამიდები როგორ ააშენეს? — მოულოდნელად იკითხა ფიდომ.

— პირამიდების მშენებლებსაც აწუხებდათ ბუზები, — გაულიმა მამამ, — გინდათ ერთი გამოცანა გითხრათ? ყველამ იცის პასუხი მაგრამ მაინც, რა არის რისიც ყველას ეშინია, ხოლო მას კი პირამიდების.

— რა პირამიდების, — იკითხა ფარნამ.

— რა და მას პირამიდების ეშინია, მისი კი ყველას ეშინია. რა არის?

— დრო, — თქვა ფიდომ.

— სწორია, — დაეთანხმა მამა, — მაშინ ეს რაა, რაც სულ ცვალებადია, სულ მიმდინარეა და ამავე დროს ჩვენი საკუთრებაცაა?

— ისევ დრო, — ერთხმად თქვეს ფარნამ და ფიდომ.

— სწორია, — ისევ დაეთანხმა მამა, — მაშინ აბა ეს რა არის, ყურადღებით მისმინეთ, იგი ის არ არის რაც უკვე არსებობს, მაგრამ არც ის არის, რაც შეუძლებელია არსებობდეს.

— ისევ დრო? თუმცა დრო რა შუაშია.. — ჩაფიქრდა ფარნა.

— სწორია, დრო არაფერ შუაშია, — თქვა მამამ.

— აბა რა არის? — თქვა ფიდომ და ლელოს შეხედა.

— მე რას მიყურებ, — უპასუხა დამ, — შენ გეკითხებიან.

— ყველას ვეკითხები, — მოაჯირს მიეყრდნო ირაკლი, — ლალი ყავა გააკეთე რა.

— ახლავე, — ადგა ლალი, ზოგი ცარიელი თეფშიც აიღო მაგიდიდან.

— არ ვიცით, — თქვეს ძმებმა, — ის არ არის რაც არსებობს და არც ის არის რაც შეუძლებელია არსებობდეს? ვა მართლა რა არის?

— რა და ოცნება ძმებო! ოცნება! — ხელები გაშალა მამამ, — ოცნება! — თქვა უფრო ხმამაღლა და ბალში ჩავიდა, — მაგას შემოვევლე! ეგაა წინ რაც გვექაჩება, ზოგჯერ ცოდნაზე მნიშვნელოვანიც რომაა, ზოგჯერ ფაქტებზეც მაღლა რომ დგას და არასდროს ბერდება.

— მამა.

— ბატონო, — შვილებს გამოხედა ირაკლიმ.

— და პირამიდები როგორ ააშენეს.

— ძაან მაგრა, — თქვა მამამ და ალუბლის ხისკენ წავიდა, მონყვიტა რამოდენიმე მწიფედ მოგემრიელებული და მძიმე სინითლით დაკიდული ალუბალი, ორივე ყურზე ჩამოიცვა და დანარჩენები პეშვით წამოუღო მათ, — აი სასწაული, ესაა ნამდვილი სასწაული, — უთხრა ფიდოსა და ფარნას, — სამყაროში ჩვეულებრივ ყველაფერი ღვთის ნებაა, როგორც სულთგანათლებულნი ამბობენ, აი სასწაული კი ღვთის არაჩვეულებრივი ნებაა, ლელიო ეს შენ, — ქალიშვილსაც ყურებზე ჩამოაცვა ორყუნნიანი ალუბალი-საყურე და ბიჭებს კი ხელისგულებზე დაუდო სათითაოდ, — მიდით, გაიკეთეთ თქვენც, ჩამოიცვით ყურებზე.

ბიჭებმაც ჩამოისაყურეს, დახუნძლული, ორყუნნიანი ალუბლები და გაღიმებულეზბმა შეხედეს მამას, — შენ ხომ ფიზიკოსი ხარ, სასწაულების გჯერა? — თქვა ფიდომ.

— ირაკლი, აი შენი ყავა, — ცხელი ჭიქა მაგიდაზე დაუდო ცოლმა, — შაქარი არ ჩამიყრია.

— მაღლობა ჩემო კარგო, — კოვზი შაქარი ჩაყარა ირაკლიმ და მოურია, — მჯერა აბა არ მჯერა? რომ მჯერა ეგ მაკვირვებს, ის წამის ქმნილებაა, ის ისეთი სუბსტანციაა რითიც ჩვენ ყველანი ვიკვებებით და მისი მიზეზები ჯერ ვერ გვიპოვონია, ის ხომ ფიზიკის კანონებს არ ეწინააღმდეგება, ის ეწინააღმდეგება ჩვენს ცოდნას სამყაროს შესახებ, გაუძელი ყველაფერს და იხილავ სასწაულს, ჩვენი ნებისყოფაა გზა სასწაულისკენ.

— ნებისყოფა.

— ჰო ნებისყოფა ჩემო ინდიგო. ხომ მოგწონს ჩვენი ბალი, საერთოდ ბალები ხომ მაგარია, რა საუცხოოა ჰო? საკითხს ისე შეხედე, რომ პიროვნება თვითონ ბალი, აი ნებისყოფა კი მეზალე. გონება ანათებს, ის გზას უნათებს ნებისყოფას, ხოლო ნებისყოფა ჩვენს საქციელთ მზრძანებლობს. თუ ნებისყოფა არაფერს წყვეტს, ის არცაა ნებისყოფა, რადგანაც თუ ნიჭი მყუდროებაში მწიფდება, ამ მყუდროებას სწორედ ნებისყოფა ქმნის.

— მართლა მაგრა აუშენებიათ პირამიდები, — თქვა ფიდომ, — აი ნებისყოფა.

— რა კარგი ყავაა ლალი, — მოსვა ირაკლიმ, — ძალიან გემრიელია. ძალღი ხომ არ მოვიყვანოთ? ვიყიდოთ რამე ლეკვი, ლელიოს დაბადებისდღისთვის.

— სარკეებიანი ძალღიცაა? — გადაიხარხარა ფარნამ.

— ამას ახლა მოგკლავ! — წამოხტა ლელიო, მაგრამ ძმა უცებ შეხტა კიბეებზე, მეორე სართულზეც აირბინა, სხვენზე.. და ისევ სახლის სახურავზე დადგა, — ჰო რა მოგივიდა, არ შეიძლება რომ იყოს? — გაღიმებულმა ჩამოსძახა დას.

— ჩამოხვალ შენ მაქედან, — ალუბლის კურკა ესროლა დამ, კრამიტებს მოხვდა კენჭივით წნიკა კურკა და იქვე მიკაკუნდა, — ადრე თუ გვიან ჩამოხვალ და ნახე შენ რა გიქნა.

— ჰა ლალი, რას იტყვი? ძალღი. ლეკვი. ლელიო? — დაუძახა მამამ, — არ ინატრებდი ერთ ლეკვს, სეტერი ან რამე..

— რატომაც არა, — მოვიდა ლელიო, — ძალღი მაგარი. ლეკვი.

— მერე როგორ მოვეუვლით? — თქვა ფიდომ, — კინოლოგებია საჭირო.

— კაი რა, გავზრდით როგორმე, მთავარია ლელიომ თქვას მინდაო, ლალი! დაითანხმეთ თქვენი ქალწული თუ შეიძლება, — ცოლთან მივიდა ირაკლი, — მართლა მაგარი ყავაა, რამე ისეთი ჩაყარე?

— არა ირაკლი, ყავაა როგორც ყავა, რა უნდა ჩამეყარა, მოვიყვანოთ ძალღი, რათქმაუნდა მოვიყვანოთ, ირბენს აქ, თბილისში რა ვუყოთ? იქ სად წავიყვანოთ? სახლში გვეყოლება?

— ჩვენც ისეთი ჯიმი ვნახოთ, რომელიც სახლშიც შეიძლება გაჩერდეს, რამე ძალიან დიდი არა.

— მაგალითად? — თქვა ლელიომ, — აუუ როგორ მინდა ძალღი.

— ჰოდა ერთ კვირაში რამე მოვიფიქრით.

— რა დავარქვავთ? — თქვა ფიდომ.

— გააჩნია ძალღი. ჯერ ავარჩიოთ და სახელი მერე, ოღონდ ლელიომ დაარქვას.

— მშვენიერია, — თქვა ლელიომ, — მე უკვე ვიცი როგორი მინდა და რასაც დავარქმევ.

— გოგოები სულ სხვა რამეებს ნატრობენ, — თქვა ისევ ფიდომ, — ძალღი უფრო ბიჭების საქმეა.

— რა მნიშვნელობა აქვს, — უპასუხა დამ, — გვეყოლება აქ და გავზრდით ერთად, — კაი ჰო ფარნა ჩამოეთრიე, გპატიებ ჩემი ნერვების აშლას, — სახურავზე ასძახა ძმას, — ჩამო და გადავწყვიტოთ, რომელი ავიყვანოთ.

— ყავას დავლევ და ინტერნეტში მოვძებნოთ, — თქვა ირაკლიმ.

თავი მესამე

## ჩარლი ასეულის ასმეთაური გიორგი სარდლიშვილი

3 სექტემბერი 2008

იმავე ღამეს, ოსეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა, ეს ბრჭყალებში ცხადია, ყველა ქვედანაყოფს უბრძანა, რუსეთის რეგულარული არმიის ნაწილებთან, დაქირავებულ მებრძოლებთან და ათასი ჯურის ბანდებთან ერთად და მათთან ურთიერთქმედებით, შეტევა განეხორციელებინათ და გაენადგურებინათ ყველა და ყველაფერი, წინ რაც შეხვდებოდათ. იქ ქართული ბატალიონიც იყო განლაგებული, ეს იყო, შერეული სამშვიდობო ძალების, ქართული სამშვიდობო ბატალიონი და 7 აგვისტოს, გამთენიისას, ფრონის ხეობაში, აიმ ნულის საგუშაგოს მიმართულებით ცეცხლი გაიხსნა. მაშინ დაზვერვა ამბობდა, ჩვენი S-2-ის სამსახური, რომ ძარი-ცხინვალის გზაზე, სატვირთო მანქანებისა და ჯავშანტექნიკისაგან შეკრული კოლონების გადაადგილება შეიმჩნევაო. გეზი ცხინვალისკენ და ხეთაგუროვისკენ აელოთ. ეგრევე დაიწყო სამშვიდობო ძალების საცხოვრებელი შენობების

დაბომბვა. ვიცი ესეც, დაბომბვა წარმოებდა 82 და 120-მილიმეტრიანი ნალმსატყორცნებით და კიდევ 122-მილიმეტრიანი ჰაუბიცებით. 4-30 ტიპის ჰაუბიცებით. ის როცა ბუთქავს ჯობია სხვაგან იდგე სადმე და ღმერთს მაძლობას სწირავდე რომ იმწამს იქ არ იდექი.

დაბომბვის შედეგად, ჩვენმა ბიჭებმა, იმ ბატალიონიდან ვინც იყვნენ, ოთხმა მათგანმა კანტუზია მიიღო, სასიკვდილოდ დაიჭრა ორი და კიდევ ორი ადგილზევე გარდაიცვალა, თან ეს მაშინ როცა ჯერ ჩვენ ქვეით ბრიგადას ცეცხლი არ გაგვიხსნია. შეტყობინება გვქონდა, ჯერ კიდევ არ გაგვიხსნა საპასუხო ცეცხლი, ალბათ იმ იმედით, რომ ყველაფერი მალევე დამთავრდება, ჩაერევა ევროპა, ამერიკა და სხვა დანარჩენიც და ეს გაუგონარი სიგიჟე შეწყდება, მაგრამ ეს უქმეები იყო და ოლიმპიადის წინა დღე, ჩვენი პარტნიორი ქვეყნების დიპლომატები და პოლიტიკოსები ადგილებზე არ იყვნენ, გავიგეთ რომ თბილისში რეზერვისტების მობილიზაცია დაწყებულიყო და იქმნებოდა სამოქალაქო სოლიდარობის შტაბიც. თუ არ ვცდები რუსთაველის თეატრში. ჩვენ შტაბში კი თქვეს რომ საქართველოს პრეზიდენტმა, ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა მოინვიაო. ეს შუადღეს მოხდა. მზე ედგა ქვეყანას, მახსოვს ის დღე და ყველა ტელევიზორზე იყო მიმჯდარი. მაშინ, რეინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრი რომ იმათ სამშვიდობოების მინისტრს შეხვდა, მაშინ უთქვამს იმჩემისას, რა ვქნა, რით გიშველოთ, ვერ ვაკონტროლებთო



და ასევე უღიარებია, რომ ისინი ხშირად რაღაც მზაკვრულ ტაქტიკას მიმართავენ და ქართული მხარის მიმართულებით, რუსული სამშვიდობოების დისლოკაციის უშუალო, ზედმინვენითი სიახლოვიდან ისვრიანო. ყველასთვის ცხადი გახდა, რატომ, იმიტომ, რომ შთაბეჭდილება შეექმნათ, ქართული ბატალიონის ცეცხლისას, ეს ადგილები იბომბებაო და ისინიც იძულებულნი არიან საქართველოს ძალების წინააღმდეგ განეხორციელებინათ თავდასხმა. ოსეთის ეგრედ წოდებული პრეზიდენტი ცხინვალში არ იმყოფებაო, ხოლო მისი მარჯვენა ხელი, ჩემ ზარებს არ პასუხობსო. მისი აზრით, ერთადერთი გამოსავალი სიტუაციის სასწრაფო განმუხტვისათვის, ქართული მხარის მიერ, ცეცხლის ცალმხრივი შეწყვეტა იყო, მათი ყველა პროვოკაციის იგნორირება და გარკვეულ დრომდე ასეთ რეჟიმში ყოფნა. როგორია? მოგწონთ ეს ვარიანტი, როცა ისინი მაინც არ ჩერდებიან? მაშინ მეც ვუყურე ტელევიზორს, ეს იყო თვრამეტსა და ორმოცდახუთზე, შვიდს, რომ თხუთმეტი აკლდა, დაბრუნებულმა სახელმწიფო მინისტრმა, ხელისუფლებასთან კონსულტაციის შემდეგ, რომ ბრიფინგი ჩაატარა და ყველას შეატყობინა, რომ ქართული მხარე, ცეცხლს ცალმხრივად წყვეტდა.

მერე, ნახევარ საათში, არც კი, მგონი რვის ათი წუთი იყო, პრეზიდენტმა ყველას საგანგებო განცხადებით მიმართა და იგივე გვამცნო, სიტუაციის შემდგომი ესკალაციის თავიდან აცილების მიზნით, საქართველო ცეცხლს ცალმხრივად წყ-

ვეტსო და მოუწოდებდა მათთან დაუყოვნებელი მოლაპარაკებების დაწყებას... მაგრამ არა, ასეთი რამე არ მომხდარა, სწორედ ამ მოწოდების შემდეგ, ის სამშვიდობო ქართული ბატალიონი ქვედანაყოფი ალყაში მოექცა, იქ უკვე დაღუპულებიც იყვნენ. ამ ალყამ ჩვენი ბიჭებისთვის შეუძლებელი გახადა იქაური მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია, დაჭრილების გამოყვანა და ცეცხლის წარმოების ზონიდან დაღუპულების გამოყვანაც, საერთოდ რამის გაკეთება. იქ კი, ეჰ, იქ კი უკვე ბევრი იყო დაღუპული. მშვიდობიანი მოსახლეობიდანაც და ჯარისკაცებიდანაც. ბომბები სკდებოდა და მიწა ადამიანებთან ერთად იფლითებოდა, ასე ნაკუნ-ნაკუნ იგლიჯებოდა იქაურობა და ნულისა და ავნევის მიმართულებით რამოდენიმე წამითაც არ ჩერდებოდა სროლა. მერე, ოცდაერთსა და ნულზე, ცხრა საათზე მოკლედ, დაიწყო თამარაშენის საარტილერიო დაბომბვა და ეგრევე, როკის გვირაბის გავლით, რუსული რეგულარული არმიის ნაწილებმა, საქართველოს ტერიტორიაზე მასობრივი შემოსვლა დაიწყეს. ორი საათი, სიჩუმე გაიყინა თბილისში, რაღაც ჯოჯოხეთური და ავი სიჩუმე. ჩვენ სრულ საბრძოლო მზადყოფნაში ვიყავით და ხმას არცერთი ჩვენგანი იღებდა, თითქოს ჩვენც ამ წყეულმა სიჩუმემ გაგვიყინაო ფილტვები, ჩვენი ბრიგადის სხვა ასეულთა ასმეთაურები, ჩემი ძმები, ჩემსავით გაყურებოდნენ თითქოს ამ უსასრულოდ განელილ ორ საათს და ყოველი წამი, აქედან ამომხტარი, თითქოს სადღაც მარადიულში გზავნიდა

ყოველი ჩვენგანის გულსფეთქების ხმას, რომელიც ყველა ჯარისკაცს ასე უძგერდა, იფიქრებდი ახლა იფეთქებს რალაცა დიდი და იფეთქებს ასევე სამარადისო, სამუდამო და საბოლოო აფეთქებითო. ასე იყო დავით გეგეშიძე, ალფა ასეულის ასმეთაური, დამშვიდებული, ბოლომდე განონასწორებული კაპიტანი, ასე იყო ნიკა მაჭავარიანიც, კაპიტანი ისიც, მოიერიშეები, ბრავო ასეულის ასმეთაური და კერესელიძე ირაკლი, კაპიტანი, დელტა ასეულის ასმეთაური. იდგა ბატალიონის შტაბის უფროსი, დევდარიანი ლევანი, მაიორი, იდგა როგორც ქანდაკება და ყველა კაპრალი, ყველა სერჟანტი და რიგითი, სრული პირადი შემადგენლობა, სრულ საბრძოლო მზადყოფნაში, თითქოს ერთს იტყვდა მაშინ გულში, გულში და ფიქრში და თავისი ყოველი სუნთქვით, ერთს იტყვდა, ღმერთი, ჰო, ღმერთი ფარავდეს საქართველოსო, ასე. თავდაცვის მინისტრი ოფიცრებთან და მოადგილეებთან ერთად უკვე ღებულობდა ბრძანებას, მთავარსარდლის ბრძანებას, რომელიც ოცდასამსა და ოცდათხუთმეტზე, მთელი საქართველოს გასაგონად პრეზიდენტმა გასცა. 7 აგვისტოს, თორმეტს რომ ოცდახუთი აკლდა, ტელევიზიით ყველამ შეიტყო, რომ საქართველო ამ წუთიდან თავდაცვით ოპერაციას შემდეგი ამოცანებით იწყებს: ცხინვალის რეგიონში, მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა, იმ საცეცხლე პოზიციების ჩახშობა, საიდანაც მშვიდობიან მოსახლეობას უშენდნენ ცეცხლს, ასევე ქართულ სამშვიდობო ქვედანაყოფებსა და სამოქალაქო პოლიციას, და აგრეთვე

როკის გვირაბის გამოვლით, სამხრეთ ოსეთის რეგიონში, რუსეთის ფედერაციის, რეგულარული ქვედანაყოფების მოძრაობის შეჩერება.

7 აგვისტოს, ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანების თანახმად, საქართველოს შეიარაღებული ძალების საარტილერიო ქვედანაყოფებმა ოცდასამსა და ორმოცდაათზე, საპასუხო ცეცხლი გახსნეს. თორმეტს რომ ათი წუთი ეკლდა დავიწყეთ დაბომბვა, ზუსტი საარტილერიო სისტემით “დანა”.

თავი მეოთხე

## ლამე

7 ივნისი 2008

ერთანმინდაში ყოველთვის საუცხოოა ზაფხული და განსაკუთრებით ივნისი, ივნისის ლამე, ფიქრობდა ლალი. დაღამებულყო. ჭრიჭინები სტვენდნენ და ჭოტიც სადღაიციდან. ლალი ლოგინში იწვა, ირაკლის მის გვერდით ეძინა. საძინებლის ფანჯარა ოდნავ შეხსნილიყო და დამთვარებული ხეები მოჩანდა ლამეში აქა-იქ და ბლუჯად აყრილი ვარსკვლავებიც. ფარდებს ღია ფანჯრიდან თბილი სიო ედებოდა, თითქოს ლალის ძილში ჯერ ვერშეღწეულ სიზმარს უფრიალებდა ქალის სასთუმალს, რადგან ჯერ არ ეძინებოდა ლალის, მანამდე რომ კითხულობდა და ახლა კი უკვე შუქიც ჩაექრო და ქმრის მხარზე მიკრული და თვალეგახეილი ფიქრობდა ისევ, ხვალისთვის ბევრი საქმე მაქვს ყვავილები უნდა გადავრგოო, მოვანესრიგო და ხის სკამები იქნებ შევლებო, ნითლად ან ლურჯად ან მწვანედ ანდა სულაც ყვითლად. ნვიმები არ იცის ამ დროს, მოვასწრებ შელებვას და ერთ დღეში გაშრობასო. გვერდით ჭიქა წყალი ედგა, მოსვა ყლუპი,

მძინარე ქმარს აკოცა და ძალიან ფრთხილად ადგა სანოლიდან. ჩუმადვე გაიარა საძინებელი და დერეფანში გავიდა. ლელიოს ოთახში შეიხედა. მძინარე გოგონას საბანი გაუსწორა და უხმოდ გამოვიდა თუ არა, ბიჭების ოთახშიც შეიხედა. ცალ-ცალკე ლოგინებზე ეძინათ მათაც, ორთავეს გადახდილი ჰქონდათ ზენრები. დედამ მათაც გადააფარა, ოდნავ მოხურა კიდეც ფანჯარა და ის იყო გამოსვლას აპირებდა, ფიდოს ჩურჩული მოესმა. შედგა ზღურღბზე, მიაყურადა, ნახევარი სახით შვილს გამოხედა და გაიტრუნა. ფიდომ ისევ რაღაც დაილაპარაკა ძილში გაუგებრად და წამის შემდეგ ოდნავ გასაგებად თქვა: — ვიცი რომ ასე მოხდება, ვიცი და ჩვენ რა მოგვივა?

შვილის სანოლთან ახლოს მივიდა დედა და დახედა. ბიჭს ეძინა. ეძინა, მაგრამ ძილში ლაპარაკობდა, შფოთავდა, ახლა ისევ გაუგებრად ამოელერდა თითო-ოროლა სიტყვა და ლალიმ ფარნასკენაც გაიხედა. ფარნა კი გვერდით იყო გადმობრუნებული და თვალეგახეილი მიჩუმებოდა ძმას, მერე კი ძლივსგასაგონად უთხრა დედას: — ისევ ლაპარაკობს ძილში.

ლალიმ თითი მიიდო პირზე, ჩუმადო, არ გავაღვიძოთო და დაიძინეო, ანიშნა ასევე უხმოდ. ფარნა კედლისკენ შებრუნდა, თვალეები დახუჭა, ლალი კი ოთახიდან გავიდა და შეხსნილი დატოვა კარი.

— სად იყავი, ბავშვებთან? — თქვა ირაკლიმ, როცა მეუღლე საძინებელში შემობრუნდა.

— დაიძინე დაიძინე, — დანვა ლალი, — ჰო მაგათ დავხედე. ძინავთ, მაგრამ ფიდო ისევ ბურტყუნებს ძილში.

— მოდი ჩემთან, — ხელები მოხვია ირაკლიმ, — ამჯერად რას ამბობს.

— ისევ ისე ვილაცხეებს ესაუბრება, ჩვენ რა მოგვივავო ვილაცხეებს ეკითხებოდა სიზმარში.

ირაკლიმ აკოცა, სხვა არაფერი უთქვამს, ასე მეუღლემიხუტებულმა დახუჭა თვალები და მიესუნთქა ცოლს.

ლამეც მიწისკენ სუნთქავდა თითქოს. ისე ქვევით ეკიდნენ ვარსკვლავები, თითქოს ცა დაიწია ხშირი სუნთქვისგანო, თითქოს ლამობდა მიწასთან სიახლოვეს. ჭრიჭინები, ლამის მეგზურნი, მთელ მათ ბაღს მოდებოდნენ და უცნაური ალერსით ჭვრეტდნენ სიბნელეს, რა მოსდის ფიდოს ღმერთო ჩემო, ეფიქრებოდა დედას, უცნაურია, ძალიან უცნაური ბავშვია და იქნებ გადავწყვიტო და ფსიქოლოგთანაც მივიყვანო, თუმცა დედის ინსტინქტს რა დაჩრდილავს, ან რა გამოეპარება, საგანგაშო თითქოსდა არა იყო, მაგრამ ახლა ძილთან მიახლოებულს, ირაკლის სიტყვები ესმოდა ყურში, ირაკლის სიტყვები წლების წინ ნათქვამი, ფიდოს თაობა ბევრი ახალი ნიჭითაა დაჯილდოვებულიო ლალი, ისეთ რამეებს ხედავენ რაც ძნელად თუ ჩანს და მათთვის ეს ჩვეულებრივი ამბავიაო, მაგრამ რატომ ფარნაზე არ ლელავდა ახლა დედა, ეგ იყო ლეილოს მომნიფება ზერელედ კი აშფოთებდა, მაგრამ ფარნაზე წყნარად იყო, ეგ იქნება მათი მფარველიო

ეფიქრებოდა ძილში უკვე შეტოპილსა და სიზმრის მისადგომებთან მოტივტივეს, ჩემი ხასიათი გამოყვავო ლეილოს და მეც ეგრე ვიყავი მაგ ასაკშიო, მამამისი რომ დავინახე, იმავნამს ვიგრძენი რალაც ისეთი მანამდე რასაც ვერ ვგრძნობდიო და აი ახლა მე და ირაკლის ასეთი ოჯახი გვაქვსო, უნდა დაველაპარაკო, რალაც ძალიან ხშირად მირბის იმ წყაროზე. ვინმეს ხვდება უკვე?

დაეძინა ქალს. თავის ქმარზე მიმშვიდებულს მთლიანად გადავლებოდა ძილი და სასიზმარე მიღმაში მიყავდა, მაგრამ ფიდოს კი გაღვიძებოდა. იწვა სანოლზე და ჭერს აჰყურებდა. საათი ოთხს აჩვენებდა, ჭერზე კი დიდი ჩრდილი აწოლილიყო და ფარდის თხელი შერხვევისგან ეტივტივებოდა ჭერსა და კედლებს. მთვარის სიმკრთალით შენათებული ირხეოდა, ხან ოდნავ წაგრძელებოდა და ხანაც ისევ მოკლდებოდა ჩრდილი. ფიდომ ფანჯრისკენ გაიხედა. წამოდგა. გარეთ დაჩუმებულიყო ბალი, იმ დამთვარებული ჩრდილებისგან თითქოს დაბუჟებული და ზედ ჭის თავზე კი, რალაც უცნაური შეფერილობის, უცნაურადვე გამჭვირვალე, მომრგვალებული ნათება ტივტივებდა.

ჯერ კი ეკიდა რამოდენიმე წამი, მერე თითქოს შეამჩნია რომ ფიდო უცქერდა და მდორე ტორტმანით წამოვიდა ფანჯრისკენ, რბილად შედგა ჰაერზე, ფიდოსგან შორი-ახლოს, იქვე დანათდა და იქვე მიენათა ბიჭს.

— მოხვედით, — ჩუმად თქვა ფიდომ, — ხომ ვამბობდი, ისევ მოხვედით, — თქვა ბიჭმა და ფანჯრი-

დან გადაინია თითქმის მთელი ტანით. თითქოს მიიზიდაო იმ მოტივტივებულმა ნათებამ, ახლა მის ოთახს რომ შემოფენოდა და გაყურებული ნივთები გამოეჩინა, ჩრდილები რომ გამოუგრძელდნენ სკამებსაც და კარადაზე შეწყობილ ზარდახშასაც და ქოთანს ერთი კაკტუსით, კომპიუტერს და მაგიდას, ზედ აწყობილი წიგნებითა და სათამაშო ბურთით. თითქოსდა ფილო განსაკუთრებულს არაფერს გრძნობდა გარდა ერთი სურვილისა ხელი შეეხოს მისთვის და უფრო ახლოს მოეყვანა ეს თითქოს არსაიდან გაჩენილი სინათლე, მგრამ ხელი არ აუწევია, მშვიდად იდგა ნათების პირისპირ და შიგ იყურებოდა, აკვირდებოდა, როგორ ერთმანეთში გადადიოდა სხივი, საიდანაც სამი სხვადასხვა შუქი გამომრგვალდა და იმათაც სხვადასხვა მიმართულებით დაიწყეს ფრენა.

გაეცინა ფილოს, — რა ლამაზები ხართ, — უთხრა შუქებს და ფარნას გამოხედა, ნეტავ გელვიძოსო უელვა თავში, გავალვიძო? თუ ეძინოს? ამას როგორ ვერ ხედავს, რა უნდა ამის დანახვასო, უყურებდა კედლისკენ მიწოლილ მძინარე ძმას და ისევ ძალიან უნდებოდა გარეთ ჩასვლა, ბაღში ფანჯრიდანვე ჩავძვრებო და დააპირა თუ არა ფეხის გადაყოფა, მრგვალი ნათებაც მყისვე უკან გაიწია, შემდეგ კიდევ უკან და ბოლოს გაქრა. ის სამი, სხვადასხვა მხარეს გასხივებული ნათებანიც წამში შეერთდნენ იმავე ადგილას, სადაც დიდი მრგვალიც გაქრა და შეერთდნენ თუ არა, მიიქარწყლნენ ისინიც.

ისევ მთვარის სიფერმკრთალები დანოლილიყვნენ ჩრდილებად ბაღზე და ჭრიჭინებიც ისევე განაგრძობდნენ სტვენას და მათთანერთად, მხოლოდ შორი ჭოტის წყვეტილი და თანამიმდევრული ამოსტვენილი თუ შერჩენოდა ღამეს და ის ბლუჯად აყრილი ვარსკვლავები და ასევე შორს სადღაც ღამეში აყეფებულიყო ძალი.

ფილო კიდევ ცოტა ხანი იდგა ფანჯარასთან გადაყუდებული და როცა დარწმუნდა, რომ მარტოა, სანოლზე ჩამოჯდა. ოთახს მოავლო თვალი და მერე დანვა ისევ, თვალები დახუჭა და ჩაძინება სცადა. საფიქრელში შერჩენოდა ნათების სახე და იერი, ბავშვობიდან რომ ასე იყო ფილო, უცნაურობდა თითქოსდა მშობლების გულისგასახეთქად, მაგრამ არც ირაკლისა და არც ლალის არ ჰქონდა შვილის წინაშე შფოთი ან სევდა, გრძნობდნენ და იცოდნენ, რომ ასეთია მათი შვილი და დიდი ამბავი თუ რალაცეებს ხედავსო ბავშვი, ამბობდა ირაკლი, უნდა დაინახოს კიდევცო, მთელი ფიზიკა ამ ხედვაზეა აგებული, ამ ხედვის მტკიცებულებაზე, ფიზიკაც და რელიგიაც და რაც გინდა ის ლალი, — ოჰ ირაკლი, — ამბობდა ლალი, — რა ადვილია შენთვის ასე ლაპარაკი, რამე არ მოუვიდეს ღმერთმა დაგვიფაროს, — კაი რა ლალი, რა უნდა მოუვიდეს, ნავლენ ქალებში და გაუქრება ყველაფერი, — ნუ რა არის ახლა ეს ირაკლი! რეებს ამბობო, — გაუბრაზდებოდა ცოლი და ფილოს მოძებნიდა მხერით, ხომ აქვე ახლოს არისო. იქვე იყო ფილო, ან ბაღში იჯდა, ან ხატავდა ამოსასვლელ კიბეებზე ჩაცუც-

ქული, ან ხოჭოებს უყურებდა, დასდევდა პეპლებს და ახლა კი ფიქრებში ნათების იერიით შერჩენილს, როგორც იქნა ეძინებოდა, ერთიც გახედა ფარნას, გძინავსო? თქვა ჩუმად და საპასუხოდ რომ ვერაფერი გაიგონა, გადმობრუნდა ისიც მეორე მხარეს და საათს შეხედა, წამის ისრის გაუთავებელ სრბოლას საათის წრეზე, რომ არასოდეს გაჩერებულა და ციფერბლატზე, უსასრულო ბრუნვებით კრავდა დროს, ნელ-ნელა ქუთუთოები ჩამოუმიძიდა, გონება სიზმარში შეუცურდა და დაიძინა.

ფარნას კი, მას მერე დედამ რაც ანიშნა ფილო არ გავაღვიძოთო, თვალის არ მოუხუჭავს. მიბრუნებულიყო კედლისკენ და ყველაფერი ესმოდა, ყველაფერს გრძნობდა ძმისას, ვერ ბედავდა აქეთ გადმოწოლას, ჯობია იცოდეს რომ მძინავსო, ეფიქრებოდა და ცდილობდა არ შეემჩნია, ამლამინდელი უძილობა. მართალია, ფილო არ დაუნახავს ფანჯარასთან მჯდარი და არც ღამეში შემონათებული, აქა-იქ მოლივლივე ათინათებად გაფანტული სინათლე არ დაუნახავს, მაგრამ ყველაფერს გრძნობდა და ხვდებოდა. თავსაც კი უბრაზდებოდა, ის თუ ასეთია მეც ასეთი რატომ არ ვარო. გამორიცხულია ჩემი ძმა რამეს იგონებდეს და ჩემს დასანახად იტყუებოდეს, სულელობდეს რამესო, მაგრამ რა არის ის ხილვა? რა ეჩვენება და ვის ელაპარაკება ძილშიო? კედელს ეფიქრებოდა ფარნა. ღამის სიმშვიდე შემოფენოდა მასაც და დროდადრო გაუქროლებდა თუ არა ძველი აზრი, მყისვე ახალი ჩაენაცვლებოდა მის გონებას, ჯარში თუ წაგვიყვანენ, ნეტავ ერთად

აღმოვჩნდეთ თუ მართლა წაგვიყვანენო. წამით კი მოუნდა — ახლავე გადავბრუნდები ფილოსკენ და მოვაყოლებ, ერთი რა ნახა ამშუალამეს, მაგრამ ადგილიდან არ ინძრეოდა, აუხსნელი უხერხულობა აჩერებდა თითქოს. ძმის რიდი? შეიძლება. ან მოუთმენელი რაიმე სურვილი? შეიძლება. ინვა კედლისკენ მიბრუნებული და ჭრიჭინების ტალღებს ადევნებდა სმენას, ჯანდაბას ჩემი თავიც, რით ველარ დავიძინე, გათენდეს მალე ან მალევე ჩამეძინოსო, იაზრებდა წამიერად და ისევ ხუჭავდა თვალებს, იმშვიდებდა თავს, უძილობას გაუყურებოდა და ცდილობდა ჩაძინებას, მოკვამლულ გაბრუებაში ცდილობდა ჩაძირვას.

ლელოს კი, გვერდითა ოთახში მძინარეს, არაფერი გაუგია, არც დედის სიარულის ხმა, არც საბნის გადაფარება და არც მიყურებული ხმაური, თავისი ძმების ოთახში. გოგონას სასიზმარე გაბრუება ემოსა, სულით სუნთქვამდე ამომკრთალი და გიგლანარევი ქალები ეზმანებოდა. ტიროდა სიზმარში. ეცრემლებოდა სახე და დიდ შვებას გრძნობდა თითქოს. კოჭები და მუხლები უბუჯდებოდა და სიმშვიდეგადაფენილი, მისი ნასიზმრალი სამშვიველი მსუბუქად ფრენდა ერთანმინდას ბალებზე.

მათი ორსართულიანი, ვრცელი, დაბალი აივნით გაშლილი, კრამიტებნაწყობილი აგურის სახლი, კედლებზე ვარდებ და სუროაცოცებული, თითქოს ღამეში ტივტივებდა, ისე მოსდებოდა მიწიდან ოდნავ აცურებული თხელი ნისლი. მთლიანად ჩამომთვარებულიყო მათი აშლილი ბაღიც და იქვე ჭას-

თან, ორ ხეს შორის გაკიდებული ჰამაკიც. ირგვლივ არავინ იყო, სახლის შესასვლელთან ენთო მხოლოდ ერთი ნათურა ზედ კარის თავზე და სიჩუმეს ისევ ის ჭოტი ხვრეტდა, შორიდან გაბმული წყვეტილი შეკვივლებით. არავინ იყო გარდა, ბალისა და კარმიდამოს გაღმა ქვაფენილზე მოსიარულე გიგლასი, წინ რომ წკეპლით მიედევნებოდა, ყელზე ეფვანშებმულ ძროხას. სად დამეკარგე ამ შუალამეს შე მართლა სამგლე, გაუფიქრებდა თავში და წკეპლას მოსცხებდა ზურგზე. შენი ბედი რომ ადგომა არ დამეზარა, ძლივს არ მოგძებნე? თორემ მგელს ვერ გადაურჩებოდი, სად გაბოდიალდები ხოლმე და მერე გეძებ მთელი დღე და ღამე, თავისთვის ლაპარაკობდა გიგლა, ხვალ უნდა გამოვიძინო, თორემ ძალი აღარ შემრჩა შენი დევნით, ახლა ისე მიგაბამ ცხოვრების ბოლომდე ველარ აიშვებ, ძროხა ხარ თუ მოჩვენება რომ დააბოტებ და სახლი აღარ გახსოვს, თითქოს ამხანაგი ყოფილიყო მისი, ისე ელაპარაკებოდა გაძუნძულებულ ცხოველს, ყელზე ეფვანი რომ ურეკდა გაუთავებლად და რალაც მოშორებული, მიფერფლილი ექოებით წკარუნობდა. რა კარგი სახლი აქვთ მთვარელიძეებს, ძმაა ირაკლი, როგორ მოახერხა ამდენი რამე, მე ერთი მინდვრისთვის და ამ ოხერტიალისთვის ვერ მომივლია და ირაკლი კიდევ რამდენს ასწრებსო, გზას სიბნელეში იკვლევდა გიგლა. ფარანი ეჭირა და შუქის განოლილ კვალში ადგამდა ნაბიჯებს. მთვარეც ისე მინათებს ან ეს ფარანი რალად მინდაო, დააყოლებდა სიარულისას, მაგრამ არ აქრობდა, მიუყვებოდა დაღმართს და ძროხას ისევ

გაცხებდა წკეპლას, ხვალ ირაკლის ერთი ბურღი უნდა ვეთხოვო და ბოსელზე ახალი საკეტი გაგიკეთო და ოჰ, რას გიზამ, ბოლო უნდა მოედოს შენს ღამის სეირნობებს, თორემ მართლა შემოეჭმები ვინმეს, გესმის ქართული თუ არ გესმის?! ძროხა თავდახრილი მიძუნძულებდა შარაზე და აქეთ-იქეთ აქნევდა ღამის მიწამდე დაგრძელებულ კუდს. მიდი აქნიე რა გენალვლება, ინდოეთში გგონია ხომ თავი? იქ ხომ შენნაირებს ხელს არავინ ახლებს, ესა ქართლია, ქართლი! გეყურება? მორჩა დასჯილი ხარ, ხვალ ფეხს ვერსად გადაადგამ უჩემოდ, აგე იმ საძოვარზე დაგაბამ და ისე გაგროზგავ... მუუუუ, დაიღმუვლა ძროხამ,... უყურე ამას, ერთიც მისცხო წკეპლა, რითი ხარ უკმაყოფილო? ერთი ხარი მეგულეა სოფელში და თუ რამე გინდა იმას ეღმუვლე, ის ისეთია როო, ნახავ რა დღეში ჩაგაგდებს, მაიცა მოვიდეს მაგის დრო... მიგიყვან და ნახე შენ მერე...

— გიგლა, — ლოგინში წამოიძახა ლელიომ და თვალები გაახილა. გიგლას ხმაა? გაიფიქრა სიზმრიდან ჯერვერგამოსულმა და ისევ გახუჭა თვალები, თითქოს არც გამოუღვიძია ასე წამითო, განაგრძო ძილი და უფრო ღრმად დაყვინთა სიზმრად, რომელიც მთელს მის ოჯახზე დაბატონებულიყო, ამჯერად უკვე ირაკლის გარდა. ახლა მას გაღვიძებოდა, მეუღლის ხელი ფრთხილად აელო თავისი მხარიდან და ლოგინზე წამომჯდარს, გვერდით ამოწყობილ წიგნებზე დადებული საწერი კალამი და რვეული მოემარჯვა. მთვარე ისე ღიად შემონათებოდა ფანჯარას, ირაკლის არ გაძნელებია რამის დანახვა,

რვეულში რაღაცეების მონიშვნა დაიწყო, დაწერა ციფრები და ფორმულები, მიაკვირდა მათ, თავისი წვრილი და დახვეწილი კალიგრაფიით იქვე კიდევ აღნიშნა რიცხვნი და ფანჯარას მიაშტერდა ლოგინზე ნახევრადნამომჯდარი. სადღაც მიღმა იყურებოდა, რამოდენიმე წამი ასე დაუხამხამებლად გაშეშებულიყო და მერე ისევ განაგრძო წერა და თავისი გამოთვლები. ამრავლებდა და აჯამებდა რიცხვებს, ფორმულებში ტყედა და ავსებდა გვერდს. გადაფურცლა რვეულიც, იქვე რამოდენიმე ციფრიც დასვა და წამოდგა. კალამი რვეულთან ერთად დადო და ფანჯარასთან მივიდა. ექვსია, შვიდი დაიწყო, შეხედა საათს, მალე ინათებს... გათენდება, დილიდანვე აქაურობა უნდა მოვრწყა, გაიფიქრა და თითქოს რვეულში ჩამონაწერი რიცხვებისა და ფორმულების თანმდევ ფიქრს გაჰყვა... სამყაროში ყველაფერი ერთმანეთთანაა დაკავშირებული, ერთ თითქოს პატარა და უმნიშვნელო მოვლენას დიდი კავშირი და გავლენა აქვს მთლიან სამყაროზე, საერთოდ ყველაფერზე, სცნობდე ადამიანებს ეს უკვე მეცნიერებაა, გიყვარდეს ადამიანები, ეს უკვე სათნოებაა, დაფარულის ხილვაა და მრავალი ეჭვის გადანყვეტა და საბოლოო მიზანია სიმართლე, ჭეშმარიტება, ერთი ნამდვილი პასუხი მილიონ კითხვაზე, მე მაინც გამოთვლებს ვამჯობინებ ვარაუდებს, თუმცა ვარაუდები ინვევენ გამოთვლებს, რა ლამაზი ხარ ლალი ასე მძინარე, გამოხედა ცოლს. მისი დაშლილი თმები ლოგინზე მოპნეულიყო და ზენარი სანახევროდ უფარავდა შიშველ ზურგს,

რა ლამაზი ხარ, ისევ გვერდით მიუწვა ირაკლი, შტატებში თუ წავედი ამათი დატოვება მომინევს ცოტა ხნით, ლელიო რომ წავიყვანო ბიჭები გამიგიჟდებიან, მთელი ოჯახით კი ჯერ ვერ წავალ, ვიზამ რამეს, უჩემოდ ერთი თვე მიხედავენ თავს. სანოლთან დაბრუნდა ირაკლი, სახე მოისრისა და ძილს მიეცა. ძლივძლიობით მიეყვინთა ძილისკენ და სანამ ინათებდა, ოჯახის ხუთივე წევრის სამშვინველი თანაბრად დაეფლო თვლემაში. ჯერ რომ სათითაოდ ეღვიძებოდა ყველას და ახლა ყველა ერთადვე ჩამშვიდებულიყო. გარეთაც ოდნავ წამოწინწკლა, მაგრამ მიწყდა იქვე, თითქოს აგრილდა კიდევ, მაგრამ მითბა ჰაერიც, ყველას თავთავიანთი სიზმარი მიაქანებდა, მათ სუნთქვებს მიაფრენდა თითქოს აბდაუბდა ხილვებისკენ და ლამეც ნელ-ნელა იხდიდა, თავისი ნისლებით მიბნელებულ შესამოსელს. უკვე შორიდანვე მოისმოდა მამლის ატეხილი შეყოვნებაც და ქედების დასალიერისკენ ბაცდებოდა ცა, ზედ მთის კედლებზე, მთელს აღმოსავლეთ ერთანმინდას, რომ ებჯინებოდა სასაზღვრე თითქოს შემალლებით და დიდი, ღრმად ჩამძიმებული ჩრდილი ჩამოფენოდა ტანზე, ლამის მინდვრებამდე ჩამოცოცებული, ოჰ როდისღა შევძლებთ ისეთი მსოფლიო შევექმნათ სადაც ფული არ იქნება, სადღაც უტივტივებდა ირაკლის ფიქრი, მზის, ქარის, წყლის, მოქცევა-მიქცევის ენერგიას მოვიხმართ და დალაგდება მსოფლიო, ცნობიერება აგვიმალღდება და იქამდეც მივალთ, რომ ფული აღარ იქნება და ბევრი სხვა რამ აღარ იქნება



დედამინაზე რომ რამოდენიმე პრობლემა მოვაგვაროთო, სიამოვნებას ველტვი? არა, მე იმას ველტვი უსიამოვნებისგან რაც დამიხსნის, ეს ბოლოდა იყო ფიქრი მისი, ძილის კიდევებზე რომ გადაუვიდა და აღარ გაუღვიძია არც მას და არც არავის, ვიდრე არ გათენდა.

თავი მეხუთე

## ჩარლი ასეულის ასმეთაური გიორგი სარდლიშვილი

3 სექტემბერი 2008

კი ეგრე იყო, განვაგრძე მე, ვყვებოდი ამბავს და ჰოსპიტალი მისმენდა, არ ეხამუშებოდათ, ზოგჯერ რომ ბოლმა და ძრწოლა ამიტანდა ამბის ყოლისას, ისე ჩქარა და მოკლედ ვუყვებოდი, ყველაფერ თავგადამხდარს, ისე ნაბიჯ-ნაბიჯ მომყვებოდნენ ისინიც ჩემი სმენისას, ჩემთან ერთად იყვნენ ექთნებიც და მედღები, ექიმებთან და ჟურნალისტებთან ერთად, კითხვებს არ მისვამდნენ, გატრუნულები იყვნენ და ალბათ ერთი სული ჰქონდათ მალე მომმთავრებინა ამბავი და კიდევ უფრო დაწვრილებით მეამბნა მათთვის. თან ეს ჩემი ჭრილობა ისე მქონდა, განამებული ვიყავი, მაგრამ ბიჭების ხსონა თუ ვალი ჩემი თუ რა ვიცი რა მალაპარაკებდა, მაგრამ ვგრძნობდი უნდა მეთქვა, ის უნდა მეთქვა და მერე მომკვდარიყავი, უნდა მეამბნა იმ წყეულ დღეებზე, როცა კი მოგვიწია ჩვენს მამებსა და პაპებს მივგვანებოდით, სიმამაცითა და სიკვდილ-სი-

ცოცხლის ამ მართლაც ნამიერ შუალედში, შნო გვე-  
პოვნა, შნო გვექონოდა სამშობლო ჩვენი გაგვეაზრე-  
ბინა, თურმე რა ყოფილა, თურმე რამხელა რამ ყო-  
ფილა, როცა დაჭრილ ჯარისკაცს, მეორე, კაპრალი  
თუ სხვა ვინმე კვადროციკლზე უკან შემოსვამს და  
ტყვიების ჭყლეტაში სამშვიდობოს გაიყვანს, მერე  
თვითონაც უკან დაბრუნდება ფრონტის ხაზზე და  
შესაძლოა გრძნობს, ან სულაც არა შემდეგი ტყვია  
რომ მისი საკუთრება გახდება აი ამას, ერთადერთი  
რის თქმასაც ის მოასწრებს გული ძგერს, გული  
გული ძგერსო და უსულოდ დაეცემა მიწაზე.

კი ეგრე იყო, ჩვენ უკვე წინასწარ შერჩეული  
სამხედრო სამიზნეების მიმართულებით, იმ ჩვენი  
“დანით” ჩვენი ზუსტი საარტილერიო სისტემით  
ვბომბავდით. სამიზნეები, უშუალოდ ცხინვალსა და  
მის შემოგარენში იყო განლაგებული, ასევე ცხინ-  
ვალისაკენ მომავალი რუსული სატანკო კოლონის  
გადაადგილების გასწვრივ. სამხედრო ავიაციის გა-  
მოყენებით

დაიბომბა გუფთის ხიდიც, რათა შეგვეჩერე-  
ბინა ეს შემოჭრილი ჯოჯოხეთი, ტანკებით რომ  
მოიწვედნენ ცხინვალისკენ და ბოლო არ უჩანდა  
მათ დაუსრულებელ კოლონას. საქმეც ეგაა, რომ  
მაშინ ჩვენ, მთლიანად, ჩვენმა შეიარაღებულმა  
ჯარებმა, ძალიან მოკლე დროში შევძელით, ჯავის  
გარდა, პრაქტიკულად ყველა დასახლებული პუნქ-  
ტის დაკავება. მაგრამ ის შემოგესლილი მათი ჯო-  
ჯოხეთი არ მთავრდებოდა, მართალია ცხინვალსაც  
ავიღეთ, უკვე სანახევროდ დანგრეული, თვითონ

რუსების მიერ, წინა დღეებში გაეყვანათ იქიდან  
ხალხი, შენობებს ესროდნენ “გრადის” ჭურვებს და  
რაკეტებს, ცხადია ჰო რატომ? ქართველების პირ-  
სისხლიანობა აი ასეთია, გაკიოდა მაგათი მედია და  
ყველა სამხედრო ჟურნალისტი თავში ირტყამდა  
ხელს, ეს რა გენოციდი დაატრიალეს ქართველებ-  
მაო, მაგრამ ჩვენ ცარიელ და დანგრეულ ქალაქში  
შევედით და როკის შემოსასვლელთანაც ჩავადუ-  
ღეთ მათი ტანკები, ბევრი მათი ჯარისკაცი და და-  
ქირავებული კაციჭამია ჩაყვა ჩვენ მიერ მოწყობილ  
დახვედრას. არ ელოდნენ, მაგრამ ვფლიტეთ რაც  
შეგვეძლო, ვფლიტეთ ქვეითნიც და ჯავშანტექნი-  
კაც, და მათი ძვირადღირებული საჰაერო გამანად-  
გურებლებიც ვყარეთ ჩვენი ციდან და ტყვეებსაც  
სამხედრო ღირსებით მოვექცით, ჰოსპიტალიზა-  
ციითა და ომის წესებით დადგენილი ყველა სხვა პი-  
რობის შესრულებით, მაგრამ ისინი არ თავდებოდ-  
ნენ, ისინი შემოდიოდნენ და შემოდიოდნენ და აღარ  
თავდებოდნენ. მათი ახალ-ახალი შენაერთები, სულ  
უფრო ინტენსიურად ერთვებოდნენ ბრძოლებში და  
ჩვენ მიწაზე სისხლში დაბუჟებული სასაკლაო, სულ  
უფრო და უფრო ჯოჯოხეთისკენ იწოვდა ყოველ  
ჩვენგანს. 8 აგვისტოდან 10 აგვისტომდე, სწორედ  
რომ ოლიმპიადის დღეებში, ფრონტის ყველა მი-  
მართულებით, ინტენსიური ბრძოლები მიმდინა-  
რეობდა და იქაც კი ვიგებდით ათასნაირ ტყუილს,  
მძინარე ცხინვალს როგორ დავესხით თავს და ჩვენ  
საშინელებას ორიათასი მშვიდობიანი ოსი ეროვნე-  
ბის მცხოვრები როგორ შეენირა. მაშინვე ნათელი

გახდა ეს საქმე დიდხანს, რომ არ მორჩებოდა, მათ ხომ საბაზად გამოიყენეს საკუთარი ტყუილი, მსოფლიოს რაც თავს მოახვიეს და დაიწყო, ალბათ რომ სწორედ მაშინ დაიწყო, მათი სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესია. შეტევა აფხაზეთზე და აფხაზეთის მიმართულებიდან, საზღვრის მთელ რიგ მონაკვეთებზეც უკვე შეინიშნებოდა მათი სამხედრო ჯავშანტექნიკის კონცენტრაცია. მათმა პრეზიდენტმა, 8 აგვისტოს გასცა კიდევ ეთი ბრძანება ჩვენს წინააღმდეგ, ჩვენი დასახლებული პუნქტების წინააღმდეგ, როგორც დაზვერვა ამბობდა ჰაკერები ქართულ საიტებსაც უტევენ, ყველგან, ქვეყნის შიგნით თუ ქვეყნის გარეთ. მერე ხიეს კოდორის ხეობას, იქ დისლოცირებული საპოლიციო ჯარები რამდენიმე ასეთ შეტევას უკვე იგერიებდნენ, მაგრამ მათ საბოლოოდ აიღეს თავზე ხელი.

ამბობდნენ, რეზერვისტები დაწყებისთანავე გაიწვიესო უკან და თბილისის სამოქალაქო სოლიდარობის შტაბიც, რეკვებით, თუ ინტერნეტით, თუ კიდევ სხვა რამე საშუალებებით აფხიზლებდა და აფხიზლებდა ყველას, ვისთანაც კი ხელი მიუწვდებოდაო და ამდროისთვის, საერთაშორისო თანამეგობრობამაც მობილიზება დაიწყო. შეაჩერეთ რუსეთი, “Stop Russia” ეგ დევიზი, ყველას, ეგ ეკერა პირზე. ჩვენ კი ვიბრძოდით. დაიჭრა ნიკა მაჭავარიანიც, მოიერიშეები, ბრავოს ასმეთაური, მასაც ბევრი ჯარისკაცი დაუნვა ბრძოლის ველზე, თვითონ კი ფეხში დაიჭრა სნაიპერის ტყვიით ალბათ, იქ იმ ნანგრევებში, სარდაფში ერთად შეყუყულ ოსებ-

სა და ქართველებს იფარავდა და სათითაოდ გამოჰყავდა მანქანითა და კვადროციკლით და ალბათ შორიდან ნასროლმა ერთმა ტყვიამ გაუხია ბარძაყი, ასე დაჭრილმა, ზურგზე მოიკიდა დედა-შვილი, სულ პატარა ბავშვი და თავის ოცმეთაურებთან ერთად ბოლომ დატოვა ის შენობა, რომელსაც, ზუსტად ოთხ წუთში ქურვი დაეცა. იმდენად დიდი იყო აფეთქება რომ ბევრს, კანტუზიამ დაჰკრა და გზაზეც როცა აფეთქდა ერთი და ცეცხლი მთლიანად მოედო, კიდევ გაგზავნა ორი კაპრალი, სარდაფში ვინმე ხომ არ დარჩაო, ბედად ყველა გამოეყვანათ. იქ კი ცეცხლი შერჩა იქაურობას, ნანგრევებთან ერთად, რომ დაეფეხა და დაესახიჩრებინა და დაეწვა იქვე მიყრილი გვამები.

ჩემი ოცმეთაური ქაშაყაშვილი, მაგარი ბიჭი, წინ ტყვეებს მიერეკებოდა და ერთ ზედმეტ მოძრაობას არ აკეთებდა, ისე ღირსეულად ეჭირა თავი, სანამ არ მიიყვანა ისინი იქ სადაც საჭიროა და არ დააბინავა, წესის მიხედვით. იმ რუსმა დამინდე არ მომკლაო და ამას გაეცინა.

თავი მეექვსე

## ფილო

8 ივნისი 2008

— ირაკლი! — დაიძახა გიგლამ. ბაღში, შემოსასვლელთან იდგა. მხარზე ჩანთა ჰქონდა გადაკიდებული. მიწას შუადღის მზე დაფენოდა და ალუბლის ტოტებში გალობდა შაშვი, — ირაკლი!

— ვა გიგლა! მოდი, შემო, — ზღურბლზე გამოვიდა ირაკლი.

— ლალი გამარჯობა.

სახლის უკანა ეზოდან გამოვიდა ლალიც. ხელთათმანები ეცვა და ბრტყელი ფუნჯი ეჭირა. კომბინიზონზე ლურჯი საღებავის შხეფები მისხმოდა, — მოდი გიგლა, როგორ ხარ? — თქვა ლალიმ, — სკამებს ვღებავ, მოდი რა.

გიგლამ ბურჩებზე გადმოაბიჯა და ირაკლის შესახვედრად წამოვიდა სახლისკენ.

— გაუმარჯოს! როგორ ხარ.

— მაგრა, — ხელი ჩამოართვა ირაკლიმ, — შენ?

— ოჰ არ მკითხო... ვმწყემსობ მთელი შვეტულე-ბა... ირა ერთი საათით ბურღი მათხოვე რა.

— კი ბატონო, — სახლში შევიდა ირაკლი, — რად გინდა, — გამოსძახა იქიდან.

— ეს ჩემი გიჟი ძროხა გამირბის ხოლმე და ჭიმკარი და ბოსლის კარიც უნდა შევაკეთო. შვილები სადა გყავს.

— დილიდან ქალაში გავარდნენ, — თქვა ლალიმ, — ლელიო სახლშია.

— ლებვაში ხო არ მოგეხმარო, — უკანა ეზოსკენ გაიხედა გიგლამ, სადაც გრძელზურგიანი ხის სკამები შრებოდნენ, წითლად და ლურჯად შეღებილნი.

— მოვრჩი თითქმის, — გაიხედა ლალიმაც, — ლამაზია?

— მაგარია, რითი ლებავ?

— საღებავით.

— გასაგებია, მაგრამ რომლით.

— აი გიგლა, — ბურღით ხელში გამოვიდა ირაკლი, — წავა?

— როგორ არ წავა ერეკლე ბატონო, — გამოართვა ხის ყუთში ჩადებული ხელსაწყო და ჩანთაში ჩაიდო.

— და შენს ბოსელს რა... კარი არა აქვს?

— აქვს, მაგრამ დაღპა, წესიერად ვერ ვამაგრებ და ისიც დაძუნძულებს თავის ხომზე, გუშინ ღამით ვეძებდი, ქვემოთ ვნახე... აბა მადლობა და შემოგიტან ერთ საათში ან საათნახევარში.

— რამდენი ხანიც გინდა გქონდეს, საღამოთი გადმო, მწვადები შევწვათ, ლალის სკამები აღვნიშნოთ.

— ვნახოთ, წვიმას აპირებს მგონი, — ღრუბლებს ახედა გიგლამ, — თუმცა არა, გადაიკრიფა, არ იწვიმებს, — ზეთი? ლალი? თუ ნიტრო?

— ორივე, გააჩნია, — უპასუხა ლალიმ.

— რა ზეთი და ნიტრო? — ცოლს შეხედა ირაკლიმ, — ა, საღებავები? ჰოო, ლალი შეპყრობილია, ფასადიც უნდა თეთრად შეღებოს, ფანჯრის რაფები და ჩარჩოები ნითლად და ეს მოაჯირი მთელ სიგრძეზე და კიბეები კი ლურჯად. რას იტყვი? ბრიტანეთის დროშის ამბავში?

— კარგი იქნება, ესეც არაა ცუდი, გახუნდა და ეგაა, კარგი იქნება, ნავედი აბა და ყოჩაღად.

— კარგად გიგლა, — თქვა ლალიმ.

— კარგად. დროებით.

— დროებით, — დაემშვიდობა ირაკლი და ისევ ოთახში შებრუნდა, ლალი კი სკამებთან მივიდა, საღებავის ქილაში ჩაანო ფუნჯი და სკამს გადაუსვა, მზეზე ალურჯებული საფირონი. სად ნავიდოდნენ, ხომ ვუთხარი სადილისთვის მოდით, შორს არ ირაოთ-მეთქი, თვალი მოავლო მიდამოს და ისევ გადაუსვა ფუნჯი.

ლელიო კი სახლის მეორე სართულზე, თავის საძინებელ ოთახში ფარდის უკან ატუზულიყო, იქიდან ჩუმად უცქერდა მშობლებსა და გიგლას და სანამ ისიც ეზოსა და ბაღს არ გასცდა და ხეებს არ მიეფარა მხარზეჩანთაგადაკიდებული, გოგონას ფეხი არ მოუცვლია ადგილიდან, როგორც წინააღმდეგობა, წყაროზე, სუნთქვა რომ შეეკრა, ახლაც ასე იდგა ნდომით ახურებული და დაბნეული, რა მემართება ამ

კაცზე, უთრთოდა ფიქრი და ბურღის სათხოვნელად გიგლას ასეთი წუთიერი სტუმრობა, ეჩვენებოდა თითქოს ირაკლისთვის მისი ხელის სათხოვნელად მოსულიყო. თეთრი რაში ბაღის შემოსასვლელთან დაეტოვებინა და დაშნაც კობტად მორგებოდა ხავერდებში ასხმულ, ცისკრისლიმილიან მხედარსა თუ რაინდს და ნაბიჯების გადადგმისას ყვავილები ეფურჩქნებოდნენ სიარულის კვალდაკვალ. სახეზე აიფარა ხელი ლელიომ, პრინცი არა უფლისწული, მომინდომა, დასცინა თავს და ისე აენვა კანი, ყელი და თვალები, ეგონა გული წაუვიდოდა. მაგიდიდან ჭიქა აიღო ფორთოხლის წვენი თ სანახევროდ სავსე თუ სანახევროდ ცარიელი და მოსვა, მე ლელიო ვარ, ამოისუნთქა შვებით, მართლა ზოგ შტერ გოგოს ხომ არ ვგავარ, თავმომწონედ გაიფიქრა და დაცალა ჭიქა, რა მხიბლავს გიგლაში? თვალები? ხმა? რატომ მაყრყოლებს, როცა მასზე ოდნავი ფიქრიც კი გამკრავსო, ეკითხებოდა თავს და ვერ პოულობდა პასუხს. ხვდებოდა, გიგლას ხმა მართლაც მაგნეტური სიახლოვით რომ იკრავდა მის სმენასა და ყურადღებას, მაგრამ ვერ ხვდებოდა, რატომ? ჯერ პირველივე დაძახებისას, ირაკლიო, როცა გასძახა გიგლამ, სკამიდან ფეთიანივით წამოხტა და ფართოდ შეხსნილი ფანჯრისკენ მიიხედა ასე ერთ ადგილას გაშეშებულმა, ძლივს რომ გადანყვიტა ელდანაცემმა, ფარდასთან მიახლოება და ქვემოთ ჩახედვა, არც ისეთ დიდ დროს ვატარებ სარკესთან, როგორც ფარნა მანამებს, ელიტინებოდა განვალეული ფიქრი, მაგრამ გიგლას რომ არ მოვეწონო?

თანაც მამაჩემის და დედაჩემის ახლობელია და შვიდი წლითაა ჩემზე უფროსი, ცუდად ვიქცევი? დაემორცხვებოდა შესანატრი თავისი ვნება, რომელიც სულით-ხორცამდე გიგლასკენ იყო მიქცეული, მაგრამ ჯერ-ჯერობით, ჯერ კიდევ, გოგონას სიმორცხვეზე იყო მიბმული, როგორც გემია ლუზით სანპიროსთან. ქარი კი ქრის და ირწევა გემიც და ვინ იცის როდის აწევენ ლუზას, ვინ იცის, ფიქრობდა ტუჩებისკვნიტით დაძაბული, ფარდასამოფარებული გოგონა, ვინ იცის და მე ვიცი, იმტკიცებდა ხასიათს, აი ნახავ თუ არ ვიცი, იმტკიცებდა თავს, გამბედაობა მეყოფა და ერთხელაც მართლა ისე დავენახვები, რომ იმანაც მართლა დამინახოსო. საშინელებას ვიზამ? სამარცხვინოს ვიზამ? ეჭიდავებოდა თავს და სხეული უკანკალებდა... არც დედას მივხმარებვიარ, დაიკვნესა, თითქოს ისევ წყრომამ დაახვია თავბრუ, წამისწინ დაელია ფორთოხლის ცივი წვენი, მაგრამ ბაგეები და პირი ისევ დაშრობოდა, რაღაც გამაყრუებელი და გამჭოლი სტვენაც გაუგრძელდა და გამეტებით უცემდა გული, ამოეწვა მკერდსა და დამშრალ ყელში და ისევ დააყრყოლა, გიგლას ყოველი სიტყვა რაღაც უშორესი სიმღერასავით დაესმოდა და აბრუებდა, მუხლები უცახცახებდა, ჩამოჯდომა უნდოდა, მაგრამ ისევ არ შეეძლო ადგილიდან ფეხისმოცვლა, ცოტაც და წავიქცევიო ალბათ, იატაკზე დავეცემიო, ჩემები ხმაურს გაიგებენ, ამოვარდებიან და გიგლაც ამოყვებათო და... ეს უღელელებოდა ვნებით აწინწკლილი მისი სიმხურვალე და ისევ ეღიმებოდა, თავის თავზე

ვზე ეცინებოდა გოგონას, ეს თუ მიშველის თავს დავცინოო, იმავნამს გაიფიქრებდა და ოფლით დაწინწკლული მისი მოატმელებული სახე, სევდიან ჩრდილს დაიფენდა, გიგლაზე დადევნებული მზერით, თვალს რომ მოფარვოდა და თავისი ძროხის დასაბმელად წასულიყო ასე უკანმოუხედავად.

ლოგინზე განვა ლელიო. თავი ბალიშებში ჩადო და უნდოდა გუშინდელი სიზმარი გაეხსენებინა, მაგრამ არაფერი ახსოვდა იმ ერთი შეგრძნებისა, რატომ ვტიროდი რა მათირებდაო, ანდა საერთოდ რას ნიშნავსო ტირილი, ფიქრობდა ისევ, ამბობენ ბედნიერებას ნიშნავსო, მაგრამ ეგრე ბევრ რამეს ამბობენ, ფიქრობდა და ნელ-ნელა დაჭიმული სხეულიც ედუნებოდა, თხელი თავბრუსხვევაც უქრებოდა, არ შეიძლება ასე, მიყვარს ალბათ, ალბათ კი არა მართლა მიყვარს და რატომ არ ვამბობ, ასე ხომ თავს გავინამებო. წამოდგა, თითქოს წარბენი, ისე დაღლილი და სარკვეში ჩაიხედა. თმები შეიკრა, უკან გადაიგდო თასმით გაკვანძული გრძელი შავი თმა და პირველ სართულზე ჩავიდა სახეჯერკიდევახურებული, ცარიელი ჭიქით ხელში. მაცივრიდან წვენი გამოიღო, დაისხა, დალია და დედამისთან მივიდა სახლის უკან.

— ფეხზე ჩაიცვი, — თქვა დედამ, — სად ხარ ამდენი ხანი, მოდი, აიღე ფუნჯი. მომეხმარე.

— ახლავე, — გამობრუნდა ლელიო. ქოშები ჩაიცვა, ხელთათმანებიც და საღებავის ქილისგან ამოაწო ფუნჯი, — ასე? — წაუსვა სკამს.

— მაგას აღარ უნდა, ეს შეღებე, თხლად მოუსვი,

— უთხრა დედამ, — ეს ბოლოა. კარგი ფერია? მოგნონს?

— ძალიან... დე.

— რა.

— ანდა არა, არფერი.

— რა, თქვი.

— არა მართლა არაფერი.

— მიდი შელებე და დამიძახე რომ მორჩები, აქვე ვარ... სად წავიდნენ, ასე დიდხანს სად არიან?

— წავიდე მოვძებნო? — გამოსძახა ლელიომ.

— იყავი. მოვლენ ალბათ სადაცაა, თუ არა და მოძებნე.

ფილო და ფარნა ქალაში იყვნენ. გვერდიგვერდ ბალახებში ჩანოლილები, ხმაგაკმედილნი უცქერდნენ მწყერს, როგორ განაბულიყო ლელიანში და მალლა აენია თავისი ერთი ბენო ყელი, — ნახე, ასაფრენად ემზადება, — ჩუმად თქვა ფილომ.

— ეგენი ხეებზე არ ჯდებიან ჰო? — თქვა ფარნამ.

— მე რა ვიცი.

— ხომ ამბობენ, არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო, მაგიტომ.

— აა, — ფილო ისევ მწყერს მიშტერებოდა.

— ერთხელ მამას გავყვეთ სანადიროდ ჰო?

— აუცილებლად, — თქვა ფილომ, — ისე, მეცოდებიან.

— ჩახოხბილს რომ ჭამ, მაშინ არ გეცოდებიან?

— მაშინაც მეცოდებიან.

— ჰოდა მაშინ ბალახები ჭამე.

— ბალახებიც მეცოდებიან.

— მაშინ დახატე ქალაღზე რაც გინდა და ქალაღები ჭამე.

— ჩუმად... არ დააფრთხო. დანეკი.

— ვწევარ.

— ჰოდა ინეკი... ნახე...

მეორე მწყერი გამოჩნდა პირველის გვერდით. ნიაჟმა ბალახებსა და ლელქაშებს გაკრა და გამოჩნდა, იქვე რომ ჩამალულიყო ის მეორე მწყერი და მასაც მალლა წამოეყო თავი.

— ორნი არიან, — ჩაიჩურჩულა ფარნამ, — ლენამიც როგორ ირხევა?

— ლელი, — ასევე დაიჩურჩულა ფილომ, — ლელიოს სახელივითაა.

— გინდა ახლოს მივცოცდე?

— გაფრინდებიან.

— იქნებ ბუდე აქვთ აქვე?

— მოიცა ცოტა ხანი, — ფილო თვალს ვერ წყვეტდა ფრინველებს, მათი მოყავისფრო, მოტყეურო იერი იზიდავდა და სიუცხოვის განცდასთან ერთად, სიახლოვის განცდაც ეუფლებოდა. უმზერდა მწყერს და ეჩვენებოდა თითქოს ბუნების მიღმიერ წიაღში შედიოდა, თითქოს ისეთ ადგილას იპარებოდა, სადაც ადამიანი არ შედის. ორივე ძმა, მამას და მამის მეგობრებს ხშირად გაყოლია სანადიროდ, ორთავეს ბევრჯერ უნახავს ფრინველზე ნადირობისას მწყერიც და იხვიც, მაგრამ ახლა, ასე თვალთვალი სხვა გრძნობას ბადებდა მათში, ფილო ახლა თითქოს მისი მეკავშირე იყო, ამ უცხო ჯერ შეუც-

ნობელი რამის მეკავშირე იყო, მისი თანამოგზაური თუ მასთანერთად თანამესუნთქე გამხდარიყო და ქალებსა და ტყეებში, ბაღებსა და მთების გადაღმა სოფლებში თუ უცხო მხარეებში სადღაც, მიფიქრებოდა გაყუჩებულ თითქოს სიჩუმეს. არც კაკანათი რომ არ წამოეღოთ, არც არავინ უნდოდათ დაეჭირათ ან ბუდიდან კვერცხები ამოეღოთ და ბარტყე-ბიც ამოესხათ, მხოლოდ ცქერა უნდოდათ. ფარნაც ძმასთან ერთად მიყურადებულყო ტყეს და თავისგან თითქოს, ფიდოს განცალკევებას, თითქოს შეერთებას ერთდროულად გრძნობდა, უნდოდა ეთქვა ხომ აქ ხარ ბიჭო, სადმე ხომ არ მიგაქროლა შენმა ფიქრმაო, მაგრამ ჩუმად იყო, გრძნობდა ძმისას და მზერით მისუნთქებოდა მას, ფიდოს, ჰო, უფრო მეტად ფიდოს, რომ უნდოდა საათობით წოლილიყო ლელიანში ჩამალული და ეყურებინა, როგორ მიმოდიოდა მის წინ მწყერი, როგორ შეიშლიდა მომრგვალებულ ტანსა და ფრთებს და გახტებოდა სადმე. ფარნა ხან მწყერებს გახედავდა, ხან ისევ ფიდოს მიაშტერებოდა. უნდოდა ძმის სახეზე რამე ისეთი, სხვანაირი ენახა, შეენიშნა რამე ისეთი, როცა კი გაიგებდა, ლერწმებისა და მწყერის გარდა კიდევ რამეს ხედავსო ფიდო, იმ თავის სინათლეებს ხედავსო, იქნებ წავავლო ხელი და ვუთხრა აი, დაგიჭირე, აი სხვანაირი გაგიხდა თვალები, რას ხედავ? რა დაინახეო, მაგრამ ფიდო, ჯერ მხოლოდ მწყერის ყავისფრადაჭრელებულ იერს ჰყავდა დატყვევებული და კიდევ ამ უჩვეულობას, როცა ფრინველები ასე განვდილი ხელის მანძილზე იყვნენ მათთან, მათ წინ

მიმოდიოდნენ და ვერ გრძნობდნენ მათ სიახლოვეს, ან გრძნობდნენ ადამიანთა ყოფნას, მაგრამ არ ეშინოდათ.

— ფიდო, — თქვა ჩუმად ფარნამ, — იქ რომ მიწადირეც იყოს ჩასაფრებული?

— სად.

— იქ. ჩვენს წინ... და ისიც რომ ამათ აფრენას ელოდებოდეს? და რომ ისროლოს?

— არა მგონია.

— რატომ?

— უბრალოდ არა მგონია.

— და მწყერების გარდა კიდევ ხედავ რამეს?

— ჯერ არა.

— კარგია, — წამოჯდა ფარნა.

— რას აკეთებ?! — ხელი კრა ფიდომ, — დააფრთხო... დაწევი.

— შეგვეჩვივნენ, — თამამად და ხმადაბლა თქვა ფარნამ, — აი, არ ინძრევინა.

— ჰო, — გაელიმა ფიდოს, — არ მიფრინავენ.

— გუშინ არ მეძინა.

— რა?

— და ყველაფერი მესმოდა.

— რა ყველაფერი? ძილში ვთქვი რამე?

— აღარ გახსოვს?

— არა, — გაკვირვებულმა გამოხედა ძმას, — რა ვთქვი?

— ვიცო, ვიღაცას ეუბნებოდი, ან ვიღაცეებს, ჩვენ რა მოგვივაო? ვინ იყვნენ.

— აღარ მახსოვს.



— მერე ფანჯარასთან იდექი. ეგეც ვიცი.  
— საიდან იცი.  
— მესმოდა. მართლა არ მეძინა. რა მოხდა. ისევ ის შენი სინათლე მოვიდა?  
— ჰო, — გაელიმა ფიდოს, — ბალში ეკიდა. ქის თავზე ბრუნავდა ნელა და რბილად.  
— მეც მინდა დავინახო..ჰო დამანახებ?  
— კი, როცა გამოჩნდება დაგანახებ, — და ფიდომ ისევ მწყერისკენ განია თავი, მაგრამ ფრინველები იქ უკვე აღარ იყვნენ, — ეეჰ, აი, ხომ გითხარი წავლენ-მეთქი.  
— შორს არ წავიდოდნენ, — ისევ დანვა ფარნა და უფრო ჩუმად თქვა, — აფრენის ხმა არ ყოფილა, ესეიგი აქვე არიან. ლერწმები ეფარებათ... სახლში აღარ დავბრუნდეთ? ორი საათია აქ ვწევართ.  
— წადი თუ გინდა, მე ვიქნები ცოტა ხანი, — ნიკაპი ხელისგულზე ჩამოიდო ფიდომ.  
— მარტომ რა უნდა აკეთო. სადილის დროა, ინერვიულებენ.  
— წადი, მალე მოვალ, არ მინდა ჯერ სახლში. არ შეიძლება ცოტა ხანი აქ ვიყო?  
— მაშინ მეც დავრჩები.  
— არა, შენ წადი თორემ მართლა ინერვიულებენ. მალე მოვალ. მინდა ვნახო. უფრო ახლოდან ვნახო.  
— ხომ ნახე უკვე ფიდო, წამო რა, ფასკუნჯები კი არ არიან მეტი ველარ ნახო. წამო.  
მაგრამ ფიდომ არაფერი უთხრა. ლერწმებისკენ ეჭირა თვალი.  
— კაი, როგორც გინდა. მე წავედი. იცოდე მალე

თუ არ მოხვალ, დაგსჯი.

— მიდი მიდი.

ადგა ფარნა, შებრუნდა და წავიდა, — რატომ გიყვარს ეს მარტოობა არ მესმის და მომკალი, — თქვა გაბრაზებულმა, — შენი ძმა ვარ ბოლო ბოლო, — თქვა და აუჩქარა ნაბიჯს.

ფიდო კი მარტო დარჩა. ქალის ხმას უსმენდა, ლერწამთა შრიალს და იქვე ახლოს გამდინარი რუს ანკარა ლილინს, მანამდე რომ ტყის უცნაურ სიჩუმეში იყვნენ დაგუბებულნი და არ ისმოდნენ.

სტვენდნენ ჩიტებიც, ბაყაყიც მოთქვამდა იქვე და ფიდოს ახლა უკვე მწერთა ზუზუნიც ესმოდა და სიოს გამკრთალი სუნთქვაც, ქალის სიღრმიდან აქამდე მოტანებული, სადაც ის განოლილიყო და ისევ იმ ადგილისკენ მიეპყრო დაჭყეტილი მზერა, სადაც მწყერები ენახა ცოტა ხნის წინ.

ქალის გამსხლტარი სურნელი ირგვლივ მოსდებოდა, მინაც ეთბილებოდა ტოტებსა და ფოთლებშორის ჩამომდგარი სხივებისგან და მწყერის სანახავად ჩასაფრებული ფიდო სულგანაბულიყო, გაყურებულიყო თითქოს მცენარეს მიმსგავსებული, გორაკის ქვეშ განოლილს ხის ჩრდილი ფარავდა და წარმოედგინა თითქოს ჩრდილიც ცოცხალი არსება იყო, ბალახივით ისიც ირხეოდა და თითქოს თავის ქვეშ იქცევდა ბიჭს. თვითონაც კი არ იცოდა ფიდომ რატომ არ გაყვა ძმას, რატომ მოუნდა აქ დარჩენა, რისი ნახვა უნდოდა ისეთის, რაც ნანახი არ ჰქონდა, მწყერი როგორც მწყერი, არაფერი უჩვეულო, ქალა როგორც ქალა, მაგრამ არა, მას უნდოდა დარჩენა,

უნდოდა დარჩენა მარტოდ, თითქოს ვერ დანაყრდა იმ ჩუმი, იდუმალი, უცნაური სიახლოვით. განა ფარ-  
ნა უშლიდა ხელს? არა, მაგრამ ფიდოს თითქოს პი-  
რისპირ უნდოდა დარჩენილიყო, ქალების სიჩუმეს-  
თან პირისპირ. ქალების შრიალთან და შუადღესთან  
პირისპირ. მისთვის თითქოს უცნაურად სულიერი  
იყო გარემო, უცნაურად სულიერი გახდა გარემო,  
წამში, უცაბედ, მოულოდნელ, დროდან ამომხ-  
ტარ წამში, რაღაც უეცარი მიხვედრილობის წამში,  
ფიდო მთლიანად შეიმოსა თითქოს მთლიან სამყა-  
როსთან ამ სასიცოცხლე კავშირითა თუ ბუნებრივი  
ნაცნობობით, სამყარო მთლიანად ბიჭის ტვინში ჩა-  
ტეულიყო, როგორც პეშვი იტევს წყალს, როგორც  
ახალდაბადებული იტევს პირველ ჩასუნთქვას და  
ვერაფერს ხვდება რატომ. სამყარო მთლიანად და  
ფიდო ამ სამყაროში, ამ არსაიდან თითქოს გაჩენი-  
ლი წამის გაკრთობით, იქცნენ მთლიანნი, როგორ,  
რა ძალებით, რა სიზმრებითა და ჯადოსნობით იგე-  
მეს მათ ახლა ერთმანეთი და იგემეს ეს სამარადისო  
თითქოს უწყვეტობა, როცა თვრამეტი წლის ბიჭს  
ახლა ეაზრებოდა, რომ ის მისდაუნებლიედ დიდი  
მთლიანობის სრულუფლებიანი წევრი გამხდარიყო.  
ის კავშირს გრძნობდა ყველაფერთან რაც მის ირ-  
გვლივ იყო, მიწასთან, ცასთან, ხეებთან, კენჭებ-  
თან, რუსთან, ბაყაყებთან, ჩიტებთან, მწერებთან,  
ლერწმებთან თუ სურნელებებთან და ჩრდილებ-  
თან, სიჩუმესთან თუ ფოთლების შრიალთან, ის  
ახლა რაღაც უცნაურ თანაგრძნობასაც ამჩნევდა  
რაც ალბათ მასშივე ჩაბუდებულიყო და ირგვლივო-

ბასთან აახლოვებდა, გრძნობდა ზრუნვის რაღაც  
მოზღვავებულ სურვილსაც და ისევ ის უცნაურად  
გაჩენილი თანაგრძნობა ესიკეთებოდა, ეკეთილშო-  
ბილებოდა მის სულს, მის გონებას და მის აქყოფნას.  
ახლა და ამწამს, აქ იყო ფიდო და ეგრძნობებოდა  
თითქოს ყოველთვის აქ იყო, საუკუნეების უწინაც  
თითქოს ფოთლად, ან მწერად, ხედ, ფრინველად, ან  
მზის სხივად ჩამომდგარი, თანაგრძნობა მისი თი-  
თქოს ამ წამიერი გახსენებისას, თუ განსაკუთრე-  
ბული სიახლოვის გააზრებისას, მისი გამონათები-  
სას მთელ სხეულში ამოვსებოდა, საფიქრალში და  
სუნთქვებში შემოწნული, უფრო და უფრო უერთებ-  
და, უკავშირებდა და უხორცებდა მთლიან გარემოს.  
სიამოვნებდა. ეს უეცარი, გაბრწყინებული თანა-  
გრძნობის აღმოჩენა ესიამოვნა. ისედაც რომ ჰქონ-  
და, ბავშვობიდან მოყოლებული, დღემდე თანმდევი  
რაღაც ძალზე ახლო კავშირი, მაგრამ ახლა მისდა  
უნებურად, გონებაში თითქოს, რაღაც მანათობელი  
ფიქრის მოულოდნელი აფეთქებით, ის ამ სიამოვნე-  
ბას დააკვირდა, იგრძნო და მიხვდა რაღაც აქამდე  
გასაცნობიერებლად უგრძნობსა და მიუხვედრე-  
ბელს. თითქოს ყველაფერს მიხვდა, საგნებისა და  
ამბების, მოვლენათა და მიზეზთა შინაარს მიხვდა  
და კიდევ ესიამოვნა, მისი წამიერი, გამონათებული  
მიხვედრილობა, სწორედ რომ ამ მიხვედრილობას  
ამოჰყოლოდა ფიდოს არსებაში თანდაყოლილი თა-  
ნაგრძნობა, რომ თან ამჩნევდა და თან ვერ ამჩნე-  
ვდა, ყოველთვის კი ეგრძნობებოდა, სადღაც სუ-  
ლისა და ხორცის მიჯნაზე ეგრძნობებოდა ალბათ

მისთვის ასე შეჩვეული სხვანაირობა.

მაგრამ ახლა, ქალაში განოლილსა და მწყერე-ბის მეთვალყურეს, ისევ მისდაუნებურად ეჩვენა თითქოს, როგორც გუშინ ღამით ეჩვენა ბაღში მოტივტივე სინათლე, შუაღამისას რომ წარმოუდგა თვალწინ და ყოველთვის თვალწინ ედგა, მაგრამ არ იცოდა რა იყო, არც ახლა დაფიქრებია თავს, რა უნდა ყოფილიყო, რადგან აღარ სჭირდებოდა ხილვათა ახსნა, თანაგრძნობამ და შინაარსთაგრძნობამ ისე აამშვიდა მინაზემწოლიარე ბიჭი, რომ ტრფილის გარდა ახლა ადგილი არ დარჩენილიყო მასში სხვა, ის შეყოვნებული წამი თითქოს კიდევ უფრო შეყოვნდა, თითქოს გაქრა საერთოდ და მერე ისევ ჩაირთო და იმ მოუხელთებელ შუალედში, დროდან აცდენილ შუალედში, აფრენილიყო და ამალღებუ-ლიყო ფიდოს აზრი, გონება მისი სუნთქვებამდე გააზრებული, თითქოს სხეულიდან ამოვიდა და ისევ შიგ ჩაცურდა რბილად და სასიამოვნოდ და მყისვე გააქრო მისივე მიხვედრილობაც, მყისვე გამჭვირვალდა ორ სხვადასხვა წამს შორის და ფიდომ, გაკვირვებულმა მიმოიხედა ირგვლივ. მხოლოდ ღვწნებამდე დასული თანაგრძნობა შერჩენოდა და ისევ ის უცნაური შეგრძნება, თითქოს ყველაფერს მივხვდი და აი, ისევ დამავინყდაო, არადა რა ახლობელს და ასე ნაცნობს რამე მივხვდი, მთავარს მივხვდი და აი, ისევ დამავინყდაო. გაკვირვებული იმზირებოდა და ოდნავ ელდანაცემი, გაბრუებულიც კი, მიჩუმებულიყო ქალის პირისპირ. სად ვიყავი? რა მომივიდა? ეკითხებოდა თავს და კიდევ და კიდევ

ესისხლხორცებოდა სამყაროსთან მისი მეკავშირე თანაგრძნობა. თითქოს რაღაც დიდ სიმართლესთან რომ გაიყვანა ბიჭის გონება და ისევ გააქრო, ისევ გამჭვირვალდა, როგორც ახლა ხეებში ჩამომდგარ სხივებში მჭვირვალედა ტყისა და ქალების მტვერი. და ამ მტვერთანაც საერთობას გრძნობდა და იმ უეცარ გამოჩენასა და გაქრობას შორის მოყოლილ სინათლესთანაც საერთობას გრძნობდა, მაგრამ აღარ ცდილობდა აეხსნა, როგორც არ ხსნიდა რატომ არ უჩერდება სუნთქვა, ან რატომ არ წყვეტს სისხლი სხეულში მიმოქცევას. ფიდომ მიიღო იგი, მიიღო როგორც დაბადებისას მიუღია თავი, როცა კი დედის საშოდან მოველინა სააქაოს, მაგრამ ის წამი ახლა საგულდაგულოდ ენახებოდა სამშვინველის საიდუმლო სამახსოვროში, სადაც შეიხედა თუ არა, ისიც მიქრა მყისვე. რას თანაუგრძნობ? ჩაფიქრდა თუ არა მყისვე მოიშორა თავიდან ფიქრიც, სამყაროს თანაუგრძნობ? ისევ ამოუტივტივდა შეცნობილი მდგომარეობა და ღრმად ჩაისუნთქა, ისევ თავში ჩაიკარგა, ჩაიმალა კითხვაზე ჯერგაუცემელ პასუხთან ერთად. მამაჩემი მეუბნებოდა, როცა მეცნიერები რამეს აღმოაჩენენ, ყველა ერთნაირად ამბობს გონება გვინათდებაო და საოცარ სიმსუბუქეს ვგრძნობთო და აღარაფერი გვიკვირსო. რა ადვილი ყოფილაო იტყვიო და იქვე გავინყდება მთელი ის სირთულე, რაც მანამდე გტანჯავდა და აღმოჩენას გიფარავდაო. ასე ვარ ალბათ მეც, თვალეები დახუჭა ფიდომ და წარმოიდგინა როგორ დაიშალა, ტანი, თავი, ხელები და ფეხები, როგორ

გაუმჭვირვალდა, სხივში აცეკვებული მტვერივით და როგორ შეერწყა ქალას, ჰო ალბათ ასე მომდის და ალბათ კი არა მართლა ასე მომდისო. ცოტა ხანი იწვა თვალეზდახუჭული და როცა ტანისა და სააქაოს მთლიანობა ისევ ნელ-ნელა შემოეგრძნო, ისევ ნელ-ნელა შეეხორცა ძვალი და სისხლძარღვები, კუნთები და კანი, მთლიანი ჩონჩხი მისი და ხეულიც მთლიანად, როგორც ბნელ ოთახში თვალის შეჩვევისას ჩნდებიან თავთავიანთ ადგილზე მყოფი ნივთები, თვალეზი აახილა.

მის ცხვირწინ, ის ორი მწყერი მოსულიყო.

ზედ მის სახის წინ ჩამჯდარიყვნენ ორთავენი და როგორც მანამდე, ახლაც მაღლა წამოეყოთ თავიანთი წვრილი და ერთი ბენო კისრები.

ფიდომ ხელი გაიწვდინა და თითებით, მათ მოფუფქულ ბუმბულეებს შეეხო. მწყერები არ განძრეულან. ერთი კი შეარხიეს თავები და ფრთები, მაგრამ მიწაზე დასხდნენ და მეტი არ განძრეულან, სანამ ფიდო თავის მტევანს უსვამდა ზურგზე და თავზე. ყელთანაც რომ მიეფერა ერთს და მეორეს მუცელთან ამოუფინა ხელისგული. მწყერები მიწაზე ჩათბილულნი ისხდნენ და ბიჭს უყურებდნენ, ის კი ეფერებოდა და იმ თავისი თანაგრძნობით უცემდა გული. ჩიტები გრძნობენ, ყველაფერს გრძნობენ და ამიტომ არ მიფრინავენო, უღივლივებდა ფიქრი და გაფიქრებასთან ერთად რალაცნაირ შვებასაც გრძნობდა, რალაც კიდევ სხვაგვარი, ჯერშეუმჩნეველი სილალე იგრძნო და უცნაური თავისუფლება, თითქოს ესმოდა ახლა მათი, ჩიტებისა ესმოდა,

ენისა და სიტყვების გარეშე,

მდუმარებით ესმოდა და გონებაში მელოდიასავით უკრთოდა ბგერა, მუსიკასავით შეემოსა ჰანგი, ისევ მის სუნთქვასა და სიფრთხილეს დაყოლილი... და წამოჯდა. ორივე მწყერი ხელში აიყვანა და კალთაში ჩაისვა, თავებზე გადაუსვა ხელისგული და უფრო ახლოს იგრძნო ბუმბულისა და ხორცის სირბილე, სულთან ახლოს იგრძნო სადღაც და გაეცინა. თავისი ასეთი მიმზიდველობისა გაუხარდა და უნებლიედ, თითქოს ვიღაცა უხმობსო, ხეებსა და ფოთლებს აატარა მომცინარი მზერა.

შიგ ფოთლების თავზე ეკიდა ნათელი აჩრდილი, ზედ სხივებად მოთენთილი და ფიდოს ჩამოსქეროდა, არა მზის შუქი, არამედ ის მისი მოჩვენება ბრჭყვიალა წინკლებით მოფანტული, ჰაეროვანი ოქრო და ალმასი.

აჰყურებდა მას, კალთაში მწყერებჩაჯენილი და ახლა, თითქოს პირველად გრძნობდა ამ ნათებასთანაც თავის კავშირს. ყოველთვის, წამიერი გაელვებითაც კი მოუკრავს მისთვის თვალი და თავისიანებისთვისაც უთქვამს, შუქის უცნაურ კრთომას ვხედავო, მაგრამ მის გარდა ჯერ ვერ ხედავდა ვერავინ, კი, სჯეროდა მამასაც და დედასაც, ლელიომაც იცოდა და ფოტოებსაც უღებდა ფიდოს, იქნებ ფოტოზე გამოჩნდესო, მაგრამ არა, ჯერ ფიდოს გარდა არსად გამოჩენილიყო მოალმასებული, მოოქროვილი სინათლე, არც ათინათი მისი, მაგრამ ახლა ფიდომ ისეთი სიახლოვე შეამჩნია, როგორიც არ შეემჩნია სხვა დროს, თითქოს სუნთქვით ყო-

ფილიყო მასზე მიბმული. სუნთქვა როგორც უჩინარი ძენკვი, ისე აბმოდა შუქს და ესხივებოდა მას. სუნთქვასავით შენაჩვევი ბუნებრიობით ლებულობდა ბიჭი ამ ამბავს, სადღაც გაფიქრების კიდეზე ხვდებოდა, რომ ბავშვობიდანვე მონოდებულიყო მის მისაღებად, ისე შეჩვეულიყო, როგორც თავსა და საკუთარ სხეულს, მხოლოდ ჩაძინებისას რომ თმობ კაცი, სააქაოსთვის რომ თმობ და შენ კი მიღმიერ სასიზმარეთში მიგაქანებს რაღაც აუხსნელი, რაღაც შეუცნობადი მდორე სრიალი, შენს გონებას სადღაც მიაფრენს და მართლაც გავიწყდება, რომ ხორციელი ხარ, ვიდრე არ ბრუნდები უკან და გელვიძება. ფიდოს თითქოს ფარული სიბრძნე უმხელდა თავს და ბიჭიც ასევე თანდაყოლილი მინდობით ლებულობდა მის განსხეულებულ, ახლა კი თანაგრძნობით შემოსაზღვრულ იერს. თუმცა არაფრის გააზრებას ცდილობდა, არც კი მონდომებია გაეგორა ნათებაა ასეთი, სულ რომ ვხედავ და თანაც მარტო მე ვხედავო. არ მონდომებია. რადგან მინდობა მისი, ცოტაც ყმანვილური, ცოტაც უცხო ხილვასთან გაშინაურებული, მას ისე ჰქონდა გამჯდარი, რომ აჰყურებდა, როგორც ყველა აჰყურებს ვარსკვლავებსა და ზეცას და მთვარეს და აღარ უკვირთ, იციან და გრძნობენ მათ სიახლოვეს და ბავშვობიდან მიჩვეულნი არიან მათ პოეზიას. ჰო, თითქოს პოეზიით ესულდგმულებოდა მისი კავშირი, სუნთქვის ძენკვზე აცმული თითქოს მისი პოეზია იყო ეს ნათება, მისივე არსობის თითქოს ანარეკლი, ახლა ხეების აღმა, შიგ ფოთლებში მოლივლივე, რაღაც

აღმატებული და ყოფითიც ერთდროულად, საიდუმლო ნიშნებითა და ასობგერებით ერთ მთლიან, მონესრიგებულ და ჰარმონიულ სისტემაში მოყვანილიც და განთავისუფლებულიც ამავე სისტემიდან, გამოჩენილიც და გამქრალიც, ახლობელიც და შორეულიც, ხმოვანიც და მუნჯიც, მაგრამ მანათობელი. ყოველთვის ერთნაირი ბრწყინვალეობით მანათობელი დღისითაც და ღამითაც. მანუგეშებელი და ძალიან, ძალიან პირადი თითქოს, ესაა პოეზია, გაიფიქრა ფიდომ, აი ეს მდუმარებაა და ეს მეტყველებაა პოეზია, აი ეს მიზეზია პოეზია, ყოველივეს შესაქმეს მიზეზი, ამ ნათელს სხვა იერსახე აქვს, ის არაა ორად გაყოფილი სამყაროს ნათება, აუცილებლად რომ სიბნელეში უნდა ანათებდეს, ის სინათლეშიც ანათებს და სინათლე მას ეჩრდილება. — ვხედავ, — თქვა თავისთვის, ნათებაზე თვალებაშლილმა, — ვხედავ, — თქვა ისევ და ჭალის ხმაურიც უფრო ახლოს გაიგონა, თითქოს გონებაში ერთდროულად შეუვიდა ყოველი ბგერა, ბალახის შრიალიც და ზედ აცოცებული ლოკოკინას გასლიპული ნამი. ამ ნამის ხმაც გაიგონა და ჭიანჭველების ნაბიჯის ხმაც, რუს ფსკერზე, კენჭებშორის მიყურებული ლიფსიტების ხმაც და ჰაერთა ნაკადებს გამოყოლილი სურნელბანიც შემოესუნთქა, ნუშისა და ატმების კვამლი და ინფრაიისფერები და ინფრანითლებიც დაინახა, ფენა-ფენა ისინიც გაკვამლულნი, რომ მიირწეოდნენ ჭალაში და ძალზე თხელ კვალს ტოვებდნენ ალაგ-ალაგ და იქვე ფრდებაზნექილი პეკელაც შეამჩნია, ლერწამზე ნამომჯდარი და ფრთებზე

მოპნეული მტვერის რხევაც ჩაესმა, მიწის სირბილე და სითბოც შეერია და ნათების ჰაეროვნებაც, სუნთქვა რომ მთელ სხეულში ჩასდიოდა ფიდოს და გარედანაც მოსავდა მას, როგორც გამჭვირვალე და უნაზესი საბურველი, ხელთუქმნელი ქსოვილი რამე, ძილს რომ ჰგვრიდა, აბუჟებდა და აძინებდა, თავის ნათებამოსილ ნისლეულში აფლობდა და გონდაკარგულს აწვენდა ისევ მიწაზე. სანამ სულ არ დაუმძიმა დაძინებული საგონებულის და ეს პატარა ბიჭი მთლიანად გონებადაკარგული, არ დააგდო ძირს.

— მოიცა რას ნიშნავს მარტო დატოვე! — ფარნას მკაცრად გამოსძახა დედამ, როცა ის ქალიდან მობრუნდა სახლში.

— მალე მოვალ-მეთქი ვუთხარი და მივალ ისევ, რა მოხდა პატარა ხომ აღარაა, — შედგა ფარნა.

— ოო ფარნა ფარნა ეგ რაშუაშია...

— რა მოხდა? — გამოვიდა ლელიო, ხელში ერთი გამშრალი სკამი ეჭირა, — ფარნიკო შეხე, ხომ ლამაზია? — დაანახა ლურჯად შეღებილი სკამი.

— ტყეში დატოვა ფილო, — წყლით სავსე დოქი მაგიდაზე დადგა დედამ, — იმას ხომ სიმარტოვის ნიკები ჭირს, მიდით ახლავე და მოიყვანეთ, მიდი ქალბატონო გაყევი შენც და მესაქვერ ნუ მათქმევინებ რომ ფეხზე ჩაიცვა. რატომ გაიხადე?! რა ობივარი აგდის ეგეთი რომ სანდლებს ვერ იცვამ!

— ჩავიცვამ კარგი ჰო, — გოგონამ სკამი დადო, იქვე, კიბეებზე შეწყობილი სანდლები ისევ ჩაიცვა და ფარნასკენ წავიდა, — წავედით. სად იყავით?

გახსოვს ადგილი?

— იცოდეთ არ მაძებნინოთ თქვენი თავი, მაგიდა უკვე გავანყე, მალე მოდით.

— წამო წამო, — ლელიომ ხელი გადახვია ძმას, — რატომ აჩხუბებ ლალის?

— არ ვაჩხუბებ, ფილომ აჩემა დარჩენა, მეთქი მალე თუ არ მოხვალ, დავბრუნდები-მეთქი და არც მაცალა რამის თქმა...

— ხომ იცი დედაა, — მშვიდად მიუგო ლელიომ, — ვერ ვიტან ამ სანდლებს, ფეხშველა მიყვარს ყოფნა, მაგრამ ხომ უნდა დავუჯეროთ ზოგჯერ მაინც.

— კი ლელი კი, მაგას ვინ ამბობს, მაგრამ ამხელა კაცია თვითონ რა ვერ მოაგნებს? ოჰ ამ ნათელმხილველს ახლა რა დღეს დავაყრი ნახე.

— ნათელმხილველს, — სიცილით გაიმეორა ლელიომ.

— მწყერებს ჩავუსაფრდით, მერე მე წავედი-მეთქი, მე დავრჩებიო, გავიდოდა დიდი დრო?

— მე რა ვიცი.

— გავიდოდა.

— შორს იყავით?

— არც ისე, ჭალაში, აიმ ბორცვების იქით, ქვევით უფრო.

ჭალაში? გაიფიქრა ძმის გვერდით მომავალმა დამ, ესეიგი სადმე შეიძლება ჩემი გიგლაც იყოს, თუ კარის შეკეთებას მორჩა, მაგრამ ესენი არ მინდა რამეს მიხვდნენ.

— ფილო ისევ მეუბნება სინათლეს ვხედავო.

— მოიცა რა, იგონებს რაღაცეებს, — თქვა გონამ და ისევ გაიძრო ფეხზე. სანდლები თასმებით ერთმანეთზე გადაკვანდა და მხარზე გადაიგდო, უკანაც მოიხედა, დედა ხომ არ მიყურებსო.

— ისე მართლა რატომ არ იცმევ მაგეებს.

— რავი, არ მიყვარს, ასე უფრო მაგარია.

— ტერფები არ გტკივა? ან კენჭები არ გერჭობა?

— არა, მერე ჩავიცვამ.

— ახლა ჩაიცვი, არ გაგეჭრას, თორემ პანიკა იქნება ხომ იცი.

— კაი ჰო! არ მაცალოთ ცხოვრება. მეორე ლალი გახდი რა, — სანდლებს კვანძები შეუხსნა ლელიომ და ისევ ჩაიცვა, — უკვე მერამდენეჯერ ვიხდი და ვიცვამ დღეს, — უკმაყოფილოდ ამოილაპარაკა და სანდლებიანი თავისი გრძელი ფეხები, კაბააჩოჩებულმა დაანახა ფარნას, — აჰა. დაწყნარდით ბატონო ფარნა?

— შენთვის ვამბობ, თორემ მე რა.

— ჩემთვის რას ამბობ. მე მე ვარ, შენ შენ.

ხეხილნარში შევიდნენ.

— აი აქ დაღმართი იწყება, — ქვემოთ ქალაა და იქ დავტოვე, — დაღმართს ჩაუყვა ფარნა, ლელიო უკან ჩაყვა, ტოტებს და ბუჩქნარს იშორებდა გზად, თან ფიქრობდა ნეტავ ფოტოაპარატი წამომელო, გაბრაზებულ ფარნას გადავუღებდიო, — ისე კამერა უნდა წამომელო, — თქვა ხმამაღლა, — ნახე რა ხეღია, აგე იქ დაგაყენებდი იმ ხეებთან და კაი ფოტო გამოვიდოდა, წყალი მინდა გადავიღო, წყალზე რომ ცეკვავს მზე ძალიან მომწონს, მერე ნეშენალ ჯეო-

გრაფიკში გავგზავნი და მიმიწვევენ.

— ერთი ფოტოთი არ მიგინვევენ, არ ჩამომრჩე... იმათ ყველაფერი უკვე გადაღებული აქვთ.

— შენ რა იცი მე რა ფოტოს გადავიღებ, იქნებ ისეთი გადავიღო ჯერ რომ არავის გადაუღია.

— მაშინ სულ კამერით უნდა იარო.

— ჰოდა ვივლი კიდეც. დამელოდე.

— ეს ვინაა? — თქვა ფარნამ.

— სადა?

— აიქ ფილო არაა? — დაღმართი ჩაირბინა ფარნამ და მინაზე განოლილ ძმასთან ჩაჯდა, — ე ბიჭო რა მოგივიდა, — შეანჯღრია ძმა.

ჩამოირბინა ლელიომაც, — ვაი, ფარნა რა ხდება? — თქვა შეშინებულმა.

— ფილო! — უფრო მაგრად შეანჯღრია ძმა და მანაც თვალები აახილა.

— ჰა? — თქვა და სახე მოისრისა, გაამწლაკუნა პირი, — ჩამძინებია?

ლელიოს გაეცინა. ფარნასაც გაეცინა.

— საცემი მყავხარ, მეთქი გული წაგივიდა. ნამო, დედა გვეძახის. ძილი თუ გინდოდა აქ რას დარჩი.

— მწყერები წავიდნენ? — წამოჯდა ფილო, — დიდი ხანი მეძინა?

— ადე, ადე, — წამოაყენა ფარნამ და მიმოიხედა, — არავინაა, ესეიგი წაცუნცულდნენ, მაგრამ მოიცა, — ეჭვით შეხედა ძმას, — შენთან მოვიდნენ ისევ?

— აუ სად ვიყავი იცი? — ძმის მხარს დაეყრდნო ფილო. ყურებზე მიიღო ხელები, თითქოს დააკვირ-

და ისევ ხომ არ ჩამესმის რამეო, სახეც ისევ მოის-  
რისა ჯერ ისევ გაბრუებულმა და დას გაულიმა, —  
ლელიკუნები.

— ნავედით, — თქვა ლელიომ და ქალადან გა-  
მოსასვლელ, შეფოთლილ აღმართზე წინ აუძღვა  
ძმებს.

თავი მეშვიდე

## ჩარლი ასეულის ასმეთაური გიორგი სარდლიშვილი

3 სექტემბერი 2008

მაგრამ, მაშინ გმირობაზე ვინ ფიქრობდა, ჩვენ  
ინსტინქტურად ვიქცევოდით, წვრთნა გვაქს ისეთი  
მიღებული, იცოცხლე, მაგრამ ინსტინქტი სისხლში  
გვიზის, მტერს ყოველთვის, ამ ინსტინქტის მოს-  
პობა უნდა. ჩვენი ინსტინქტია თავისუფლება და  
ჩვენივე ინსტინქტია სიყვარულიც და სამშობლოც  
და მშობლებიც და შვილებიც და სიცოცხლაც და  
სიკვდილიც და ყველაფერი, ჩვენი ინსტინქტია,  
ამას ვერავინ ვერაფერს დააკლებს, ასე იყო და  
ახლაც ასეა, ეს აგიჟებდათ იმათაც და მათ დაქი-  
რავებულებს, მაგათ თუ კიდევ ვინმეს დაქირავება  
სჭირდებოდათ, ზუსტად იმდენი და ისეთი შეი-  
არალებით შემოვიდნენ, ზუსტად ის არმია და ის  
ხალხიც ალბათ, ვინც ადრე და ახლაც შეიძლება,  
ავლანეთში იბრძოდა. წარმოგიდგენიათ? ამ მართ-  
ლაც ნიჟარისხელა ქვეყანას რა გიგანტი დაატყდა  
თავს და ასე იყო მთელი ეს ორასი წელი, თუ მეტი  
არა. ინსტინქტს კი ვერავინ ვერაფერი უქნა, ჩვენს



ქვეყანას უარესიც ახსოვს, მაგრამ ინსტინქტს, ვერაფერი ვერაფერი უქნა. დავით გეგეშიძე, ჩემი ძმა, ალფა ასეულის ასმეთაური, სპარტანელი ლომი, მშვიდი და გიჟი ერთდროულად, ზუსტად რომააქვს ასეულის მოქმედება გათვლილი, იცით როგორი გადამდებია მისი ასეთი სიმშვიდე? და ჩემთვის ყოველთვის გაუგებარია და აუხსნელი მისი განონასწორებულობა, მაგრამ მასთან გოგოებიც არიან ასეულში, ძუ მგლები, ასე ვეძახით, და უნდა ნახოთ როგორ მართავს ის თავის ასეულს, როგორც დირიჟორი დიდ ორკესტრს, და მერე სულ ასე ამბობს, რომელმა გამოქლიავებულმა მოიგონა ომი, ჰო, რომელ იდიოტს არ ქონდა სხვა საქმე გარდა ომისაო, მის ჩაჩქანს ზედიზედ ორი ტყვია მოხვდა და ამას ყურადღებაც არ მიუქცევია, რა იყო, გაყვიროდა ბრძოლის ველზე სულ ესა ხართ თქვეჩემა!? ასე აპირებთ ჩვენს გატეხვასო?! მერე ჩაჩქანი მოიძრო, დახედა, გვერდით გაუვლიათ ტყვიებს, ჯარისკაცებსა და ოცმეთაურებს გადახედა და ისევ ჩამოიფხატა თავზე და შეტევის ბრძანება გასცა და აღმართზე აირბინა და გადაბუგა იქაურობა. მოდით აბა დამენახეთ, მოდით ახლოო, იძახდა სროლისას და შავად ახვეულ ბოლში და იმ ყარში, ჯარისკაცებთან ერთად წინ-წინ გარბოდა, იტყოდი ჯადო აქვს რამე სიკვდილი რომ არ ეკარებაო, ბომბები, ბომბები ხლერდნენ მინას და ზეცას და ამაზრზენად ისმოდა თვითმფრინავების წივილი, ამას კი ფეხებზე ეკიდა, მაგრამ ისინი მართლაც აღარ თავდებოდნენ, ასეთი ომი არ მინახავს, ისინი არ თავდებოდნენ და

დავითის ასეულიდანაც რომ დაგვეხოცნენ ბიჭები, რალაცნაირი სახეები ქონდათ ცოცხლად დარჩენილებს, თითქოს სიამაყე და თითქოს წყრომაც, მერე ვგებულობდით, რომ ჩვენს საჭაერო თავდაცვას იმათი ბლომად გამანადგურებელი ჩამოუგდიათ და ქალები ყოფილან ამის გამკეთებლები. გესმით? ქალები.

მაუგლი გამახსენდა ახლა, გახსოვთ ის ადგილი, როცა წითური ძალები ჯუნგლებს შემოესევინან, რას ეუბნება კაა მაუგლის, ჩვენ დავიცავთ თავს, მაგრამ ისინი ძალიან, ძალიან ბევრნი არიან და ეგ იყო 11 აგვისტო, როცა უმაღლესმა მთავარსარდალმა ბრძანება გასცა, ბრძოლიდან გამოვსულიყავით, რომ გაუმართლებელი მსხვერპლი თავიდან აგვეცილებინა. ხუთი საათი იყო, როცა ჩვენმა ძალებმა ბრძოლიდან გამოსვლა დაიწყეს და დაიხიეს უკან. თბილისის მიმართულებით. მაშინ კერესელიძე ირაკლი ამბობდა, დელტა ასეულის ასმეთაური, ესენი აღარ გაჩერდებიანო, ესენი გამოგვეყვებიან და თბილისზე წამოვლენო. ამას მართლაც არავინ ელოდა.

მტერმა ქვეყნის სიღრმეში შემოსვლა დაიწყო. დაიწყეს ჩვენი სოფლებისა და ქალაქების ოკუპაცია, მაგრამ, როცა ცენტრალური საგზაო მაგისტრალი ტანკებით და ქვემეხებით გადაკეტეს, ერთმანეთს საერთოდ მოწყდა დასავლეთი და აღმოსავლეთი. როცა ირაკლის შევხვდი, კერესელიძეს, თვლებში შევხედეთ ერთმანეთს და აღარაფერი ვთქვით. ისინი უკვე გორში იდგნენ. ხაშურშიც და ქარელშიც.

თბილისში იმ დღეს დიდი მიტინგი ეწყობოდა, იმ სამოქალაქო შტაბის მოწყობილი გვიტხრეს. ათობით ათას ადამიანს, 11 აგვისტოს რესპუბლიკის მოედანზე მოეყარა თავი და ამას უკვე მთელი მსოფლიო აშუქებდა, Stop Russia, ეწერა ყველგან. იმათ კი უკვე ზუგდიდი და სენაკი ეკავათ. მათი ავიაციას სხვა რაიონების დაბომბვას აგრძელებდა, დაიბომბა კოდორის ხეობა და ხელვაჩაურის რაიონიც, თბილისის აეროპორტთან განლაგებული რადარიც, კახეთში დაიბომბა შირაქის აეროდრომი და გორი დაიბომბა ისევ, ხელმეორედ დაიბომბა ისევ ზუგდიდი და სენაკი. გორში სამი ჟურნალისტი დაიღუპა. უამრავი საცხოვრებელი სახლი განადგურდა. იმ ჟურნალისტებიდან ერთი უცხოელი იყო და ორი ქართველი. ოთხი დაიჭრა. ასე მახსოვს.

და მაშინ იყო, როცა რუსები, ზუგდიდიდან, ჯვრის უღელტეხილისა და ხაიშისაკენ დაიძრნენ, იქიდან კოდორში, ზემო აფხაზეთში აპირებდნენ შესვლას. აქაც ასე მოხდა, მშვიდობიან მოსახლეობაზე თავდასხმის აცილების მიზნით, ქართულმა პოლიციამ ხეობიდან გამოსვლა დაიწყო და 11 აგვისტოს, საღამოს, ჩვენი შეიარაღებული ძალები დედაქალაქის დაცვაზე გადავიდნენ. გადავედით, უფრო სწორად. ეს იყო ჯოჯხეთის კიდევ ერთი ახალი სახე, უკვე ასე ახლოს მოსული უკლებლივ ყველა მოქალაქესთან. იმ დღეს ნიკა მაჭავარიანი არ მინახავს, ან სად ვნახავდი ის დაჭრილი იყო და საავადმყოფოში ყავდათ, სხვათაშორის ტყვედ აყვანილ იმ ერთ რუს მფრინავსაც ასევე უვლიდ-

ნენ ჩვენი ექიმები როგორც მე. მე რომ დავიჭერი, ასეული, ორმოცდაათი მეტრით უკვე ჩემს ქვემოთ იყო ჩანეული, უკან ვიხევდით, და რომ მეორე ტყვია მხარშიც მომხვდა, ჩემმა ოცმეთაურმა ქაშაყაშვილმა მათრია ნახევარი გზა ფეხით, ერთ ხელში ავტომატი ეჭირა და უკან უკან ისროდა, თან მამხნევებდა და შაყირობდა, არაუშავს გიგლა არაუშავს თუ აქ სიცოცხლე არ გვინერია ესეიგი არც სიკვდილი გვინერია აქო, რას ბოდილობ-მეთქი და იმას ეცინებოდა, რადა უკვდავები ვართ, უკვდავებიო, თორემ აქამდეც მოგველებოდა ბოლოო, როგორ ვართ-მეთქი უკვდავები, როცა ჩვენი ბიჭები და ხალხიც იბრძებოდა-მეთქი და არ იცით რა მიპასუხა? ასე მითხრა, ეგაა უკვდავება, ჩვენ იმიტომ ვკვდებით, რომ სხვებმა იცოცხლონ და ეს მსხვერპლი კაცობრიობამ მეორეჯერ რომ აღარ დაუშვასო. მოკეტე-მეთქი, ის კი მიმათრევდა, თან თავს იცავდა თან ლაპარაკს აგრძელებდა, ჩვენ სიცოცხლე არ დაგვიკარგავს და ამიტომაც არ გვეშინია სიკვდილის სარდლიშვილო, თუნდაც ახლა აქ რომ მოვკვდეთ მაინც არ მოვკვდებით, რადგან სიკვდილი შეცნობილი დასასრულია, ჩვენი ქვეყანა კი შეუცნობელია და დაუსრულებელი, როგორც ღმერთიო, კარგი პოეტი იქნებოდი ამდენი რომ არ გაგეტრაკებინა, ან კარგი ფილოსოფოსი-მეთქი, ის კი არ ჩერდებოდა, მერე პისტოლეტიდან ისროდა, ჩემი პისტოლეტიდან, ვინ მოგცა-მეთქი ამის უფლება და განგებამო, მიპასუხა, ჩემი იარაღი ზურგზე მიკიდია, მაგრამ შენი თრევა ასე უფრო მიხერხდებაო და

დაუშვა და დაუშვა თითქმის მთელი მჭიდი, მიაჭედა და მიაჭედა, მაგრა ისროდა, მე კი ვფიქრობდი ნახევარი დედამინა მაგათია და ჩვენ პატარა ნიჟარაზე ჩალიჩობენ აგერ უკვე სამი ასწლეული, მაგრამ ჩემი ფეხები მაგათ, ვერაფერს მიიღებენ, ვერაფერს-მეთქი. გამოვართვი ჩემი იარაღი, მეორე მჭიდი ამოვიღე და სროლა დავიწყე მეც. გამაყრუებელი კაკანი იყო, კვამლი იდგა და ბომბების ხმა და ზან-ზარი მესმოდა შორიდან, თან ვუყვიროდი გადით, გაეთრიეთ, წადით, საიდანაც მოხვედით თქვენი დე-დაც-მეთქი და ჩემს ჯარისკაცებთანაც რომ უკვე ახლოს აღმოვჩნდით, საკაცეზე გადამანვინეს და ზურგი გამიმაგრეს.

თავი მერვე

## სადილის შემდეგ

8 ივნისი 2008

სადილის შემდეგ ყველანი თავ-თავიანთთვის იყვნენ. ირაკლი ოთახიდან არ გამოსულა. ზერელედ წაიხემსა, როცა ლალიმ ოთახში შეუტანა კერძი და ისევ სამუშაოს მიუჯდა. კომპიუტერზე მიფიქრებულის. ლელიო ჭურჭელს რეცხდა, ფარნა შეღებულ სკამებს ათვალეირებდა და სულ ფიდოსკენ გაურბოდა თვალი, ჰამაკში ჩანოლილი რომ კითხულობდა წიგნს ან იქვე ჩამოჯდებოდა და ჭალადან წამოღებული ლერწამით, ჭიანჭველებს უხაზავდა გაურკვეველ ნიშნებს ჭის გვერდით ნაყარ ქვიშაზე. დედას მომცრო ნიჩაბი მოემარჯვა, ბალში დამდგარიყო, მინას ამუშავებდა ყვავილების ირგვლივ, სალამომდე ამათი გადარგვა უნდა მოვასწროო, დაფიქრებოდა ქოთნებში ჩასმულ ვარდებსა და იებს, — ლელიო, დედა, რომ მორჩები, მოდი კაი? — დაუძახა ქალიშვილს. ლელიომ კი მის გაგონებაზე ტერფებზე დაიხედა, ჰო მაცვიაო და ტილოთი შეამშრალა თეფში.

ფარნა ფიდოსთან მივიდა.

- მინდა დაგელაპარაკო, — უთხრა ძმას.
- რაზე.
- ყველაფერზე.
- დამელაპარაკე.

მინაზე დაჯდა უფროსი ძმა. ბალახი მოწყვიტა, კბილებით გაღეჭა ყუნწი, — ჭალაში რატომ დაგეძინა? ცუდად ხომ არ გახდი?

— არა, — ჰამაკიდან ფეხები გადმოყო ფილომ, — ეს ნაკითხული გაქვს? — წიგნი დაანახა ძმას. ჩარლზ დიკენს. ინგლისურად ეწერა ყდას. ედვინ დრუდის საიდუმლოება.

— ეგ არა. სხვები კი. კაია ინგლისურად? თუმცა რას გეკითხები, მეთქი გესმის კარგად?

- მშვენივრად.
- ეგ რომელია? ადაპტირებულია თუ?

— არა. ვერ ვიტან რაღაც სულელურ ადაპტაციებს, როგორც ავტორმა დაწერა ეგაა და მორჩა. თან დიკენსმა ეს რომანი ვერ დაამთავრა, გარდაიცვალა. ძან მაგარი ამბები ხდება, ვერ გაიგებ მთავარი გმირი მკვდარია თუ ცოცხალია, არადა იმდენი მინიშნებაა წიგნში და ილუსტრაციებშიც, რაც მისივე დროს კეთდებოდა, რომ სულ ეჭვებში ხარ, რაა სიკვდილი და რაა სიცოცხლე ვერ გებულობ.

— რატომ ვერ გებულობ, რომ ვერ დაამთავრა მაგიტომ?

— კოპერფილდი ვიცი.

— ეგ ყველამ იცის, — თქვა ფილომ, — ეს კი რჩეულებმა.

— ესეიგი რჩეული ხარ?

— გეხუმრე. ესეც ყველამ იცის, ოლონდ ინგლისში, აქაც ეცოდინებათ, თუმცა თავს ვერ დავდებ.

— ან ეცოდინებათ და ან არა, გინდ აქ და გინდ ინგლისში. მათხოვე მერე, მართალია ენა შენსავით არ ვიცი, მაგრამ მაინც.

— და რაზე გინდოდა ლაპარაკი. ფარნამ ბალახი დააგდო, მეორე მოწყვიტა.

— დაანებე თავი, ნამდაუნუმ ნუ წყვეტ.

— შენც ხომ მოწყვიტე ეგ ლერწამი.

— ეს ძირს ეგდო. მე არფერი მომინწყვეტია.

— და ხორცის ჭამას მართლა აღარ აპირებ?

— არა. ვეგეტარიანელივით ვხდები რაღაც... ვატყობ.

— მაგარია. მაგრამ დაგანაყრებს?

— ვნახოთ.

— უცნაურია, — თქვა ფარნამ და თავისთვისაც მოულოდნელად წამოიძახა, — ღმერთის ნებას ჩვენ ვერ გავიგებთ.

— ჰო ალბათ ვერა, — წიგნში სანიშნე ჩადო ფილომ და დახურა, — რადგან ერთმანეთის არ გვესმის, — თქვა ხმადაბლა, — ერთმანეთის რომ გვესმოდეს, ღმერთისასაც გავიგებდით.

— მე და შენ არ გვესმის ერთმანეთის? — შემოხედა ფარნამ.

— არა, საერთოდ.

— თუმცა ჯერ ამაზე მიპასუხე, რატომ დარჩი ჭალაში, მე უნდა მითხრა, მე შენი ძმა ვარ.

— რა გითხრა... დავრჩი და ეგაა.

— ნახე?

— რა?  
— იცი რაც?  
— კი ვნახე და სხვა რამეც ვნახე.  
— რა სხვა რამე, — ჰამაკთან ახლოს მიჩოჩდა ფარნა, დედამისს გახედა ბაღში და ფიდოს ყური მიუშვირა, — რა სხვა რამე.  
— თითქოს გამკრა რაღაცამ, აი აქ, — მკერდზე და თავზე ხელი დაიდო ფიდომ, — მთელ ტანში დამიარა და მივხვდი თითქოს ყველაფერს.  
— რას ნიშნავს მივხვდი ყველაფერს, რა ყველაფერს, — ადგა ფარნა, დოინჯი მომართა.  
— საერთოდ ყველაფერს, მივხვდი და იმავნამს დამავინწყდა, ღამე რომ ელვა იელვებს და სამყაროს გადაანათებს, ხომ ყველაფერს დაინახავ? ნამიერად ხომ ყველაფერს დაინახავ? მაგრამ როცა მორჩება ელვა? არ გგონია რომ უფრო დაბნელდაო? აი ეგრე ვარ დაახლოებით, მერე აღარ მახსოვს და მერე ორი მწყერი დაჯდა ჩემს წინ და ეგ იყო რა.  
— მართლა? მიეფერე?  
— ხელშიც ავიყვანე და ჩემს თავზე კი სინათლე დაეკიდა.  
ფარნამ, სახლსა და ხეებს და ბაღებს მოავლო მზერა, — ახლა? ახლა არ კიდია? მე ვერ დავინახავ?  
— ახლა არ კიდია, მაგრამ ხომ დაგპირდი, როცა გამოჩნდება, დაგანახებ-თქო.  
— და მწყერები?  
— არაფერი, მოვიდნენ და მეც წყნარად მშვიდად ხელში ავიყვანე, პროტესტი არ გამოუთქვამთ, თითქოს ტყის ხმებიც ძალიან ახლოს მესმოდა და მერე

ჩამეძინა.

— და ასე ჩვეულებრივად როგორ ხარ?  
— აბა როგორ უნდა ვიყო, — გაიღიმა ფიდომ  
— რას ჰქვია როგორ?! ამდენი რამე მოგდის და რაღაცნაირად არ უნდა იყო? განსაკუთრებულად.  
— არ ვიცი, — თავი გააქნია, — როგორც ვარ ისე ვარ, — შენ გინდა რომ ხელებზე კოვზები ავიკრო? ან დაფრინავდე?  
— არა ეგ არა, თუმცა რატომაც არა, — მხრები აიჩეჩა ფარნამ, — იცი რა არის მაგაზე უცნაური? ჩვენი სახელები. ფარნა იცი ჰო რასაც ნიშნავს, ძველი ირანული სახელია.  
— ფიდოც.  
— ეგეც. ირაკლიმ მომიყვა, მე როცა გავჩნდი, მთელ სამშობიაროში, ერთი ნათურა ანათებდა თურმე მთელ დერეფანს და ფარნა ამიტომ დამარქვეს, ფარნა ნიშნავს ნათებას, შარავანდედს. არადა ნათებას შენ ხედავ მე კი არა. უცნაური არაა?  
— ფარნავაზ, მაქედან მოდის ფარნა. ვიცი, ანუ გასხვივოსნებულნი. ქართველი ერის მამა ფარნავაზი, პირველი მეფე, მნიგნობრობაი ქართული, ანბანი, ვიცი ეგა... და ფიდო? იცი ფიდო რას ნიშნავს?  
— სამმაგი ძალის მქონეს.  
— ეგრეა.  
— მერე პირიქით არაა?  
— რატოა პირიქით.  
— იმიტომ რომ მე შენზე ძლიერი ვარ და შენ კი სინათლეს ხედავ, არადა სახელების მიხედვით პირიქით უნდა იყოს... მითხარი, მელაპარაკე, ერთი

სული მაქვს გავიგო რა და როგორ.

— გითხარი უკვე, არ ვიცი, მართლა არ ვიცი, ეგრეა და მორჩა, მაგრამ მე არ ვთვლი თავს სხვანაირად...რა იყო მართლა იქსმენი კი არა ვარ.

— მაგას არც არავინ გეუბნება... მაგრამ რატომ შენ? არ გინდა მიხვდე რატომ შენ ფიქრობ?

— არა. წარბები ანია ფიქრობ, — ასეც მშვენივრად ვარ... ჯერჯერობით ყოველშემთხვევაში.

— მაგარია, — გაეცინა ფარნას, ისეც ბალახზე დაჯდა, — მამას რომ მოუყვებ?

— იცის. ლელიომაც იცის. ყველამ იცის და არავინ მისვამს ამდენ კითხვას, შენ რაღაც სხვა გაინტერესებს.

— მე უბრალოდ მინდა გავიგო. მინდა ვიცოდე, გესმის? ფიქრობ?

— ფიქრობ არა ჩეგევარა კიდე, — ნიგნი მიკრა მხარზე ძმას, — გთხოვთ ჩემი სახელი მინდოთ ძვირფასო, თორემ დაგტოვებ სხივებუნახავს.

— არ მაქვს შენდობა მონ შერ, მომიტევეთ, ჩემი სითავხედის ბრალია, — ჰამაკი შეარხია ფარნამ.

— ნელა არ მოწყვიტო.

— ნუ გეშინია... და ღმერთი არსებობს?

— რეებს მეკითხები, — წამოეცინა ფიქრობ, — ყველა ამაზე იმტვრევს თავს, თუ არ არსებობს და მაშინ შენ თვითონ უნდა იმოქმედო ძამიკო ჩემო... რა კითხვები გაწუხებს?

— მე მეკითხები მაგას? თვითონ რაღაც შუქებს ხედავ და ისე იქცევი თითქოს ჩვეულებრივ პროფექტორს ხედავდე.

— ირაკლიმ უთხრა ერთხელ ერთ მღვდელს, — ჰამაკიდან ჩამოვიდა ფიქრობ, — ფიზიკაზე ეკამათებოდა ის და რომ მორჩნენ, ბოლოს ირაკლიმ უთხრა, შენ რა გიჭირს, დადგები ხუთასვატიანი ნათურის ქვეშ და თავი ნათელში გგონიაო.

— ჰოო, — ჩაეცინა ფარნას, — ირაკლი ხომ იცი რა ტიპია, მაგრამ მითხარი რა, რამე გასაგებად მითხარი.

— შენ რა ჩაიხვიე, — მძიმედ ამოისუნთქა ფიქრობ, — ერთი რამ მართლა შემეძლია გითხრა და ჯანდაბას, მეტი აღარ ჩამაცვიდე, — ჭასთან ჩამოჯდა, — ასე მგონია რომ ჩვენ იმდენი გვესმის და ის გვესმის რაც გაგვეგება, თითქოს ჩვენ შორის ფარნა, მე და შენ შორის კი არა, საერთოდ ადამიანებს შორის ასეთი რამ წვრილი ფულივითაა მიმოქცევაში გაშვებული, არსებობდე ბუნებრივად, ისეთი როგორიც ხარ და ამოიცანი თავი...

— რა ლაო ძივით ლაპარაკობ, — შეანწყვეტინა ფარნამ, — ნაკითხული გაქვს?

— ჯერ არა, ირაკლიმ თქვა მალე უნდა წაიკითხოთო და ნელა უნდა წაიკითხოთო და ლაო ძი რა შუაშია?

— აბა არა?

— გახსოვს ბებო ბიბლიას როგორ გვიკითხადა? იყავ ნათელი... მე რა მგონია იცი, პოეზიაა ამ სიტყვების მიზეზიც და თვითონ ეს სიტყვები და ამ სიტყვების ექოც. სამყაროს შექმნის პირველივე დღეს წარმოთქმულია ისინი და დღემდე ისმის მათი ექო.

— შენ პოეტი ხარ.

— ჯერ არ დამინერია არცერთი ლექსი.

— შენ ლექსების გარეშე ხარ პოეტი. ნამდვილი პოეტები პოეზიით არიან პოეტები, არა მხოლოდ ლექსებით.

— ჰოდა ამდენი თუ გესმის წელან რას ჩაიხვიე. პოეზიაა კი, რალაცა უცნაური და რჩეული შთაბეჭდილებების, ან წინათგრძნობების, გამორჩეული გამოხატვა, გამოთქმა. ასე ვარ, სწორია. შთაგონება ფარნა, ეგაა უცნაური, როცა მთლიანად რალაცით ხარ სავსე და სულ ხარ. როგორ აგიხსნა, — ფიქრად წაში ჩაიხედა. დატალღული შავი მრგვალი ლაქა დალანდა ქვემოთ და განაგრძო, — სულ ხარ ამ რალაცით ატაცებული, ატანებული, ვერც კი ხვდები რომ შთაგონებული ხარ, ეგაა რომ სულ განმარტოება გინდა, არ იცი რატომ, მაგრამ გინდა, ვერც დამშვიდდები თუ არ გამოთქვამ შენგან, არ ამოისუნთქავ და მერე ისევ არ ჩაისუნთქავ, ზუსტად ეგრე, შენ რწმენა არ გჭირდება რომ დაინახო, რომ დაიჯერო და დაინახო...

— კრედენდო ვიდეს, — ჩაამატა ფარნამ.

— ჰო კრედენდო ვიდეს, მაგრამ ზოგჯერ ისეა, რომ ეგეც უკან გრჩება, რადგან შენ სუნთქავ და არ გჭირდება ჰაერის რწმენა რომ ისუნთქო. სუნთქავ არა იმიტომ, რომ ჰაერის გჯერა და ვისაც არ სჯერა ის არ სუნთქავს? არა, ყველა სუნთქავს სანამ ამ განზომილებაშია და ცოცხალია, ამება არ სუნთქავს ერთადერთი, შენ ბუნებრივად სუნთქავ, რადგან ასეა და მორჩა, ასე უნდა იყო ალბათ ღმერთანაც ფარნა. რწმენა უცნაური რამაა, მაგრამ როცა

სუნთქავ ჟანგბადის დაუჯერებლადაც, კიდევ უფრო უცნაურია. არ ვიცი გასაგებად გითხარი თუ არა, მაგრამ რაც გითხარი ასეა და ასე ვარ მეც. ინსტინქტურად. შთაგონებულად.

— შთაგონება ყველას არა აქვს ფიქრო.

— მაგრამ ყველა სუნთქავს ფარნა.

— ჰო მაგრამ მე ცოტა სხვა რამ მინდოდა გამეგო. კარგი. არაუშავს, ალბათ გავგიჟდები შენი შუქები რომ დაგინახო, ან სერიოზულად გავაცნობიერო რა მოგდის ხოლმე.

— მოეშვი.

— ადვილი სათქმელია.

— თმაჩუქურთმა ნაწნავებზე რიგრიგობით სიზმრებს გკიდებ, ალბათ რალაც საერთო აქვთ, ზღვაში თევზს და ცაში ჩიტებს...

— შენი ლექსია?

— როგორ გგონია თევზებმა, ალბატროსებისა და თოლიების და ძმანნი მისნის გარდა, იციან სხვა ჩიტების არსებობა? ყანჩებისა და წეროების გარდა ცხადია. ან ჩიტებმა, მაგალითად შაშვმა იცის ზღვის ქვეშ რა ხდება?

— მე რა ვიცი.

— ამიტომ მოეშვი, — ქას მოცილდა ფიქრო და ისევ ჰამაკში ჩაწვა, — ლექსი ლექსია, რა მნიშვნელობა აქვს ვისია, — თქვა და ჩამოთვლა დაიწყო, — ბარსელონა, მანჩესტერი, ჩელსი, თუ რეალმადრიდი? თუ ბაიერნი? მილანი ან იუვენტუსი, თუ ლივერპული? ან არსენალი?...

— ეგ რა შუაშია.

— ისე. მოეშვი.

ჰო, ისე, მოეშვი, ჩაფიქრდა ფარნა, რომ ვიცოდე როგორ, მოვეშვებოდი ისედაც. ბალახებს გადაატარა ხელისგული. ვერაფერი გავიგე, გამიუცნაურდა ჩემი ძმა, უფრო გამიუცნაურდა ვიდრე იყო.

ფილო თვალდახუჭული იწვა ჰამაკში, დახურული წიგნი მკერდზე დაედო და თვლემდა.

— გძინავს? — ჰკითხა ფარნამ, მაგრამ ფილოს ხმა არ გაუცია, — კარგი, გეძინოს, — თქვა ისევ ძმამ, შემდეგ განვაგრძოთ, გაიფიქრა და დედამისისკენ და თავისი დისკენ წავიდა. ისინი მიწას ჩიჩქნიდნენ, ქოთნიდან ყვავილები გადმოელოთ და მიწაში რგავდნენ. მთელი ბალი ასე ჰქონდათ შემორგული. ყვავილები ემზეურებოდნენ ბალს, მათი ხეხილი სადაც ხარობდა, ალუბლები და ვაშლები და ისევ რომ ყვავილები სურნელობდნენ მთელი ბალის მომრგვალებაზე, ჰორტენზიები, ვარდები, იასამანი და იები და ბალის ფოთლოვანი შემოგარენის ჩაყოლებაზე კი, სახლისა და ღობის მაგივრად აწყობილი ბუჩქნარის ქვეშ, გვირილების თეთრად-ყვითელი სიმრავლე მომინდვრულიყო. ძალიან ბევრი გვირილა ერთად ჩანინკლულიყო, როგორც მინდორზე სავსედ ისე აქაც, მათ ეზოსა, სახლსა და ბალს შორის, ყველგან, ქვაფენილი-ბილიკის ორივე კიდეზეც და შემოსასვლელ ჭიშკართანაც, რომელზეც ისე აცოცებულყო სურო და ვარდის ხე, რომ სამოთხებრივ ჩრდილავდა კარმიდამოში შესასვლელს, სადაც შესული ადამიანი თითქოს უჩვეულო და განსაკუთრებული კრძალვით იმოსებოდა. აქ ერთმანეთს

ეჭაერებოდნენ და ემინებოდნენ სურნელებანი და ათინათები, ერთმანეთში მონაცვლეობდა იასამნების ნუგეში და ვარდების სიტკბო, ჰორტენზიების სევდა თითქოს მორბილებული და იების ქალწულბრივი სინორჩე და იქვე, მათზე მაღლა და მათ შორისაც, ყოველთვის ფრენდა ფუტკარი, რომელიმე ყვავილზე ყოველთვის ნებივრობდა და ეტანებოდა ნექტარს.

— სკები უნდა დავდგათ, — თქვა დედამ, მცენარეს ფესვებზე მოკიდა ხელი და უკვე შემზადებულ ორმოში ჩასვა. მიწა დააყარა, — აქამდეც უნდა დაგვედგა. მომე. — ლელიოს გაუნოდა ხელი.

ქალიშვილმა სარწყავი დოქი მიაწოდა. დედამ ჩარგულ ყვავილს შხაპი გადაატარა და ფარნას უთხრა, — იმას სძინავს?

— მემგონი, — მათთან ახლოს ჩაიმუხლა ფარნამ, — რამეში არ გჭირდებით?

— ჯერ არა, — თქვა ლელიომ.

— შეგიძლია სკამები ნახო თუ გაშრა. დამიძახე თუ გაშრა, — უთხრა დედამ.

ფარნამ მიწა თითებით მოსინჯა და ბალის სურნელი შეისუნთქა, — დილას რა სხვანაირია ხოლმე სუნი, — თქვა თავანუელმა, — და შუალამისას რა სხვანაირი არა? და შუადლისას ხომ საერთოდ რაღაც სხვაა, დე უცებ სეტყვამ რომ დაცხოს რა უნდა ვქნათ?

— ვიზამთ რამეს, — მიწას ნიჩბით ასწორებდა დედა.

— ტენტს გადავაფარებთ, — თქვა ლელიომ, —



საჩრდილობელს...ცელოფანს...

— უი კაი გამახსენდა, — წამოდგა დედა, მუხლები მინით ჰქონდა დასვრილი, — საკუჭნაოში ხის ოთხი ძელია, გამოიტანეთ და სადაც გეტყვით იქ დაამაგრეთ, ირაკლიმ ჰო ორმოები ამოთხარა და მონიშნა, მაგეებზე თოკებს გავჭიმავთ, ხეებზეც მივაბამთ და თუ სეტყვა მოგვიბრძანდება, კარავს გადავაფარებთ, მთლიანად თუ არა ბალის ნაწილს მაინც დავფარავთ, მაგრამ არ ისეტყვებს, ვიცი.

ფარნა და ლელიო საკუჭნაოში შევიდნენ, აივნის ქვემოთ. ლელიომ ერთი ძელი წამონია, — არა, მძიმეა, ფიდოც გვჭირდება, — თქვა და დაიყვირა, — ფიდო!

მაგრამ ფიდო არ განძრეულა, — კიდევ სძინავს, — ჭერს ახედა ლელიომ, — მამა!

— ბატონო, — გაისმა ზემოდან.

— მოგვეხმარე რა ძელები უნდა ავიტანოთ.

— მოვდივარ, — გაისმა ნაბიჯების ხმაც და კარში მამა გამოჩნდა, — სადაა აბა?

— აქ, — ლელიო ძელებზე ჩამოჯდა.

— ადე, მიდი ფარნა შენ იქიდან, — თქვა მამამ და ხის გრძელ მორს სამივემ მოკიდა ხელი, საკუჭნაოდან გამოიტანეს და ბალში მიიტანეს, — თქვენ აქ იყავით ლელი, — ხელები დაიფერთხა მამამ, — იმეებს მე მოვიტან, არაა მძიმე, — გაბრუნდა საკუჭნაოსკენ.

— ესეიგი პუდელი გადანყვიტე, — თქვა ფარნამ.

— ჰო, შავი. მალე პატარა სიცოცხლე გვეყოლება.

— მერე აქ რომ რწყილები აიკიდოს?

— დავბანთ.

— სახელი? მოიფიქრე?

— ჯენი.

— ჯენი რა სახელია?

— როლინგების სიმღერაა, ლედი ჯენი.

— მერე ის ჯენიაა და არა ჯენი.

— რა მნიშვნელობა აქვს, — თქვა ლელიომ, — ჯენი, ჯენი, ძალიან მომწონს.

— ჯერი ჯობია. თუმცა ერქვას მე რა მენაღვლება, ისე არაა ცუდი, მაგრამ გოგოა თუ ბიჭი?

— ვნახოთ. ჯენი ორივეს უხდება.

— მე ბაჩის დავარქმევდი, თუ ბიჭი გვეყოლებოდა.

— ბაჩი ადამიანის სახელია.

— და ჯენი რა? ჟირაფის სახელი გგონია? ჯენიც ადამიანის სახელია.

— ეგ ადამიანებსა აქვთ ცხოველთა სახელები, ჩემი საჩუქარია შენი ხო არა.

— მოგეხმარო მამა? — მამისკენ წავიდა ფარნა. ირაკლის ორივე მხარზე ორი ძელი ჰქონდა გადებული.

— იყავი არაა მძიმე, ის პირველი მძიმე იყო, ლალი! სად დავდო ესენი?

— მანდვე, მერე მივხედოთ. — მიწისგან ნიჩაბი გაეწმინდა ლალის. ირაკლიმ იქვე დაუშვა ხის გრძელი მორები და სახლისკენ წავიდა, — ორი საათი არ ვარსებობ, — გამოსძახა ყველას, კიბეებზე ასვლისას და შესვლისთანავე მიხურა კარი.

— შენ როლინგებს როდის აქეთ უსმენ, — ლელიოს ჰკითხა ფარნამ, — აბა ენა გამოყავი.

— წამომყევით, — ძელს ერთ ბოლოში მოკიდა ორივე ხელი დედამ და გააჩოჩა, — ნიჩბები წამოიღეთ.

ბალის მოშორებით ამოთხრილ ორმოში ჯერ ერთი ძელი ჩასვეს და დანარჩენ სამ სხვადასხვა მხარეს დანარჩენი სამი ძელიც ჩაამაგრეს, ქვებიც ჩაყარეს და დატკეპნეს მიწით. აღმართულ ძელებს თოკები გადააბეს და კარვის გადასაფარებლად გაამზადეს.

— დღეისთვის მოვრჩით, — თქვა დედამ, — ამეებს მე მივხედავ, — ნიჩბებზე ანიშნა, — თვენი კი ხელები დაიბანეთ, ფარნა მანამდე სკამები ნახე რა, გაშრებოდნენ.

ფარნა სახლის უკან გავიდა, თითით მოსინჯა უკვე მართლაც გამშრალი საღებავები და სკამები სათითაოდ წამოიღო. აივანზე აიტანა, — ამას ცოტა უკლია, აქ დავტოვებ, — ერთ-ერთ სკამზე თქვა და გაიფიქრა ფიდოს სულ სძინავს, რა მოუვიდა, შეიძლება სულ გეძინოს ადამიანსო, მობრუნდა ჰამაკთან და ბალახი, ცხვირზე მიუღიჭინა.

ფიდომ ხელი აიქნია და თავი განია.

ლელიომ კი დაიბანა თუ არა ხელები, თავის ოთახში ავიდა, სარკის წინ დაჯდა და თმების ვარცხნა დაიწყო, თან ფანჯრიდან იყურებოდა, რას შვრებიანო ჩემი ძმები, ან ხომ არ ჩავიდე და ალუბალი დავკრიფოო, ფიქრობდა თავისივე ანარეკლის წინაშე თმებგაშლილი, გამალებით რომ ივარ-

ცხნიდა და თითქოს მის წინ, იმ სარკეში სხვა ვინმე მჯდარიყო წამით ისე შეაფიქრებოდა თავს, ეგეთი ბიჭის მნახველი არ ვარ, იცი რა უბრალოა, იცი რა ლალი და კეთილია და იცი როგორ მომწონს? და იცი რა აზრზეა ყველაფრის? ვერ წარმოიდგენ როგორ მომწონსო. იქნებ გადამიაროს? გაუფიქრდა თითქოს სახე და ტუჩი გაიკვნითა, სავარცხელი თმებში გაეჭედა, წარბები შეეჭმუხნა და დაჭყიტა თავისი ქარვა თვალეები, ვნებამოციმციმე და წამიერად აალებული და ამ გამორეკლილ და მის წინაშე თმებგაშლილ სახეებაში, თითქოს მიმქრალიც კი.

ჩამოიქაჩა თმები, კიდევ წაენიწკნა, მაგრამ უფრო ღონივრად ჩამოიქაჩა და ჩამოივარცხნა ძალით, დაძლია თითქოს ეჭვი და ამ შეკბილული სავარცხლით ჩამოაყოლა ის მისი ჩაფიქრებაც. ნიკაპი ანია და ამაყად ააჩერდა საკუთარ ანარეკლს, რა უნდა გადამიაროს?! რალაც მედიდური დარბაისლობით შეხედა თითქოს სარკეს, მიიწია კიდევ მისკენ და თვალეებში შეხედა თავს, რა უნდა გადამიაროს, იქით არ გადაუარო! თქვა ისევ ამაყად და ამოისუნთქა. თმები მეორე მხარეს გადმოიგდო და ახლა აქედან დაუნყო ვარცხნა, მაგრამ ფარნამ რატომ მკითხა? ხვდება რამეს? დაიდუმა ფიქრი და რამოდენიმე ხანი იჯდა ასე გაუნძრევლად, არც სუნთქავსო თითქოს, მაგრამ მერე წამოდგა, სავარცხელი იქვე მიაგდო და სანოლზე გაგორდა, ოდნავ სხეულიც აუთრთოლდა და ზურგზე გადმოწვა, ჭერს აეფიქრა, აუუ გიგლა თუ მართლა წავიდა ამერიკაში მე რა ვქნაო, ირაკლიც ნიუ-იორკში

მიდის მალე, მთელი მსოფლიო ნიუ-იურკში მიდის, დედამინაზე ვინმე რჩება!? ჰკითხა ჭერს და წლების დათვლა დაიწყო, ახლა ვარ ცხრამეტის ანუ ოცის, გიგლა ოცდაექვსისაა და რა ვქნა თუ წავიდა? არც ფიქრობს ჩემზე, არც ვაინტერესებ, თუ ფიქრობს? ჰა? ფიქრობს იქნებ?

ფარნა, ჰამაკთან იჯდა ბალში. იჯდა თითქოს ძმის ძილს დარაჯობდა. ზოგჯერ თუ ააყურადებდა მძინარეს, რამეს ხომ არ ლაპარაკობს სიზმარშიო, მაგრამ ფიდოს ღრმად ჩასძინებოდა, არაფერს ამოთქვამდა და წვიმები ესიზმრებოდა. იდგა თითქოს მინდორზე და წვიმა ედინებოდა თავზე, მაგრამ წვიმა ფერადი და სურნელოვანი, თითქოს წვეთები სხვადასხვა ფერისა ყოფილიყო, მთელ ტანზე ჩამოსდიოდა ცის ნამი, ფერებად ედღაბნებოდა, მაგრამ კვალს არ ტოვებდა, ფიდოს ხელებსა და ტანისამოსზე ორთქლდებოდა და ისევ აწვიმდებოდა მწვანე, ყვითელი, ნარინჯის წვეთები, თითქოს ცისარტყელა აწვიმდა და მზეზე უმჭვირვალედა წყალს და ისევ დიდის გამეტებით უმატებდა თქემს, თითქოს რამოდენიმე წვიმა იყო ერთმანეთში ჩამოსველებული და მინდორზე ჩამომდინარე. სიხარულს გრძნობდა მძინარე ფიდო და რატომღაც გული წყდებოდა სიზმარში მოტივიტივეს, ეჩვენებოდა თითქოს მინდორიც ისეთი ფერებით იყო გადასველებული, როგორიც ჯერ არც არავის და არც თვითონ ენახა, არც ცისარტყელის შვიდსახოვანი რკალი იტევდა მათ და წარჩინებული ირგვლივ სურნელებაც თითქოს უცხო ყოფილიყო მისთვის,

თითქოს სადღაიციდან, არასააქაოდან ფრენდნენ და კვამლავდნენ ნანვიმარ ჰაერს, იმ მოტკბო სუნებით გაჟღენთილსა და დაწმენდილს. კანსა და ძვალში რომ ატანდა და რალაც წარმოუდგენლად ფაფუკი ზეთის კრთომითა და ნებოვანებით ეკვროდა ფიდოს სხეულს, ძილში გაბნეულ მის სამშვინველსა თუ სულს, ისიც წვიმებთან ერთად რომ აერთებოდა არომატების სიმრავლეს და მათთან ერთად სიზმრის გადაღმა გაედინებოდა.

დარბილებოდა სურნელება, ფილტვები ბოლომდე ამოვსებოდა მისი უწონობითა და სიმძაფრით და გარს ეხვეოდა, თითქოს ყოველ წვეთს ასდიოდა ის, ის მოუხელთებელი, მოტკბო და ნაზი ფრენა, სურნელების ფრენა, წვეთების გასკდომასთან ერთად რომ იფრქვეოდა და იზღაზნებოდა მინდვრად. ცხვირსა და ყელში შესდიოდა და სუნთქვებზე წაცხებულს, ფიდოსაც ამსუბუქებდა. რალაცას აგონებდა თითქოს სუნი, სხვადასხვა სურნელი სხვადასხვა რამეს აგონებდა და ისევ ავიწყებდა, მერე ისევ ედებოდა და არ თავდებოდა, მანამ სანამ მანუგეშებელი მისი საამო სიახლოვე, სურნელების სიმშვიდე და ჰაერში გაფანტული თრთოლვა მისი, თხემიდან ტერფებამდე არ მიენება ბიჭს და წვიმასთან ერთად არ გადაღბნა მინდორზე.

გაიშალა თითქოს ფიდოს სხეული, უსხეულო შეიქნა და წვიმების თანმდევ არომატებს ნაჰყვა, წვნიანსა და რბილს, თავბრუსმხვევსა და საშიშს, რალაც ამალელებული სინმინდით თითქოს ატანილსა და აორთქლებულს, მოჰნეულს თითქოს უჩინარ

რალაც მარგალიტებად თუ ძვირფასთვლებად და იმავე სატრფიალო ნებოვანებით შემოხვეულს ტანსა და ყელზე, რომელსაც სიზმრად ველარ გრძნობდა ფიდო და ამ უჩინარობას სულმოუთქმელად სუნთქავდა, სიზმრის საიდუმლოთი უკვე მთლიანად გაჟღენთილი, სიზმრის საიდუმლო სურნელებით მთლიანად აჰაერებული, თითქოს დაკოცნილი წვიმითა და მინდვრით და მინდორზე დაცემული, თუ ასხლეტილი, აორთქლებული თუ ამკრთალი ყოველი წვეთით და ყოველი მისი ჩრდილითა თუ ათინათით, სუნებში რომ გატივტივებულიყო და გარდაისახებოდა.

ფარნა იჯდა მასთან ახლოს, ისიც ბალის სუნებით გარშემორტყმული და ფიქრობდა, როგორ ჩაეძინა ან რა ესიზმრებაო ახლა. მათ ბაღში ქრიზანთემები იყვნენ ფენა-ფენა გადაყვითლებულნი, ფოთოლ-ფოთოლ თუ ყვავილ-ყვავილ თითქოს ჩამოჭრილი მზეები, ერთი მეორის გასწვრივ და გვერდი-გვერდ, თუ ზედიზედ გადარგულები თუ გადახარებულნი. დახუნძლული სიმრავლე მათი, შუადღიდან საღამოსკენ მიქცეული მზის კვალს იდებდნენ ახლა ტანებზე და მსუყე ოქროები უელავდნენ, ზედ მათზევე რომ ირეოდა მარიამსაკმეველას ყვითელ-გულიანი და მოიასამნისფერო ყვავილიც და ფრინტაც, მათ შორის წითელი თავით ამოზრდილი ისიც ასე რომ ამოზრდილიყო მზისკენ, შორი სინათლისკენ რომ ამოყოლოდა სიმწვანე თავისი და ყველგან მისული, ყველა საზღვარს გაცდენილი კეთილშობილი და სიმთვრალე შეპარული სუნი.

მარიამსაკმეველა კი ფარნას ახლო-მახლო ამოცოცხლებულიყო ქვაფენილთან და თითქოს მისი იდუმალი ზეთოვანებაც ჰაერს ეწებებოდა. ყოველი მომზურებული, ყოველი მოოქროვილი ქრიზანთემის სიმდიდრესთან ერთად, განცხრომით რომ დახუნძლულიყო ვარდების შუაგულში და მართლაც საუცხოო, მართლაც განსაკუთრებული მფარველობისქვეშ, სინათლისა და ჩრდილის მიმოქცევით, ისიც აკმევედა თრობას. ჩიტები სტვენდნენ. სტვენდა შაშვიც ზედ ჰამაკის თავზე, ალუბლის ტოტზე წამომჯდარიყო, მისი შავი ბუმბულიც ხომ საღამოსკენ მიქცეული მნათობის შუქს ირეკლავდა პრიალა ჩრდილითა და ყოვლად აუხსნელი თითქოს სევდით,... და უგალობდა სამყაროს, უგალობდა ბალებს. მისი ამყურე ფარნა ახლოდან ხედავდა, ჩიტი, ნისკარტის მონარინჯისფრო შეთამაშებით, როგორ ამოიმღერებდა, შიგ გულიდან როგორ ამომარგვალებდა თავის, ცამდე აკინძულ საგალობელს და ისევ იმ სურნელოვან უჩინარობას ატანდა კაცთა ბედისა თუ უბედობის, მოლოდინისა თუ სიზმართა ამბავს.

ფარნას ხელის ხლება მოუნდა, აბა ფიდოს მსგავსად მეც თუ მოვკიდებო ხელს და წამოდგა, ჯერ კი იდგა ტოტებქვეშ, ფრინველზე სახეაკვირვებული, მაგრამ მერე გადაიფიქრა და სახლისკენ წავიდა. ლელიოს ოთახში ავიდა.

ლელიოს კარი დაკეტილი ჰქონდა. ფარნამ დააკაკუნა, — გააღე მე ვარ, რას იკეტები, შენც ხომ არ გძინავს, — დაიძახა ხმამაღლა.

კარი გაიღო, — შემო, რა გაყვირებს, — თქვა ლელიომ და ოთახში შებრუნდა.

ფარნა სანოლზე ჩამოჯდა, — რას შვრებოდი? — დისკებს დაუნყო თვალიერება, — ბაკლი გააქვს, ჯეფ ბაკლი? თუ აჩუქე ვინმეს?

— მანდაა, ჩართე, ლაილაიქ ვაინ, ჩემი საყვარელი, — ფანჯარასთან დადგა ლელიო, — ძაან არ აუნო.

— რა იყო ტიროდი? რა სახე გაქვს?

— რა სახე უნდა მქონდეს, — სარკეში ჩაიხედა დამ, — არც მიტირია. საიდან მოიტანე?

— მიზეზი მოგეცი, რომ სარკეში ჩაგეხედა.

— დაინყე ისევ? — ფარდები განია ლელიომ.

— გეხუმრე, როგორც ყოველთვის, რა მოგივიდა, სადაა ვერ ვპოულობ.

— ცხვირწინ გიდევეს რას ვერ პოულობ.

— ა ხო, აი, — დისკი აიღო ფარნამ, მაგნიტოფონზე ლილაკს დააწვა, დისკი დადო და ისიც რბილად შესრიალდა შიგ. დაინყო მუსიკის გამოჟღერება.

— დაუწიე-მეთქი ხომ გთხოვე.

— აჰა, — დაუნია ფარნამ, — შოპენს გავს. გააქვს?

— კი, მანდაა ისიც, — სანოლზე გვერდით ჩამოუჯდა ლელიო, — მაგრამ იყოს ეს.

— იყოს, ისე ვთქვი, ჩუმადაც ისმის, ხმამალლაც ისმის, ყველანაირად ისმის, მშვენიერია.

— მე რომ მეუბნები როლინგები როდიდანო, შენ თვითონ როდიდან მაშინ ეგრე თუ წავიდა? ფლოი-

დებს და ჩაიკოვსკის ან რახმანინოვს და ჰაიდნს, ბითლზს, საერთოდ მუსიკას ერთი ველი აქვს, გვანან ერთმანეთს, პასტორალური სიმფონია, მეცხრე სიმფონია, ჯაზი, როკენროლი, ბლუზი მათი მამა, ერთი მუსიკაა, სფეროთა მუსიკა, გვანან ძალიან გვანან ერთმანეთს და თან განსხვავდებიან, მრავალხმიანობა და ჰარმონია ფარნა ყველგან მრავალხმიანობა და ჰარმონიაა, ფოლკლორშიც და ყველგან და ყველაფერი ერთია ამ სამყაროში.

— და მაინც რითი გვანან, — ხელები თავქვე ამოიღო ფარნამ.

— რითი გვანან ჩიტები და თევზები?

— შენ რა ფიდოსავით ლაპარაკობ?

— ფიდო რა შუაშია?

— დღეს მითხრა იგივე. მოილაპარაკეთ? თუ კოდი გაქვთ რამე დაშიფრული.

— რა კოდი, რა შიფრი. მიკაც მიყვარს, შოპენიც, რიჩარდ ბახიც თავის თოლიებით და ყველაფერი ეს ერთია ფარნა, შენ ხომ ეს მშვენივრად იცი. ბალში, რომ მარტო ქრიზანთემები იყოს ხომ ისედაც კარგია, მაგრამ ვარდები რა? უშლის ხელს? ასეა აქაც და ესაა ჰარმონია.

— გასაგებია... და ფიდოზე რა ვქნა, ძილში ლაპარაკობს.

— დაანებე თავი, რა უნდა ქნა, არ აწყენინო რამე, — თქვა დამ და ძმას მოეხვია. ფარნაც მოეხვია და აკოცა.

— რა ცხელი ხარ, — თავი წამოწია ფარნამ და ისევ აკოცა დას, — მზეზე იჯექი დიდხანს?

— სულ ეგეთი ვარ.

— მანახე ხელები.

ლელიომ ხელისგულები გაუნოდა. თხელი და შეწითლებული მტევნები.

— ნახე რა გახურებულია, რატოა ასეთი წითელი?

— ასეა სულ, — ისევ ძმას მიეხუტა ლელიო, — ნუ მიშლი ხოლმე რა ნერვებს, — უთხრა ყურთან ძალიან ჩუმად და ტუჩებით, ნაზად მიედო მის ლოყას, მიასუნთქა კოცნა.

— არა, პატარა გაგიჟდი? — თავზე მოეფერა ფარნა, — იდიოტური ხუმრობა ვიცი ალბათ, და გამივლის, არ გამიბრაზდე, ხომ იცი შენ ვინ ხარ ჩემთვის და ფიდოც ვინაა, მაგრამ ფიდო მაოცებს, რატომ სძინავს ახლა ამდენი ხანი? ჭალაშიც რატომ ჩაეძინა? რაღაცა ხდება ლელი.

— რა უნდა ხდებოდეს სულელო, — თავი წამონია დამ. ლოყა ლოყაზე მიუდო ძმას და მერე ისევ მიეფერა, ისევ ისე უნაზესად და ტუჩების თხელი გაკოცნებით, ცხელი თავისი სუნთქვა ჩაუქროლა ყელთან და თავისი ტუჩები ძმის ტუჩებისკენაც ჩააცოცა. ნაზადვე აკოცა და თვალბიცი ჩაეხუჭა.

— რას აკეთებ ლელი? — დაიბნა ფარნა. დას ოდნავ ააცალა სახე.

— გკოცნი შტერო, — სანოლიდან წამოხტა გოგონა და გაიცინა, — გკოცნი.

ფარნასაც გაეცინა, უცებვე გაუქრა დაბნეულობა და ჩვეულებრივ განაგრძო, — რა ნათებაა ის თუ მართლაა რამე.

— მოიცა რა, — მუსიკას ტანი ააყოლა ლელიომ, — ან არის და ან არა, — ბიჭები სულელები ხართ, — თქვა ისევ გალიმებულმა, — ფიდო ფანტაზიორია, მწერალი რომ გამოვიდეს არ გამიკვირდება.

— მე ვუთხარი პოეტი ხარ-მეთქი.

— ფიდო პოეტი? — თმები ჩამოისწორა დამ, — რა მაგარია... მოგწონს ასე? თუ შევიჭრა?

— აუ მამა ნიუ-იორკში მიდის და ჩვენ მთელი ზაფხული აქ ვრჩებით, — სხვათაშორის თქვა ფარნამ, — არა გქონდეს ეგრე, გიხდება, ხელი არ ახლო თმებს, ძან მაგარი სიმღერაა ეს ლაილაიქ ვაინ, ძან მაგარი. — ისევ გადაწვა ლოგინზე. — სულ დაგიჭმუჭნე ზენარი.

— არაუშავს, — ფანჯრის რაფას დაეყრდნო გოგონა, — მამა თორმეტში მიდის, ახლა, ჩემ თორმეტ ივნისს. სექტემბერში აქ იქნება, აგვისტოში იქ. ჯერ ფიდომ უნდა ჩააბაროს... უჰ კაია, მთელი ზაფხული თავისუფლება.

— ჩააბარებს. ეგ ისეთია ჩააბარებს.

— აბა რა, — და უეცრად ლელიოს, თითქოს მოესმარა რამე, სხეული შეუთრთოლდა და მუცელში ისევ იგრძნო, ის თავისი ელდანაცემი მარწუხი. მოეჭიმა შიგნეულობა.

— რა იყო? — გაეჭვებით გახედა ძმამ.

— არაფერი, — შებრუნდა ლელიო და ეზოში ფარდებშორიდან გაიჭვრიტა.

შემოსასვლელ ჭიშკართან გიგლა იდგა ბურღით ხელში. მამამისს ელაპარაკებოდა.

— ამის მერე დევიდ ბოუი ჩართე ოქეი? — თქვა

ფარნამ.

— მოიცა რა ბოუი, — ფანჯარას დაფეთებული მოცილდა ლელიო და ძმას მიეკრო მაგრად.

— რა იყო გოგო, გიკბინა რამემ, — ფანჯრისკენ გაიხედა ძმამ. წამოდგომა სცადა, მაგრამ დას მაგრად წაევლო მისთვის ხელი, — გამიშვი, რა გჭირს.

— არაფერი, რა სულ რალაცეები გელანდება, აუნე მუსიკას.

— აუნე, დაუნე, მე მელანდება რამე? — გაიბღვირა ფარნა, — ან ფიდო არ გავალვიძოთ? მერე ღამე ველარ დაიძინებს. ჩავედი მე და ჩამო შენც...

ფიდოს სიზმარში კი ჩამოლეულიყო ის უცნაური წვიმა. ახლა მთა ესიზმრებოდა და ვეებერთელა თეთრი მწვერვალი მისი. მთაზე იდგა სიზმრად და იქიდან გადაჰყურებდა ქედებსა და სოფლებს, მთებსა და ტყეებს, მიკლაკნილ გზებსა და მდინარეებს და აქაც ასე იყო, როგორც ნანვიმარ სიზმარში, უსხეულო თითქოს, თითქოს მოფენილი მთელ იმ თვალგანუნვდენელ დედამიწას წინ რომ გადაშლოდა, დედამიწის ამოზურცულ ზურგს, ზედშემდგარი რომ ეფინებოდა ფიდო, უშფოთველი და წყნარი სუნთქვით.

სხვა მთაზე მოუნდა გადასვლა და იქით გადაფიქრებისთანავე იქვე აღმოჩნდა, ტყეში მოუნდა და ტყეში გაჩნდა, მდინარესთან მოუნდა და იდგა მდინარესთან და სიზმრადაც კი ეგრძნობებოდა ჭალაში მოვლენილი თანაგრძნობა, თითქოს თვითონვე იყო მდინარეც, ტყეც და მთაც და ყოველი მწვერვალი მისი, დიდი და ცივი სიჩუმე მისი, ღრუბლები

და ასე დაახლოებული ცა ღრუბლების თავზე და მათ ქვემოთაც, თვითონვე იყო ჰაერიც და ჰაერშივე აშლილი თითქოს უსასრულობა, უსაზღვრო, უკიდევანო, რალაც სივრცე და სივრცეში ჩაყოლილი სოფლები და გზები, ქალაქები და ხალხიც ამ ქალაქებში, ქუჩებითა და ხიდებით, მანქანებით, თვითმფრინავებით, გემებით ზღვების სანაპირობთან და მატარებლებით ლიანდაგებზეც, თვითონვე იყო ქარიც და ქარს ადევნებული ფოთლებიც და წელიწადის დრონი და დღედაღამენი და ვარსკვლავები, სიზმარი მიაფრენდა მის სამშვინველს და ფიდოსაც ეგრძნობოდა მისი ეს მდორე ფრენა, თითქოს ისევე ბუნებრივი და ჩვეული იყო, როგორც ძმასთან ერთად ჭალაში წოლა და მწყერების თვალთვალი, დიკენსის რომანის კითხვა და ჭიდან ამოტანილი ცივი წყლის დაღვევა, როგორც საერთოდ სუნთქვა და სიარული, ალუბლის გემო, ნაყოფის თხელი კანი, რომ შიგ იტევდა მომჟავოდ მოტკბო ხილის მწიფე სიმძიმეს, თითებს ოდნავ მოუჭერ და სკდებაო, როცა ეუბნებოდა ძმას, ჩვეული იყო, როგორც ფუტკარი ენაფება ყვავილის მტვერს და ისიც გასცემს თავის ნექტარს და უკან არაფერს ითხოვს სანაცვლოდ, ჩვეული იყო როგორც მამამისის და დედამისის სიახლოვე და თავისი დის სიახლოვე და საერთოდ, მთლიანი მისი ჯერ აუხსნელი, მაგრამ ასე ახლობლური შეკავშირება ყოველ ცოცხალ არსთან და ქვებთან, მიწასთან და სხივებში აცეკვებულ მტვერთან. ის ახლა, ჰამაკში ჩანოლილი, სიზმარს მიჰყვებოდა და ფრენის ასეთი სასიამოვნო სიმ-

სუბუქით ვერც დედამინის მიზიდულობას გრძნობდა, ისე ატივტივებულიყო, როგორც ირაოზე შემდგარი, ცაზე მოტივტივე ფრინველი, სიმაღლის შიში რომ უცხოა მისთვის და თავისუფალია მუდამ. ჩვეული იყო ყოველივე სიმბოლო, შემოსიზმრებული და აღსატაცებელიც იმავსიზმრიერად და იმავნამიერად, მიჩვეულობა ესე და ბუნებრივობა, აღიტაცებდა და აღაფრთოვანებდა მის განსიზმრებულ სამშვინველს. ეს უდროობა და უდროობის ასე ცოცხალი შეგრძნება, ახლა რომ ერთნაირად იგემა მძინარე ფილომ, თითქოს ძილში შეიმეცნა, აღფრთოვანებაც და შეჩვეული მისი მოულოდნელობა, ამ მოულოდნელობის მთელი ბუნებრივობა სიზმრად გაუცნობიერდა, ...რალაც უმანძილო, შიშისა და გაკვირვების გარეშე მოახლოებული რალაც საშინელი და საკვირველი, თითქოს ერდროულად ცხელიც და ცივიც, ერთდროულად გასაგებიც და აუხსნელიც, სასიხარულოც და გულდასაწყვეტი, შორიც და ახლოც, უსასრულოდ ახლო მის ჩაძინებულ არსობასთან და სამუდამოდ განფენილი მის ირგვლივა სამყაროში, როგორც უხილავი და თან ხილული რამე აშკარა და დაუჯერებელი, მიმზიდველიც და უკუმგდებიც. განთავისუფლებული.

ფილომ გამოიღვიძა.

თვალეები აახილა და ტოტეები დაინახა, ნელ-ნელა, სხივებგამჭვირვალე ზემოდან რომ ჩამოუდგა და ალუბალ-შაშვით ჩამოეფოთლა.

ჯერ ნანახით გაბრუებული ადგომას არ ცდილობდა და ინვა, ჯერ კიდევ შუადღიდან სალამოს-

კენ შედაისებულ ძილბურანში, მსუბუქად და თითქოს კიდევ უნონოდ, ჰამაკში ჩაკიდული.

თავი დაბუყებოდა და სხეული. წიგნი ფერდთან ჩაცურებოდა, ხელი მოკიდა, გაიღიმა და მიმოიხედა.

გვერდით ფარნა და ლელიო ედგა. ისინიც მომღიმარნი.

— ამდენი რომ გეძინა ლამე რა უნდა ქნა? — თქვა ფარნამ.

— ლამე, — ჩუმად გაიმეორა ფილომ, — რა სიზმრები ვნახე იცით?

— შენ სულ მაგარ სიზმრებს ხედავ, — თქვა ლელიომ, — ჩვენ არ გვანახებ? ადე დროა, მამამ მწვადები უნდა შევწვათო, ფრენდი ჰო?

— სიზმარში ვის არ უფრენია, — თავი წამოყო ფილომ, ჰამაკიდანაც ძლივს ჩამოვიდა დაკრულიყო თითქოს ზედ, — სიზმარში ყველა ფრენს, მაგრამ დღეს ძალიან ძალიან ძალიან უცნაური დღეა, — თავზე მოიკიდა ხელი.

— სახე დაიბანე და წამო, უცნაური ხარ შენ თვითონ, — შებრუნდა ფარნა და იქვე დადებული ცული აიღო, — წალამი უნდა დავჭრათ, გაინძერი.

ლელიო ფილოს უყურებდა.

— რა? — თქვა ფილომ.

— არაფერი, — გაუცინა ლელიომ, — საყვარელი ხარ.

— შენც.

— შენ უფრო. ჯენი უნდა დავარქვა პუდელს.

— დაარქვი.



— რა დაგესიზმრა?

— ოოო, — თავი გააქნია ფიდომ, — მერე გეტყვი, — სახე მოისრისა და გაიზმორა. დაამთქნარა, — დედა რა უცნაურია, — გაიჭიმა წელში და ფარნას გაჰყვა ფარდულისკენ, სადაც შეშა იყო შეწყობილი და იქვე ლერწამს აგროვებდა მამამისიც.

— აჰა, ამდენი ჯერ საკმარისია, — თქვა მამამ, შვილებს ლერწმების დიდი გროვა დაუდო, — ფრთხილად დაჩეხეთ, საშუალო ზომის ნაჭრებად, მე დავანთებ მანამდე, — იქვე, ეზოსა და ბაღის გასწვრივ, ჰამაკი სადაც ეკიდა ჭასთან, ირაკლიმ აგურები დაანყო და შეშა. კოცონი დაანთო და ცეცხლთან დადგა. ცას ახედა.

დაისი ქედებზე მშვიდდებოდა და ღრუბელიც თან მიჰყავდა, უკვე რომ მონმენდილიყო ცა და საღამოს ბინდებს იფენდა ტანზე, კარგია წვიმა არ იქნება, გაიფიქრა და შამფურზე ხორცის აცმა დაიწყო.

— არ შეჭამ? — ძმას უთხრა ფარნამ, — გაინიე, — კუნძზე ლერწმები ერთად დადო და ცული დაკრა.

ფიდომაც აიღო ერთი ლერწამი. გადატეხა, — არ ვიცი ჯერ, შევჭამ, არ შევჭამ, ვერაფერს გეტყვი.

— კაცმა რომ გკითხოს ყველაფერი იცი.

— სისულელეა, მე არაფერი ვიცი, მინდა რომ ხორცი არ შევჭამო, მაგრამ ვნახოთ, მართლა მეცოდებიან ცხოველები, განა გატყუებ.

— მესმის, მაგრამ ზოგი ცხოველი ჭამეთო ხომ თქვა ღმერთმა.

— კი თქვა, მაგიტომაც არ ვიცი რას ვიზამ.

— მე ვბანაოოოო, — თითქოს ყველას გასაგონად თქვა ლელიომ და სახლში შევიდა.

— იბანავე, არავინ შემოგივარდება, — მიაძახა დედამ, — განა გაცხელდა წყალი?

— კი, — კარი მიიხურა ლელიომ. დედამ კი ის ბოლო გამშრალი სკამიც გამოიტანა აივანზე და იქვე დადო, — ირაკლი! — გასძახა ქმარს, — რაო გიგლამ? მოვალო?

— არ ვიციო, — შორიდანვე უპასუხა ირაკლიმ, — ვილაცეებს გაყვა სადღაც, თუ მალე მოვრჩი მოვალო, — და ფარნას მოტანილი დაჭრილი ლერწმები, კოცონს დააყარა, — მიდი კიდე მოიტანე. ფიდო! შენ ჩემთან მოდი, გასწავლო უნდა შამფურზე აცმა. ფიდო მამასთან მივიდა.

— გამომართვი, — შამფური გაუნოდა მამამ, — და მიყურე, აი ასე, გრძლად, ხედავ?

ფიდომ ხორცის ნაჭერი აიღო და შამფურს ააცვა.

— ჰო აი ეგრე, — შეხედა მამამ, — გრძლად, აი ასე, გაშალე.

და ლელიო კი, კარის მიხურვისთანავე გაეგო რა მამის ხმა გიგლა შეიძლება მოვიდესო, სწრაფად შეხტა აბაზანაში და წყალი მოუშვა.

— დღეს ცოტა ატენური უნდა დაგაღვივინოთ ორივეს, — თქვა მამამ, — სამი ჭიქა მეტი არა, მეფეა ღვინოების.

— მა, ამერიკა გადაწყდა ჰო? — თქვა ფიდომ.

— Yes sir, გადაწყდა ნიუ-იორკი! ვიზა, კონსული, საბუთები, ბილეთები, თემა, ყველაფერი წესრიგში აქვს მამათქვენს, — ხორციანი შამფური დადო

ირაკლიმ და ახალი აილო, — კონფერენციაა დიდი, უშველებელი, დღეს წერილები კიდევ მივიღე. მალე იქ უნდა ვიყო.

— როდისაა დანიშნული?

— მონაცვლეობითაა, სხვადასხვა თემაზე სხვადასხვა დღეს, მთელი ზაფხული იქ ვარ.

— აუ ნასაში რომ იმუშაო რა, მაგარია...

მამას გაეღიმა, — შეიძლება, რატომაც არა, — წამოაცვა ისევ ხორცი, — მანახე, ყოჩაღ კარგია, — უთხრა შვილს, უკვე რომ შამფურზე ფიდოსაც შეევესო ხორცის აცმა და ახალს იღებდა ისიც, — ფიზიკა წარმოუდგენლად უსასრულო რამაა მამა, — თქვა ირაკლიმ, — წარმოუდგენლად ორგანიზებული ცოდნაა.

— რისი ცოდნაა, — იკითხა ფიდომ.

— ყველაფრის, როგორც შენი ადგილის ამ სამყაროში, ისე მთლიანად სამყაროსი შენში.

— შენ სულ მუშაობ, არ ჩერდები, როცა გძინავს არც გძინავს ჰო? ზვიგენებიც ასე ყოფილან არ ჩერდებიან სულ მოძრაობენ, ჟირაფებიც სულ მოძრაობენ, ჭიანჭველებიც და ტერმიტებიც.

მამას ისევ გაეღიმა, — ეგრეა, — დაეთანხმა შვილს, — მეცნიერებაში არ არსებობს დასასრული, ის მუდამ უსასრულობას ესწრაფვის, ის ერთია ყველასთვის, არ არსებობს ფილო რაიმე კერძო ამბავი, კერძო აღმოჩენა, რომ ის ყველასთვის არ იყოს, მთელი კაცობრიობისთვის, როგორც ცაა ყველასთვის და დედამინა, პლანეტები, გალაქტიკები, მთვარე ჩვენი და მზე, როგორც ყველასთვის

ანათებს ასევე არ არსებობს ქართული ან იაპონური ან ინგლისური გამრავლების ცხრილი, არ შეიძლება იაპონურად სამჯერ სამი შვიდი იყოს, სამჯერ სამი ყველგან ცხრაა... თუმცა იაპონელები ისეთები არიან მაგათგან არაფერია გამორიცხული, ეს ისე ხუმრობით, მაგრამ უთვალავად ბევრი განზომილებაა სამყაროში და საინტერესოც ეგაა, ფიზიკის კანონები ყველა სხვა განზომილებაში ერთია თუ არა..

— და ღმერთი ფიზიკოსი უფროა თუ არქიტექტორი? — შამფური დაუშვა ფიდომ.

— ღმერთი ღმერთია, — მამამაც დაუშვა შამფური, — გადამრევ შენ, ფიზიკოსიცაა და არქიტექტორიც, მუსიკოსიც და პოეტიც, და კიდევ უთვალავი რამ ჩემო ფიდო, უთვალავი მიზეზია სიცოცხლისა და ამ სიცოცხლის საიდუმლოსი.

— და არსებობს? თქვენ ხომ მას ეძებთ სინამდვილეში.

— გააჩნია როგორ შეხედავ. თან საქმე, — ისევ წამოაცვებს ხორცები, — ყველაფერს გააჩნია ფილო, უთვალავი განმარტება არსებობს ღმერთისა, პირადად მე თაყვანს ვცემ ღმერთს როგორც ჭეშმარიტებას. აბსოლუტში არაფერი ამყავს. ვნახავთ. ადრე თუ გვიან ყველაფერს გავიგებთ და ისეთ მსოფლიოს შევქმნით სადაც ასეთი კითხვები აღარ გაჩნდება და ბევრი რამ აღარ იქნება ისე როგორც დღესაა, მაგრამ მანამდე... ო, მანამდე, ბევრი ამბებია ფილოვ ჩემო. მანახე...

ფიდომ შამფური დაანახა.

— ერთიც ნააცვი და მეტი აღარ უნდა, — თქვა

მამამ, — ადვილად ითვისებ ყველაფერს, — ცეცხლში შეშა და ლერწმები შეანჯღღრია, — აი ცეცხლი მაგალითად. საიდან ჩნდება როგორ გგონია?

— სადაც ქრება იქიდან, — მიუგო ფიდომ.

— სწორედ ეგრეა განზომილებებიც, სწორედ მას ვიკვლევ მეც.

— მე კი ისეთ სიზმრებს ვხედავ...

— ვიცი. განა მარტო სიზმრებს ფიდო?

ბიჭმა თავი დახარა, — რა მომდის ხოლმე მართლა არ ვიცი, — ფეხი გაუსვა მიწას, — თუნდაც დღეს, იქ ქალაში რალაცა მომივიდა თითქოს... მოგსვლია ეგრე?

— როგორ მამა?

— აი თითქოს უცებ მიხვდები რამეს, რალაცნაირად ყველაფრის თანამგრძნობი ხდები, მაგრამ ეს შენი წამიერი მიხვედრილობა უცებვე გტოვებს და ყველაფერი გავიწყდება, მაგრამ თანამგრძნობა კი გრჩება, არც ვიცი ამ სიტყვას სწორად ვამბობ თუ არა.

— მოდი აქ.

ფიდო მამასთან მივიდა. ირაკლიმ ხელები შემოხვია შვილს და თავზე აკოცა, — ყველაფერი ფიდო, საერთოდ ყველაფერი კარგად იქნება, სამყაროში ყველაფერი რეალურია და ამ რეალობას არაფერი ემოქრება, არარეალური რამ კი არ არსებოს, — უთხრა და თავზე დაადო ხელი, — ყველაფერი კარგად გექნებათ, შენც და ფარნასაც და ლელიოსაც. ფარნა! — გასძახა ფარდულისკენ, — მოიტანე ეგენიც, საკმარისია.

ფარნამ დაჭრილი ლერწმები ორივე ხელით წამოიღო და კოცონის გვერდით დაყარა.

— ჩაინვება ესეც და მაგარი ნაკვერჩხალი გვექნება, — თქვა მამამ, — ლალუჩები!?

— მე ყველაფერი მზად მაქვს, — მაგიდასთან იდგა დედა, — მანდ გავშალოთ ჭო?

— აბა რა, — თქვა მამამ, — მიდით მაქსიმუსებო მაგიდა აქ მომგვარეთ. მაქსიმუს დეციმუს! მაქსიმუს ოპტიმუს! შეასრულეთ ბრძანება!

— ავე კესარ! — ხელები აიშვირეს ფარნამ და ფიდომ და ერთად წავიდნენ მაგიდის გამოსატანად. ირაკლიმ ხორციანი შამფურები დააწყობა და ხახვის დაჭრას შეუდგა. ნაწილი მერე შევწვავთ, დაეფიქრა ქვაბში დარჩენილ ხორცებს და ზედვე მიწყობილ ცარიელ შამფურებს, თან განაგრძობდა ფიქრს, ფიდო მართლაც და როგორ გრძნობსო სამყაროს, პატარაა და რეებს მეკითხება, ან ცეცხლზე რა სხარტი პასუხი გამცა, სუფიებს შემურდებათო, ხახვს აჭრიდა ქვაბში დატოვებულ ხორცის მომცრო ნაჭრებს და ფიქრი მისი ისევ შვილებისკენ მიექცეოდა, მართლაც ალბათ დიდი უბედურებაა არ აკეთებდე იმას რაც შეგიძლია და იმას შეეჭიდო რის გაგებაშიც არ ხარ და საერთოდ დიდ ილუზიაშია ჩაფლული მთელი ჩვენი სამყარო, ესკიმოსებს თბილი ბინები ეძლევათ და შრომა ევალებათ, რათა ფული იშოვნონ მაცივრების შესაძენად, აი დღევანდელი სამყაროს სიგიჟე, ამ სიგიჟის მოდელი და ცხადია ომი, ომი ყველგან, ომი ყოველთვის, ომი ყველაფრისთვის, ომი ყველაფრის გამო და ყველა-

ფრის სახელით, ასეთ მანკზეა უამრავი, უთვალავი ადამიანი დამოკიდებული, ალყა-ალყა აჭრიდა ხახვს და თან კოცონისკენ ეჭირა თვალი, სადაცაა ჩაინვება და ილივლივებსო ჩვენი ნაკვერჩხალი. ჩემი შვილებივით არიან, ჯერ ლივლივებენ ისინიც, მერე უცებვე გაღვივდებიან და აინათებენ მართლაცო, დანა წყალში გაავლო ირაკლიმ და ქვაბთან დადო, ხელებზეც დაისხა წყალი და გაფიქრდა ისევ, თუმცა რა ვუყოთ ფიდოს, იმშრალებდა ხელებს, მართლა ვინმე ფსიქოლოგი ხომ არ ვნახო, თუმცა რა ფსიქოლოგი ამიტყდა, ხოშიანად აზრზეა ბიჭი, ვნახოთ ცოტაც და თუ რამეა ვიზამ რამეს, მართლა ასე ხომ არ დავტოვებ, ან გაუქრება ან გაირკვევა რა და როგორ...

ლელიო აბაზანიდან გამოვიდა. ზერელედ გადაივლო წყალი, ისე რომ თავი არ დაუბანია, ტანი შეიმშრალა და თავის ოთახში ავიდა პირსახოცზე მოხვეული. კარადა გააღო, კაბებს მოავლო მზერა. ერთ-ერთი გამოიღო, გრძელი შინდისფერი კაბა და ლოგინზე დააფინა.

— ლელი, — ეზოდან ასძახა ფარნამ, — გამოიხედე რა თუ მანდა ხარ.

— რა იყო, — ფანჯრიდან თავი გამოყო დამ.

— მალე მორჩები?

— რაა რო?

— მალე მორჩები? მითხარი.

— რას მოვრჩები მალე.

— რალაცას. რა ვიცი მე. აქ საჭირო ხარ, ჩამო რა.

— კაი, — შენია თავი ისევ.

ფიდო კი მამას ჩაჰყვა მარანში და ბოციდან დოქებში ღვინის გადმოსხმამი მიეხმარა. მინაში ჩაფლულ ქურებსა და ქერიდან ჩამოკიდებულ თაროებსა, ხაპებსა თუ რკინის კანჭებს, მარნის გრილი სიმყუდროვე მოსდებოდა, ნოტიო ნახევარბნელის ქვისავე კედლებით, სადაც ხის ტაბლა იდგა და ზედ ბოცა დაყუდებულიყო. ძაბრით დოქებში ჩაასხეს ღვინო და გარეთ გაიტანეს. ფარნა ნაკვერჩხალთან ჩაცუცქულიყო, მწვადებს დაჰყურებდა, როგორ იწვებოდნენ შამფურებზე აშიშინებულნი, წვენი რომ გასდიოდათ და მადიანად იორთქლებდნენ შემწვარ სუნს.

ლელიო კი, თავის შინდისფერ გრძელ კაბაში აპრანჭული, სარკის წინ დატრიალდა და ხელები შეაქნია, თმები ბოლომდე ჩამოიშალა და სახელოები აიკეცა. სანდლები ამოიცვა, თასმები წვივებზე აიკრა და კიბეებზე ჩაირბინა. გავიდა ეზოში.

— აბა? — გაიხედ-გამოიხედა, — რა ვქნა?

— ესენი წაიღე, — თქვა დედამ. პურზე და თეფშებზე მიუთითა და სალათს მწვანილი ჩააჭრა, — მერე მოდი და ესეც წაიღე.

პურები, დანაჩანგალი და ხელსანმენდები ერთ თეფშზე დადო, თვითონ ეს თეფში კი სხვა თეფშების ასხმას დაადო, ქვემოდან მოკიდა ყველაფერს ხელი და სირბილით მიიტანა მაგიდამდე.

— ნელა არ გაგივარდეს, — თქვა ფარნამ, მოქნეული ცული კუნძს დაასო.

— წინ იყურე, არ გამივარდება, — სათითაოდ გადმოიღო თეფშები ლელიომ და მაგიდაზე ჩაამ-

წკრივა ერთმანეთის მიყოლებით. გადათვალა და გულზე მოეშვა, ესეიგი გიგლასთვის თადარიგი დაუჭერიათო, გაეფიქრა და დანაჩანგალიც ყოველ თეფშს მოუნყო, ორად გადაკეცილი ხელსანმენდებიც ამოუდო და დედამისს გასძახა: — ახლა სკამები ჰო?

— რათქმაუნდა, — თქვა დედამ და სალათის შეკმაზვას როცა მორჩა, სკამებიც აივანზე გამოაჩოჩა, — ყველა წაიღე, წითელზე მამაშენი ზის, ლურჯებზე ჩვენ.

მაგიდას თეთრი გადასაფარებელი ეფინა. ლურჯი სკამები გარშემო ედგნენ, ერთადერთი წითელი სკამით მაგიდის თავში და ზედ მაგიდაზე კი გაშლილიყო სუფრა, გრძელი შოთები, ღვინო, სალათი, მწვადები, რომლებიც შამფურებზევე დარჩენილიყვნენ აშიშხინებული და წვას იორთქლებდნენ საზაფხულო სალამოსთვის გაშლილ სუფრაზე.

კერძს მშვიდად შეექცეოდნენ, საქმეებისგან უკვე დასვენებულნი, ჭის წყლით სავსე შუშის ჭიქები, ღვინის ჭიქებთან ერთად ირეკლავდნენ ნაკვერჩხალის თითქოს ათინათს და ფიდოც გაკვირვებული დასცქეროდა თავის თეფშზე დადებულ მწვადის ნაჭერს, მიდი ფიდუშ, რას დასცქერი, რა გოცებული დაჰყურებო, ეუბნებოდა მამა, თვითონ კი არ ჩაგისტება პირში, მიდი ჰა რალას ელი შეჭამეო და ფიდომაც მოკბიჩა ხორცი. შეჭამა.

არ უგრძვნია განსაკუთრებული ზიზღი ან შიში, ეგემრიელა ხახვმოყრილი და ღვინომოსხმული მწვადი და გაიფიქრა, ვეგეტარიანელობა ალბათ

ცოტახნით უნდა გადავდო, და გავაცნობიერო ყოველივე ჩემთავს მომხდარი ამბავიო. თორემ ცხოველები მეცოდება როგორ არ მეცოდებაო.

— რას იტყვი? — გვერდით ეჯდა ფარნა, — როგორია?

— გემრიელია, — ლუკმას ლეჭავდა ფიდო.

— საქმეც ეგაა, შენ კი ესაო ისაო, ჭამე რა.

— რატომ ესაო ისაო, — თქვა ირაკლიმ, — მაჰათმა განდის აშრამში მხოლოდ ნაყოფებით იკვებებოდნენ, მაგრამ ჩვენ ინდოეთში ხომ არ ვართ, გაგვიმარჯოს ხალხნო, დიდება და მადლობა ღმერთს, — დალია ღვინო და ისევ იკითხა, — რაო ფარნა? ფიდოზე ხდება რამე?

— ფიდომ თქვა ცხოველები მეცოდებიან და აღარ შეეჭამო მაგათ, არც მცენარეებსო, მხოლოდ მათ ნაყოფს. ესეც შენი განდიზმი.

— როგორც გინდა ისე ქენი ფიდო, — ფიდოს მიუბრუნდა მამა, — მაგრამ ზუნება ეგრეა აწყობილი, თუ არ გინდა ნუ შეჭამ, მაგრამ ყველა ყველას ვავსებთ ამ სამყაროში, ჩვენც ხომ ოდესღაც მიწად ვიქცევით.

— ირაკლი, — თქვა ლალიმ.

— კაი რა მოხდა, — ხელები გაშალა ირაკლიმ და სუფრას გადახედა, — ყველამ დავლიეთ?

შვილებმა თავი დაუკრეს.

— ახლა მეორე, ერთანმინდას გაუმარჯოს და ჩვენ სახლს. ჰო სასწაული ღვინოა?

— ძაან, — თქვა ლელიომ და ფიდოს შესხედა. ის მამას უყურებდა, თითქოს ვანყენინეო რამე,

ეფიქრებოდა თვალბში.

— შევავსეთ? — ჭიქა ასნია ირაკლიმ, — გაუმარჯოს, — მიაჭახუნეს და შესვეს, — როგორი გემო აქვს არა ატენურს? გამჭვირვალე, სუფთა, შხეფე-ბიანი სხივებითაა თითქოს სავსე, რაო ფიდო რას მიყურებ? ისე დასანანი კი იქნებოდა რომ არ გაგესინჯა, ბოლო ბოლო შენც იშრომე კერძისთვის, მაგრამ თუ ოდესმე მართლა გადანყვეტ, რომ ხორცს აღარ შეჭამ, ჯერ მე მითხარი.

— კარგი, — გაელიმა ბიჭს და ისევ მოკბიჩა მწვადი.

— როგორ ზიხართ ჩემს სკამებზე? — იკითხა ლალიმ, — სალათი ძალიან წინაკიანი ხომ არაა?

— არა, ხოშიანია, — თქვა ირაკლიმ, — და სკამებიც კარგია ლალიკო, თითქოს ღრუბლებზე ვსხედვართ, ხის კია, მაგრამ ფერადი როა რაღაც სხვანაირია. სანამ ცხელია მიანექით, ფარნა ბატონო, ლელიო, შენც გეხება ეს. ჭამეთ რა.

— კი, კი, აი, — თქვა გოგონამ და ჩანგალი ჩაარჭო ხორცს.

— არ გაგასუქებს ნუ გეშინია, — უთხრა ფარნამ.

— მზიანი დარი იყო, — თქვა ლალიმ, — მალე გაშრენ სკამებიც.

— აბა მესამეც, — დოქი აიღო ირაკლიმ, ყველას შეუვსო და თავისთვისაც დაისხა, — ახლა ლალის გაუმარჯოს, ლალი დიდებულო ლალი, გაგიმარჯოს, ჩემო ცოლო და დედაო ჩვენო.

დალიეს.

— თქვენ მეტი აღარ, — ჭიქა მაგიდაზე დადო მა-

მამ და დოქიც ახლოს დაიდგა, — თუ გიგლაც მოვა ამ დოქებს ჩვენ დავცლით.

და მამის ნათქვამზე ისევ გასუსხა ლელიოს, რას ქვია თუ გიგლაც მოვაო, აბა არ მოვა? ჭიშკრისკენ გააპარა თვალი, კაბა მუხლებზე ჩამოისწორა და წყალი მოსვა. სხეული შეუხურდა იმ ნაცნობი თავისი მხურვალებით და ტერფებზეც წაენინკნა სიცხე, სახლისკენ გაიხედა და ალუბლებისკენ, ხომ არ შემეტყოო რამე, მაგრამ დაიბნა და ჩანგალი გაუვარდა, თეფშზე დაეცა, — ბოდიში, — თქვა უმისამართოდ, დედა რა შტერი ვარ, ყველაფერი მეტყობა, დედა რა შტერი ვარო, კარგა სიღრმეში შეუცხელდა ფიქრი და მთელი სახით იგრძნო როგორ შეენითლა ლოყები, — ხილი უნდა ვინმეს? — რაღაც უაზროდ წამოხტა სკამიდან და არც არავის პასუხს დალოდებია ისე გაიქცა აივნისკენ, — გინდათ გინდათ, ახლავე მოგიტააანთ.

— რა დროს ხილია, — თქვა ფარნამ.

— ისე რატომაც არა, — თქვა დედამ, — ჯამშია, მოიტანოს, გართულება ჭირს ამ ხილებზე, ვერ ხედავ რა ატეხილია თუ სუფრაზე ხილი არაა, — გაიცინა ლალიმ, — ოჰ ლელიო ლელიო.

ლელიომ აივანზე, ვაშლებითა და ატმებით სავსე დიდ ხის გობს სტაცა ხელი და წამში მოაქროლა სუფრაზე, — აი, — დაჯდა და წყალი დალია თუ არა ისევ ჭამა განაგრძო, — ფარნა, ცოტა სალათი და მწვადი ერთი ნაჭერი რა, — თეფში გაუნოდა ძმას, — ეს რა არის? ამხელა არ მინდა, აგე ის, პატარა.

ფარნამ ხორცის მომცრო ნაჭერით შეუცვალა

ძველი და ერთი გრძელი წინაკაც დაუდო თეფშზე,  
— აჰა, განყოფს ასე?

ვაიმე, წინაკა რატომ დამიდო, უფრო გაენვა ფიქრი, რას ნიშნავს წინაკა? რას მანიშნებს წინაკა? ყუნწზე მოკიდა ხელი და უკან დააბრუნა, — მე ეს არ მითხოვია, — უთხრა ძმას და წამოიყვირა, — მოდი რამე ვითამაშოთ!

— მოვრჩეთ ვახშამს და ვითამაშოთ, — თქვა მამამ, — რა ვითამაშოთ?

— გამოცანები.

— ვითამაშოთ გამოცანები, — მობილურს დახედა ირაკლიმ, — ვის გამოცანასაც გამოვიცნობთ, იმან სურვილი აუსრულოს იმას ვინც გამოიცნობს.

— კარგი.

ირაკლიმ თავის ტელეფონში ნომერი მოძებნა დარეკა და ყურზე მიიღო.

— პირველი მე ჩავიფიქრებ, — თქვა ფარნამ.

— ჯერ ჭამეთ, — ბრძანა დედამ.

— თან ის და თან ეს არ შეიძლება?

— კარგით ჰო, თითები გაინმინდა დედამ, — შეიძლება, მიდი ფარნა გვითხარი.

— გიგლა სად ხარ? — ტელეფონში თქვა ირაკლიმ, —...კარგი ძმობილო, გელოდებით, — გათიშა და ჯიბეში ჩაიღო.

— რაო, — იკითხა ლალიმ. ლელიომ ყურები ცქვიტა.

— მოვალო. მიდი ფარნა ჰა, — მოსასმენად მოემზადა მამა და ლელიოსაც ჩაუცხრა ლოყების სიცხე. ფარნამ ლუკმა გადაყლაპა, წყალი მიაყოლა და

თქვა, — დაამთავრეთ ფრაზა, ხამს სიყვარული მოყვრისა, უხვისა...

— უშურველისა, — ყველას დაასწრო ირაკლიმ.

— ეგ რა გამოცანაა, — ისევ ფეხზე ადგა ლელიო.

— დაჯე რას წამოვარდი, — უთხრა მამამ.

ლელიო დაჯდა: — აბა ეს რა არის, ის კაცისთვის იგივეა რაც სურნელია ყვავილისთვის და ვისაც ის მონესრიგებულები აქვს, ცხოვრებაც კეთილმოწყობილი აქვს და თვითონ მისი ცხოვრება გამოსატყვევს, მისსავე...? აბა რას? გამოიცანით.

ყველანი ჩაფიქრდნენ.

ფიდომ და ფარნამ ერთმანეთს შეხედეს, — ბედი? — თქვა ფარნამ.

— რა შუაშია ბედი? — ხელები მკერდზე დაიწყო ლელიომ, — აბა, აბა, კიდევ?

— ჭკუა? — ისევ ფარნამ თქვა.

— არა.

— ხასიათი, — წამოიძახა ფიდომ, — ადამიანის ხასიათი.

— ვა საიდან მიხვდი? — გადმოინია ლელიო, — სწორია, ხასიათი. როგორ მიხვდი?

— შენ რა ფილოსოფიურ გამოცანებს ამბობ, — წარბები შეკრა ფარნამ.

— აბა შენ რომ ეგრევე შოთა რუსთაველი დააბრეხვე ეგ რა იყო?!

— ეგ რა შუაშია, მეთქი გამოცანაა... არა?

— კარგი ნუ იჩხუბებთ, ჩემი ჯერია ახლა, — თქვა ლალიმ, — ის არ ნიშნავს მხოლოდ სურვილს, ის წადილია იმად იქცე რაც არსებითად ადამიანი

უნდა იყოს, ის ყველასა აქვს და ყველა სულ რაღაცას...? აბა? ყველა სულ რაღაცას...? რას შერება?

— მემგონი მე ვიცი, — თქვა ირაკლიმ.

— გაჩე არ თქვა, იფიქრეთ, აბა?

— ისევ ფილოსოფია, — გაბრაზებით თქვა ფარნამ, — რამე სხვანაირიც გვითხარით, მაგას რა გამოიცნობს, სურვილს თუ არ ნიშნავს, მაგრამ ნადილია, ნატვრა გამოდის, რა ვიცი მე, ფილო რას ფიქრობ.

— ვერაფერს ჯერ.

— სწორი ხარ ფარნა, ნატვრაა, — თქვა დედამ, — ის ხომ ყველასა აქვს, ყველა რაღაცას ნატრობს, ყოჩაღ შენ კი გეგონა ვერ გამოიცნობდი.

— ჰე, — სკამის ზურგს მიეყრდნო ფარნა და ხელები მაგიდაზე დაანყო.

— თან ჭამეთ რა, გაცივდება და ჯანდაბას მერე... ჭამეთ, — თქვა ირაკლიმ, — ახლა მეც გეტყვით, საჭმელი ერთი დღისაო, ის კი ასი წლისაო. რა არის? სიმდიდრესაც ჯობია ის და ის ისეთი საუნჯეა, რომ თუ ვინმე მას მოგპარავს, თვითონ ვერ გამდიდრდება, მაგრამ შენ შეიძლება გაღარიბდე და ყველაფრის დაკარგვა გერჩივნოს იმის დაკარგვას.

— სახელი მამა, — ტაში შემოკრა ლელიომ, — ჰო სახელია?

— მართალი ხარ, გამოიცანი, ესეიგი, ყველამ ყველაფერი გამოიცანით, ა ფილო დარჩა, მიდი ფილო გვითხარი.

— ახლავე, — დაფიქრდა ფილო, — ჰო, აი, — ძმასავით, მანაც ხელები მაგიდაზე დაანყო.

— მოიცა მოიცა, — გაანყვეტინა დამ, — ყველამ კი არა, ფარნამ ჩემი ვერ გამოიცნო.

— ფილომ ხომ გამოიცნო რა გინდა მერე, — გაიკვირვა ფარნამ.

— ფილო ფილოა, შენ შენ, აი ეგრე.

— ო, — თავი შეაქნია ფარნამ და ხელები დაუშვა, — მიდი ფილო...

— მისმინეთ, — დაიწყო ფილომ, — სიტყვა ეკუთვნის საუკუნეს, ის კი საუკუნეებს, მას ვერ დაამარცხებს ვერც ომი და ვერც ვერაფერი თუ ის ჭკუით არ დამარცხდა და ის, სიტყვაში სწორად ჩაჯენილი, ბრძნულად ჩაჯენილი, არასდროს კვდება, არასდროს გაქრება. რა არის?

— აუ რა გამოცანებია, ტრაქტატებია გამოცანები კი არა, — ამოიოხრა ფარნამ, — ვკეცე ვკეცე ვერ დავკეცე მაინც გეთქვა...

ყველა ფიქრობდა და ყველა ირაკლის უყურებდა.

— რა ჩუმად ხართ? — თქვა ირაკლიმ, — მემგონი მე მივხვდი, შეიძლება?

— სცადე, — თქვა ფილომ.

— მემგონი აზრი. ჰო? მემგონი კი არა აზრი. ეგაა?

— ეგაა, — გაეცინა ფილოს.

— უჰ, — ამოისუნთქა ფარნამ, — ახლა როგორ მოვიქცეთ, ვინ ვის აუსრულებს სურვილს?

— შენ მე უნდა ამისრულო, — ძმას შეხედა ლელიომ.

— იცი რა? თქვა მამამ, — რადგან ასე აირია და კონკრეტულად არავისთვის არავის არაფერი უკი-



თხავს, მე ავიღებ თავზე და მე აგისრულებთ, ოღონდ რამე ლამბორჯინები და პარიზები არ მთხოვოთ. შევთანხმდით? ბოინგები არ დამინწყოთ ახლა და ნიუ-იორკში წაყვანები.

— შევთანხმდით, — თქვა ლალიმ, — მაშინ პირველი ჩემი თხოვნა იქნება, ყავა ახლა შენ გამიკეთე და ხვალაც შენ გამიკეთე, როცა მომინდება.

— კი ბატონო. კიდევ?

— მე ჯერ არ ვიცი, — თქვა ფიდომ.

— არც მე, — დაეთანხმა ძმა.

— ო რას გადამირჩი ფარნა?! — დაეჭყანა ლელიო, — მეც არაფერი მინდა ჯერ, პუდელს რომ მოვიყვანო მერე ვნახოთ.

— გადასარევი, — ადგა ირაკლი, — ყავას ახლავე მოგართმევთ თქვენო უმშვენიერესობავ, — ჩამოხედა ცოლს..

— თურქული. ორი კოვზი შაქარი, წყნარად და მშვიდად მოადუღე.

ირაკლი სახლისკენ წავიდა, ძმები ერთმანეთს რალაცეებს ჩუმად ელაპარაკებოდნენ, ნაკვერჩხალი თითქმის მილეულიყო ოდნავ ელივლივებოდა ტანზე დასიცხული ალმური, ხოლო ლელიოს კი სუნთქვა ეკვროდა, რადგან მათ ჭიშკარში უკვე შემოდის გიგლა.

თავი მეცხრე

## ჩარლი ასეულის ასმეთაური გიორგი სარდლიშვილი

3 სექტემბერი 2008

12 აგვისტოს რუსეთი კვლავ განაგრძობდა საქართველოს ტერიტორიების დაბომბვას. ქარელის რაიონი დაიბომბა და კასპი. ისევ გორი. სტალინის ძეგლს ხელი არ ახლეს, იდგა სიკვდილის მედროშესავით და ბომბა არ ეკარებოდა. დაიბომბა ბაქოსუფსის ნავთობსადენი მილი და მთლიანად კასპისა და ხაშურის რაიონები. მერე დაიწყეს ვერტმფრენებით ბომბების ყრა. ბომბებს პირდაპირ გზებსა და აუტობანებზე ყრიდნენ. ერთი ჭურვი სამგზავრო მიკროავტობუსს მოხვდა. ცხრა კაცი მოკვდა შიგ, აფეთქდნენ და გადაეფლითნენ მანქანებს. ახლა უკვე აფხაზეზმა, რუსეთის საავიაციო-სადესანტო დანაყოფებთან ერთად, ზემო აფხაზეთზე ისევ მიიტანეს იერიში და კოდორის ხეობაში ზემო და ქვემო აჟარა დაიკავეს, ორი პატარა სოფელი. ამ დროს რუსული ფლოტი, ჩვენს სანაპირო დაცვის ხომალდებს დაესხა თავს. დააზიანეს და ჩაძირეს ჩვენი კატარლები, მაგრამ მე მათი ავიაციის

ბომბები მაფიქრებდა. იცით ეს რა ბომბები იყო? ეს იყო ისკანდერ-/SS-26 რაკეტები. იცით ეს რას შვება? ეს კასეტური ბომბაა და უამრავ ქვეყანაშია აკრძალული, ეს ბომბა, ყველა მიმართულებით სკდება და დიდ რადიუსზე იფანტება. მაშინ ვიცოდით უკვე რომ რვა კაცი დაღუპულიყო და დაჭრილიყო თხუთმეტი სამოქალაქო პირი, მოხუცები, ქალები და ბავშვებიც. კიდევ ბევრი დაიჭრა სასიკვდილოდ, მათ შორის კიდევ ერთი უცხოელი ჟურნალისტი. მოგვიანებით შეიძლება გაარკვიეს რა ბომბებია ასეთი, მაგრამ მე მაშინვე მივხვდი ეს რაც იყო RBK-250, შეკრული ტიპის ბომბი, რომელიც შეიცავდა 30 PTAB 2.5მ ყუმბარას. შეგიძლიათ ეს წარმოიდგინოთ? ან რამხელაა ეს უბედურება და რა ემართება იმ ადგილს სადაც ის ვარდება და სკდება? იქ ალარაფერი რჩება ცოცხალი, იქ ყველაფერი ერთ ნაშენ ნადგურდება, გეგონებათ მინა შუაზე იხლიჩებაო და ზეცაც თავქვე გადმოეყუდაო ცეცხლმოკიდებული, შეზანზარებული და ჩამოშავებული ღრუბლებით. მაშინ რუსეთის პრეზიდენტმა, ბრძანება გასცა სამხედრო ოპერაციის შეწყვეტის შესახებ, მაგრამ ამ ბრძანების მერეც აგრძელებდნენ საქართველოს დაბომბვას. კიდევ რამდენჯერმე დაგვბომბეს და სალამოს, მგონი ოთხი საათისთვის, იმათი ჯარები უკვე მთლიანად შევიდნენ ქალაქ გორში. და უფრო სიღრმეშიც შეინიეს. დაიწყო მაროდორობა, ძარცვა და გადარჩენილი ადგილობრივი მოსახლეობის დატერორება. მე ჯერ საველე ჰოსპიტალში ვიყავი, მერე მიკრეს თავი თბილისში, რესპუბლიკურ

საავადმყოფოში. იქ ბევრი დაჭრილი კაპრალი და სასიკვდილოდ დაჭრილი ოფიცერიც ვნახე და ჯარისკაციც. ჩემებთან კავშირი სულ მქონდა, ჩემი მოადგილის მეშვეობით. რაზმაძე. სანდრო რაზმაძე. ერაყში ერთად ვიყავით, ლადო ქაშაყაშვილიც იყო, ის ჩემი რომანტიკოსი ოცმეთაური. მაშინ სხვა ბრიგადაში ვმსახურობდი. რაზმაძე ძალიან მოქნილი და ყოჩაღი ვინმეა. გაფიქრებაც კმარა, რომ მან უკვე იცის რა უნდა გაკეთდეს. ფეხზე ჭრილობა კი ხან ამტკივდებოდა ხან მიყურდებოდა, ნამსხვრევებიაო შიგ და ჯერ ვერ ამოვიღებთო ექიმებმა, ჩვენმა მართლაც გმირმა ექიმებმა, ბევრი სისხლი დამიკარგავს როგორც ჩანს და მხარის ჭრილობა კი გულთან იყო ახლოს, იყო და არის კიდევ, ხან მეხსნება და ხან გონებას მაკარგვინებს.

ამ ყველაფრის გარდა, კიდევ სხვა დარდიც მკლავდა. ერთანმინდაში დატოვებული დედაჩემი, ჩემი ლელიო და მისი ოჯახიც, მათი მამა ამერიკაში იყო, ირაკლი მთვარელიძე. ზაფხულში წავიდა ნიუ-იორკში, ფიზიკოსია, არ ვიცოდი იმ დღეებში ჩამოვიდა თუ არა თბილისში და კიდევ მისი ორი ვაჟის ამბავიც არ ვიცოდი, ფიდოსი, ზაფხულში აბარებდა და ფარნასი, სტუდენტი იყო და რეზერვშიც აღმოჩენილა ომის დროს. გულს ის მიმშვიდებდა, რომ დავით გეგეშიძემ მითხრა რეზერვი ეგრევე უკან გაიწვიესო, მაგრამ ეს ლანირაკი დაკარგულა სადღაც და ჩვენს ერთ-ერთ ასეულს შეკედლებია ლამით, ჩუმად. ვლოცულობდი ღმერთო ფარნა ცოცხალი ამყოფე-მეთქი. ლანირაკი, თავგადასავლები მონ-

დომებია. ოღონდ ცოცხალი იყოს და ვანახებ მაგას თავგადასავალს, ამას ვფიქრობდი და ახალი მედ-და შემოვიდა, ისინი სულ იცვლებოდნენ, ვუთხარი ვინც ვიყავი და ტელევიზორი ვთხოვე შემოეთანათ, თან შტაბის უფროსს ველოდი, მაიორ ლევან დევდარიანს და რაზმაძისგანაც ახალი ამბების გაგებას.

ყველანი უძინარები და თითქმის ძალადაცლილები ვიყავით, თავბრუ მეხვეოდა და თუკი ჩამთვლემდა წამით, რალაც კომმარი მესიზმრებოდა და ეგრევე მალვიძებდა. გულის არევა მინდოდა, მაგრამ ვერ ვირევედი და შფოთი ამეკრობოდა წამით, რა მოგვივა, რა ბედი გვაქვს და როდის ან რით დამთავრდება ეს ყოველივე-მეთქი, გამკრავდა თავში. მედდამ თხოვნა შემისრულა და რადგან თქვენს გარდა პალატაში ჯეჯრჯერობით სხვა არავინაა გქონდეთო, დალევა და რალაც ეგეთები გამორიცხულიაო, დაამატა მერე, არც სიგარეტი არც არაფერი ამის მსგავსი არ შეიძლებაო. კარგი და კობტა გოგო იყო, უხდებოდა ის თეთრი ხალათი. ქეთი მქვიაო და ყოველთვის თქვენთან ახლოს ვტრიალებო, მითხრა წასვლის წინ.

ტელეეკრანზე რა სხვანაირად ჩანს-მეთქი ეს ჯოჯოხეთი, გავიფიქრე და თურმე რა ამბები ატეხილა მსოფლიოში-მეთქი. მაშინ გავიგე, 12 აგვისტოს, საფრანგეთის პრეზიდენტმა, რომ იშუამდგომლა და მათ ექვსპუნქტიანი გეგმა შესთავაზა, თან ეს მაშინ, როცა რუსები, იმავე დღეს, ცალმხრივ საომარ მოქმედებებს აგრძელებდნენ, ტერიტორიებს იკავებდნენ და თბილისი ჯერ კიდევ საფრთხის წინაშე

იდგა. ათი ათასობით მოქალაქე, ქუჩაში იყო და იმ ცნობილი ლოზუნგით რუსეთის წინააღმდეგ პროტესტს გამოხატავდა და ამ ფონზე თბილისში ჩამოდიოდნენ და ჩამოდიოდნენ სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკოსები, ჩამოვიდა ჯო ბაიდენი, ამერიკის პრეზიდენტის გაგანია არჩევნებში იყო, მიატოვა იქაურობა და ჩამოვიდა, ჩამოვიდა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დევიდ მილიბენდი, თურქეთის პრემიერ მინისტრი და რა ვიცი ვინ აღარ, კონდოლიზა რაისი ხომ ხშირად გვსტუმრობდა, ხოლო თორმეტში ლიტვის, ესტონეთის, პოლონეთის და უკრაინის პრეზიდენტები და ლატვიის პრემიერ-მინისტრი. ისინი ღამით, რუსთაველზე, პარლამენტის წინ დადგნენ ჩვენს პრეზიდენტთან ერთად და მის მხარდასაჭერად, ჩვენ სოლიდარობა გამოგვიცხადეს. კიდევ ერთი ლოზუნგი გაჩნდა, მე ვარ საქართველო, I am Georgia, ზედ სამიზნე მიხატული და მერე მაკკეინმაც თქვა დღეს ჩვენ ყველანი ქართველები ვართო. მაკკეინიც პრეზიდენტის არჩევნებში იყო და ასე თქვა, დღეს ჩვენ ყველანი ქართველები ვართო. ექვსი პრეზიდენტი კი მსოფლიოს ერთიანად მოუნოდებდნენ, რომ ყველას ვისაც თავისუფლების სჯერა დღეს ამბობს რომ ქართველია.

მაჟრჟოლებდა ამას რომ ვუყურებდი და წამოდგომა მინდოდა, მაგრამ საშინელ დაღლას ვგრძნობდი, მინდოდა მეყვირა და სიმწრისგან ცრემლები მომდიოდა, ყელში რალაც ჟანგის გემოს ვგრძნობდი და მახრჩობდა რალაც თითქოს მყრალი და ყელშივე ჩაჩხერილი, მიდით აჰა მიდით ახლა დაბომბეთ

თქვენი დედაც-მეთქი ნაბიჭვრებო! მიდით დაბომბეთ და რა ჩიტსაც დაიჭერთ ამასაც ვნახავ-მეთქი! ძლივს ვამბობდი კბილი კბილზე დაჭერილი სიმწრისაგან, მთელი ყელი დასკდომამდე ამომენწელა. მთელი ტანი ამომეჭიმა და საშინელი კრუნჩხვა ვიგრძენი, ერთი მახსოვს რომ წამოვიყვირე და სანამ მედდა და ექიმი შემოცვივდებოდნენ, უკვე გონებაც დავკარგე.

თავი მეათე

## გიგლა

8 ივნისი 2008

მოკვდა ლელიო. ეგონა რომ მოკვდა ან უნდა მომკვდარიყო. ეგონა რომ აგიჟებული გულისცემა შუაზე გახლეჩდა და მის ნაფლეთებს ბაღში მიმოფანტავდა. ხერხემალი გაუქვავდა. ჯერ დაეჭიმა და შემდეგ მთელს ზურგში კეფამდე აყოლებული ცხელი შანთივით აენვა, აეყინა და გაუქვავდა. ერთ ადგილზე გაშეშდა გოგონა. ხელებიც და ფეხებიც სადღაც მიეკარგა თითქოს. ველარაფერი იგრძნო ცხლად-გაყინულმა, მხოლოდ წამიერადვე მოეგო გონს, რადგან მუცელსა და მკერდში საშინელი ტკივილით დაანვა შიგნეულობა, იმ ავარვარებულ ხერხემალთან ერთად, რომ თითქოს მთლიანად მოსდებოდა ახლა წვა და ყელში ადგებოდა ხრჩობაც. თავსაც ვერ ამოძრავებდა, მთლიან სხეულთან ერთად კისერიც გაუშეშდა და თვალებზე რალაცა მღვრიე გადაეფარა. თავბრუ არათუ დაახვია, არამედ წააცალა თითქოს საერთოდ. მთელ კანზე მოეჭირა და თითქმის სკდომამდე მისული ისევ მოშორდა. თითქოს ხილვა ედგა წინ საკვირველი, ისე

დაეჭყიტა ახლა სახე და ქვედა ტუჩი ჩამოეგდო. უჩინარი და უცხო რაღაც ეპატრონებოდა გოგონას და მის, ხლეჩვამდე ატანილ გულში, უფრო და უფრო ღრმად შეყავდა რაღაცა ძალიან მჭრელი და სასიკვდილო.

ნამიერად ვერც მიხვდა სუნთქავდა თუ არა. რა ემართებოდა. უკვე წასვლოდა გული? თუ გულწასულთა ზღვარზე იჭერდა თავს, ასე რომ მისჩერებოდა ამ მაღალ, ღია ღიმილისმქონე, დიდთვალება კაცს, ბილიკზე, მათ ბაღში რომ მოაბიჯებდა და ესალმებოდა მის ძმებსა თუ დედას და ხელს უქნევდა მამამისს. თითქოს სმენაც დაეხშო ლელიოს, უკვე არაფერი ესმოდა, სადღაც გაყუჩებოდა ხმა, ხმა ბალისა და ადამიანთა, ფრინველისა და სიოსი. სადღაც მიეკარგა ყველა სააქაო შეგრძნებაც და მასთან ერთად გაქრა მისივე აქყოფნაც. ასე ახლოს ჯერ არ მოსულიყო მასთან გიგლა. სხვაა ფარდასამოფარებული რომ ჩაჰყურებდა ფანჯრიდან ან ქალაში ჩამალული, სხვაა, რადგან ახლა წინ ედგა კაცი, მის ძმებზე ხელგადახვეული და უცნაური შინაურობით აქგაჩენილი. ვერც ის იაზრა როდის ან როგორ მიესალმა თვითონ, თუ მიესალმა საერთოდ ან დედა რას ეუბნებოდა, არ გაუგია, ენვოდა ლელიოს გული და ეს წვა იყო სულ რომ უთრთოდა სხეულზე, სულ რომ უჭიმავდა და უწელავდა დროს, ახლაც რომ ლამის წყვეტამდე განელილიყო ეს ნამიც და იკვრებოდა იქვე და თითქოს, ფიდოს სიზმრისა არ იყოს აწვიმდა თავზეც, თავქვე გადმოთხლეშილი, ღრუბელ-სეტყვა აშხეფებული წარღ-

ვნის მომასწავებელი თქეში ატყდებოდა გოგონას. თუმცა არსად იყო ღრუბელი და მითუმეტეს ვერც ისეტყვებდა ვერსად... წვა კი უცებვე გარსშემოვლო ლელიოს, საფეთქლებზეც უცებვე დაეჭირა და უცებვე დაეხსნა, დაანება თავი, თითქოს იმ განელილ წამში დაწყებული და იქვე ჩამოლეული ის უჩინარი წვიმა მასშივე ჩაიღვარა და გაქრა. მოსულიერდასავით გოგონა, თავისიანებისკენ გაიხედა, ძლივძლივობით თითებიც იგრძნო და ხელისგულები და ზურგიცა და ფეხებიც და თავბრუსხვევა, მის გარშემო ცელივით გაბზრიალებულ-გაკვივებული მიქრა თუ არა, ლელიოს მოუნდა, პირველივე რაც მოუნდა, სასწრაფოდ მოეშორებინა წვივებზე თასმებით აკრული სანდლები და ფეხშიშველი მჯდარიყო. ვერც მიხვდა როგორ წამოდგა, ხელი თავის თეფშს როდისღა მოკიდა და სახლისკენ წავიდა, თითქოს არსაიდან გაჩენილი თავშეკავებით რომ გადადგა ნაბიჯი, ძირს არ დავარდევო.

— სად მიგაქვს თეფში, რატომ? — დედის ხმა გაიგონა, — მე გითხარი გიგლას წყალი დაუსხი ხელები დააბანინე-მეთქი. ლელიო! — ზურგსუკან გაიგონა დედის მკაცრი ხმა და საღებავივით მდორედ გადღვებილი, თავიდან ტერფებამდე შენისლული, ძლივსღა დაუბრუნდა სააქაოს, — ახლავე გიგლა, — ამბობდა მამამისი, — ახლავე, ყავას ვუკეთებ ლალის, დაჯე რა, — ესმოდა შორიდან.

ლელიომ თეფში მაგიდაზევე დააბრუნა, მინაზე დადებული დოქი აიღო და გიგლას წყალი დაუსხა ხელებზე, — როგორ ხარ? — ხელის ბანისას უღი-

მოდა გიგლა, მაგრამ ლელიო ხმას ვერ იღებდა, ჯერ კიდევ შეპარული ხრჩობა ჩარჩენოდა ყელში და დოქიდან გამეტებით უსხამდა წყალს, სანამ სულ არ ჩამოცალა ისიც და მერე პირსახოცი მიანოდა.

გიგლამ ხელები გაიმშრალა და ძმებსშორის ჩაჯდა. ლელიომ კი დოქი ისევ მიწაზე დადო, პირსახოცი ოწინარის ტარზე გადაფინა და სახლში აბრუნდა. ოთახის კარი შეაღო თუ არა ლოგინზე დარეტიანე-ბულივით დაეცა. ყურებში რაღაც გამაყრუებელი ზუზუნის ესმოდა და ძლივსლა ყლაპავდა გამშრალ ყელში გაჩხერილ ნერწყვს. ტუჩებს იკვნეტდა და ასე რეტდასხმულ საგონებელში ალაგ-ალაგ ეფიქრებოდა, ხელები დავბანე გიგლას, ხელები დავბანეო, უმეორდებოდა თავისივე სუნთქვებისა და სიტყვების ექო და წამისწინ შენაგრძნობი გიგლას სიახლოვე, მკრთალი ლანდით უფრიალებდა ტვინში, ღმერთო რა მშიშარა ვყოფილვარ, რა უაზრო და მშიშარა ვყოფილვარო, ისევ იმეორებდა და ისევ ვერ გაეგო ეცინებოდა თუ ეტირებოდა, მართლაც ციებ-ცხელების წკეპლები ხვდებოდა თუ სიამოვნებას გრძნობდა შფოთისგან, არა, არა, როგორმე უნდა ავდგე და უნდა ჩავიდე, აქ ასე ხომ არ ვეგდები დედა რა მშიშარა ვყოფილვარო, ყურებზე იდებდა ხელებს და ჩქარა სუნთქავდა.

ირაკლი ამდროისთვის უკვე თავის ადგილას დამჯდარიყო სუფრასთან, ლალი მის მოტანილ ყავას სვამდა და ძმებიც გიგლას უცქერდნენ.

— დიდი ამბებია ირა, დიდი ამბებია ერეკლე ბატონო, — ამბობდა გიგლა, — სულ ააფრინეს რუსე-

ბმა, სადღაც რაღაცა იფეთქებს ნაღდად.

— ვიცი, — დაურთო ირაკლიმ, — ინტერნეტში ვიჭვრიტები.

— მეც, — თქვა ისევ გიგლამ, — აქვეა ოსეთიც და აქვეა ყველაფერიც, და სამაჩაბლო კი არა მთელი ქვეყანა უნდათ მაგათი დედაც.

— სულ ეგრე არ იყო გიგლა? სულ. მთელი ცხოვრება, — თქვა ირაკლიმ, — მთელი მათი პოლიტიკა ამაზეა აწყობილი, მართლაც და მაგათი დედაც, ხმელეთის მეექვსედი და ჩრდილოეთ ზღვები ლამის იაპონიამდე მათია და ჩვენ კი პატარა წერტილზე გვეჩალიჩებიან, კომპლექსი აქვთ რომ ყველა მათ ებრძვით. ჰო დალევ?

— ცოტას, უნდა დავბრუნდე მალე, თბილისში შეიძლება ჩავიდე, გავაკეთე ბოსელიც და ყველაფერი, დედაჩემს მარტოდ ვერ ვტოვებ დიდხანს, ქალმა მარტოდ სად სდიოს ჩემს გადარეულ ძროხას.

— შევსვათ, — ჭიქა აიღო ირაკლიმ, — და მწვადები ავაშიშხინოთ, შენთვისაა საგანგებოდ, — და ფიდოს ანიშნა მიდი დაიწყეო. ფიდო წამოდგა. ხორცის ნაჭრების შამფურზე აცმა დაიწყეო. ფარნამ ნაკვერჩხალს შეუბერა, ხელიც გაუქნია, აღვივდნენ ისინიც და ლივლივი განაგრძეს, — მამა, ლერწმები დავაყარო?

— ცოტა შეგიძლია დააყარო, — გიგლას მიუბრუნდა ირაკლი, — ნახე ახლა რა მოგართვა, ჯერ შეინვას, — შესვეს სადღეგრძელო.

— გიგლა რამე იცი ისეთი? — თქვა ლალიმ.

— ისეთი ლალი არაფერი რაც ყველამ არ

იცოდეს, — პური მოიტეხა გიგლამ, — რასაც აცხადებენ ეგაა, მაგრამ ძან გაახურეს რუსებმა უკვე, ხომ უსმინეთ გაეროში რეები ილაპარაკეს, ყველა და ყველაფერი ფეხებზე ჰკიდათ.

— ბოროტების იმპერია, — თქვა ირაკლიმ, — ეგრეცაა და სულ ეგრე იყო, სილორე მაოცებს მათი, ნამდვილი სილორე და ეს ჯოჯოხეთური სითავხედე სახელად расширение родины, ბოლო, რომ აღარ უჩანს.

— მამა დავდო უკვე? — ხორცებაცმული შამფურები დაანახა ფიდომ.

— ჰო, როგორც გასწავლეთ ისე, ცეცხლი ჯოხებით გვერდებზე განიეთ და დადეთ. მარილი უქენით ცხადია...ის ძველი შამფური თითქმის მზად იქნება ჰო?

— კი.

— რა მალე გაიზარდენ, — თქვა გიგლამ.

— ფიდო აბარებს ახლა. რეზერვისტებად წავლენ? — ფრთხილად იკითხა მამამ.

— ალბათ კი. ეგ არაფერი, ორ კვირიანია, კაცმა უნდა ნახოს ჯარი.

— ეგ თავისთავად, მაგაზე არ ვამბობ...

— ნუ შიშობ ირა, ჯარი ომობს, რეზერვი იმიტომაცაა რეზერვი, აქტიურ ომში მაგათ არავინ შეიყვანს.

— ახლა რა ნოდება გაქვს? — თქვა ირაკლიმ.

— უფროსი ლეიტენანტი, მსუბუქი ქვეითი ბატალიონი, ასმეთაური გახლავართ და მთელი შვებულება ძროხას დავდე.

— ამერიკა?

— მივიღვართ, ოცი ოფიცერი სასწავლებლად. ვნახოთ ჯერ ზუსტად არაფერი ვიცით, ერაყის მერე იმხელა გამოცდილება მაქვს ირა ვერ აგისხნი, შენ? ვიცი შენ ახლა მიდიხარ ნიუ-იორკში არა? ერთ კვირაში.

— ჰო, — გაეცინა ირაკლის.

— რა გაცინებს.

— ძროხას რომ დასდე, მაგაზე მეცინება, — გადაიხარხარა ირაკლიმ.

— აბა რა ვქნა დედაჩემს ხომ არ ვარბენინებ. მინდორი მოვრჩი. სათესებიც კარგადაა, სასუქი ვიყიდე, ვენახიც მშვენივრად გრძნობს თავს, დაგვცალდეს და ღვინო მერე ჩემზე იყოს, მეც ატენურის გიჟი ვარ შენსავით.

— მაშინ მოდი, — ჭიქები ანიეს ორივემ, — ანდა მოიცა, — ადგა ირაკლი, შამფურებს დახედა, — კარგია, — უთხრა ფიდოს, — ატრიალე ხოლმე დრო და დრო, — დაბრუნდა ისევ გიგლასთან, — ომი არ იყოს, ამას გაუმარჯოს, მაგრამ თუ მაინც მოგვინევს ომი მაშინ გავიმარჯვოთ!

— ღმერთმა გისმინოს ჩემო ერეკლე, — დალიეს, — რა გინდა მალე გაშრენ, — გიგლამ ხელი გაუსვა სკამს, — ლამაზია და ისედაც გაოცებასა ვარ ლალი, ასეთი ბალი, საერთოდ ბალები გაქვთ სახლის ორივე მხარეს რაღაც სასწაული. რამე შელოცვები იცი ჯადოები რამე, როგორ გაახარეთ ამდენი ყვავილი? — გიგლამ მზერა მოატარა ბალს.

— ო ეგ მთელი ამბავია, — თქვა ლალიმ, — ბა-

ლებში სიცოცხლეა.

— ეგრეა, — თეფშზე ყველი დაიდო გიგლამ,  
— ბალებში სიცოცხლეა, საერთოდ აქაურობაა თვითონ ბალი, ატენის ხეობა მინდა ერთი ირაკლი ბავშვებთან ერთად მოვიაროთ, სიონი ვანახოთ...

— აუცილებლად, — თქვა ირაკლიმ, — სექტემბერში ჩამოვალ და ზუსტად შემოდგომაზე იმ საზღაპრეთში ავიდეთ, ერთი ეს მითხარი გიოგრივ ჩემო, თქვენთან შეიარაღება როგორაა..

— რას გულისხმობ?

— აკაესები გაქვთ? პისტოლეტები? ინტერნეტში რუსები ჩვენს შეიარაღებაზე აფრენენ დღედაღამე და მაინტერესებდა...

— აკაესებიც გვაქვს, — თქვა გიგლამ, — აკაესს სამოცდაათობმეტი, ოფიცრებს პისტოლეტებიც, ასევეა ლულისქვემა ყუმბარსატყორცნი, არის ტანკსანიანალმდეგო ყუმბარსატყორცნი, გააჩნია სად და როგორ.

— და თქვენ ბრიგადაში შედიხართ თუ როგორ არის?

— ქვეით ბრიგადაში, — მხრებში ასწორდა გიგლა, — ჩვენია მეოთხე ქვეითი ბრიგადა, კიდევ რა გაინტერესებს, ინტერნეტში ნახავ ყველაფერს...

— ჰო მგარამ მაინც, — დაასხა ირაკლიმ, — ესეიგი თუ არ მეშლება ბრიგადა იტევს ბატალიონს? თუ ბატალიონებს?

— ბრიგადაშია სამიათასრვაასი კაცი, რად გინდა ამის ცოდნა?

— მერე მერე, — წინ გადმოიხარა ირაკლი.

— სამი მსუბუქი ქვეითი ბატალიონი, თითოში ხუთასსამოცამდე ჯარისკაცი, ასევე სატანკო ბატალიონი, ორი ასეული, ტანკები და ქვეითი საბრძოლო მანქანები და საარტილერიო დივიზიონი, ქვემეხები და მიდიმოვდივარ.

— შენ? ასეულის ასმეთაური.

— ჩარლი ასეულის ასმეთაური, — მიუგო გიგლამ.

— რისი?

— ირა ფიზიკაში გეკითხები უსასრულობის საიდუმლოზე მითხარი-მეთქი რამე, მოკლედ, ბატალიონშია ოთხი ასეული, ალფა, ბრავო, ჩარლი და დელტა. დელტაა სნაიპერები, დაზვერვის ოცეული, სატრანსპორტო, მძიმე შეიარაღება, ალფა, ბრავო და ჩარლი სტანდარტული სტრუქტურის სამანევრო ასეულებია, შენი მონამორჩილია ჩარლი ასეულის ასმეთაური. ძან ხო არ დაიბენი? — ირაკლიმ თავი უხმოდ გააქნია, გიგლამ კი მზერა გვერდით დახარა ოდნავ და მძიმედ ჩაილაპარაკა, — ხვალიდან საერაყო სწავლებები გვენწყება, ახლა მეოთხე ჩვენი ბრიგადა ემზადება ერაყისთვის, სახლის ამბები მინდოდა მალე მოვრჩენილიყავი და დედაჩემიც წყნარად დამეტოვებინა.

— იქ ხომ იყავი ერაყში და კიდევ?

— მაშინ მესამე ბრიგადაში ვიყავი, ახლა მეოთხეში ვარ.

— საათივითაა ხო გორგი ყველაფერი აწყობილი?

— კი, საათივით, ვიცი შენ ბიჭებზე ლელავ ამი-



ტომ მეკითხები ამდენს, — თქვა გიგლამ, — ნუ ღელავ. მერწმუნე.

— ჰო რა თქმაუნდა, — თავის ხელებს დასცქეროდა ირაკლი, — ღმერთმა დაგვიფაროს, — შუბლი შეეჭმუნა და ქალიშვილს დაუნყო ძებნა, — ლელიო სად გაქრა?

— სახლშია... ლელიო! — დაიძახა დედამ.

სახლის შესასვლელში ლელიო გამოჩნდა.

— ჩვენთან იყავი სად დადიხარ, — მოიხმო მამამ.

გოგონა მოვიდა და მამის გვერდით დაჯდა. ჭიქა წყალი აიღო, დალია და ღვინის ცარიელი ჭიქა მამას გაუწოდა, — დამისხი.

მამამ ღვინო დაუსხა. ლელიომ მოსვა ოდნავ და ორივე ხელი მკერდზე დაიკრიფა.

— შენკენ ირა? — თქვა გიგლამ, — რამე მითხარი შენზე. იქ ლექციები გექნება შტატებში? თუ... კვლევა გაქვთ რამე.

— ისიც და ისიც, ერთი დიდი პროექტია, აღმოსავლეთ ევროპიდან მე ვარ და კიდევ ორი კაცია, სამნი ვართ აქედან მიწვეულნი, მერე ცერნის პროექტზე უნდა გადავერთოთ, თან ვეძებთ ენერჯის ახალ წყაროებს, დედამინა პრაქტიკულად ამოვფიტეთ ადამიანებმა, ჩემმა იდეამ გრანტი მოიგო, ვნახოთ გიგლა, ვნახოთ რა გამოვა, დაბნეული ვარ თითქოს.

— ლელიო შენ? — გიგლამ ლელიოს შეხედა.

— მე? — თავი დახარა გოგონამ, — მე ვსწავლობ, — და ჩაისუნთქა, ისე ღრმად, ისე მთელი ტანით ჩაისუნთქა თითქოს სადღაც უნდა დაეყვინთა და რაც შეიძლება დიდხანს უნდა გაეძლო იქ უჰაე-

როდ. კიდევ რაღაცა ჰკითხა გიგლამ, მაგრამ გოგონას არაფერი უთქვამს, გიგლას, მზერა გაუსწორა მხოლოდ, თვალი თვალში გაუყარა და გამომწვევად გაუგრძელა თავისი ქარვისფერი გამოხედვა და თავისდა გასაოცად შვებაც კი იგრძნო, ახლა მამის გვერდით მჯდარი და თითქმის შვებაახარებული ნელა უშვებდა ფილტვებიდან ჰაერს და კეფაზე იკრებდა თავის შავ, ჩამოშლილ თმებს, თასმით იმაგრებდა და ვერც კი ატყობდა, მის გაბნეულობას როგორ ეპარებოდა თვითდაჯერებულობა და კიდევ რაღაც ქალიშვილური სიმტკიცეც, მოულოდნელად და პირდაპირ რომ აკითხინა გიგლასთვის, ოფიცრების ცოლები რას აკეთებენ, როცა ისინი ომში მიდიანო.

— რა? — თავი გაიფხანა გიგლამ, — რას უნდა აკეთებდნენ, სახლებში ელიან, მე ცოლი არ მყავს ლელიო, რა გითხრა.

გასაგებია, გაიფიქრა დედამ, ლელიოს უყურებდა, გასაგებია, ამიტომაც დარბიხარ ფუტკარნაკბენივით.

— მაქვთ რა ხდება? — ბიჭებს გასძახა მამამ, — მოგეხმაროთ?

— ჯერ არა, — თქვა ფარნამ, — ფილომ მაგრა დაამხეცა, ცოტა ხანში დაგვხედე.

— დღეს ვასწავლე მწვადის შეწვა, — გიგლას უთხრა ირაკლიმ.

— ფარნა შენ იყავი რეზერვში? — ჰკითხა გიგლამ.

— შარშან არა, წელს კი ნავიდოდი, ძმაკაცებს

ერთად წავგიყვანენ?

— წავგიყვანენ. თავგადასავლები გიყვარს?

— აბა როგორ, მე რა გეოგრაფი ვიქნები თუ ყველაფერი არ ვნახე.

— უდულს სისხლი, — თქვა ირაკლიმ.

ფარნამ თმები აიჩეჩა, შამფურები გადაატრიალა და გიგლას ტელეფონმაც დარეკა. უპასუხა: — ჰო, რა იყო... ასე მალე?... გასაგებია... ვიქნები... თხუთმეტი წუთი... კარგი. — გათიშა მობილური.

— ვინ იყო? — თქვა ირაკლიმ.

— მანქანაზე მითხრეს. მელიან სახლში. ნელ-ნელა თბილისისკენ უნდა დავიძრა.

— მოიცა რა, რა დროს თბილისია, — დოქი აიღო ირაკლიმ, — ორი წუთი მოიცადე რა, ნახე ჩიტები როგორ გალობენ, მალე იქნება ესეც, რით ვერ შეინვა...

— ორიც და მეტიც ირა, მაგრამ ხომ იცი ჩემი ამბავი.

— ცხადია, — ჭიქები შეავსო ირაკლიმ, შვილებთან მივიდა, — მანახეთ, — დაატრიალა შამფური, — ეს მზადაა, ის ჯერ იდოს, ახლავე ბატონო ოფიცერო, წამი და მომაქ.

ლელიო კი თითქოს ნისლზე დატივტივებდა და არ იცოდა როგორ მოქცეულიყო, ეთქვა რამე ან სულ ჩუმად მჯდარიყო, ან სახე აერიდებინა და სადღაც ეყურებინა თუ წამომდგარიყო და ძმებთან მისულიყო თუ რა? დატივტივებდა თავისსავე ვნებას, თმის ბოლოს იხვევდა თითზე, ჩამოიშლიდა და ისევ აიკრებდა თმებს, თითქოს ამით იშორებდა

აფორიაქებას და უკვირდა, ახლა ხომ მშვიდად ვიყავი ახლა რა დამემართაო და ცდილობდა გიგლას მზერის დასაჭერად ისევ ეხელთა წამი, ესემესი რომ მოსვლოდა გიგლასაც და ვილაცას უგზავნიდა პასუხს.

ვინ წერს ნეტავ? გაიფიქრა გოგონამ, ან თვითონ რას წერს? აებნა ფიქრი და დედამისისკენ მიბრუნდა, ეცა ფეთით: — გავრეცხო რამე?

— დამინყნარდი რა, — ყავის ჭიქას ჩასცქეროდა ლალი, — რომ მოვრჩებით მერე გავრეცხავთ, შენ დამინყნარდი.

იცის, გაიფიქრა ლელიომ, მიხვდა და ყველაფერი იცის, ტუჩი გაინამა ენით და ისევ დაიხვია თითზე თმა, იცის და იცოდეს, აი დარდი ისეთს რას ვშვრები, გაფიქრებასთან ერთად წამოდგა ფეხზე, გიგლას ჩაუარა, თან ტელეფონისკენ ჩააპარა მზერა და ფიდოსთან მივიდა, — რა ხდება? არ შეინვნენ? — დადგა ძმების გვერდით.

— შეინვნენ, მზადაა, — თქვა ირაკლიმ, — მიდი ფიდო აიღე.

ფიდომ შამფური აიღო და მამას დაანახა. თითით მოწყვიტა ირაკლიმ პატარა ხორცი, გასინჯა და თქვა: — ბრწყინვალეა, — წამოიღო გიგლასკენ ხმამალალი შეძახილით: — მსუბუქი ქვეითი ბატალიონის უფროსი ლეიტენანტი გიორგი სარდლიშვილი! გთხოვთ ბატონო ჩემო, ჩარლი ასეულის ასმეთაურო გთხოვთ, მომავალო სარდალო, გვარიც ხელს გინყობს აბატონო, — და მთლიანი შამფური წინ დაუდო ზედ შუაგატეხილ პურზე. ცხელმა შემ-

წვარმა სუნმა იქაურობა უფრო დაჟღინთა ვიდრე მზადების დროს მრავლდებოდა სურნელება მთელ მათ კარმიდამოში.

გიგლამ შამფურზე მოშიშხინე მწვადებს დახედა, — ამდენი მენე? არა ირაკლი ეს ნამეტანია, მოდი ასე ვქნათ, — პურითვე ჩამოასრილა სათითაოდ ხორცის ნაჭრები და თეფშებზე დაუდო ყველას.

— მე აღარ, — თქვა ლალიმ, — ბიჭებს კი, მე აღარ.

გიგლამ ძმების თეფშებზე დაყარა მწვადები, ერთი ლელიოსკენაც განია დანაზე ნამოცმული და თავისთვისაც დაიდო.

— მადლობა დიდი, მაგრამ, — თქვა ლელიომ, — მეც აღარ მინდა, — თქვა და თითქოს საბოლოოდ დაეხსნა შფოთი, ისედაც თითქმის მიმქრალი, აი ადამიანურად დაველაპარაკეო, გაუნელდა ფიქრი.

— რა ყველამ პირი შეკარით? — ხელებით მაგიდას დაეყრდნო ირაკლი, — რატომ აღარ გინდათ? ბრატანებაა, გინდათ! გიგლა მომეხმარე, ამათ ტერორში ვყავარ. გასინჯე?

მოკბინა გიგლამ და თვალები დახუჭა, — საუცხოოა, — ფილო! ფარნა! გილოცავთ! ესაა ნამდვილი მწვადი, — თქვა პირშილუკმაშეცხელეზულმა და მისმა შემყურე ლელიომაც ცოტა მოკბინა.

დედას ღიმილი დაედო სახეზე. რა ვიცი კი არ გინდოდა წელან და თავი მოიკალი არ შევჭამო? გაეფიქრა ქალიშვილს და ყავის ჭიქა ამობრუნებული დადო ლამბაქზე. თან ეღიმებოდა, ოჰ რა ქო-

ფაკი ვინმე ხარ ლელი, დიდი ქოფაკი ვინმე ხარო და სიგარეტს ეძებდა სკამზე გადაკიდებული ჟაკეტის ჯიბეში. ამოიღო, მოუკიდა და გააბოლა.

გიგლას ტელეფონი ისევ აინთო და ესემესის ბართი დაეხატა ეკრანს.

— რა გაგინყალეს გული, — თქვა ირაკლიმ, — აღარ შეგარგონ ახლა.

— არაფერია, — კითხულობდა გიგლა, — როდის ჩამოხვალო.

— ასმეთაური ხარ თუ არა ხარ ასმეთაური? გაცი ბრატანება, ჯერ არა! არ შეიძლება?

— შეიძლება, მაგრამ უნდა წავიდე მალე, შევსვათ ერთიც და წავედი ძვირფასებო, — ხორცი კიდევ იგემა გიგლამ, — ფანტასტიკაა, ძალიან გემრიელია.

— ჰოდა ბიჭებს გაუმარჯოს, — ჭიქა აღმართა მამამ, — ფარნა! ფილო! აბა თქვენ იცით მაქსიმუსებო, ყოჩაღად.

დალიეს და გიგლაც ადგა, — წავედი ირაკლი, წავედი და ჩამოვალ ერთ ორ დღეში, იქაც ამბებია მოსაგვარებელი.

ადგა ირაკლი და წამოიშალა ყველა. ერთი ლელიო იჯდა გაუნძრევლად, ხელი დაუქნია მხოლოდ და ისევ ჩამოიძრო თმისსაბნევი.

— ეს მოსვლა არ გეთვლება, — გიგლას ეუბნებოდა ირაკლი. ჭიშკრამდე აცილებდნენ სტუმარს და ემშვიდობებოდნენ, როგორც კი რამეა დამირეკეო, გიგლამ.

მაგიდისა და ბალის თავზე კი ჩიტები მომრავლდ-

ნენ. კვირიები. ზედ ბალზე ფრენდა ყვითლად მო-  
ლურჯო სიჭრელე მათი და სტვენდა, რაღაც ძალზე  
ახლობლურად, ძალზე მშვიდად და ბევრჯერ, გა-  
ნუნწყვეტილად, თითქოს უჩინარი ბგერითი რაღაც  
მარგალიტები ეყრებათო ფრთოსნებს, გალობისას.

— კვირიები ბზიკებს დასდევენ ხოლმე, — თქვა  
ფარნამ, — რა მონყენილი ხარ, — ლელიოს გვერ-  
დით ჩამოჯდა, — ჰეი...

— არ ვარ მონყენილი, ფუტკრებსაც დასდევენ,  
— ჭიშკარს გაჰყურებდა გოგონა, — კვირიები...  
გაიგე რა გითხარი.

— გავიგე, მაგრამ შენ მაინც მონყენილი ხარ,  
რამდენი არიან, ახედე, — თქვა ფარნამ.

— ირაკლი რა ვქნათ? ავალაგო... თუ ჯერ... —  
მაგიდის გასწვრივ იდგა ლალი, ანთებული სიგარე-  
ტი განზე გადგებით აეშვირა, დონინჯმომართულს.

— მე ვიქნები ცოტას, მაქსიმუმს, დასხედით  
ჩემთან, — თავის წითელ სკამზე დაჯდა ირაკლი.  
ბიჭებმა ის მეორე შამფურიც მოიტანეს, თეფშზე  
ჩამოცალეს და გვერდიგვერდ შემოუსხდნენ მამას.  
ლელიო, დედას მაგიდის ალაგებაში ეხმარებოდა და  
მერე ისევ თავის ოთახში ავიდა, როცა თეფშები გა-  
რეცხა და სამზარეულოში შეიტანა.

— მამა, შიძლება ომი დაიწყოს? — ნიკაპი ხელის-  
გულზე ჩამოედო ფიდოს.

— საიდან მოიტანე? — ჩაფიქრებულიყო მამა.

— აბა გიგლამ რაო, არაო?

— ღმერთმა დაგვიფაროს, თუმცა... არ ვიცი  
არ ვიცი, — თქვა ირაკლიმ და გაფიქრდა, რუსებო

რუსებო რა ვერ გასვენებთ რა ვერ გასვენებთ, მონ-  
ლოლურ ეშმაკური თქვენი სისხლი?

— გეშინია? — ძმას ჰკითხა ფიდომ.

— არ ვიცი, — თქვა ფარნამ. — შენ?

— მეც.

— ომი, — თქვა ირაკლიმ, პერანგის ღილები  
ჩაიხსნა, — ნურც ლაპარაკობთ მასზე და ნურც  
ფიქრობთ, ომი, თქვენ არ იცით ეგ რა არის.

— რა არის?! — თქვა ფიდომ.

— ზოგადად სისხლიანი პოლიტიკა, — განაგრძო  
მამამ, — თავს მოხვეული ჯოჯოხეთი უცხო ბაზრე-  
ბის მოსაპოვებლად, უცხო მომხმარებელთა ამო-  
ყლევით. ზოგს ააშენებს ის და ზოგს გადააშენებს,  
როგორც ჩეჩნეთია გადაშენების პირას მისული, თი-  
თქოს გააზრებული მოქმედება, მაგრამ ყოველთვის  
უვარგისი საშუალებებით. ჩვენი მთელი ისტორია  
სულ თავს ვიცავთ ძმებო, კაცობრიობის ისტორია  
კი რა? პოეზიის ისტორიაა? შეყვარებულთა ისტო-  
რიაა? კულტურის ან მეცნიერების ან ფილოსოფიის  
ან ზემისა და ბედნიერების ისტორიაა? სამყაროს  
ჭვრეტის ისტორიაა? არა ის სწორედ ომების ისტო-  
რიაა, რისგანაც ჩვენ სულ თავს ვიცავთ, სულ, ოდ-  
ნავ დასავლეთისკენ მივაპყრობთ მზერას და ისევ  
ეს წყეული... და ისევ ყველაფერი თავიდან. და ასეთ  
ომს არასდროს ელევა მიზეზი, გამართლება, ნა-  
ქეზება და აუცილებლობა.

— დაგვერხა, — თქვა ფარნამ, — ესიგი სულ  
ასე იქნება?

— სულ, — დაეთანხმა ირაკლი, — თუ ჩვენი

ცნობიერება არ ამალღდება.

— როგორ? — თქვა ფიდომ.

— აი როგორც შენ იგრძენი ქალაში თანაგრძნობა ზუსტად ეგრე.

— ე? — ფარნამ გაკვირვებით შეხედა ფიდოს და მამამისისთვისაც უნდოდა ეკითხა რამე, მაგრამ მამამ დაასწრო: — ნუ დაგავიწყდებათ, რომ მამათქვენი ვარ. გაუმარჯოს, — ღვინო დალია და ძმებს გადახედა, — ჰა ერთ ჭიქას დალევთ კიდევ?

— ალბათ არა მამა, — თქვა ფიდომ.

— ჰა მეთქი, — ირაკლიმ დოქიდან დაუსხა ორთავეს და დაამატა, — გახსოვდეთ კაცთმოყვარეები მაშინ იქნებით, როცა სამართლიანები იქნებით. ჰუმანისტს ყველა უყვარს, მაგრამ ალბათ მათი გამოკლებით ვისაც ჯერ არ იცნობს, კანონებად კი სამართლიანი ადამიანის თვისებებიც გამოდგება, ის ერთადერთი რამაა ძმებო, რაც დიდ ფასს ანიჭებს ჩვენს სიცოცხლეს, მაგრამ სადაა ხოლმე ზოგჯერ დაკარგული კაცმა არ იცის, ის ყველა ჩვენი ზნეობრივი მოვალეობის ჯამია, ის ყველაფერს არ ათანაბრებს, მაგრამ სულ წონასწორობაშია, დიდსულოვანთა სათნოებაა ის და გახსოვდეთ ესეც, რომ კაცის სრული ბედნიერებისთვის აუცილებელია სახელოვანი სამშობლო.

ბიჭები ჩუმად ისხდნენ. მაგიდას დასცქეროდნენ და ზოგჯერ თუ ახედავდნენ ბაღში მფრენ კვირიებს. მამამ დალია შვილებთან ერთად და ისევ დაასხა, — თვენ მეტი არა, მართლა არა თორემ დედათქვენს რა გადაურჩება, — მოკბიჩა მწვადი, — მომკლავს.

— ესეიგი გამოდის რომ მშვიდობა გვაჭმევს და ომი გვჭაამს? — თქვა ფიდომ.

— ჰო, მგონი ეგ გერმანული ანდაზაა არა? — უპასუხა მამამ, — მშვიდობა, ომი, ვინ რა იცის ეგენი სად არიან, ვინ ან რანი არიან, მშვიდობიანობისას ქვეყანაში დოვლათი გროვდება, ეკონომიკა ვითარდება, მაგრამ ადამიანებს გააჩნიათ როგორ იყენებენ მას, სიმდიდრე ხშირად ყეყერობას იწვევს, მედიდურობას, — ამბობდა მამა, — აი ეგ მედიდურობაა და ყეყერობაა ომის ერთ-ერთი მიზეზიც, ომს მოყვება სისხლი, სიკვდილი და ნგრევა, ნგრევას აუცილებლად სიღარიბე მოჰყვება, გაპარტახება, გაპარტახების სისაზიზღრე და იმწამს წარმოიშობა თვინიერება თქვენ წარმოიდგინეთ და თვინიერებას ადრე თუ გვიან, ისევე მშვიდობა მოჰყვება, ანუ გეძლევა გარკვეული დრო რომ ისევე იშრომო და ისევე დოვლათი დააგროვო და ასე გაუთავებლად, ერთ უაზრო წრეზე მავალი ჩვენი მოდგმა ივლის მანამ სანამ ცნობიერება არ განთავისუფლდება ამ მოჯადოებული საშინელი წრისაგან და არ აგვიმალღდება იგი, ყველას უკლებლივ.

— როგორ, — ჩაეკითხა ფარნაც, — როგორ, ეგაა საქმე.

— გითხარით უკვე, — თქვა ირაკლიმ, — შენში თანაგრძნობა უნდა გამოიძახო, ის არაა მხოლოდ გაგება, მხოლოდ მდგომარეობა, მისი შემეცნება ყველაფერს იტევს და ადამიანს თავისივე ვნებებისგან ათავისუფლებს და ქვეყნად დამკვიდრების რაღაც უაზროდ დიდი სურვილისგან, ამ დროებით

სამყოფელში რაღაც სამუდამო ჩარჩენისგან.

— სული არსებობს მართლა? — წამოცოცხლდა ფარნა.

— იარსებებს რატომ არ იარსებებს, — სხვათა-შორის თქვა მამამ, — სულიც და ბევრი ისეთი რამ რაც ჯერ არ ვიცით. ჩვენ ფიზიკაში ისეთ ამბებს ვაწყდებით შეიძლება მართლა ჭკუიდან გადადგე, სულს არ წაწყდომივართ ჯერ არსად, მაგრამ ეგ დღეც არაა შორს.

— ისე გიგლა რა ვაჟკაცია ჰო? — ძვალს ხორცი ჩამოაჭრა ფარნამ, — გინდა? — გაუნოდა ძმას.

— კი. დამიდე.

— გიგლა კეთილშობილი კაცია, გიგლას გაუმარჯოს, — ჭიქა ანია ირაკლიმ, — და ყველა ეგეთ ნამდვილ კაცს, ნამდვილ მეომარს, ჯარისკაცს გაუმარჯოს, — დალია და შარვლის ჯიბეები მოისინჯა, — ლალი! სიგარეტი სადაა? — დაუძახა ცოლს.

— მანდაა, — აივნიდან გამოსძახა ცოლმა, — ჩემ ჟაკეტშია, ჯიბეში. სკამზე კიდია.

— ფარნა ამოიღე რა.

ფარნამ კოლოფი ამოიღო და მამას გაუნოდა. ირაკლიმ მოუკიდა, ღრმად მოქაჩა სიგარეტს და საფერფლე თეფშის გვერდით მოიჩოჩა, — ვაჟკაცობაა გამბედაობაც, მას სძულს შიში, ყოველი ჩვენგანის მტერი, — თქვა და გამოუშვა ბოლი, — თუ სიგარეტის ნევას დაინყებთ მე მითხარით, არ დამიმალოთ, მაგრამ აჯობებს, რომ არ დაინყოთ, საერთოდ ერთი და იგივეა სამხედრო სიმამაცე და მოქალაქეობრივი ვაჟკაცობაც, არასდროს შეშინ-

დეთ ლომებო. ქონებას დაკარგავ? ნუ, დაკარგავ და ეგაა, ჩათვალე რომ ცოტა რამ დაკარგე. ღირსებას დაკარგავ? ჩათვალე რომ ძალზე ბევრი რამ დაკარგე, უთვალავად ბევრი რამ, მაგრამ ვაჟკაცობას თუ დაკარგავ, მაშინ ყველაფერს დაკარგავ, აწმყო-საც და მომავალსაც და საერთოდ ყველაფერს რაც გაბადია ან არ გაბადია. მოთმინებაა თქვენი ვაჟკაცობაც ჩემო მაქსიმუზებო და იმის გამბედაობა, რომ მეტი შეძლო, ვიდრე გგონია რომ შეგეძლო, — მოქაჩა სიგარეტს და კმაყოფილებით გამოუშვა ბოლი, — უბედურებაც ეგაა, რომ კაცმა თავისი ვნებებისა და ვაჟკაცობის საზღვარი არ იცის, — დადო სიგარეტი და ისევ მწვადს მიადგა, — მართლა რა გემრიელად შეგვიწვია, — დაისხა ღვინოც, — მშვიდად ღამდება, — გადახედა ხეებსა და ბაღს, სახლის სუროშეველებულ კედლებსაც და ახედა ცას, იქ ზემოთ არეულ ჩიტებს, — მალლა ფრენენ, ხვალაც კარგი დარი გვექნება.

— ღვინოს რომ სვამ, მუშაობაში ხელს არ შეგიშლის? — იკითხა ფიდომ.

— დღეს აღარაფერს ვაკეთებ. წავალ მერე დავიძინებ, ისე რა უცნაურია, ჩვენ ყველანი ღვინოთი რომ ვუმასპინძლებით ერთმანეთს.

— რატოა უცნაური.

— ისე არცაა უცნაური. მართალი ხარ ფარნა, მშვენიერია, — ღვინით სავსე ჭიქა ანია ირაკლიმ და შეათვალა, — ფარშევანგი, მაიმუნი, ლომი და ღორი. მე რომ წავალ, დოქებშიც და იმ პატარა ბოცაშიც რაც დარჩა ღვინო, ბოთლებში გადაასხით,

ბოლომდე გაავსეთ და თავზე კარგად დაახურეთ.

— აუცილებლად, — თქვა ფარნამ, — და ეგენი რატომ ჩამოთვალე?

— რატო და ჯერ ფარშევანგივით ხარ, თავიდან როცა სვამ, — თქვა მამამ, — შენი მოძრაობებიც თითქოს მოქნილია და დიდებული, მერე ყველას ეხუმრები და ეთამაშები, მაიმუნობ რალაცეებს, მერე ლომივით ხარ თან ამპარტავანიც და თვითდაჯერებულიც, თანაც ზომიერად ამაყიც და ბოლოს თუ გატიალდი და თავი დაკარგე გორაობ ტალახში, როგორც ლორი, მაგრამ მე ეგ არ მადარდებს, ეგ იმან იკითხოს ვინც არ იცის ეს რა არის, მოდი სიყვარულს ჩემო კარგებო, სიყვარულს და ჩვენ გამძლეობას გაუმარჯოს, — დალია ირაკლიმ, ფიდო კი ისევ იდაყვებს ჩამოეყრდნო და თქვა: — ა, მე მეგონა შენი ის... ცხოვრების ეტაპებს ამბობდი...

— არა ეგ სხვანაირადაა, — მიუგო მამამ და საფერფლედან სიგარეტი აიღო, მოქაჩა ერთი და მერე საერთოდ ჩააქრო, — ჯერ საიქიოს წეროს მოყავს შენი არსობა, გაჩნდები და ვირუჩელასავით ხარ, მერე მერცხლებს დასდევ ბავშვობაში, მერე ჯეირანს აჭენებ ან არჩვივით ხარ შენ თვითონ, უკვე სიყმანვილეში. მერე სიჭაბუკეა და არწივი ხდები, მერე ლომთან ხარ გვერდით, ან თვითონვე ხდები ლომი, მერე ხანში შედიხარ და ხარი ხდები, მერე მოხუცდები და ხარ ბუ და ბოლოს გარდაიცვლები და გაჰყვები პეპლებს და ხარ როგორც პეპელა. ცხრა საფეხური, — თქვა მამამ, — ეს ისე სიმბოლოებში, თორემ ლომი რომ ბერდება ის არ გა-

დაიქცევა რალაცა სხვად, ის ისევ ლომი რჩება, — სიტყვები ჯერ კიდევ არ ჰქონდა ირაკლის ამოთქმული, რომ სუფრაზე ორი პეპელა დაჯდა. იფარფატეს ერთი მეორის გარშემო და ისევ აიტალღნენ სადღაც ბაღში.

— ეე? დაინახე!? — ფიდოს მიუბრუნდა ფარნა, — პეპლებიც რა ახლოს გაჩნდნენ!

— აი ეგრეა ძმებო, — თითები მაგიდას დაჰკრა მამამ, — წადით ახლა და რაც გითხარით ღვინოზე ის ქენით, მერე რაც გინდათ ის, მიდით ჰე და არასდროს დაკარგოთ თავისუფლება, გახსოვდეთ ესეც, რომ როცა ის იკარგება, ის იკარგება ძალიან დიდი ხნით.

ირაკლი ნაკვერჩხლებთან მივიდა. თითქმის ჩანაცრებულნი იყვნენ უკვე, მაგრამ მაინც დაასხა ნყალი და ჯოხით მიჩიჩქნა. ბიჭებმა კი დოქები აიღეს და მარანში ჩავიდნენ, დარჩენილი ღვინოების ბოთლებში გადასხმა დაიწყეს.

— იცოდა, მიხვდა, გაიგო, — თქვა ფარნამ.

— აბა რა, — ფიდომ ერთად დადო ორი ცარიელი დოქი, — მამათქვენი ვარო ხომ თქვა, ეგ თუ არ იცის აბა რა უნდა იცოდეს, ცხადია მისთვისაც ჩვეულებრივი რამაა მთელი ჩემი ეს არაჩვეულებრივობა, ერთი შენ დამრჩი სულ რომ კითხვებს მისვამ.

— დიდი ამბავი, მერე რა, გისვამ იმიტომ რომ მაინტერესებს, ჩემთვის მაგალითად სიგიჟეა მწყერი რომ თავისით მოვიდეს შენთან, თან ორი ერთად და ეს სიტყვაც თანაგრძნობა ისე თქვა ირაკლიმ, შიგნეულობა დამიტრიალდა.

— ირაკლისთვის ასე დაწვრილებით არაფერი მითქვამს, — ბოთლებს საცობები დააცვა ფიდომ და ბოცა აიღო, — წყალი უნდა გამოვაფლოთ, რამდენლიტრიანი იქნება ეს?

— ხუთიანი იქნება, რავი მე, მოიცა არაფერი გითქვამს და იმან კი თქვა აი როგორც ქალაში იგრძენი თანაგრძნობაო?... მე ეგ რაღაც პოეტურ-ჰუმანისტური სიტყვა მგონია, არადა შენ ეგრე ხარ, ვითომც არაფერი.

— მერე? მზე რომ ყოველდღე დაგვნათის ეგ რა საკვირველი არაა განა? ან ერთი პატარა მარცვლიდან რომ ამოდენა ხეიზრდება, ან ჩვენ თვითონ ერთი სპერმატოზოიდიდან რომ ვჩნდებით, ეგ რა განა არ გაგიჟებს? ან შეგიძლია წარმოიდგინო ვარსკვლავები სულ ასე უსასრულოდ? უსასრულოდ დიდდება და გრძელდება და ფართოვდება და არ თავდება არასდროს. როგორ?... მაგრამ ეჩვევი, თუ რა ვიცი რა ხდება და ჩვეულებრივად ხარ, მაინცდამაინც არ გიჟდები ამ სანაულებისგან, ჰო ეგრეა? — ბოცას წყალს ავლებდა და გარეთ ღვრიდა ფიდო.

— ეგრეა, — ხის ტაბლა ტილოთი გადაწმინდა ფარნამაც. ღვინით სავსე ბოთლები გვერდიგვერდ მიანყო და ორივენი ერთად მარნიდან გამოვიდნენ. ხისსავე ჩასასვლელი კარი ბოქლომით ჩაკეტეს და ჭისკენ წავიდნენ, სადაც დედაც მისულიყო და კალათში დებდა დარჩენილ თეფშებს და იმ თეთრ გადასაფარებელს ხდიდა მაგიდას.

— მერე სკამებიც შეიტანეთ, — თქვა ლალიმ, — და მაგიდაც, სადაა ამდენი ხანი ეს გოგო, ხომ ვუ-

თხარი დროზე ჩამოდი-მეთქი... ლელიო!

მაგრამ ფანჯრიდან არავის გამოუხედავს.

— ცოტა გამაბრუა ღვინომ, — თქვა ფარნამ.

— მეც, — თვალები მოისრისა ფიდომ, — ისევე მეძინება.

— ამდენი გეძინა, კიდეც როგორ გეძინება?

მაგიდას ორივემ მოკიდა ხელი და სახლის ღია აივანზე გაიტნეს, იქვე მიუწყვეს ერთმანეთზე შეწყობილი სკამებიც. ირაკლი თავის საძინებელში იწვა. ხელები თავქვე დაედო და ჭერს აჰყურებდა, ერთი ობობა რომ ეკიდა კედლების კუთხეში და ჰაერზე დადიოდა თითქოს. ოთახში ლალიც შემოვიდა და გვერდით ჩამოუჯდა, — მონევ? — გაუნოდა კოლოფი.

— მომე, — ირაკლიმ ერთი ღერი ამოაცურა და ორივემ გააბოლა.

— რაზე ფიქრობ? გიგლაზე? — თქვა ლალიმ, — საფერფლე რა უყავი?

— რაფაზეა, აბა ნახე.

ლალიმ ფანჯრის რაფიდან საფერფლე აიღო და ისევე იქ დაჯდა. ირაკლი ლოგინიდან წამოიწია და ზურგით მიეყრდნო სანოლის ხის სათავეს, რაზეც მთვარის და მზის სიმბოლოები იყო ამოჭრილი და კალმით თუ ფლომასტერით ეტყობოდა, ციფრებისა და ნიშნების ნამრავლები და შეჯამებები, — ჰო გიგლაზე ვფიქრობდი და საერთოდ მთელ ამ ამბავზე.

— გგონია რომ დაიწყება?

— არა, მაგრამ რაღაც რომ ხდება გული მიგრძნობს, — ჩააფერფლა ირაკლიმ, — ფიდო, ფიდო,



ფილო, — მიაყოლა მამამ, — ფარნა, ლელიო, შენ.

— ლელიოს ვერაფერს ამჩნევ? — ჩუმიად თქვა ლალიმ.

— რა, აცუნდრუკდა უკვე? — საფერფლის კიდეს მოატარა ანთებული სიგარეტი.

— მემგონი კი, — ჩაეცინა ლალის, — ვატყობ გიგლა ესიმპატიურება.

— გიგლა არაჩვეულებრივი კაცია, მონონდეს მერე, — მშვიდად თქვა ირაკლიმ, — მაგაზე კაი რა გინდა, — მშვიდადვე მოქაჩა ფილტრს, — სულაც არ ვლელავ, არ გიცნობდეთ მაინც დედაშვილს, შენი თავი გაიხსენე.

ლალი დაიხარა და ტუჩებში აკოცა ქმარს, — მახსოვს, — თქვა და აკოცა ისევ.

— გიგლა, — განაგრძო ირაკლიმ, — არის სიმა-  
მაცისა და კეთილშობილების განსახიერება, აქ მა-  
გაზე ლეგენდები დადის და ისედაც ლალი, გინდაც  
ერაყში და სადაც გინდა... ამბები აქვს ჩადენილი?...  
გონებაგახსნილი, უმაგრესი ვილაცაა, უბრალო და  
მონესრიგებული, განათლებული კაცი.

ცოლქმარმა სიგარეტები ჩააქრეს და ერთმა-  
ნეთს გადაეკვრნენ. სანოლზე განწენენ ერთად და  
ალერსს მიეცნენ, გაცნობის დღიდან ჯერ რომ არ  
მიმქრალა ერთმანეთის წადილი და ახლაც ეხვეოდ-  
ნენ და ეკოცნებოდნენ და ეალერსებოდნენ დიდი  
ხნის განუყოფელი სუნთქვითა და ერთმანეთის  
სურვილით.

გიგლა კი მანქანაში იჯდა. სამხედრო ტოიოტაში.  
მანქანას კაპრალი მართავდა, გვერდით ოფიცერი

იჯდა ისიც უფროსი ლეიტენანტი და უკან გიგლა.  
აუტობანზე მიქროდნენ. ყველანი ფორმებში იყვნენ  
ჩაცმულნი, გიგლას კი ოდნავ ჩამოენია ფანჯარა  
და ესესაა ტელეფონზე დაემთავრებინა საუბარი,  
— გუშინაც სროლა ყოფილა, — ჯიბეში ჩაიდო ტე-  
ლეფონი, — თამარაშენთან. ჩვენებს ვილაცეები  
უნახავთ, ის ახვრები გადმოსულანო ისევ.

— დაიჭრა ვინმე? — თქვა წინმჯდარმა ოფი-  
ცერმა.

— არა ლადო არავინ და არც სხვა რამე მომხდა-  
რა, მაგრამ სოფლებისკენ იყო სროლა.

— უკვე მერამდენედ.

— თან მაგის გარდა ის სამშვიდობოები რაჩე-  
მყლეს მიკეთებენ, ანომალიაა რა, — ზიზლით თქვა  
გიგლამ, — რამდენ ხანში ჩავალთ?

— ნაწილში მალე ვიქნებით. თათბირი ღამეა.

— რაო დედაჩემმა რეები გელაპარაკა.

— არაფერი ისეთი. ვისხედით. რალაცეებში  
მივეხმარე. მოკლედ დიდი სეპარატისტია ეგ შენი  
ძროხა, დეიდა თინამ მითხრა გადამრიო, სულ გა-  
ქცევაზეაო, აფხაზეთიდან გყავს ჩამოყვანილი თუ  
რა იყო?

— ახლა კურდღლებიც მინდა თინას მივუყვანო,  
სულ მარტოა ქალი, — თქვა გიგლამ.

— რა გეკურდღლება, ცოლს არ აპირებ? რო-  
დემდე უნდა იყო ასე?

— რა ცოლს, მოიცა ლადო რა, ძაან ჩქარა მი-  
დიხარ, — უთხრა კაპრალს.

— აუტობანია, აბა როგორ ვიაროთ, — თქვა ლა-

დომ, — ჰაილუქსია ბოლოსდაბოლოს თუ ურემი. შტატებში ნავალთ? როგორ გგონია?

კაპრალმა ოდნავ დაუკლო სიჩქარეს.

— ნესით კი, თუ აფხაზეთსა ან ოსეთში ისევ რამე არ მიქარეს. ვნახოთ. შენ ძალიან გინდა ჰო?

— მინდა რა, თუ ნავალთ, ერთად ნავალთ... მაგრამ მაგათ რისი ტრაკი აქვთ, იმ დღეს რუკას დავხედე, — აგრძელებდა ლადო, — რამხელაა-მეთქი ეს ჩემისა და ჩვენი კი...

— ეს ძაან შეანელე. ცოტა აუჩქარე, — ისევ კაპრალს მიმართა გიგლამ.

— რა გჭირს, — გამოხედა ლადომ, — ასოცით მივდივართ, წელან არ თქვი ჩქარააო.

— მე თვითონ არ ვიცი რა მჭირს, — სიგარეტი ამოიღო გიგლამ, — მოწვე?

— არა.

გიგლამ მოუკიდა და ფანჯარა ჩამოწია.

— რატომ არ იცი რა გჭირს? — ხელი გაუწოდა ლადომ, — ანდა მომე შენი ხათრით მოვწვე.

— გიგლამ ახალ სიგარეტს მოუკიდა და მეგობარს ანთებული გაუწოდა.

— მაღლობა, — ლადომ საფერფლე გამოაღო, — ჰა გამოტყედი, გამოჩნდა ვინმე?

— არა რა სისულელეა, — ჩაილაპარაკა გიგლამ. მანქანებშენათებულ აუტობანს უყურებდა და ფიქრი ერეოდა თავში, ერთანმინდა, დედამისი, თავისი ასეული, სამხედრო ნაწილი, თავისი მეგობრები, თან სიგარეტს ქაჩავდა და წამით ლელიოს სახე შეეკვამლებოდა საფიქრელში, ლელიომ რაღაც უც-

ნაურად შემხედაო დღეს, ფიქრობდა გიგლა, რაღაც დიდხანს მიყურაო და მემგონი ეგ იყო, ჭალაში რომ თვალი მოგვკარი, ჩუმად რომ იმალებოდა ვილაცა მემგონი ლელიო იყო, — ერაცში გახსოვს რა ბუთქა საწყობს? — თქვა უცებ გიგლამ.

— რა დამავინყებს, მაშინ მაგრა გადავრჩით გიორგი ბატონო, — ლადოც გამალებით ექაჩებოდა სიგარეტს, — რაზმაძემ არ იყვირა სანდრომ? ახლა ბუთქავენო. ჰაერი!

— მაგარი კაცია სანდრო, ეგ ოცდაორისა უკვე უფროსი ლეიტენანტი იყო. ყველაზე შუსტრია, მართლა, მართლა.

— ვიცი რას მიხსნი, ფაქტი ჯერ მომხდარი არაა, მაგან უკვე იცის, რადიო ხომ არ ჩავრთო?

— როგორც გინდა, — თქვა გიგლამ და აუტობანზე შეშუქებული მანქანებისა და შელამებული მთების შემყურე, შემხვედრი ქარი რომ სახეზე ეგრილებოდა, ისევ ფიქრს მიეცა, მაშინ მართლა მაგრა გადავრჩით, შენობაც როგორ შეზანზარდა და მგონი მეც ეგრე შევზანზარდი ლელიოს გამოხედვისგანო, — ლადო, — თქვა მერე, — გოგო რომ რაღაცნაირად შემოგხედავს რას უნდა ნიშნავდეს.

— ვაა, თქვი-მეთქი მაგას გეუბნები მეც, — სიგარეტი ჩააქრო ლადომ, — რა მიამიტი ვინმე ხარ, ისე, ქალებზე მე მეკითხები? თვითონაც მშვენივრად იცი რასაც ნიშნავს და არც არაფერს არ ნიშნავს, ყველაფერი მშვენივრად იცით ბატონო ლეიტენანტო. ვინ შემოგხედა? ან რას ნიშნავს შემოგხედა? ერთანმინდაშია ვინმე? ა, მგონი ვიცი ვიზეა საუბარი... ის...

— მოიცა ჰო! ნუ გააჭენე! — გიგლამ ფანჯრიდან გადააგდო სიგარეტი და ღია ფანჯარას იდაყვი ჩამოადო. სახელოები მკლავებამდე ჰქონდა აწეული, — უბრალოდ გკითხე. შენ არაფერი იცი და თავის გამოდება ნუ გიყვარს.

— ე, ამას შეხე რა, მე მიყვარს თავის გამოდება? ვინმე შენ სროლას დაგასწრებს თუ რაიმე გადაწყვეტილების მიღებას? ყველგან რომ პირველი თავქუდმოდგლეჯილი გარბიხარ... მიდი თქვი, მიდი ჰა ნუ გრცხვენია.

— არა ბიჭო ეგრე არაა, ახლა ირაკლისთან რომ ვიყავი, მეგობარია ჩემი, უფროსი მეგობარია ირაკლი მთვარელიძე, მთელი მისი ოჯახი რაღაც სავანეა ლადო, გესმის? ნამდვილი სავანე, უნდა გაგაცნო აუცილებლად, ორი ვაჟი ყავს და ერთი ქალიშვილი და მგონი იმას ჩემდამი რაღაც ამბები დაეწყო, ისე შემომხედდა, ცოტა ავნერვიულდი.

— ა ესეიგი ის არაა მე ვინც მეგონა.

— შენ ვინ გეგონა.

— უკვე რა მნიშვნელობა აქვს, მერე?

— არაფერი, ვისხედით და მერე წამოვედი.

— რამხელაა.

— აზრზე არა ვარ, მგონი ცხრამეტის ან ოცის.

— ო, — შუბლი გაიფხანა ლადომ, — მაშინ ოო.

— რა ო.

— ნუ ახლა ცხრამეტის თუა შეგხედავდა აბა რა, რატომ არ უნდა შეგხედოს?

— არა აქ რაღაც სხვა მზერა იყო.

— მაგარი ახლობელია შენი ეგ ირაკლი?

— ძალიან. რატომ მკითხე?

— იცი რატომაც, რადგან ასეთ დროს ერთადერთი გზაა მხოლოდ. ყველაფერი დანარჩენი შეურაცყოფა, შენიც და იმათიც და საერთოდ. რავი ნახე რა. მიხვდები შენ თვითონ, თუ ორივეს გაგიჩნდათ ერთმანეთისადმი ცეცხლი მაგას ვერავინ ჩაგიქრობთ. მომე კიდე სიგარეტი.

— ახლა არ მოწიე?

— მომე რა.

— რა უაზროდ ეწევი, აჰა, გააქ მანდ ასანთი.

— აზრიანად ვინც ეწევა ეგეთი კაცი გამაცანი და ხმას აღარ ამოვიღებ, — გააბოლა ლადომ, — კაია ქემელი. როგორაა სწორად უინსტონ თუ ვინსტონ?

— ცხადია უინსტონ, — თქვა გიგლამ, — უისკი, უილიამ... თავისუფლად ბატონო ოფიცერო, სისულელეს არ ვიზამ, — სიგარეტის კოლოფი ჯიბეში შეინახა, — შენთვის შეუხედავს ვინმეს ეგრე?

— არ ვიცი რაზე ამბობ, — თქვა ლადომ, — მაგრამ თათა რომ დავინახე, მეთქი ეს რა გოგო დადის ქალაქში? და იმის მერე აი ბატონო ჩემო, სამი წელი ვართ ასე, ორი ბიჭით მეც და ცოლით, ჩემი გენერალი თათათი, ასე რომ გიყურებს არ გიყურებს არ ვიცი, მაგდენი არ ვიცი, გხევს რაღაცა თავში და გულშიც და ხარ ასე გაყლებული, უიმისოდ ვერ ძლებ, ვერ ისვენებ, კვდები და თან ვერ კვდები და რა გახარებს თავადაც არ იცი, ან მოწყენილი ხარ უაზროდ და მოკლედ რა... ეგრე ხარ?

— მემგონი გადავრჩი, ჯერ არ ვარ ეგრე. სხვა

გოგო რომ იყოს ხმას არ ამოვიღებდი, ხომ გესმის ჩემი? ადრე რეები მაქვს ნაკეთები, მაგრამ აქ სხვა სიტუაციაა ლადექს. ამის დრო მაქვს ახლა?

— ეგ შენზე არაა ჩემო ძმაო, ეგ ამბები ცოტა სხვაგან წყდება და ესეც ჩემზე უკეთ იცი, შენ არავის რჩევა არ გჭირდება, თვითონვე ნახავ, — დაჩუმდა ლადო და მერე თქვა, — M-4-ზე თუ გადავალთ და ამ იდიოტ მაკაროვებსაც გამოვცვლით გაასწორებს მაგრა. მერე ნატოშიც, თუ ინება ღმერთმა და ღრმად პატივცემულმა ჩვენმა ევროპამ და ამოვისუნთქავთ ოდნავ მაინც. არა?

— როგორ არა, — ისევ ფიქრს გაჰყოლოდა გიგლა, შვებულებიდან შვიდი დღე დამრჩა, მთელი ერთი კვირა. ჩავალ ვაზიანში, დავხედავ ასეულს და ჩამოვალ ისევ, ეფიქრებოდა სიმამაცის უკეთესი ნაწილი სიფრთხილეთა თუ გამბედაობათ, სიფრთხილეთა უფრო თვალსაზრისია ალბათ, რომლითაც შეიძლება უსაფრთხოდ იცხოვრო, მაგრამ ბედნიერი იქნები თუ არა ვერ გეტყვი, თანაც როცა სხვები იჩენენ სიფრთხილეს, ჩვენ მაინც სიმბდალეს ვუნოდებთ, იქვე პასუხობდა თავისსავე აზრს და წამით ისევ დღევანდელი ვახშამი ამოეყვინებოდა ფიქრის ზედაპირზე, იმ გოგომ მგონი მართლაც და რალაც ჩამიტოვავო ტვინში, გზას გასცქეროდა გიგლა, მანქანების უსასრულო შუქებში თითქოს წაგრძელებულსა და უზომოდ ფართესა და მძიმეს. ლადოს რადიო ჩაერთო, გუმინმომხდარზე საუბრობდნენ, ოსი სეპარატისტების მხრიდან ცეცხლი გაიხსნაო და ქართული სოფლების მიმართულებით

იყო სროლა, სახელმწიფო მინისტრიც კი ჩავიდაო ადგილზე, მაგრამ გიგლა, ასეთ ამბებს შეჩვეული, ისევ ლელიოს იმ გამჭოლი, გრძელი და შეყოვნებული გამოხედვისკენ მიეფიქრებოდა, თითქოს წინ ედგა გოგონას სიფერმკრთალე და ის შინდისფერი კაბაც, ხან აკრეფილი ხანაც ჩამოხუნძლული შავი თმა და მთელი მათი ბალი წინ ედგა და სუნთქვას უმშვიდებდა თითქოს, რატომ არ შეგვიძლია ასე ცხოვრება, რატომ არ შეგვიძლია ადამიანებს ასე უბრალოდ ცხოვრებაო, გაუმნარდებოდა ფიქრი და ტუჩს გაიკვნეტდა, ასმეთაური ვარ, ასი ჯარისკაცის ბედი მბარია და ამ ერთმა ასეთმა გამოხედვამ, როგორ ამრიაო.

— სენდვიჩივითაა დიდი ლიხავის ხეობა, — დაილაპარაკა ლადომ.

— რა? — ფიქრიდან გამოსტა თითქოს გიგლა.

— რა და სენდვიჩივითაა-მეთქი, ცხინვალის დასავლეთით ნიქოზი, სამხრეთ-აღმოსავლეთით ერედვი, ერთად მიმოფანტული ქართული და ოსური სოფლები, ფენა ფენა.

— ჰო, — ნიკაპი გაიფხანა გიგლამ, — მეძახის ბატალიონის შტაბის უფროსი, — ჩაილაპარაკა თავისთვის, — ისევ გაძლიერებულზე გადავდივართ, ხვალიდან სწავლება იწყება, — სიგარეტს მოუკიდა, — საერაყო.

— პირველ ბრიგადას ვანაცვლებთ იქ, ალკუტში, — თქვა ლადომ.

— ირანის საზღვართან, — სიგარეტს დახედა გიგლამ და თავიდან მოუკიდა.

— კონვოირება, ჰამერები, სწრაფი ჩეკპოინტის მოწყობა, — ჩამოთვალა ლადომ, — მესამეს ბიჭები რას შვრებიან ახლა? არ გენატრება? — ლადომ მძლოლს გამოხედა, — შენ? ბატონო კაპრალი, როდის გახდები სერჟანტი? ჰო იცი ნაპოლეონმა რა თქვა?

— ნაპოლეონმა ჯარისკაცზე და გენერალზე თქვა, — გზას უყურებდა მძლოლი, — ცუდია ისეთი ჯარისკაცი ვინც გენერლობაზე არ ოცნებობსო.

— ჯერ ასეულის სერჟანტი თუნდაც, მასტერ-სერჟანტი და ასე ნელა ნელა ახვალ, — გაეცინა ლადოს, — აბა მე მთელი ცხოვრება ოცმეთაური კი არ ვიქნები. არა გიგლა?

მაგრამ გიგლა სიგარეტს ქაჩავდა და მანქანების აჭრილ და გაელვებულ სიგნალებს მიადევნებდა ისევე ფიქრს, არცერთ ხალხს, არც არავის და მითუმეტეს არცერთ ხალხს მსოფლიოში, ფიქრობდა გიგლა, არ მიმადლებია რამე ნიჭი, უნარი რამე, რომელიც მას უპირატესობას სხვების წინაშე ანიჭებდეს, როგორც ცხოველთა ჯოგად ვერავინ მიიჩნევს ისტორიაში შესულ რომელიმე ხალხს, ასევე არაა ხალხი რჩეულთა კრებულის სახელს, რომ იმსახურებდეს და ყოველთვის, მართლაც ყოველთვის, ყველას იმდენის და იმის უფლება აქვს, რამდენის და რისი ძალაცა აქვთ. რატომ? ჩაისუნთქა სიგარეტის კვამლი და მანქანის ღია ფანჯარაში გააბოლა. ბნელოდა უკვე, აუტობანზე შუქები ციმციმებდნენ და შავი ლაქებით დატალღულიყო მიღმა ქედები და ანონილი ცა, ვძულდე, ოღონდ შიში კი

ჰქონდეთ ჩემიო, ვინ თქვა? ფიქრობდა გიგლა, საშინელი სიტყვებია მართლაც, დიდთა სიძულვილი მცირეთა მიმართ, რაღაც მართლაც საზიზღარი ზიზღია, მცირეთა სიძულვილი დიდთა მიმართ კი ხშირად მინახავს შურში როგორ გადადის და საერთოდ, შური რომ იწვევს ხშირად მას, ფიქრობდა და გამალებით ენეოდა სიგარეტს, ბევრიც მინახავს ნაომევს როგორ იკვებნის და ტრაბახობენ გუშინდელით, როცა დღეისთვის არაფერი აქვთ საამაყო, გადააფერფლა ფანჯრიდან, ან ვისაც სიკვდილის შიში არა აქვს მას აშინებს რამე? ან კაციც იმდენად კაცია რამდენადაც შიშს დაძლევს? ეკითხებოდა თავს და თითქოს არც უჩერდებოდა ფიქრი, არასდროს რომ არ დაეკარგო მხნეობა, არასდროსო, მოწია და გადააგდო ისიც, ეგაა ბოლომდე შეგნებული პასუხისმგებლობა, სიმამაცე, სხვა რა, უპასუხა თავისივე კითხვას, ყოველთვის, ყველა მამაცი ადამიანი ხომ მეტ ღირსებას მატებს თავის ქვეყანას, და მე ვაარ ეგეთი? არ ვიცი, და ახლა კიდევ ეს ლელიოს სახეც, როგორ მაფორიაქებს, რა უნდა, რატომ მიყურა ეგრეო, ხომ იცის მაგათთვის ვინა ვარ, ფიქრობდა გიგლა და გოგონას შეჩუმებულ გამოხედვას ვერაფრით იშორებდა თავიდან, არა არა, კეთილი კაცი ვერასდროს იცხოვრებს მშვიდობიანად, თუ ეს მის ბოროტ მეზობელს არ მოსწონს, ნაპოლეონიო, ახლა ახსენა ლადიკომ, მერე? ნაპოლეონმა თქვა ზუსტად, ადრე თუ გვიან ომი ანაქრონიზმი იქნებაო, მომავალი მშვიდობას ეკუთვნის, მგონი მაგან თქვა, ეგ რომ ასე იტყვის

სხვებმა რაღა თქვან, რა არის მშვიდობა თუ არა ჩემი მიღწეული თავისუფლება, მაგრამ საზიზღარია მშვიდობა როცა ის ომს ამზადებს და როდისმე ვიომებთ ისე რომ მშვიდობა დავბადოთ? ოპტიმიზმიც კაი სიგიჟეა როგორც ვატყობ, უყურო სხვათა გაჭირვების ან თუნდაც საკუთარი გაჭირვების ლამაზ მხარეებს, სიგიჟეა. მაგრამ უმაგისოდ ვერ ძლებ კაცი, ამ სიგიჟის გარეშე ვერ ძლებ, ოპტიმისტი ხარ როცა ოთახში კოლო გიფრენს და ფიქრობ, რომ გარეთ გასასვლელს ეძებს, ან ბუზი გიფრენს სახლში და ფანჯარას უღებ, აჰა გადიო, უფრო მეტი ბუზები შემოდიან და რას ეძებს სიბოროტე? მიზეზს, სხვას რას, იბრძოდე არსებობისთვის და იბრძოდე აღმატებისთვის, მაინც გინევს ბრძოლა და ყველაფერი მართლაც, ბრძოლით წარმოიშვება. რატომ? რატომ ვერ ვქმნით რაღაც სხვანაირ სამყაროს, სხვანაირ ცხოვრებას, სადაც არც ოპტიმისტები იქნებიან და არც პესიმისტები, არ იქნება არც ასეთი ომი და არც ასეთი მშვიდობა.

— ჩავალთ მალე, — თქვა ლადომ.

— ოცდათხუთმეტ წუთში ალბათ, — თქვა კაპრალმა.

— რა ჩუმად ხარ, — გიგლას გამოხედა ლადომ.

— ვფიქრობ, — ისევ ფანჯარაზე ჩამოდო იდაყვი გიგლამ.

— რაზე ფირობ.

— ათას სისულელეზე რაც ყველას ნაფიქრი აქვს, მაგრამ ვერავინ ვნახეთ გამოსავალი.

— გამოსავალი საიდან, — მთელი ტანით შე-

მობრუნდა გიგლასკენ ლადო, — საიდან,

— მშვიდობიდან და ომიდან, ჩემო ვლადიმერ, — მიუგო გიგლამ.

— ნეტაი ერთი შენ მოგცლია, — შებრუნდა როგორც იჯდა და თქვა: — გორდეუსის კვანძი გაიხსენე. მე როცა ეგეთი ნვეტიანი აზრები მანუხებს, ალექსანდრე მახსენდება, ადგა და გადაჭრა პირდაპირ. ეგეც შენი გამოსავალი.

— ესიგი ნებაზეა ყველაფერი დამოკიდებული?

— შენ როგორ გგონია. არა?

— არ ვიცი. ვის ან რის ნებაზე ლადექს.

— ოჰ გიგლა გიგლა, რა არის ნება? საქმის ცოდნით მიღებული გადაწყვეტილება, ჰო?

— მერე რა.

— რა და ბევრს ფიქრობ ძალიან, თან ყველაფერზე.

— საქმეც ეგაა ლადო, — წინ გადმოიხარა გიგლა, — რომ უბედურებას რამოდენიმე სათავე აქვს.

— და ბედნიერებას ერთი?

— ჩვენ ვსწავლობდით რომ ბედნიერება ყოველთვის მამაცების მხარესაა, განა ეგრე არაა?

— კი, რალაცნაირი სიამოვნებაა, თითქოს სინანულის გარეშე და დიდხანს არ გრძელდება, ან გრძელდება, ვინ იცის?

— ყველას უნდა ბედნიერი იყოს, მაგრამ ყველას აქვს უფლება იყოს ბედნიერი?

— უფლება აქვთ, მაგრამ ყველა არ სარგებლობს მისით.

— ან არ სარგებლობს ან ვერ სარგებლობს.

— იქნებ მაგიტომაც არ გრძელდება დიდხანს, — თქვა ლადომ, — თათა მეუბნება, ბედნიერი ვარო, რადგან მიყვარხარ და გიყვარვარო. ნახე ქალი როგორ ტვინავს? მოკლე გზით და მარტივად.

— ქალი ქალია ჩემო ლადო. არავინაა ბედნიერი, ვიდრე თვითონ არ ჩათვლის ასე.

— როცა იცი გიგლა რას აკეთებ, ბედნიერებაა. ერწყინდი რომ ცოცხალი ჩამოხვედი ხომ ბედნიერი ხარ? რადგან იცოდი რას აკეთებდი. მეთანხმები? ასეა ყველგან, გორდეუსის კვანძი სარდლიშვილი, გახსოვდეს ეგ, თუმცა ვის ვეუბნები... ზოგჯერ მაცემს გიგლა, — ლადომ რადიოტალღებზე გადაიარა, ისედაც რომ დაბალ ხმაზე დაწეულიყო და გამოართო ბოლოს, — და საერთოდ, — თქვა მკაცრად, — ბევრს ეწევი სიგარეტს.

— ეს რა ბევრია ერთი კოლოფი დღეში, ისიც ჰა და ჰა, — თქვა გიგლამ, — არაფერი არაა. ლაითია ჩვეულებრივი.

— სიგარეტი სიგარეტია ოფიცერო.

— და ომი ომია, მართალი ხარ, — ჯანმრთელობა ერთია, ავადმყოფობა ბევრი, გაიფიქრა გიგლამ და უთხრა, — იცი? როცა კაცი თავის ჯანმრთელობას ადევნებს თვალყურს, ძნელად იპოვნი ექიმს, რომელმაც მასზე უკეთ იცის რა არგებს მას, მის ჯანმრთელობას. ჯანმრთელობაც შესაძლოა ავადმყოფობასავით გადამდები იყოს, თუ დროზე მიხვდები რამხელა ბედნიერებაა და სიამოვნება.

— მეც მაგას გეუბნები. ნახე? ერთი ისე შემოგხედა გოგომ და როგორ ჭიკჭიკებ. განა მაგარი

არაა? რალაცა ხო გადაგდო? ჯერ სადა ხარ.

— გაჩე რა ძმურად, ეგ არაფერ შუაშია, — და ისევ გაიფიქრა არაფერ შუაში კი არა ეგრეა, გადამდო რალაცა, მართლა რალაცა გადამდო და წამდაუნუმ მეფიქრებაო მასზე, — ისევ ერთანმინდისკენ მიიქცია ფიქრი გიგლამ და შემხვედრი მოთბილული ქარი, ღრმად შეისუნთქა ცხვირით, ღია ფანჯრიდან რომ უქროდა სახეში.

ერთანმინდაშიც სითბო ეკიდა. ლელიოს ფანჯარასთან მოედგა სკამი და ძმებს ჩამოსცქეროდა ბაღში, რომ დამსხდარიყვნენ იმ დანატოვარ ორ სკამზე და ცას აჰყურებდნენ ახალ, დავერცხლილ ვარსკვლავებს რომ ადევნებდნენ თვალს და თითებით ანიშნებდნენ ერთმანეთს აგე იქ ესაა და აგე იქ ესო. მშობლებთან არ შესულა ლელიო, ირაკლი და ლალი მას მერე არც ოთახიდან გამოსულან და რა კარგია დედა ცოტა ხანი შემეშვაო, ფიქრობდა გოგონა, მამასთან ერთად წევს და იწვნენ მე ცოტახანი დამანებოსო თავი. ძმებს ჩასცქეროდა ლელიო და თავის ფიქრს ისევ დღევანდელ ვახშამს წაატანდა, თანაც, შეღამებულ სიჩუმეში, ბალიდან რომ მოესმოდა ფიდოსა და ფარნას საუბარი, მამა ამბობს, ამბობდა ფარნა, რომ გზა ღია კოსმოსში და გზა ატომის გახლეჩვისას შიგნით ერთნაირად მიდის უსასრულობისკენო. არაა განსაცვიფრებელი? საზღვარი არც გარეთ ფიდო და არც შიგნით არ არებობს და ატომთა დაბომბვისას დიდი მანქანებიო საჭირო, მილებისგან და გვირაბებისგან შექმნილი ძალიან დიდი, უშველებელი რგოლებიო, რაშიც არ-

სებული მაგნეტური ველი შიგ მოხვედრილ ნუკლონებს ააჩქარებს, ანუ როგორც ჭურვებს როგორც ბომბებს, რომელიც ატომის გულს ეჯახებაო. ფარნა ცაზეაკრულ თანავარსკვლავედს აჰყურებდა და ასევემგდარ ფიდოს უხსნიდა მამისგან გაგონილ სამყაროთ ამბებს, ახლა შესაძლებელია რომ სამიათასკილომეტრიანი დიამეტრის ხელა ასეთი ამაჩქარებელი აშენდესო, ასეთი დახშული ზედაპირის ხელსაწყო, უშველებელი, სუპერ სუპერგიგანტური რგოლი, მინისქვეშ აშენებული გვირაბი, მილში გაყრილი კიდევი მილი წარმოიდგინე, სულ რომ მოძრაობს გვირაბში, თვითონ გვირაბი კი მთების, ან ზღვების, მინდვრების და ქალაქების ქვეშ გადისო და კიდევი უფრო დიდიც შეიძლება აშენდეს, მთელ დედამიწას რომ შემოერტყას იმხელაო. ფიდო ამბობდა, მამამ მეც მითხრა ეგაო, და მე ვკითხე განა მივიდა მეცნიერება ისეთ საზღვრამდე რომლის იქითაც ვერ გადახვალ? რათქმაუნდა არაო, მეც ასე მითხრა, საზღვრები არ არსებობს და არც არასდროს უარსებიათო, თქვა მამამ, საერთოდ ახალი, უახლესი ჩანაფიქრიც კი გაჩნდაო ფიზიკაში, ასეთი რამე სრულიად შესაძლებელია, რომ კოსმოსურ სივრცეში აშენდესო, როგორ-მეთქი? და ჩვეულებრივადო, რა-მეთქი? ესეთი უშველებელი რგოლი? მილებით და გვირაბებით სავსე? კოსმოსში ეკიდება-მეთქი? და არაო, კონსტრუქციის და საერთოდ, კონსტრუქციების მთავარი მასალა, თანაც ძალიან მაღალი ხარისხის და უთვალავად ბევრი, არის თვითონ სიცარიელეო, რომელიც მართლაც

უხვადაა ღია კოსმოსში და რაკეტებით ბევრი მაგნეტური მოწყობილობები რომ გავიტანოთ გარეთ, შესაძლებელია გაკეთდესო. ნახე ფიდო რამდენია, ვარსკვლავებზე ამბობდა ფარნა, როგორ და რატომ შიქმნენ ამდენი, ნახე რა უსასრულოაო, მამა ამბობს, რომ შესაძლებლობების უფრო დიდი და ბევრი და მდიდარი ობიექტი სამყაროში სხვა არაფერია, თუ არა თვით ეს სიცარიელეო, მეც ეგრე მითხრა, რაშიც ელექტრომაგნეტური ველები გადიანო, როგორც სხვა სამყაროების და სხვა განზომილებების მაცნეებით, მათი წარმოგზავნილები და მეკავშირენიო თითქოს.

მამა იმასაც ამბობს, სკამიდან ადგა ფიდო, რომ ზოგადად სახელმწიფო, ქაოსის წინააღმდეგ შექმნილი, რაღაც ალბათ უფრო იძულებითი წესრიგაო და ამ წესრიგში, გინდ ამ ქაოსში, შენი საკუთრება მხოლოდ ისაა რაც არავითარ ხიფათს არ ექვემდებარებაო.

ლელო უსმენდა ძმებს და ისიც თვალს აყოლებდა ღამესა და ვარსკვლავებს, ნისლეულებს და უსასრულობებს, ამდენი ერთად თითქოს მართლა მზეებჩაღვრილები რომ მოჩანდნენ ყველგან, როგორც უკვე მომნიფებული ბლები მათ ბაღში და ბლებზე უფრო მეტნი, ყველაფერზე უფრო მეტნი, უსასრულოდ მეტნი, რისი დათვლაც შეეძლო გოგონას და საერთოდ ვინმეს. ახლა ფანჯარასთანმდგარი რომ აფიქრებოდა ღამეს, ვარსკვლავები აგვისტოში ცვივაო და აბა ახლა თუ მოწყდებოა რომელიმე, აკვირდებოდა მათ ნათებას და ეჩვენებოდა



თითქოს მისკენ იწეოდა ცა, თითქოს ისე კრთოდნენ ვარსკვლავები, მისკენ მოინევდნენ, მასთან ახლოვდებოდა ზეცა და თითქოს ხელშესახებიც კი გამხდარიყო წამით, ნეტავ თუ ვაგრძნობინე გიგლას რამეო, ეფიქრებოდა ვარსკვლავებზე აშტერებულს და თითქოს რომელიღაცა ვარსკვლავის ჩრდილად გადაქცეულიყო, ისე ატუზულიყო ღია ფანჯარასთან და მთლიან სიჩუმეს დაჰყოლოდა ერთადერთი თავისი ნატვრით.

ახლა ფიდოც და ფარნაც გაჩუმებულიყვნენ. ცისკენ აებჯინა ორივეს მზერა და ფარნა ფიქრობდა, რას აჰყურებსო ნეტავ ფიდო, მხოლოდ ვარსკვლავებს ხედავსო თუ თავის ამბებშია ანებივრებული და არ მეუბნებაო?

ჭრიჭინები უკვე ყველგან თრთოდნენ, მთელს ბაღსა და ეზოში და მთვარის მქრქალი სახეც ქედების თავზე დამჯდარიყო და იყო სიჩუმე, ჭრიჭინებისა და ფოთლების თხელი შრიალის მიღმა. ორივე ძმა და ფანჯარასთან დამდგარი მათი დაც ახლა ამ სიჩუმეს წაეყვანა თითქოს თავისთან და სამივეს ერთად, უცნაურად ერთად ეჩვენებოდა აღმა შორეთში აკრეფილი ვარსკვლავები, ოდესღაც ნასუნთქი აზრები, სიტყვები და მათთვის უცნობი სამყაროების ბედისწერანი რომ იყვნენ, რომ ვერასდროს გაიგებდნენ მათ ვინაობასა და სიახლოვეს, თუ არა ლელიოს მოჩვენება თითქოს ცა დაინია და მიახლოვდებოდა, აზრები რომლებიც სუნთქავენ, ფიქრობდა ფიდო და სიტყვები რომლებიც იწვიან, როგორც მჭერმეტყველება, ნახე, ნახე რა მეტყვე-

ლია სამყარო, სულ რაღაც ნიშნებს გვაძლევს და გველაპარაკებაო, უნდოდა ფარნასთვის ეთქვა, მაგრამ ღამის ზეცით მოჯადოებული, ხმას ვერ იღებდა, თითქოს რაღაცას გვეუბნებაო ცა, ასეთივე ფიქრს განიცდიდა ფარნაც, ეს ღამე და ეს სიჩუმე და ეს ვარსკვლავები რაღაცას ამბობენ და მერე ჩუმდებიანო და გამართლებულია მათი სიჩუმეც და გამართლებულია მათი მეტყველებაცო, ფიქრობდნენ ბიჭები და ორივეს ერთნაირად ეჯადოებოდა სამყაროს, ეს უშველებელი და შევერცხლილი პერანგი, იდეალური თითქოს ქარგა, უსასრულობაზე მორგებული, თითქოს ნაქსოვი და ნასუნთქი სამოსელი, რაც ყველას ერგება უკლებლივ, მათი მაცქერაღიითა და მათზე აფიქრებული დაძმანით დანყებული, ყველას და ყველაფერს დაუსრულებლადო, ფიქრობდნენ ისინი და რაღაც სრულყოფილ და უსასრულოდვე დახვეწილ სიჩუმესა და სიმშვიდესთან ერთად, თითქოს ყოველთვის მართალი და ყოველთვის მოსიკეთე, ყოველთვის ახლობლური და ძალზე მშობლიური სინამდვილე დასცქეროდათ, ისე ლაღად ეგრძნობებოდათ თავი. იდეალურია, ფიქრობდა უკვე სკამიდან ამდგარი ფიდო, ის სიმართლეა თითქოს ასე შორიდან დანახულიო და იქიდანაც შეიძლება ამ სიმართლედ ვჩანდეთ მეც, ჩვენც, ყველანი, ნამდვილი სინამდვილეაო, რომ მართლაც ასე იდეალური უსასრულობა მასში ხორციელდებაო და როცა არ მაკმაყოფილებს ასეთი სიჩუმე, ფიქრობდა ფარნაც, მე ფიდოსგან განსხვავებით ბევრი კითხვა მიჩნდებაო. ძმის შეფიქრე-

ბას მიჰყვებოდა ფარნას გულისფეთქვაც, მისივე ლტოლვა, ძმისა გაეგო საიდუმლო, ან ძილში ვის ელაპარაკება, ანდა როდისღა გამოჩნდება მის წინ აცეკვებული შუქი, მეც რომ თვალი მოვკრაო.

ლელიო ჩამოვიდა. ძმებთან მივიდა ბაღში და სკამზე ჩამოჯდა. სამივენი ისევ ჩუმად იყვნენ ერთადვე შეფიქრებულნი, თითქოს ამ საერთო ფიქრის განცდამ ასე უხმოდ მიიზიდა ისინი ერთმანეთთან, როგორც ერთადვე დანინკლული წვეთები ელტვიან ერთმანეთს და მთლიანდებიან, ერთ წვეთად გადაიქცევიან და ერთადვე ირეკლავენ, რაღაც საუცხოო გამჭვირვალეობას, როგორც ახლა, სამივენი თითქოს ასევე რომ ირეკლავდნენ ღამის სიმაღლეებს და იმ სიმაღლეებში ვარსკვლავთა ბრწყინვალეობას ადევნებდნენ სულს, უხმოდ, უსიტყვოდ, ულაპარაკოდ ათვალთქვებდნენ ცას, რომელიც ქედების გადაღმა მრგვალდებოდა და ფოთლების შრიალთან ერთად მიირწეოდა. ღამის სიგრილისგან ჰაერიც მთლიანად დანმენდილიყო და მათ საამოდ ესუნთქებოდათ და ელიმებოდათ, თითქოს პირველად აჰყურებდნენ ათასჯერნანახ ზეგანს, თითქოს იზეპირებდნენ ნისლეულისა და თანავარსკვლავედთა განლაგებას, იმ გადაშლილ ირმის ნახტომს, ცაზე აკვალული რომ აედინებოდა წარსულისა და აწმყოს გავლით, მომავლისა და წინათგრძნობების გავლით, რომ მიირწეოდა სადღაც მარადიულში, სადაც აღარაა არც დრო და არც დროში მომხდარი ამბები, ისტორია და გულისწადილი, არც კითხვა და არც პასუხი, არც სიშორე და არც სიახლოვე,

არც სიცოცხლე და არც სიკვდილი, თუმცა არა, სიცოცხლე ყველგანაა, ფიქრობდა ფილო, მილიონი, კვადრილიონი, უთვალავი თავისი სახით, სიცოცხლე ყველგანააო აღიმებული და თავაშვერილი რომ იდგა ბიჭი, ლელიოსა და ფარნას გვერდით და ფიქრდაფიქრ ასდევდა მოციმციმე ჩუქურთმებს, თმაჩუქურთმა ნაწნავებზე რიგრიგობით სიზმრებს გკიდებო, გაიფიქრებდა ფარნაც, ალბათ ამას გულისხმობდაო ფილო, ასეთ ცას გულისხმობდაო, როცა ლექსი თქვა და ლელიოც, ნისლეულის მწიფე სიმსუბუქესა და ვეებერთელა მის, მძიმე თითქოს უწონობას მზერით აყოლილი ფიქრობდა, ნეტავ რა გეგმაა ასეთი, რა ჩანაფიქრიაო ამ ყველაფრის მიღმა, მაგას ჩვენ ვინ გვეტყვის, გაიაზრებდა ფარნა, ან წინ გვიდევს პასუხი და ვერ ვხედავთ ან მართლაც საგულდაგულოდაა ჩაკეტილი და ისეა დამალული რომ აქამდე ვერავინ იპოვნაო, ბებია გვეუბნებოდა ეგ ყველაფერი ჩვენშიაო, ფიქრს დაედევნებოდა ლელიო, ეგ ცაც, ეგ მინაც და ეგ უსასრულობაცო, ბებო ბევრ რამეს გვეუბნებოდაო, აზრს ადევნებდა ფარნაც, და ისე სარწმუნოდ ამბობდაო თითქოს ნანახი აქვსო, ალბათ ფილოს მისგან გამოყვა ეს ამბებიო, გონებაში გაისიტყვებდა ლელიო და ისევ აატარებდა აღმა მზერას, ეგებ ერთი ვარსკვლავი მაინც მოწყდეს, მერე რა რომ შუა ივნისია, მერე რა რომ ყველაფერს თავის დრო აქვს, ეგეთი რა კანონზომიერებაა სამყაროში, რომ ერთხელაც არ დარღვეულა და არ განუცვიფრებია ვინმე თავისი მოულოდნელობითო, განა განსაცვიფრებელი

არაა? ფიქრობდა ფილო, რომ ახლა თუნდაც, ასეთ სიჩუმეში, აქ ვდგავართ და ზემოთ ვიყურებითო, ფიქრებს ატანდა ვარსკვლავებზე სახეადებულ თავის მზერას, ჭალაში შენაგრძნობს იხსენებდა, განცვიფრება ესე, ჩვეულებაში გვიზის ალბათ და ხშირად არც არაფერი მიკვირსო, მაგრამ იქაც ასეთი სიბრძნე თითქოს თავს მიჩვენებდა ოღონდ უჩინრადო, ილიმოდა ფილო, მე კი რასაც ვხვდებოდი იქვე მავიწყდებოდა და თუ რამე მოცეცხლს, ამ მიხვედრა-დავიწყებას შორის მოყოლილი წამი მოცეცხლსო, მამა ამბობს, ჩვენც ფიზიკაში, სწორედ ასეთი წამის კვალს მივხვდეთ და სამშვიდობოს მალე გავალთო, თუ იქაც ახალი საიდუმლოები არ გამოჩნდნენ რამეზე მაინც გავიგებთ პასუხს, აქამდე რომ საუკუნეები დაფარული და აღმოუჩინელი იყოო, მამა მეოცნებეა, ფიქრობდა ფარნა, ცნობისმოყვარეა და მეოცნებე, მერე მაგაში ცუდი რა არის, იაზრებდა ლელიო, რა ჯობია მაგას, როცა კაცი თავის ოცნებას მისდევს და ხელს წაატანს თუ არა ბედნიერიო, ვის შეუძლია ქარზე ხელის წავლება? ირაკლის კი შეუძლიაო, სამივენი ერთმანეთთან ფიქრით შეხმიანებულნი, ღამეაჩრდილულ ბაღს მიყურადებოდნენ და ასე სიჩუმესმინდობილნი, სხვადასხვა მხარეს იხედებოდნენ ცაზე.

ვერც შეამჩნიეს, მათ გვერდით, მათივე დედამა როგორ გაჩნდა, სახლიდან როდისღა გამოსულიყვნენ ირაკლი და ლალი და იქვე მიმდგარიყვნენ, მათთან ერთად, მთელ ამ სიჩუმესა და ღამესთან ერთად რა უხმაუროდ მოახლოებოდნენ შვილებს

და ერთმანეთზე მიხუტებულები, ისინიც ასცქეროდნენ ირმის ნახტომს, ახლა მთელი ოჯახი ერთდროულად რომ აერთებოდა კოსმოსის სიშორეს, ლალისაც რომ ელიმებოდა მალლა ცქერისას და ვერც ის იღებდა ხმას, არც სურვილი გაჩენია რაიმეს თქმისა, მოინუსხა დედა შვილებთან და ქმართან ერთად, თვითონაც იმ საერთო საფიქრელს შეერწყა და ფიქრითაც აჩუმდა, თანავარსკვლავედებს ადევნებდა თავის თითქოს ბევრისმნახველ თვალებს და ვის ან რას უღიმოდა არც კი იცოდა, თითქოს დედას არც კი შეუმჩნევია თავისი უცნაური და უეცარი

აღფრთოვანება, ვარსკვლავებიანი ცა ნანახი ჰქონდა ბუნებრივია, როგორც ყველასა აქვს ბავშვობიდან ნანახი და ყოველდამე აჰყურებს, მაგრამ ახლა რაღაც სხვა ხიბლითა და იდუმალეზით ატაცებულიყო ქალი, მეუღლეზე ხელშემოხვეულმა ერთადერთი რამ გაიფიქრა ნათებით განსხვავდებიანო, ნათებით და სიმაღლეებითო და ისევ ამ დიდ მდუმარებაში აეფლო, ქმარზემიხუტებულს, ირაკლის გულისცემა ყურში ესმოდა და ახლა ბაღშიც გამოჰყოლოდა, ვახშმის შემდეგ, ოთახში ქმართან ნაალერსალი სითბო. ჟაკეტი მოეფარებინა მხრებზე და ბაღის სურნელებანი ახლა ძალზე სიამოვნებდა, როცა მათ კარმიდამოში მოტივტივე სურნელებანი მის სხეულთან ახლოს გაიკრთოლებდნენ. ირაკლიც რაღაც შემეგობრებული ნაცნობობით აჩუმებოდა ცას, იცნობდა თითქოს იქაურობას და ბევრ მათგანს ესალმებოდა და ვიღაცა ერთს ეძებდა მათ შორის, აი დაინახა კიდეც

აღბათ ისე აუცინა დანარჩენებივით და ააშტერდა, რა შორს დამდგარხარ, მანდ რას აკეთებ ჩამო ჩვენთანო, აეთამაშა აზრით და თავში უეღვა, სიკვდილი იმას არ აშინებს ვინც საუკუნეებში სიცოცხლისთვის ცხოვრობსო, არც ის საუკუნეები აშინებსო მას, სამყარო მართლაც პარადოქსია, ფიქრობდა მამა, ერთი დიდი და უსასრულო პარადოქსიო, სადაც ყველაფერი რომ აირიოს, ყველაფერი რომ თავდაყირა დადგეს, მაშინაც წონასწორობაშია და მაინც სწორი მდგომარეობა უნარჩუნდებაო, ელიმებოდა ყველასთან ერთად და ღრმად ესუნთქებოდა ღამე, ცოლთან მიყვარებულსა და მიხორცებულს ეს თავისი ღიმილი რაღაც სანუგეშოდ ენიშნებოდა, როცა ჭეშმარიტებას მიაღებ ფიქრს, გაიფიქრებდა სუნთქვების კვალდაკვალ, მაშინ ან ნანობ რამეს, ან კი იღიმებო, ფიქრებატანილი ათვალეიერებდა თანავარსკვლავედთა საუკუნოდ შეურყეველ არქიტექტურას და თავს ეუბნებოდა ისიც ყველასნაირად დამუნჯებული, მხოლოდ ფიქრებში აახლოებული ცასთან, როგორც არქიტექტურაა მსოფლიოს მატრიანეო, ისე ეს ვარსკვლავებია სამყაროს არქიტექტურა, მისი დაუსრულებლობის და ერთხელ ჩაფიქრებული და ყოველთვის გამართლებული არსებობის თვითმხილველი და მემატრიანეო, მართლაც და მაგალითის გარეშე ვინ რას შეისწავლის და ღმერთოჩემო, რამხელა მაგალითია ახლა ჩემს აღმა აფენილიო, ვარსკვლავების გარშემო დაუდიოდა ირაკლის თითქოს სული და სიტყვა, რამხელა აღმაფრენითა ხართ შექმნილნი, ეუბნებო-

და გონებაში, რამხელა აღმაფრენა გემჩნევათ შუქებზეო...და ელიმებოდა ისევ, ისევ და ისევ, მთელი თავისი ოჯახითა და ამერიკაში წასასვლელი წინათმგრძნობი სიხარულით ელიმებოდა, თავისი ცოლის მიერ მოვლილი ბალის სინამდვილით ელიმებოდა, რაღაც მოტრფიალე შთაგონებისგან ელიმებოდა და ეფიქრებოდა ისევ ჟინი გონების, ჰო აღმაფრენაა ჟინი გონებისო, როცა წარმოსახვის ძალა, დაკვირვების ძალა, შემოქმედების ძალა, მთელს ჩვენს განსჯათა საუკეთესო, უაღრესად საუკეთესო ნაწილს წარმოქმნის და ისე წარმოაჩენს ვითომც არაფერი, ეგ ეგრეც უნდა იყოსო, ასე მშვიდად და ასე უსასრულოდ, შიგნითაც და გარეთაც, უერთმანეთოდ და ერთადაც, ყველანაირი გრავიტაციის უკანმოტოვებით უსასრულოდ განთავისუფლებულიო.

როგორც თვითონ აჰყურებდნენ ცას, ცაც ასევე დასცქეროდა ყოველ მათგანს. დასცქეროდა, დედამინის ამ მხარეში გაყურებულ ღამეს, მზის სისტემაში დავანებული სიცოცხლის ამ უმანძილო სიშორეს, დღელამის მოუთვლელი მონაცვლეობით, დედამინის ერთ მხარეს ახლა დღე იყო იმავე მზითვე დანათებული, მინის მეორე მხარე კი იტევდა ღამეს, თავის ნისლეულითა და შიგ ამოცვენილი ვარსკვლავებით, გათენებამდე რომ ისევ ასე წარმოიჩინდნენ თავს.

ხოლო ყველამ ერთად რომ საფიქრელი შეიმთლიანა, დედამ ჩუმად თქვა, დავწვეთ უკვე გვიანიაო და მათაც ჩამოემინათ ფიქრი, ერთმანეთიც დაინახეს თითქოს რაღაც ღიადი განმარტოებიდან და-

ბრუნებულებმა და ნელი ნაბიჯით წავიდნენ სახლისაკენ.

ფარნამ ფიდოს უთხრა, დღესაც რომ ძილში ლაპარაკი დაიწყო მე რა ვქნაო და ფიდომ უპასუხა მომისმინე და მერე მომიყვიო. ლელიომ მე დავწვები, მაგრამ არ მეძინება და წავიკითხავ რამესო. ირაკლიმ კი, როცა ყველა სახლში შევიდა, კარი მიხურა და გასაღებით გადაკეტა. შემოსასვლელში, გარეთ, აივანთან, ნათურა ანთებული დატოვა, ბალიდან წამოღებული ის ორი სკამიც იქვე დერეფანში დადო და ლალისთან ერთად ავიდა საძინებელში.

ეგ სწორედ ის წამი იყო, როცა გიგლა ყაზარმაში შედიოდა და ყაზარმის პირველ სართულზე, ბატალიონის შტაბის უფროსთან ჯდებოდა ტაქტიკური მართვის ცენტრში.

და ირაკლი კი თავის საძინებელში ეუბნებოდა ცოლს: — იცი ლალი? ყველაფერი ტრადიციაზე დგას, საერთოდ ყველაფერი, სამყაროს ტრადიცია კი უსასრულობაა.

ეგ ის წამი იყო, როცა ლოგინის დაგებისას ფარნამაც გაიფიქრა, მთელი ჩვენი ისტორია მამა ამბობს, მართლაც უცნაური გზით ვითარდება და რვეული და კალამი დაედო თავთან, ფიდო თუ დაილაპარაკებს ჩავინეროო და ნეტავ მაგ დროისთვის მეღვიძოსო მეც.

ეგ ის წამი იყო, როცა ფიდოც ბალიშის შესწორებისას იაზრებდა, ხშირად ის რაც გუშინ, აბნეული გარემოებების გამო გაუგებარი გვეჩვენებოდა და სადაც ადამიანები ძლივ ძლივობით მიიწევდნენ

ნინ, ხოლო უკან კი მხოლოდ შეცდომებისდა გამო იხევდნენ, მათი გავლენისდა გამოო, შთამომავლებს სადღაც სამომავლოდ, ყოველივე ეს აშკარა აუცილებლობად წარმოესახებათო, რაც გუშინ უცხო იყო ჩემთვის, იმავნამს ფიქრობდა ლელიოც, ნვებოდა ისიც დასაძინებლად, რაც გუშინ უცხო იყო, დღეს ძალზე ნაცნობი და ახლობელიაო. ფიქრობდნენ ასე და ირაკლი ისევე ეუბნებოდა ცოლს: — ყველაფერი გამოვა და კარგად იქნება, ლალიკო, ხოლო განვლილი დროის, გზისა თუ ცხოვრების აღმართები, დაღმართები, მოსახვევები თუ უღელტეხილები, ახლა თითქოს ისეთივე გასაგებია, როგორც წერილი, რომელსაც ადრე შენ მე მწერდი, როგორც იგავარაკი, როგორც ამბავი რამე, დაწერილი, უბრალო და გასაგები სიტყვებით.

გიგლა კი დანარჩენ ოფიცრებთან ერთად, ყურადღებით უსმენდა მაიორს, ბატალიონის შტაბის უფროსს, მაიორ ლევან დევდარიანს.

თავი მეთერთმეტე

**ჩარლი ასეულის ასმეთაური  
გიორგი სარდლიშვილი**

3 სექტემბერი 2008

მერე გონს, რომ მოვედი მითხრეს საოპერაციო ხარო, ისედაც ვიცოდი, მაგრამ ნამსხვრევები გულთან ძაან ახლოა და ასე ადვილად ეს საქმე არ კეთდებაო. ფეხის, შიგ ბარძაყის ქრილობა კი ასე თუ ისე ამოვასუფთავეთო, გონება რომ დამიკარგავს დრო უხელთიათ და არც ნარკოზი და არც არანაირი გამაყუჩებელი აღარ იყოო საჭირო, ისე იყავი გათიშულიო ვერაფრით გაფხიზლებდითო, სანამ ნიშადური არ გაყნოსეთ, რა ძლიერი აღნაგობისა და ფსიქიკის კაციაო, ამბობდნენ ერთმანეთში, მე კი ჩემ გადახვეულ ფეხს დავყურებდი და მერე ექიმს ვკითხე, — ესეი იგი აქ ყველაფერი წესრიგში მაქვს? მომირჩება ფეხი?

— ფეხი მოგირჩებათ, — თქვა ექიმმა. გოგი გამრეკელი, ქირურგი. მაღალი კაცი იყო და სახე უნათებდა თითქოს. თვალები ჰქონდა წყალივით გამჭვირვალე და რომ მიყურებდა, ვფიქრობდი ჩემს სულს უყურებს-მეთქი, ისე ღრმად მაკვირდებოდა

და თავის ექთნებს, რალაცეებს ეჩურჩულებოდა.

— ყველანაირი ნატეხი ამოიღეთ და გამიკერეთ არა? — კითხვა სხვანაირად გავიმეორე, რა მაინტერესებდა, რისი გაგება მინდოდა მე თვითონ არ ვიცოდი, — ხორციც ამოიჭრა ბლომად ალბათ არა? — ვთქვი და მათ სახეებს მივაშტერდი. სიტყვას არავინ ძრავდა, ყველას ძირს დაეხარა თავი და ექიმს ელოდა, გასაგებია, გამკრა თავში, რალაცას არ მეუბნებიან, — თქვით თამამად, რისი გერიდებათ, — წამოვხალისდი და იდაყვებზე წამოვიწიე, — ამპუტაცია დამჭირდება?

— არა, გიორგი ბატონო, — ამოიხრა ექიმმა და ხელები უკან წაიღო, — თქვენს ფეხს უკვე აღარაფერი ემუქრება, მართალი ხართ, ცოტაოდენი კოსმეტიკაც დაჭირდა კუნთს, რადგან გადაფლეთილი იყო, მოგეხსენებათ... და... რითი და როგორ დაიჭერთ?

— აფეთქება მოხდა, რკინის ბასრმა ნაგლეჯმა, ჩემს გვერდით ვინც იდგა ჯარისკაცი, იმას თავი წააცალა, მეკი მეორე მომხვდა, უფრო მომცრო, შემერჭო და მე თვითონ გამოვიძრე, კუნთის გაიხეოდა ცხადია.

— და იცით რომ მარცხენა მხარში მოხვედრილი რკინის პატარა ნაწილაკები ახლა თქვენს გულთან ძალიან ახლოს არინ გაჩერებულნი? რა სასწაული აჩერებთ, ჩვენ სწორედ ეგ გვანტერესებს. მხარი წესრიგშია, იქიდანაც ამოვიღეთ ყველაფერი ზედმეტი და უკვე გავკერეთ, მაგრამ ეს თქვენი გული, ჯერ კიდევ საფრთხეშია, თუმცა გვაიმედებს ის რომ

აორტას არ ეხება, მოშორებითაა, მკერდშიც არის ერთი ორი, მაგასაც მალე მოვუვლით და ახლა როგორ გრძნობთ თავს?

— არ ვიცი, — მივუგე მე, — მართლა არ ვიცი.

მართლა არ ვიცოდი რა მეთქვა, ან კარგად როგორ უნდა მეგრძნო თავი, თუმცა ტკივილი მიცხრა და კარგადაც ვიყავი, მაგრამ ეს კარგად ყოფნა როდი იყო, როცა ჩემი დაღუპული ბიჭები მედგნენ თვალწინ და იქ იმ ადგილებში დარჩენილი გათავხედებული და გაპირუტყვეებული მტერი, ჩანგლებს რომ იპარავდა და უნიტაზები გაქონდა სახლებიდან, ნახმარი ფეხსაცმელები და მაგიდები. გული მერევა მათ გახსენებაზე და ბოლმა მკლავს, ბოლომდე რომ ვერ დაისრისა ეგ მართლაც და ავი მოდგმა, თუმცა პირველივე დღეს ხომ ვხეტქეთ შიგ სიფათში, მთელი ეგ ჭირი, ხომ ვფლიტეთ და სისხლშიც ხომ ჩავახრჩეთ მათი გაუმაძღარი სიღორე. დათვი. დათვი არა ვეშაპი. ეგენი არიან ღორები, ნამდვილი წმინდა წყლის ღორები, ერთ მონინააღმდეგე ჯარისკაცზე რომ ათას ტანკს იყენებენ და მუდამ ბინძურები არიან, როგორც გარედან ისე ტვინითაც. ჯანდაბას. მოვა დრო, მოვა დრო და რაც არ უნდა აშანტაჟონ და ატერორონ მათ ქვეყნები და სახელმწიფოები, გაზით თუ ნავთობით, თუ ატომური იარაღით, თუ წყალბადის ბომბით, თუ კაი ნაშებით, თუ კიდეც რავიცი რითი არა, მოვა დრო და მთელი კაცობრიობა ერთადვე ალაგმავს მათ სიავეს და ტვინიდან სამუდამოდ გამოურეცხავს, ამყრალებულ, ტირანულ და იმპერიალურ ავადმყოფობას, ამ ვირუსებითა და

ზიზლით გამოტენილ მათ სახიჩარ გენს, სამუდამოდ ამოშანთავს კაცთამოდგმის ისედაც დასახიჩრებულ სხეულზე. ჰო, თქვენ შეგიძლიათ აქ, ამ სამოთხესავით ქვეყანაში იყოთ სტუმრად, მაგრამ მას მერე რაც სამუდამოდ დატოვებთ მას როგორც მეპატრონეები, რომლებსაც წარმოდგენაც არა გაქვთ რას ეპატრონებით, შამაია, რომ სელიოდკა გგონიათ, მართლაც და თქვენი დედაც. თქვენ შეგიძლიათ სულ გვებრძოლოთ, გაუთავებლად, ახალი გზებით სცადოთ ჩვენი განადგურება, მაგრამ თქვენ ვერასდროს მოიპოვებთ ჩვენს გულებს, ვერასდროს მოგვსპობთ როგორც ადამიანებს, როგორც პიროვნებებს, როგორც ერსა და როგორც სახელმწიფოს, გაგვტანჯავთ, მაგრამ ვერ მოგვსპობთ. მოვა დრო, დრო მოვა, ადრე თუ გვიან მოვა დრო და მსოფლიოს ყელში ამოუხვალთ, და ჩვენ ამას პირველი გეტყვით. დიდია მსხვერპლი, ვიცი ასეთი პატარა ქვეყნისთვის დიდია მსხვერპლი, მაგრამ ეს მსხვერპლი უკვე ღმერთმა შეინირა. თქვენ გაცილებით დიდი რისხვა დაიტეხეთ თავზე, ვიდრე ამას ადამიანი წარმოიდგენდა.

სამხედრო საქმის გარდა და წვრთნისა და მომზადების გარდა, მე გაეროს წესდებებიც ნასწავლი მაქვს და ისტორიაც კარგად მახსოვს. არსებობს აგრესიის აქტი, დიახ, არსებობს ასეთი აქტი და არსებობს თავდაცვის უფლება. ასეა, ძალის გამოყენება ან მისი გამოყენების მუქარა ნებისმიერი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, აკრძალულია

წესდებით და საერთაშორისო ჩვეულებრივი სამართლით და უფრო მეტსაც გეტყვი, უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე, შეიარაღებული ძალების, იმ ქვეყნის თანხმობის ან გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციონების გარეშე, არღვევს მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას და წარმოადგენს აგრესიის აქტს და ეს ინტერვენცია და ოკუპაცია, ორასი წლის წინ დაწყებული ოციან — ოთხმოცდაათიანი წლების გავლით, გრძელდება დღემდე. წესდების ერთ-ერთი მუხლი, 51-ე მუხლი, ითვალისწინებს თავდაცვის ხელშეუვალ უფლებას. თავდაცვის უფლების ფარგლებთან ყველა სახელმწიფო თანხმდება, რომ ამ უფლების ამოქმედების საფუძველი, მეორე სახელმწიფოზე თავდასხმაა. ეს არაა უბრალო სასაზღვრო ინციდენტი, ქვეყნის დიდი ნაწილი უკვე ოკუპირებულია. გამოდის რომ მტერს ნებართვა მიეცა, შედითო? რა აბსურდული მკრეხელობაა! მაშ რა გვრჩება? თუ არა ყველანაირი საერთაშორისოდ დადგენილი ნორმის უგულვებელყოფა. ჩვენ კი, როგორც შეიარაღებული თავდასხმის ობიექტ სახელმწიფოს, ასეთ შემთხვევაში გვაქვს ხელშეუვალი უფლება, თავდაცვის მიზნით გამოვიყენოთ ძალა, სწორედ ამ წესდების შესაბამისად. თუმცა ისიც ნურავის დაავინყდება, რომ საერთაშორისო სამართლის თანახმად, თავდაცვის უფლების გამოყენება უნდა იყოს აუცილებელი! თანაც ღირსეული, სამხედრო თავდასხმის პროპორციული. ახლა მაგრა გამეცინება და მეშინია ჭრილობა არ გამეხსნას და ასე ბრძოლაგამოვლი-

ლი აქ, სიცილით მოგვკვდე. ომი სად წარმოებდა და სად წარმოებს ახლაც? ჩვენთან? თუ მათთან? და იმ ყველაფრის მერე პროპორციები სად იყო გადამახინჯებული ამაზეც ნუ შემეკამათება ნურავინ, ეს საქვეყნოდ აღიარებულია, როგორი არაპროპორციული და რახიტული სიმახინჯეა მათი უტიფრობა, განსაკუთრებით ბრძოლის დროს. ეს აგრესიის დანაშაულია და მას ყოველთვის ფეხდაფეხ მოსდევს სისხლის სამართლებლივი პასუხისმგებლობა.

ამბავი ამბად და ფიქრები ფიქრებად, მაგრამ რაზმადეს ვთხოვე დედაჩემთან დარეკე-მეთქი და რატომ აგვიანებს მოსვლას? ერთხელ უკვე ტელეფონით ველაპარაკე დედას, ვუთხარი რომ ცოცხალი ვარ და ის ლანჩირაკი ფარნაც სადაა ნეტავ ვინმემ თუ იცის? ამასაც რაზმადე გამიგებს, ნეტავ ბიჭი ცოცხალი იყოს და უკვე ირაკლიც ჩამოსული იყოს ამერიკიდან, სიმშვიდეს მაინც ვიგრძნობდი.

არაა აუცილებელი ბისმარკი იყო, და არც ტოლკიენი, იმის მისახვედრად რომ ლოგიკა მათი არანაირ საკაცობრიო ლოგიკაში არ ზის. თვით დიდი ბრიტანეთიც კი, ეს ერთი კუნძული, რომელიც მთელ მსოფლიოს დანარჩენ მსოფლიოს უწოდებს, თამაშის წესებს იცავს.

და ეს ყველაფერი ჩვენ თავს აქ, დედამიწაზე ხდება, ღია კოსმოსში მოტივტივე ერთ-ერთ პლანეტაზე, სადაც სიცოცხლე ერთი დიდი სიხარული უნდა ყოფილიყო, ერთი დიდი საყოველთაო, თაობიდან თაობაზე ტრადიციით გადასული სიხარული, და ჩვენ ყველანი უნდა დავმტკვარიყავით ამ უნიკა-



ლური შანსით, როგორი სხვანაირი მსოფლიო გვე-  
ქნებოდა. უბრალოდ წარმოიდგინეთ და მეტი არც  
არაფერი გევალებათ, უბრალოდ წარმოიდგინეთ.

თავი მეთორმეტე

## შემდეგი ლამე

9 ივნისი 2008

ტაქტიკური მართვის ცენტრში, შტაბის უფროს-  
თან თათბირს, ცხრა ოფიცერი ესწრებოდა, ერ-  
თიც ბატალიონის სერჟანტი და ერთიც კაპრალი,  
მორიგე რადისტი. ამ ვრცელ და წაგრძელებულ  
ოთახში სულ თორმეტი კაცი იჯდა, სადაც მაგი-  
დები წრეზე განლაგებულიყვნენ და ყველა სამ-  
სახურს თავისი მაგიდა ეკავა. ისხდნენ პირადი  
შემადგენლობის, დაზვერვის, დაგეგმარების, ზურ-  
გისა და კავშირგაბმულობის ოფიცრები. კაპიტნები  
და ერთი მაიორი. დაგეგმარების უფროსი. ოთახის  
შუაში დიდი მაგიდა იდგა. ზედ რუკა გაშლილიყო  
და პლასტიკური ზედსაფები, რაზეც სქემები იხა-  
ტებოდა. კედლებზეც რუკები ეკიდნენ და წიგნის  
რამოდენიმე თარო, შიგ შეწყობილი საქალაქდე-  
ბით. იდგა ორი კომპიუტერი, ორი პრინტერი და  
იქვე მონწყობილიყო კავშირგაბმულობის კუთხე,  
საველე აპარატი და ჰარისის წარმოების რადიო-  
სადგურით. გიგლას გარდა ისხდნენ დანარჩენი სამი  
ასეულის ასმეთაურნი. დავით გეგეშიძე, კაპიტანი,

ალფა ასეულის ასმეთაური. ნიკა მაჭავარიანი, ბრავო ასეულის ასმეთაური, მოიერიშეთა ასეული, კაპიტანი. და ირაკლი კერესელიძე, დელტა ასეულის ასმეთაური. კაპიტანი.

— გასაგებია? — თქვა ბატალიონის შტაბის უფროსმა, — ხვალ პირადი შემადგენლობის ასი პროცენტი სახეზე უნდა იყოს. პირველ საათზე ბატალიონის სამწყობრო დათვალიერება იქნება. გამოძახებები მოაგვარეთ, — მკაცრი, დამჯდარი ხმით მიმართა ასმეთაურებს, — დავით, ნიკა, ირაკლი, გიგლა, შეკითხვები? ყველაფერი ცხადია?

ოთხივემ თავი დაუკრა. მაიორმა განაგრძო: — უზრუნველყავით რომ ყველას ყველაფერი ადგილზე ჰქონდეს და გაითვალისწინეთ ზეგ დილით, ხუთი ოცდაათზე სწავლებებზე გავდივართ. საამისოდ, დილის ხუთ საათზე ბატალიონის კოლონა მონყობილი უნდა იყოს. გიგლა შენთან გადაამოწმე ვინ ჰოსპიტალშია, ვინ შვებულებაშია, ყველანი ადგილებზე. კერესელიძე!

— დიახ, — თქვა დელტა ასეულის ასმეთაურმა.

— და S-4, — მიმართა ზურგის უფროსს.

— დიახ, — თქვა მანაც.

— მიაქციეთ ყურადღება რომ ყველაფერი გამართული იყოს. ყველა ჩვენი სატრანსპორტო საშუალება, სანვაგი, ზეთი.

— არის, — თქვა კაპიტანმა.

— სამსახურების უფროსებს, S-1, S-2, S-3, S-6, ზეგ დილისთვის საველე დოკუმენტაცია, — ჩაახველა შტაბის უფროსმა, — ის რაც დაგჭირდებათ

საველე მართვის ცენტრის მოსაწყობად, მოანესრიგეთ პირადი ნივთები, თქვენზე გამოყოფილი იქნება სამი ჰაილუქსი და ჩაეტიეთ. დროულად. რომ მონყობაზე თქვენი პირადი შემადგენლობა ადგილზე იყოს. ახლავე უზრუნველყავით. S-2! რა ხდება თქვენსკენ?

— ყველაფერი მონესრიგებული იქნება, — თქვა დაზვერვის ოფიცერმა, — უსაფრთხოების ინსტრუქტირებას ჩემი ასისტენტი უზრუნველყოფს. საიდუმლო საქმის მწარმოებელი მიგვყავს?

— მიგვყავს, — თქვა მაიორმა, — ხვალ მთელი დღე გაქვთ რომ არასაჭირო დოკუმენტაცია დალუქოთ და ბრიგადის საიდუმლო საქმეთა მწარმოებელს ჩააბაროთ და თვითონაც ყველაფერი მოამზადოს, რაც კრწანისში პოლიგონზე დაჭირდება. რამე მოვიდა ბრიგადიდან დამატებით?

— საინტერესო ისეთი არაფერი, — თქვა დაზვერვის ოფიცერმა, — მაგრამ ბრიგადაში თათბირზე ვიყავი. გუშინ ერედვიცი და ნიქოზშიც ისევ რალაც ხდებოდა, იქ ვინც გვყავს, ჯარისკაცებმა ყველამ თქვა, რომ ნაღმსატყორცნიდან მთელი ღამე ისროდნენ.

— გასაგებია, შენ რამე ახალი თქვი, — ადგა მაიორი და ფეხზე მთელი შტაბი წამოდგა, — სარდლიშვილი, ჩარლი ასეული, როგორ ხარ?

— კარგად, — თქვა გიგლამ.

— დედა როგორაა, მოასწარი დასვენება? ის შენი ძროხა კიდე გაქცევაზეა?

ყველას გაეცინა. გიგლასაც გაეცინა, ყველა

ამაზე მაშაყირებს, წამით გაიფიქრა და მიუგო, — რიგზეა ყველაფერი, მაღლობა.

— ქაშაყაშვილი კარგად ართმევს თავს, ლადო, მაგრამ უშენოდ მოინყინა. კეთილი! აბა! — გადახედა ასმეთაურებს, — მაჭავარიანი, გეგეშიძე, კერესელიძე, ბატონებო, — მიმართა დანარჩენ ოფიცრებსაც, სამსახურების უფროსებს, — მოემზადეთ და ღმერთით, ორ თვეში ერაყში ვართ.

დაიშალნენ.

გიგლა თავის კუბრიკში ავიდა. ოთხსართულიანი ყაზარმის მესამე სართულზე, სადაც თავისივე ასეული იყო მოთავსებული და მისი ფანჯრიდან, სამხედრო პლატცი მოჩანდა.

შუქი აანთო.

ვინრო ოთახში ორი სანოლი იდგა. სამუშაო მაგადა, ზედ, ერაყიდან ჩამოტანილი პირადი კომპიუტერი. იდგა კარადაც და ეკიდა აღჭურვილობა, ზურგჩანთა, საძილე ტომარა, ჩაფხუტი და ჯავშანჭილეტი. კედლებზე ქართველი მეფეების ვახტანგ გორგასლისა და დავით აღმაშენებლის სახებანი ჩანდნენ. ასევე სამხედროთა ფოტოები, სხვადასხვა დროს სხვადასხვა ვითარებაში გადაღებული. ერთ-ერთზე თვითონაც მოჩანდა, მთლიან სამხედრო აღჭურვილობაში სხვა ოფიცრებთან და ასმეთაურებთან ერთად და ქვეყნის პრეზიდენტის პირისპირაც კი, სამხედრო პლატცზე, დროშებისა და გენერლების და ნატოს ოფიცერთა გარემოცვაში, როგორ იღებდა მთავარსარდლისგან ორდენს. ჩემს შვებულებას დაენძრა, გაიფიქრა გიგლამ, მა-

გიდასთან დაჯდა და დაჯდომისთანავე ოთახში ლადო შემოვიდა.

— რაო დევდარიანი, — თქვა ოცმეთაურმა.

— ვენყობით და ზეგ პოლიგონზე გავდივართ, კრწანისში.

— ერაყში როდისო?

— ორ თვეშიო, ესეიგი აგვისტოში.

— ცხინვალზე S-2-მა თქვა რამე?

— იგივე, რაც შენ იცი.

— დევდარიანი მაგარია, — ჩამოჯდა ლადო, — ყანდაგარში იბრძოდა ეგ ადრე, ავღანეთში. შენ რას იზამ, ერაყამდე ერთანმინდაში დაბრუნდები?

— ალბათ. ერთი შაბათი კვირა დავეთხოვები და ჩავალ, — თქვა გიგლამ, — ახლა რაზმაძე მჭირდება, დავინყო უნდა აღრიცხვა.

— აქაა. მოვძებნო?

— მიდი ნახე და შევუდგეთ საქმეს, ხვალ პირველ საათზე მონყობაა.

ლადო გასვლას აპირებდა, მაგრამ ოთახში ასმეთაურის მოადგილე სანდრო რაზმაძე შემოვიდა. ჩაფსკვნილი და მოქნილი კაცი, — მე მზად მაქვს ყველაფერი, — მიმართა გიგლას, — როგორ ხარ ლადო.

— ჩემი ოცეულიც ყველა აქაა, — თქვა ლადომ, — არც ჰოსპიტალშია ვინმე და არც ჰაუპტვახტში, არც შვებულებაში და არც სიზმრებში.

სანდრო სანოლზე ჩამოჯდა, — ასეული ასი პროცენტით ყაზარმაშია. ავაყენო?

— არა ეძინოთ, — თქვა გიგლამ, — ხარვეზი

არის რამე?

— არავითარი.

— ძალიანაც კარგი, მაშინ დილით ვეტყვი ჩვენებს რა ამბებია და დავინყებთ.

— ესიგი პირველზე სამწყობრო დათვალიერება, — გაიმეორა ასმეთაურის მოადგილემ.

— კი, მიდი ლადო, დაისვენე შენც. თავისუფალი ხარ, — თქვა გიგლამ და ყელიან ფეხსაცმელზე თასმები შეიხსნა, გაიხადა და წაღები ერთად დადო.

— მაგრად აბა, — გავიდა ლადო.

— ირაკლი ქვემოთაა კერესელიძე? — სანდროს ჰკითხა გიგლამ.

— დაფურეკავ.

— იყავი მე დაფურეკავ, — ტელეფონი ამოიღო გიგლამ, — რალაცა მთხოვა გამიგეო და გავუგე.

— ნაკვეთი.

— ერთწმინდაში სახლი იყიდება. ბალითაა ერთი ძველი ქოხი, ძალიან იაფად... ბიჭო! — თქვა გიგლამ ტელეფონში, — გაგიგე ყველაფერი, ჩვენთანაცაა და ატენშიცაა, სახლია თავის ხოშიანი ბაღნარით, ეზოთი... კარგი, ხვალ იყოს. დროებით, — გათიშა ტელეფონი და სანდროს მიუბრუნდა, — ცოლის ბინას ყიდის, იქ უნდა აგარაკივით მოიწყოს, ატენშია ერთი ფანტასტიური ადგილი, მაგრამ მაგარი მისახედია. მჭავარიანს და გეგეშიძესაც უნდა ვანახო. სანდრო... რალაც მინდა გკითხო.

— მიდი.

— შეცდომა მოგსვლია რამე ისეთი.

— რათქმაუნდა ერთხელ შევცდი, — თქვა

სანდრო რაზმაძემ.

— უცნაურია.

— რატომ? შეცდომას ბევრი უშვებს.

— შენ და შეცდომა? რაზმაძე, კაი რა.

— არა, — თავი გაიფხანა სანდრომ, — ერთხელ მეგონა რომ ვცდებოდი და ვცდებოდი რომ ასე მეგონა. ეგ იყო შეცდომა.

— ჰო, მეც გამიკვირდა, — თქვა გიგლამ, — სხვა? რას შვრებოდი ეს ერთი კვირა.

— ვცდილობდი რომ შენთვის წესრიგი და სიმშვიდე დამეხვედრებინა და აი, ფაქტი სახეზეა.

— მაგარი ხარ, მე კი გადავყევი ჩემს პირუტყვს, აქ სულ მაგაზე შაყირობთ არა? მეტი სალაპარაკო არ გაქვთ.

— კარგი გიგლა რა. არ გრცხვენია? — გაეცინა სანდროს. თავზე საჩვენებელი თითები დაიდო და ძროხასავით დაიღმუვლა.

— ყოჩაღ შენ, სხვა საქმე ვერ ნახე არა? — შუქი ჩააქრო გიგლამ, ტანისამოსი გაიძრო, გადაკიდა, ხელიდან საათიც მოიხსნა და გვერდით დაიდო, სანოლთან ახლოს, — ტრიბუნალს გადაგცემ იცოდე.

— კაი ჰო, ნუ იბღვირები, — გაიცინა სანდრომ. ფანჯარა შეაღო.

— მიდი დაიძინე. მორჩა, — გიგლამ ხელი თავქვე ამოიღო და თვალეები დახუჭა.

აფორიაქების არაფერი ეტყობოდა, მაგრამ მაინც არ უჩერდებოდა ფიქრი, ერთმანეთს ისევ არეულად მიეყარა ერაყი, პოლიგონი, სწავლებები,

შვებულების დარჩენილი და უკვე გამქრალი შვიდი დღე, დედამისი და სახლი, სამაჩაბლოს სროლები და ლელიოს სახე, მისსავე ფიქრებზე საგანგებო მინიშნებით დატანილი, რაღაც საუცხოოს საიდუმლო ადგილსამყოფელივით თითქოს, ერთმანეთს მიეყარა ძველი მოგონებები და ახალი წინათგრძობები, დიდხანს ასე ვერ გაგრძელდებაო, გაეფიქრა ჩაძინებისას, რაღაცა ნაღდად მოხდებაო, ეფიქრებოდა თავის ასეულზე, თავისი მეოთხე ბრიგადის, თავისსავე მესამე, ჩარლი ასეულზე, ეფიქრებოდა ამ ღამეზე და ხვალინდელზეც, ზეგინდელზეც, ამ ზაფხულზე, იმ წყაროზე, თავზე და თავის მეგობრებზე, მათი სახეები და ხმები დაუდიოდა ტვინში და რაღაც მოულოდნელი განცდების წინათგრძობა ღრღნიდა, ამ წინათგრძობასთან ერთად კი, მკრთალი კვალით დატოვებული ლელიოს ის გაგრძელებული გამოხედვა ჩაუვლიდა საფიქრალთან, სადღაც ფიქრის კიდეზე გადაუყვანდა ჩაძინების წინა ფორიაქს და იქვე ტოვებდა. ეძინებოდა გიგლას, თითქოს ნახევარი ძილით, მისი სხეულის თითქოს მხოლოდ ნახევარი იძინებდა ახლა და მისი მეორე მხარე კი ფხიზლობდა. ფხიზლობდა მუდამ.

არც ფარნა მისცემოდა ძილს სიმშვიდითა და დასვენების სურვილით. თითქოს ყოველწამს ელოდა ფიდოს სიტყვების ამოთქმას, აი ახლა იტყვის, ან აი ახლა გადმობრუნდება მეორე გვერდზე და დაილაპარაკებსო, მაგრამ ფიდოს ეძინა. წინაღვე მისთვის იმ მომაჯადოვებელი შეგრძნებით დაჟღენთილიყო, მისთვისვე გასაიდუმლოებულ სავანეებში

რომ გაინოვა ბიჭის გონება და ახლა ძილშიც რომ ჩაჰყოლოდა და თანაზიარება ერქვა. თუ დაღლაზე მიდგა საქმე

ახლა ფიდო უფრო გრძნობდა დაღლას, ვიდრე მისი ძმა, ან ფარნას რა უქნია წინააღმდეგ ისეთი,

რომ ძალადაქანცული წოლილიყო, ფიდოს კი გამოსცლოდა თითქოს სააქაო რამე ენერგია და ისე მიბნეულიყო სიზმრად, როგორც ცოტახნისწინ ნანახი ვარსკვლავები, ჰამაკში ნანახმა სიზმარმაც რომ თავისთან ჩაიტოვა თითქოს ფიდოს სამშვინველი და მანამდე ჭალაში რომ ჩასთვლიდა თითქოს ახლა შეუმთლიანდა ძილის პატარ-პატარა ნაწილები და ღვინონაგემს დაუმიძიმა თვლემა, თითქოს უფრო მეტი სუნთქვით შევსებულიყო ვიდრე ფილტვებში ეტეოდა ჟანგბადი და თითქოს მიწის მიზიდულობაც უფრო მეტი იგრძნო, ვიდრე მანამდე უგრძნია მიწაზემდგარს, თითქოს უფრო ახლოდან და სადღაც შიგნიდან ეგრძნო და ეცნო ცა, ვიდრე ის დასცქეროდა თავზე დაბადებიდან, ზაფხულის ამ უცნაურ დღეებამდე, როცა თვითონაც არ იცოდა როგორ, თითქოს რომ მოიახლოვა ირგვლივა სამყარო. ეძინა ფიდოს და ფარნა, რვეულითა და კალმით მომარჯვებული, მის ძილს დარაჯობდა.

მოახლოება ესე, ლელიოსაც რომ გადმოსდებოდა, ახლა მასაც ჩაჰყოლოდა ძილში, იქაც ფეხშიშველი რომ დაბოდიხლობდა შეკვამლულ ჭალებში და ესიზმრებოდა თითქოს საქანელაზე იჯდა, აინეოდა მაღლა და დიდი სიჩქარით ეშვებოდა ძირს. საქანელა მათივე ბაღში ხეზე იყო ჩამოკიდებული და

უფრიალებდა კაბას, შემონაქროლი ქარიც თავის შიშველ თეძოებს გამოუჩენდა თმებს უნუნავდა. მღეროდა და ეჩვენებოდა რომ სახლი მათი ქრებოდა. ქრებოდა ბალიც და ყველაფერი ირგვლივ, მარტო რჩებოდა გოგონა, მაგრამ სიმარტოვეს არ გრძნობდა, ემშვიდობებოდა მანამდე თანდაყოლილ რალაც მიჯნამდე არსებულ საზღვარს,

მისივე არსობის აუცილებელ განმსაზღვრელს, ნიშანს, სათნოსა და დაფარულს და ახალ ასაკში, ახალ შესაგრძნობელში გადადიოდა, ქალდებოდა ლელიო, მაგრამ არ აცნობიერებდა რომ ქალდებოდა, რომ მზადაა დაქალებისთვის, მისგანვე დამოუკიდებლად, მასშივე რამე შეუცნობელი თვითონვე ქალდებოდა მისთვის უკითხავად, უნდოდა თუ არ უნდოდა, ელოდა თუ არ ელოდა, ის რაც გიგლასკენ მიაქანებდა, მისკენ იზიდავდა და ითრევდა, დანახვის დღიდან ამ სიზმრამდე, ახლა აქ იყო, მის სულსა და სხეულში დიდი ბრონეულივით ამოზრდილი, სადაცაა რომ უნდა იფეთქოს და გასკდეს, გაიხლიჩოს ჯერკიდევ ვნებანაჭერილი.

ატირებულიყო საქანელაზემჯდარი. სიმღერაც შეწყვიტა და მერე მინდორზე გაიარა, ერბილებოდა მიწა და ნელ-ნელა შიგ ეფლობოდა, ყვავილებსა და ხეხილთან ერთად მიწაში ეფლობოდა და ვეღარ ხედავდა ვერც გამქრალ სახლს და ვერც მთლიან მათ კარმიდამოს, სიზმრად რომ გაუჩინარებულიყო და იმავე უჩინარობაში მიჰყავდა გოგონას აღზნებული სიქალწულეც.

სამყაროს ეძინა. ეძინა აღმოსავლეთისა და და-

სავლეთის ამ საბედისწერო გასაყარს, სადაც მათი ბალები იყო სამხრეთის სინათლით შეოქროვილი და ეძინათ თვით ამ ბალებსაც, არათუ ოჯახსა და ერთანმინდას ირგვლივ, სახლებსა და ჭალებს საძოვრებსა და სათიბებს, ტაძარსა და გალავანს ტაძრის გარშემო, მტვრიან შარაგზებსა და ცხოველებს, სავაჭრო ჯიხურებსა და ამბულატორიას სოფლის ერთ ბოლოში, არამედ მათ ბალებს, მცენარეებსა და ყვავილებს, ხეებს და კენჭებს და კენჭებსშორის განაბულ მწერებს, ჭას და წყალს ჭის ფსკერზე, ჭრიჭინებიც სადღაც მიწყდნენ თითქოს და არც ფარვანა ეჯახებოდა, შემოსასვლელში, აივანზე დატოვებულ ანთებულ ნათურას, არც ის ჭოტი მოისმოდა სადღაიციდან და არც ორლობეში გამდინარი რუს ჩუხჩუხი მიარწევდა ღამეს, ისე უხმო იყო ახლა სიბნელე და ვარსკვლავებდახუნძლული დიდი შავი ჩრდილი მისი, სამყაროს თავზე...და ეძინა სახლსა და სახლის კედლებს, ხის იატაკებს და მათზე განოლილი ჩრდილების ჭრელ ათინათებს, სახურავსა და კრამიტებს ამ სახურავზე და სხვენს, მტვერითა და ზოგჯერ მტრედებით აფრენილს და იმ სატელიტურ ანტენებსაც ეძინათ, დიდ თეთრ თეფშებს და ფარნას კი ეჩვენებოდა, ალბათ ვყრუვდები, თორემ ასეთი სიჩუმე აქ მართლაც რომ არასდროს გამოგიაო. მის გარდა ყველას ეძინა. ერთი ეგ იყო თითქოს წყვიდადს შერჩენილი, თავის ლოგინში საბანგადაფარებული რომ იწვა ძმის გვერდით და რა ნელა გადისო დრო, ფიქრობდა ძილ-ბურანზე მოხეტიალე. უძილობა ღრღნიდა და საშინლად ანუხებდა

ცარიელ რვეულზე დაშტერებულს, მაგრამ ეს უძი-  
ლობა მისთვის რალაც ზღაპრული შინაარსისა იყო,  
თითქოს ჩასაფრებოდა რაიმე ძალიან იშვიათსა და  
თვალისმომწვევტს, ერთხელ რომ იელვებს შენს  
წინ, ხილვას ჩაგიტოვებს და თვითონ კი უჩინარდე-  
ბა იქვე, ნეტავ რამე არ გამომჩიეს, ნეტავ უცებ არ  
ჩამთვლიმოს და ყველაფერი არ გამომეპაროს ძილ-  
შიო, თუკი აქ ამაღამ, რამე მოხდაო, უნდოდა წიგნის  
კითხვა დაეწყო, საბანს თავზე გადავიფარებ და  
ფანრით წავიკითხავო, მაგრამ შეშინდა, ვაითუ და-  
მეძინოს, მერე რალა ვქნაო, არადა ფიდოს ამოლა-  
პარაკებას და იმ საიდუმლო ნათების სტუმრობას  
თითქოს პირი არ უჩანდა, სიჩუმე თითქოს კიდევ  
იზრდებოდა და დიდდებოდა ფარნას გარშემო და  
აღწევდა მასშიც, ზენარის შრიალიც აღარ გაუგია  
არათუ ფოთლისა გარეთ, ფანჯარა ღიად დაეტო-  
ვებინა და არც ფარდა ირწეოდა სიოთი შერხეული,  
ივნისის გადიდებულ მთვარეს ღრუბელიც უხმოდ  
აშავებოდა და ფარნა ფიქრობდა დიქტოფონი უნდა  
დავტოვოო ჩართული, მაგრამ მთელი ღამე რომ  
ჩაინეროს ეგეთს სად ვიშოვიო და ეგ ერთი ფიქრი-  
ლა იყო სააქაოსთან ფხიზლად რამაც შეაყოვნა და  
დაუძძიმა თვალეზიც, გონება ეთიშებოდა თითქოს,  
ისე მძიმედ და ყველგანშესაღწევად ეპარებოდა  
თვლემა, სახე უბუჟდებოდა და ქუთუთოები და ის  
შემოღწეული ძილის სიჩუმე უფრო ევსებოდა სა-  
სულეში და სასიზმარეთში, საფიქრალშიც ღუზასა-  
ვით რომ ჩაუძძიმდა და ძილის ფსკერისკენ მიაქა-  
ნებდა.

დაეფლო საწოლში. სხეული ველარ იგრძნო, დაყ-  
ვინთა ფსკერისკენ და სასიამოვნოდ შეიშმუშნა,  
როცა ჩანებდა თვლემას და მიეცა ძილს. ფიქრები  
შეეკვამლა სიზმართა შორი მოახლოებისას და  
სიცხადის საზღვარი მათაც გადმოლახეს თუ არა  
და მძინარე ფარნას ყოველი მხრიდან შემოენისლენ,  
ბიჭიც გაუჩინარდა სიცხადისთვის. დარწმუნებული  
კი იყო, რომ ელვიძა, წამით ჩამთვლიმაო, შეიძლე-  
ბა გაიფიქრა კიდევ, მაგრამ არა, მას უკვე ეძინა  
ღრმად და იქიდან ჯერამოულწევლად, ყვინთავდა  
და ყვინთავდა სულ უფრო სიღრმეში და უფრო და  
უფრო სიამოვნებდა ეს დაძირვა, სადაც სიზმართა  
სიმბოლოები და ნიშნები ჩნდებიან და აღარ იცი სად  
ხარ.

ლელიო კი იწვოდა სიზმარში. სხეული ეწვოდა და  
ბორგავდა. ხან ერთ მხარეს გადაბრუნდებოდა, ხან  
მეორე. ხან გადაიძრობდა ზენარს, ხან მოიკუნტე-  
ბოდა, ფეხებს შემოიკეცავდა და ისევ მიეცემოდა  
ძილს, მაგრამ წვა არ უნელდებოდა. უხურდა ტანი,  
კანი ეწინკნებოდა და უნდოდა ამოეყვირა, მაგრამ  
ვერ ახერხებდა, თითქოს ყელზე ეხვეოდა საძილე-  
თის კვამლი და ახრჩობდა. უეცრად თვალეზი აახი-  
ლა და მიხვდა რომ ოფლიანია, მთელი სხეულითა და  
სახით ოფლიანი, თმებსაც რომ გადასდებოდა კანი-  
დან ამომწვარი წამი.

გონს მოეგო. რა ცხელი სიზმარი ვნახეო, მიწა  
როგორ მიწოვდა და ყველაფერი ქრებოდაო,

შუბლზე გაისვა ხელი, რა კაია რომ სიზმარი იყოო,  
მიიწყნარა სუნთქვაც და მეორე ხელი მკერდზე დაი-

დო. სანოლზე წამოჯდა, როგორი ოფლიანი ვარო, გაიკვირვა და საათს შეხედა. ოთხის ნახევარს აჩვენებდა დრო. ადგა და დერეფანში გავიდა, წყალს დავლევო, გაიფიქრა და დერეფანში ფეხაკრეფით მოსიარულეს, ძმების ოთახთან გასვლისას ფიდოს ჩურჩული მოესმა. შედგა ლელიო, ფრთხილადვე შეალო საძინებლის ისედაც ღია კარი და შეიჭვრიტა. ფარნას ეძინა, ფიდო კი გულაღმა იწვა და ამბობდა: — დაგვიფარეთ, დაგვიფარეთ, თუ შეიძლება, რომ ჩვენ დაგვიფაროთ. — ლელიომ სწრაფად გამოყო უკანვე თავი და კედელს აეკრო ზურგით. თვალები დახუჭა და მთლიანად სმენადქცეული გაშეშდა ასე. იდგა ცოტა ხანი თითქოს უსუნთქველადაც კი, და როცა ძმების ოთახიდან ხმა აღარ გამოსულა სხვა, ისევ ფეხაკრეფით ჩავიდა ხის კიბეებზე.

ღამის სიჩუმეს უხმოდ დაეჯავშნა სახლი. დაღია რა წყალი, ჭიქიანად ამობრუნდა უკან, ჩქარა გაიფრიალა დერეფანშიც და თავის სანოლზე განვა. ღმერთოჩემოო, ფიქრობდა გოგონა, ასეთი ცხელი ჯერ არ ვყოფილვარ და არც გაციებული ვარო და ფიდო ისევ ლაპარაკობსო ძილში და მე კი რა დღეში ვარო, რატომ მენვის ყველაფერი და გულიც ასე უცაბედად რატომ მიფრიალებსო. თვალებზე ხელისგული დაიდო, ჩაძინება სცადა და ერთი ხელი ფეხებშორის ჩაიყო, ფეხები მაგრად მიადო ერთმანეთს და გონარეულმა და ვნებაანიწკლულმა თითებით მიიალერსა საშო. ააკანკალა მთლიანად და თითქოს გარშემო შემოეჭირა მთელი თავისი ტანი, სასიამოვნო ბნედა დაესხა ძარღვებსა

და ფეხებშორის განამულ სისველეზე და მაგრად ჩაახუჭინა თვალებიც, უკვე სუნთქვააცაცახე-ბულს, თითქოს დამტვრეულსა და სირბილეში განაბულს გაუბრუნდა გონება და გვერდზე გადმონვა, სანახევროდ ზენარგადაფარებული გაუყურდა თავისსავე სიმშვიდესა და დამტკბარ სიჩუმეს, თითებს ნაზად იზელდა ფეხებშორის და ცრემლები ადგებოდა თვალებზე, რალაცა უცხო ეტკბილე-ბოდა ლელიოს და გაბრუებასთან ერთად უფრო და უფრო უკანკალებდა სხეულს, თავსაც ვერ ანებებდა ყელში ამომდგარ ბნედას, სანამ მთლიანად არ დაეშანთა გრძნობა და ერთი მისი ამონაკენესი არ აღმოხდა საშოს ფერების გასრულებისას. წამით გაიტრუნა ასე, საამო სუსხი დაუდიოდა ტანზე და მერე ფეხებშორიდანაც ამოაცურა ხელი. თითქოს თავისა შერცხვა, მაგრამ ძალიან ესიამოვნა ეს სირცხვილიც, რა მოხდაო ახლა, რა მომივიდაო, ჰკითხა თავს და სიტკბონაგემი ისევ მიეცა ძილს, განმარტოებული და საუცხოო დამშვიდებით კმაყოფილი.

— გძინავს? — ქმარს ჩასჩურჩულა ლალიმ.

— არა, — ჩუმადვე თქვა ირაკლიმ, — შენ რატომ გაიღვიძე.

— რომელი საათია.

— ოთხი. ხუთი დაიწყო, თავისით გამეღვიძა ახლახანს და თვალი ვერ მოვხუჭე.

— დადიოდა ვინმე? თუ მომეჩვენა?

— არ ვიცი, როდის? — თქვა ირაკლიმ.

— ისევ ლელიო გაბოდიადლებოდა ქვემოთ, ვერ ვასწავლე რომ ჭიქა წყალი გვერდზე დაიდგას და



ლამე მოჩვენებასავით არ ინანნალოს.

— რა იცი, იქნებ ფიდო იყო ან ფარნა?

— ვიცი, — წამოიწია ლალი, ბალიში შეისწორა და ისევ მიეხუტა ქმარს, — რა სიჩუმეა არა?

— მეც მაგაზე ვფიქრობდი, ყველაფერს სძინავს თითქოს და მე კი აი გამელვია და შენც გაგალვია. ძილი უცნაური რამაა, რატომ გამელვია.

— ბევრს ფიქრობ ალბათ, არ ვიცი...

— თუ ბევრს ვფიქრობ უფრო უნდა მეღლე-ბოდეს გონება. არა?

— შენ ალბათ სხვანაირად ფიქრობ. მომხვიე ხელი.

ირაკლიმ ხელი შემოხვია ცოლს და ჩუმად უთხრა,

— დაიძინე, ჯერ ძალიან ადრეა.

— ვისთვისაა ადრე.

— ასადგომად ადრეა-მეთქი.

— სოფლის ხალხი გათენებისთანავე დგება და საქმეს იწყებს.

— დაიძინე, დაიძინე... მართლა რა სიჩუმეა, ჭრიჭინებიც თითქოს აღარაა ჰო?

— ფიდოზე ფიქრობდი? — თქვა დედამ.

— სამივეზე. ცუდად მენიშნა გიგლას დღევანდელი გამოძახება.

— ეს არმია ირაკლი. ჩემზე უკეთ შენ იცი.

— კი მაგრამ რაღაცა ხდება ლალი.

— ომზე ამბობ?

— არა ომი ალბათ ასე პირდაპირ არ დაიწყება, მაგრამ რომ დაიწყოს?

— ვინ დაუშვებს ომს ირაკლი? ახლა სხვა დროა.

— ღმერთმა გისმინოს, მაგრამ არ ვიცი... დაიძინე, — ირაკლიმ აკოცა ცოლს, მეორე მხარეს გადმოხრუნდა და გაიფიქრა, ალლო მაქვს ალბათ ასეთი და რა არის ალლო, თუ არა თაობებში გამჯდარი მეხსიერება და ისეთი მოქმედება, ისეთი რაღაც მიზანსწრაფული მოქმედება, როცა არც კი იცი, წარმოდგენაც არ გაქვს რაა მიზანიო. ღამეს მიყურადებოდა მამა და ფიქრობდა ისევ, უცნაურია, ერთმანეთს ყოველთვის იმას ვახარებთ, რასაც მანამდე სულ ვუკრძალავდით და ისე რა შუაშია ახლა ეს რაც გავიფიქრეო, თავისა გაუკვირდა და ისევ დაიდევნა ფიქრი, ყოველთვის, ყოველთვის, დანაშაული და სიბოროტე და ათასი უბედურება უფრო ბევრს გვასწავლის ვიდრე სიკეთე თუნდაცო, სათნო რამე საქციელიო და მაინც კაცი ვერ ვნახე ამაზე რამე ესწავლა და სხვა დროს ის არ ჩაედინა ათასი წლისწინ რომ ჩაიდინაო ვინმემ. ირაკლი თავის მომავალ ამერიკაზეც ფიქრობდა, თუ იქ მომიწია გადასვლა სამუშაოდ, შენ მერე თქვი რა გავაკეთოო, სახლი გინდ აქა და გინდ თბილისში უნდა დავკეტო და ესენი იქ წავიყვანო, თუ რა ვქნა დავტოვო აქ ოთხივე, არა უკვე ხუთივე, ლელიოს ხომ ძაღლს ვუყიდი მალე და რა ჯანდაბა ვქნაო, სტუდენტი შვილები და ერთანმინდამი შეყვარებული ცოლი და მე ნიუ-იორკში დიდი დროით, რა ვქნათ? რა მოხდება? ფიქრდაფიქრ სიზმარი ისევ თავისთან იხმობდა უეცრად გამოღვიძებულ ირაკლის და ისიც ისევ ადვილად მიეყვინთებოდა მის მდორე ტალღებს, მდორედვე მისრიალებდა მიღმიერ სახილველში, გონებაში

ისევ რიცხვები, ფორმულები და მათი კომბინაციები და ისევ თავისი ოჯახი და რალაც მინდვრები ეზმანებოდა, მთები. ხედავდა როგორ იზრდებოდნენ მთები და თვითონ კი თითქოს ფორტეპიანოზე უკრავდა, ცხოვრებაში რომ არასდროს დაუკრავს და არც უცდია დაკვრა, ახლა სიზმრად ინსტრუმენტთან მიმჯდარიყო ტყეში და უკრავდა, რა ადვილი ყოფილაო დაკვრა, ნუთუ მცოდნია და რატომ არ ვუკრავდიო, შეეფიქრებოდა ნასიზმრალი სამშვინველი, დიდის გულმოდგინებით არბენინებდა კლავიშებზე თითებს და ხილვას მიჰყვებოდა, ტყის გაღმა მთებმაც, რომ ცასთან აიმწვერვალეს და სადღაც იქით გადაიყოლეს ირაკლის მუსიკა, ბგერა-ბგერა, ოქტავა ოქტავაზე აბჯენილი სართულებად აანყეს ხმები და აასიზმრეს ცას.

ამ სიჩუმეში დანისლული ბალისა და სახლის გადაღმა კი, გათენების მიჯნაზე, სადღაიციდან თითქოს, არსაიდან... ბოშები მოვიდნენ.

ბოშები. ვაგონითა და შიგ შებმული ცხენებით.

სახლიდან მოშორებით, ქვემო ქალაქში კარავი გაშალეს და ცხენებიც იქვე დააბეს. ვაგონი კარვის გასწვრივ დააყენეს, მის ოთხივე ბორბალს ქვეები ჩაუდგეს და კოცონი დაანთეს.

სამი კაცი და ერთი ქალიც იქვე ტრიალებდნენ და მერე ერთი ახოვანიც შეემატათ. ვაგონიდან გადმოვიდა ტყავის ყილეტითა და ფართე ხავერდის შარვალში მოსილი წვეროსანი ბოშა, პირში რომ ჩიბუხი ჩაიდო, ასანთს ნაჰკრა და პირიდან მძიმედ დახვეული ბოლი გამოუშვა. ცას ახედა, მიდამოსაც

მოატარა მზერა და იქვე ჩამოჯდა, — რამდენი წელი არ ვყოფილვართ აქ. — თქვა ხრინჩითა და დალლით, — მელისა! — გასძახა ქალს, — წყალი მომიტანე.

მაგრამ ქალი ადგილიდან არ განძრეულა. ცას აჰყურებდა და კაბის ატლასებში რიჟრაჟის ათინათები უელავდნენ. მაჯებსა და ყელზე ძენკვებსა და სამაჯურებასხმულს წელამდე დაყრილი თმა ეტაღლებოდა და იდგა თითქოს მოხუცის ხმა არ გაუგია.

— ქართული ხომ არ დაგავინყდა! — უფრო ხმამალა დაუძახა წვეროსანმა, — Воду говорю принеси!

— ახლავე, — ვაგონისკენ წავიდა ქალი, — ქართული არავის დავინყებია, подумаешь двенадцать лет не были в Грузии, რატომ უნდა დამავინყდეს.

— Это вы не были, — თქვა მოხუცმა, — а я был и все устроил, არაფერია სანერვიულო.

— კიდევ კაი საზღვარზე არავინ გვნახა, — თქვა ერთმა ბოშამ, კოცონთან ჩამჯდარიყო, გაცრეცილი ყილეტი ეცვა მასაც, ზემოდან თხელი ქურთუკი მოეგდო და ცეცხლის ათინათი უღვაშებიან სახეზე დაუდიოდა.

— ომარ, — თქვა მეორემ, გრძელი თმები უკან ჰქონდა შეკრული და წელშიშველი იყო, — ხომ გაიგე მელქისედექმა რა თქვა, გაკეთებულიაო ყველაფერი.

— მე გზები ვიცი ჯავად, — თქვა მოხუცმა, — შემძილია მთელი დედამინა ისე შემოგატარო ვერავინ მიხვდეს, — თუთუნის ბოლში გახვეულიყო და

ვაგონისკენ ეჭირა თვალი.

— ჰო მელქისედექ ეგრეა, — თქვა კიდევ მესამემ, ჭრელი პერანგი მოსავდა და მტაცებლის გამობედვა მისი, ჩექმებში ჩამდგარსა და წელზე ქამარმოჭერილს საშიში კაცის იერს აძლევდა, თითქოს ახლახანს დაეხსნა მდეგარს, აქეთ-იქით იყურებოდა და რალაც მოუსვენარი გაეჭვებით აკვირდებოდა არემარეს.

— მშვიდად ხალილ, მშვიდად, — თქვა მელქისედექმა, — აქ არავის არაფერი ემუქრება, დღესვე კაცი მოვა ჩემთან, ცხენებს მიყიდით, თქვენთვის პასპორტებს მოიტანს და მერე მე ვიცი, — მოხუცმა ფეხით გაასწორა კოცონიდან გამოყოფილი ტოტი, — მერე ბათუმი, სარფი და თურქეთი.

— Твои пути и вправду не исповедимы Мелкиседэк, — თქვა ხალილმა, ნიკაპზე გაისვა ხელი, — Ты не барон ты барон Бог!

— Даа это благое место, — გამოაგრძელა პირველმა, ცეცხლში შეაგდო ამანაც ტოტი, როცა სიგარეტს მოუკიდა და გამოიხედა ვაგონისაკენ, — Там спят еще да?

— ძინავთ ძინავთ, — მოვიდა მელისა, — აჰა მამა, — მათარა მოხუცს გაუნოდა.

— ინათებს მალე, — თქვა მელქისედექმა და შვილს მათარა გამოართვა, — აქ სხვა სხივები აქვს განთიადს, — თქვა და სანამ წყალს დაღვედა თვალეზდახუჭულმა ღრმად ჩაისუნთქა რიჟრაჟის დაწმენდილი ცივი ჰაერი, მერე მათარას ხუფი მოხსნა და მოიყუდა, დალია რამოდენიმე ყლუპი, ხუფი

დააცო ისევ და ქამარზე ჩამოიკიდა. ჩიბუხიდანაც ნამწვი ფერფლი გადმოყარა, ჯაყვით გამოფხიკა შიგ მიკრული თუთუნის ზეთი, მუშტუკსაც ჩაბერა ერთი და ჩიბუხი ჟილეტის ჯიბეში ჩაიღო. წამოდგა ფეხზე, — მიდით დაიძინეთ, ცოტა ხანს ვიქნები აქ და მოვალ მეც.

მელისა მამასთან დარჩა. კაცები კარვისკენ წავიდნენ.

— დაელოდები როდის ჩაქრება? — თქვა ქალმა, — თუ ჩავაქრო მე?

— ჩაინვება სადაცაა, — თქვა მამამ, — შენ რატომ არ იძინებ?

— შევალ ახლა, იქ გაეღვიძა პატარას, რადა დააძინებს და შევალ, შენ მართალი იყავი, — თქვა მელისამ, — აქ ყველაფერი სხვანაირია, ან როგორ თენდება, — ცას ასცქეროდა მამაშვილი, ჯერ კიდევ რომ ბნელოდა, მაგრამ აღმოსავლეთის ქედებზე უკვე შემომდგარიყო განთიადის სიბაცე და დასალიერისკენ კი უკვე ბრწყინავდა ცისკრის პირველი მაცნე, — როგორ ანათებს არა? ვენერა, — თქვა მელისამ.

— Это люди ее так называют фэя моя, на самом деле эта звезда Бога, — თქვა მელქისედექმა, — ცისკრის ვარსკვლავი, но не важно, иди спать, — თავზე აკოცა ქალიშვილს.

— შენ?

— რა მე, მე არსდროს მძინავს ისე და იმდენი რომ კიდევ მინდოდეს ძილი, შენ ეს კარგად იცი, მე ვცხოვრობ ყველგან და ყოველთვის და იცი ესეც, —

მელქისედექმა ფეხით მიყარ-მოყრა კოცონის ნარჩენი ტოტები და თავისივე ჩექმებით ჩააქრო ნაკვერჩხალი, — წავედით, — უთხრა ქალიშვილს.

კარავში კი საგებლები ერთი მეორეს მიყოლებით გაეწყოთ კაცებს და ზედ იწვნენ, თავქვე მუთაქები ან თავისსავე გადახვეული სამოსელი ედოთ, ხოლო ერთი საგებელი დიდი მწვანე ატლასის ბალიშითა და ფერადი ნაყშით მოქსოვილი, საგანგებოდ მოემზადებინათ მოხუცისთვის.

საუბრობდნენ:

— შენ ჯავად იცი, როგორ არ იცი, — ამბობდა ომარი, — გააჩნია დროს და ქვეყანას სადაც ჩვენ ვართ.

— დრო ჩვენთვის ყველგან ერთია, — თქვა ხალილმა, — დაგავიწყდა ვინ ხარ?

კარავში მელქისედექი შემოვიდა. ბოშები გაჩუმდნენ. მოხუცმა ტანისამოსი და ჩექმები გაიხადა და საგებელზე გულაღმა დაწვა, ნაბადი გადაიფარა, — ჩერქეზებმა მაჩუქეს ეს ნაბადი, — თქვა მოხუცმა, — მიყვარს ძალიან, რას გაჩუმიდით, რაზე საუბრობდით?

— შენზე და მელისაზე, — თქვა ჯავადმა,

— მერე? რას ამბობდით ჩემზე და მელისაზე?

— ყველანი ვზრდიდით მაგის მშობლების მერე, — განაგრძო ჯავადმა, — მაგრამ მამას შენ გეძახის. არა მამა ხარ ჩვენი, რათქმაუნდა, მეც მამას გეძახი და ყველა ჩვენგანი, ყველა ქვეყანაში, მაგრამ სახელსაც გეძახით, მელისა კი მარტო მამას. განა ასე არაა ჩვენი თაფლის ფერია?

— მერე? — თქვა მელქისედექმა.

— არაფერი, — თავი დახარა ჯავადმა.

— დაიძინე მაშინ, თუ არაფერი. ხალილ გინდოდა რამე გეკითხა?

— ცხენებზე მინდოდა მეკითხა, — წამოინია ხალილი და თვალედახუჭულ მელქისედექს შეხედა.

— რა გაინტერესებს? — თქვა მოხუცმა.

— ვინ იყიდის და ვაგონსაც ვინ იყიდის და პასპორტები ჩვენი ვის მოაქვს, ხომ სანდოა ეგ ხალხი, ქართველებზე არაფერს ვამბობ, ისე ვამბობ, — გაეჭვებასთან ერთად ბოშას ხმაში რალაც ფარული მორიდება და სიღინჯეც იგრძნობოდა.

— არ მენდობი? — წყნარად მიუგო მოხუცმა, ისე რომ მისკენ არც გამოუხედავს.

— როგორ არა, გენდობი, აბა რა თქმაუნდა გენდობი, — დაიბნა ოდნავ. დანარჩენები შეცბნენ. ხალილს უყურებდნენ, კბილებით ეჭირათ სუნთქვა.

— ჰოდა დაიძინე მშვიდად, — თქვა მელქისედექმა, — ეჭვი ტანჯვათა წყაროა იმისთვის ვისაც უყვარს და შეურაცყოფაა იმისთვის ვინც უყვართ. გიყვარვარ ხალილ?

— იცი რომ მიყვარხარ, — ახლა რალაც უხერხული ხრინნი ამოყვა მის ხმას, მოხუცის ნათქვამზე დაშრობოდა თითქოს ნერწყვი, დანარჩენი ორნიც ისევე იყვნენ გაშეშებული და ვერ ბედავდნენ რამის თქმას.

— მე ბევრი რამე ვიცი ხალილ, შენ კი თავს ისულელებ, დაიძინეთ, მალე უნდა ავდგეთ მაინც, გრძელი გზა გამოვიარეთ, — ბრძანებასავით გაის-

მა მელქისედექის ხმა და მეტი არც არავის არაფერი უთქვამს. ჩათვლიმა ყველამ.

მელისა ვაგონში იწვა. იწვნენ ქალებიც ორსართულიან საწოლზე და ერთიც მელისას გვერდით, ბავშვთან ერთად.

ვაგონის სარკმელი ღია იყო და ბავშვიანი ქალი, მელისასავით ისიც გრძელთმიანი, შარვლითა და ზედ გადაცმული კაბით, ასევე ბლომად ასხმული სამაჯურებითა თუ მძივებით, გრძლადვე ჩამობმული საყურეებით და აღმოსავლური, მუქი იერის მზერით, მხოლოდ თავის ტუჩებმომნიფებული პირიდან რომ მოუჩანდა თეთრი ღიმილი და ხალი ეჯდა ღანვზე, ჩუმად ეუბნებოდა მელისას: — Сколько скитании Мэлисса ребенок и в двадцать первом веке растет как настоящий цыган...

— Все путешествуют Рада просто многие об этом не знают, — თქვა მელისამ და ბავშვს დახედა, მაისურში მოტიტვლებული გემრიელად რომ ეგდო დედის გვერდით, — Отец уже все устроил, ხვალ მატარებლით, ან შეიძლება დღესვე в Батум, მერე სარფი и дальше.

— Ты пчела Мэлисса, — ჩაიჩურჩულა რადამ, — ნამდვილი ფუტკარი ხარ, Мелкиседэк так тебя назвал, значит и Бог тебя любит. Фая медовая.

— აქ იმდენი გვირილაა რადა, как в сказке, любит не любит, ბავშვს დააფარე.

— არა იყოს, жарко, ავდგებით მალე. წყარო არის აქ რამე ახლოს?

— აქ ყველაფერია რადა. ცოტას დავიძინებ მეც

დამლალა გზამ. Разбуди через час.

— А который сейчас час, — რადამ მუთაქის ქვემოდან საათი ამოიღო, — Ты посмотри гаჩერებულა, — საათი შეანჯღრია და ყურზე მიიღო. ისრები იდგნენ, — Все. Остановились. Надо-же საქართველოში დრო გაგვიჩერდა, как странно, ребенок проснется тебя тоже разбудит, — ხელები საბნისა და მუთაქის ქვეშ შეყო რადამ, მერე ლეიბის ქვეშაც დაუნყო რალაცას ძებნა და დააყოლა: — Куда-же я эту соску и свои карты дела.

ორსართულიანი საწოლის ზემოთ, მძინარე ქალს გაელვია. თავსაფარი ჰქონდა თავზე შემოხვეული და შიშველ სხეულზე თხელი ზენარი ეფარა, ალაგ-ალაგ რომ უფარავდა მკერდსა და თეძოებს. მუხლებს. თვალები მოისრისა და გაზმორებისას ხელები ვაგონის ჭერამდე აქაჩა. სარკმელში გაიხედა, — ო, გათენდა თითქმის, — თქვა ხმადაბლა და რადას ჩამოხედა, — რას ეძებ?

— Да вот соску для него не могу найти и карты свои.

— კარტი მე შევინახე. მანდაა გიტარასთან დევს, ხალიჩა აფარია. Доброе утро.

— შენც ჰაიკო, доброе утро, — თქვა რადამ, — სადა აბა? ა, ხო აი ვნახე, მარა სოსკა სადაა?

— სოსკა მართლა არ ვიცი სადაა, მარა ამ დილას კარტი რად გინდა, приснилось что-то?

— არა ისე ვეძებ, შენ? შენ არ ნახე რამე? — თქვა რადამ, — მალე მოვედით არა?

— Не говори. И вправду за секунду. ესაა ერთან-

მინდა? ჯავადი და ომარი ამბობდნენ, рай настоящий, такие сады что с ума сойдешь, ავდგეთ რადა? — ჰაიკომ ისევ მოისრისა სახე, თმები შეიჩეჩა და თქვა, — დამესიზმრა, თითქოს на всей земле люди стояли и на небо смотрели, ღამეც იყო და დილაც ერთდროულად, ვარსკვლავები მაინც ჩანდნენ, ვითომ все на звезды смотрели там еще мальчик какойто был и сияние какойто видел, მაგის გარდა თითქოს никто не видел я потом поняла что из него шло, აი ეს ნათება მისგან მოდიოდა.

— Что за сияние? ჰაიკო? А во, нашла, — რადამ ბავშვის სატყუარა სანუნნი ლოგინის სადღაც სიღრმიდან ამოიღო, — აზრზე ხარ? Я на ней лежала, — თქვა და ჰაიკოს ახედა, — А? Что за сияние? კარგი სიზმარი იყო?

— მაგარი, так спокоино на душе. А маленький спит?— ჰაიკომ პერანგი აიღო, ზენარი ჩამოიგდო და პერანგი ჩაიცვა, მუხლებამდე ჩამოიგრძელა პერანგი კაბა, ერთიც გადაიცვა ზემოდან და რადას ჩამოხედა, ჩუმად უთხრა, — А ты волшебница? рано встала? И Зара еще спит да?

— ძინავთ, — თქვა რადამ, — როგორც კი ირიჟრაჟა გამეღვიძა, ასე რომ არავითარი ჯადოქრობა არაა. ჩამო, გაიღვიძებს ეს ისევ და გავიდეთ გარეთ, — ანიშნა ბავშვზე, — ზარა მორიგეობდა გუშინ ამიტომ დაანებე თავი, შენ კი ჩამო.

— არ მძინავს, — გაისმა ზარას ხმა. წითელთმიანი იყო და შიშველი ეძინა მასაც. კედლისკენ მიბრუნებულიყო და წითელივე ზენარი ეფინა ტანზე,

მასაც რომ სანახევროდ უფარავდა სხეულს და სახეზე და მხრებზე მზის რუჯი უელავდა, შავ თვალებს რომ უფრო ახელინებდა თითქოს არც ეძინაო ღამით, — დავინვი გუშინ მზეზე, — თქვა ზარამ, — მანონი მჭირდება, ვერაფრით მოვისვენე, ღამით ვინმე ხომ არ შეგანუხეთ? — გამოიხედა რადასკენ, — მადლობა ღმერთს მეღქისედექმა ქართული გვასწავლა თავის დროზე.

— ის ამბობს საქართველო სამოთხეა, მაგრამ ჩვენი სამშობლო გზააო, — თქვა ჰაიკომ და ზედა ლოგინიდან ჩამოვიდა. ქოშებში ჩაყო ფეხები და ვაგონის კარი გახსნა, — უჰ რა სუფთა ჰაერია.

— მამამ ბევრი ენა იცის, — თავი წამოყო მელისამ, — მარტო ადამიანების არა.

— არ გძინავს? — დახედა რადამ, ბავშვი უფრო ახლოს მოიწვინა.

— ჰაიკოს სიზმარს ვუსმენდი, სტამბოლში მივდივართ, ყველაფერი მზადაა ამისთვის, — თქვა მელისამ, — და ბანაკს ვუერთდებით, იქ მამას ელის ყველა.

გარიჟრაჟი კი გაიზღაზნა და მინდვრებზე და ჭალებში ჩრდილებიც გაიწვინა. წამოიწვერა დილა, ნისლები ჩანვნენ ჭალებში და ქედების მოლივლივე გამჭვირვალეებიდან ამოუსხივდათ მზე. უკვე შორით ისმოდა მამალიც და სხვა ჩიტთა სტვენაც აქაიქ შეეხმიანა ბალახზე განწინკლულ ცვარს, სხივჩარეკლიანი რომ წაგავდნენ მიპნეულ ოქროს ოქროს მტვერს.

თავი მეცამეტე

## ჩარლი ასეულის ასმეთაური გიორგი სარდლიშვილი და ლელიო

3 სექტემბერი 2008

უბრალოდ წარმოიდგინეთ და მეტი არაფერი, ვფიქრობდი სანოლზე გულალმა მწოლიარე და ჩემს გადახვეულ სხეულს დავყურებდი, არაუშავს, არაუშავს-მეთქი, ვინცნარებდი თავს და ალაგ-ალაგ სისხლის ლაქებით ამოჟონილ სახვევებს მივაჩერდებოდი ხოლმე. ერთი ყლუპი ქართული ღვინო მენატრებოდა, ატენურს დალევდა-მეთქი კაცი ვფიქრობდი და ერთ ყლუპ უისკიზეც არ ვიტყოდი უარს, მომწყურდა თითქოს ღვინო, მეთქი რამოხდებოდა ჩემს კოხტა ქეთევანს, რომ ვთხოვო იქნებ სადმე ერთი ჭიქა ატენური აღმოაჩინო და ჩუმად შემომამპარო-მეთქი, მაგრამ სად იშოვნოდა ახლა და აქ ატენურს, მე კი მხოლოდ ატენური მინდოდა, თან იმ ახვრებს, ტყეები გადაუნვიათ, ბორჯომის ხეობა ინვოდა, ღმერთო მართლა სამოთხე ინვოდა, ბავშვობაში ვარ ბორჯომში ნამყოფი, მამაჩემი მაშინ ცოცხალი იყო, ერთად ვიყავით. ფიჭვები მახსოვს და სურნელი მათი, ატენის ხეობაც გა-

დაუნვიათ და სოფელი ხანდაკი, ზემო ხანდაკისკენ ყრიდნენ ცეცხლგამჩენ ჭურვებს და ცეცხლი ერთანმინდასაც აყოლებია, ნეტავ იქაური ჭალები და ბალები თუ გადარჩნენ-მეთქი ფიქრი გამწინკნიდა ჩემს გაბრუებულ თავში და საშინელი ტკივილი მანვებოდა მკერდზე. კარისკენ ვიყურებოდი, დერეფნიდან სულ ვილაცეების ხმები ისმოდა და ხალხი მიმოდიოდა ჩქარ-ჩქარა, ექიმები და ექთნები, გოგი გამრეკელიც დავინახე მერე და ქეთიც, ჩემი მედდა, მინდოდა მეთქვა ქეთი შემო ერთი წუთით, იქნებ სადმე ჭიქა ღვინო მიშოვო-მეთქი, თან ატენური, ნაკლები არა, თუ ღვინოს ვერსად ნახავ, იქნებ სუპერმარკეტში პატარა უისკის ბოთლი მიყიდო და ვალს მერე გაგისტუმრებ-თქო და ეგ იყო, მინდოდა დამეძახა, გოგი ექიმი შემოვიდა ქეთისა და სხვათა თანხლებით.

— როგორ ბრძანდებით ლეიტენანტო? — თავზე წამომადგა და პულსი გამისინჯა, — დრო არ ითმენს გიორგი ბატონო, მზად უნდა იყოთ, შეგიყვანთ მალე, ჰა, როგორ ხართ?

— კარგად, — ვუპასუხე და შემოსულებს გადავხედე, — ოპერაციისთვის მამზადებთ? — ისე ვიკითხე, თითქოს ყველას ვეკითხებოდი. კი, თქვა გოგიმ, მალე მოგვინევსო, ახლა კი სტუმარია შენთანო, გამილიმა და რამოდენიმე წამი იდგა ჩემს გვერდით, თავისი, ღრმა მზერით დაკვირვებული. ვინ სტუმარია-მეთქი და თავადვე ნახავო, შებრუნდა და გავიდა. გაყვნენ ექთნებიც და ქეთიმ გამომძახა, მე აქვე ვარ თუ რამეა, კარის უკან ვზივარო.

დამიძახე როცა დაგჭირდებო. გავიდნენ და კარი ღია დატოვეს.

ღია კარში ჯერ არავინ ჩანდა. დერეფნის შუქები თამაშობდნენ და ფანჯრიდან შემოსული სინათლეს თვალს მჭრიდა. ვინ უნდა იყოს-მეთქი, ზერელედ შევიფიქრე თავი და იმნამიერად, იმგაფიქრებინად, ზედ შემოსასვლელ ზღურბლზე შავი სილუეტი დადგა. თითქოს თვალი დამენისლა, ვერ ვარჩევდი სახესა და მთლიან სხეულს და დაჟინებით მივაშტერდი პალატაში შემოსასვლელ კარს. ის ვინც იქ იდგა, ჯერ იდგა და ადგილიდან არ ინძრეოდა, შემდეგ ნელა შემოდგა ერთი ნაბიჯი, მეორეც ნელავე შემოაყოლა და შემოვიდა, ძალიან ფრთხილობდა შემოსვლისას, ისე ადგამდა ნაბიჯს თითქოს ბენვის ხიდზე გადმოდისო, რომლის მეორე ბოლოში მე ვიყავი, სიცოცხლის ჩემ დაჟინებულ წყურვილზე თითქოს სუნთქვანავლებული. ხელები უკან წაელო და მალლა აენია თავი, ასევე დინჯად და ფრთხილად როცა მომიახლოვდა, ის თვალისმომჭრელი შუქიც გადატყდა თითქოს და ჩემს გვერდით, შავ კაბაში ამშვენებული ლელიო დავინახე.

— ლელიო, — ავიხარე მისი დანახვისას, ხელი მის ხელს წავავლე და წამოჯდომა ვცადე, მაგრამ მკერდზე ისე ჩამენვა რალაც, თავიც კი ვერ წამოვნიე. ნამტირალევი სახე ჰქონდა და ძალიან ლამაზი იყო, ძალიან. მაგრად უხდებოდა გრძელი შავი კაბა და უკან გადაკრეფილი თმები, ქუთუთოები ოდნავ დასიებოდა და ნაცრემლი სახე მისი, რალაც საოცარი სისუფთავით ითამაშებდა შუქის ათინათს.

— გიგლა, — თქვა ასევე ხმანამტირალევემა და სკამი მოიჩოჩა ჩემი ლოგინის გვერდით, — ჩემო გიგლა, — დაიხარა თუ არა ტუჩებში მაკოცა და ჩემი ხელი სახეზე მიიკრა, მიიხუტა და თითებს დაუნყო კოცნა, მხოლოდ ჩემს სახელს იმეორებდა და ისევ ეცრემლებოდა თვალები, მეორე ხელი ყელთან დამადო და ფრთხილად მომეფერა ლოყაზე, — ექიმმა გამაფრთხილა, — თქვა ლელიომ, — ზედმეტი ემოციისგან თავი შეიკავეთო, ღმერთო სულ ვკანკალებ, — მართლა ცახცახებდა, ქვედა ტუჩი უკრთოდა და გამალებით იღებდა ჯიბიდან ცხვირსახოცს, — არაფერი თქვა, მე ყველაფერი ვიცი, ფარნაც ჩვენთანაა, ერთი განაკანრიც არა აქვს მაგ ოხერს, როგორ შეგვაშინა, — თქვა ლელიომ, — დედაც კარგადაა გიგლა შენი, ჯერ ვერ შევძელით, მაგრამ მალე ჩამოიყვანს ირაკლი, ჩამოვიდა იცი? ძლივ-ძლივობით. სამი დღეა რაც ჩამოვიდა, პირველივე შენზე იკითხა და ძებნა დაგინყო, ტელევიზორით ვიგებდით ამბებს, თბილისში გადავედით, ფიდო და ფარნა სამოქალაქო სოლიდარობის შტაბში განვევრიანდნენ, მიტინგებს აწყობდნენ, ფარნა რომ გაინვიეს და უკანვე გამოინვიეს მთელი რეზერვი, დაიბნა და დაიკარგა სულელი, ჰაილუქსით შეყოლია ჯარს, შენ გეძებდა თურმე და ყველას შენზე ეკითხებოდა. მოვა ისიც, მაგრამ მერე, ახლა კი სიყვარულო ჩემო, ჩემო ნათელო და მამაცო სიყვარულო ნახე, შეხედე ამას, — ჩემი ხელი მუცელთან მიიტანა და ფრთხილად მიმადებინა, გამობურცვოდა, მიყურებდა შეშინებულიც და ბედნიერიც,



— ორსულად ვარ გიგლა, — თქვა და ისევ წასკდა ცრემლები, ცხვირსახოცი სახეზე მიიფარა, მოინმინდა სახე და ისე გამილიმა, ისე გამილიმა მთელი სახითა და სულით, ისე ამომინათა მთელი თავისი არსობა და სიხარული, რომ მეც გადმომელვარა თითქოს მისი შუქი.

— ლელიო, — მეც წამომეცინა, ისე ჩქარა და ცოტა გიჟივითაც კი, თითქოს გაუგებარი რალაც გასაგებად მომეჩვენა და თხელი ოფლი ვიგრძენი მთელ ტანზე. სიმხურვალე და ცივი ოფლი ერთად, — აქ ჩემი შვილია? — მივაშტერდი მის ოდნავ შესამჩნევად ამობურცულ მუცელს, — ჩვენ შვილი გვეყოლება? რას ამბობ ლელი, შვილი გვეყოლება?

— ორი თვის ორსული ვარ გიგლა, — დაიხარა და ისევ მაკოცა, ტუჩებშიც და მთელ სახეზეც და ისევ ჩემ ხელს დაუნყო გამალებული ფერება, — ჩემო ანგელოზო გიგლა, ჩემო, ჩემო, — იმეორებდა და მკოცნიდა, — ჩემო მამაცო ადამიანო, ჩემო კეთილშობილო გიგლა, — მეუბნებოდა და ცახცახებდა, — მიყვარხარ, გესმის? მიყვარხარ! მიყვარხარ! ხომ გიყვარვარ შენც? მითხარი ხომ გიყვარვარ?

— ლელიო, რას ამბობ? — ყელში ამომადგა ის ჟანგისგემოიანი სიმწარე, — რას მეუბნები? მიყვარხარ აბა? ნუ მეკითხები ასე, ან რატომ მეკითხები, — ჩემი ხელი, მის ხელის მტევანს მოვუჭირე და გულზე გადმოვიდე, მაგრამ ისევ ჩამენიწკნა მკერდი, თავბრუც კი დამესხა და შუბლზე მომედო ოფლი, ოდნავ სუნთქვაც კი გამიძნელდა და სადღაც შიგნით, შიგ მკერდში, თითქოს დანა გამიყარესო

ისეთი სიცივე და ტკივილი ვიგრძენი მოვადუნე ხელი, ძალაც დავკარგე მგონი და თვალებიც თავისით დამეხუჭა, — ირაკლის როგორ უთხარი, ღმერთო ჩემო, რას იტყვის კაცი, იცის ირაკლიმ ჩვენი ამბავი? — ვთქვი ასე თვალებდახუჭულმა.

— კი გიგლა იცის და ძალიან უხარია, ირაკლის შენ ძალიან უყვარხარ, — იცინოდა ლელიო.

— მეც ძალიან მიყვარს, — ვთქვი და მკერდის სპაზმი გამიმეორდა, მახრჩობდა რალაც და ვერ გამეგო რა, მთელი სხეული მენვოდა თითქოს, პირი მიშრებოდა და ყურები მეგუბებოდა, მეგონა გონებას ვკარგავდი, მაგრამ ლელიოს სახეს კი ვხედავდი და მისი ხმაც ასე მსიამოვნებდა და ძლივს ამოვღერლე მერე, — ეს შავი კაბა გიხდება, რა ლამაზი ხარ ლელიო, რა ლამაზი ხარ, — ამოვთქვი ძლივს და ძლივსვე მივამატიე, — და რა ბედნიერი ვარ მეც, — ვთქვი და კრუნჩხვა ვიგრძენი მთელ სხეულში. მკერდის ტკივილმაც იმატა, ის უკვე ჩხვლეტა აღარ იყო, ის ჩეხვას იფრო ჰგავდა, ნაჯახით მიჩეხდნენ თითქოს გულმკერდს და კიდევ უფრო რომ მომენიწკნა და მეჩხვლიტა გული და სიმხურვალე შემომეხვია თუ სიცივე უკვე რომ ველარ გამეგო და თავბრუს დასხმა, კეფაში და საფეთქლებთან კეტის დაჰკვრას უფრო რომ დაემსგავსა და გაბრუებასთან ერთად ტერფებსაც რომ უკვე ველარ ვგრძნობდი და ველარც თითებს, ლელიოს შევხედე, მივხვდი, გულთან გაჩხერილი იმ გამსკდარი ბომბის პატარა პატარა ნაკუნები, რომ დაძრულიყვნენ ადგილიდან და ჩემი გულისკენ მიიწვედნენ. შევხედე ლელიოს

უჩვეულოდ შენათებულ და გაყინულ სახეს და მის ირგვლივაც რალაც უჩვეულო, მაგრამ ძალზე მშვიდი ნათება დავინახე, მის მუხლებზე მინდოდა ხელი გადამედო, მაგრამ ველარ ვწევდი, მინდოდა წამოვმდგარიყავი, მაგრამ თითქოს სხეულს მივეტოვებინე უკვე, თვალებით ვანიშნე ჩემსკენ ჩამოიხარე-მეთქი და როცა ლელიოს ლოყა და ყური, ჩემ პირთან ახლოს დავლანდე, ძლივს ჩავჩურჩულე, — უთხარი ჩემ შვილს, რომ მაგარი მამა ყავდა, — ძლივსვე ვაკოცე ლოყაზე და თითქოს თავისით გამეფიქრა, ღმერთო წამიყვანე შენთან.

გაფიქრებასთან ერთად ამოვედი ჩემივე თავიდან და ზემოთ ავცურდი, სასიამოვნოდ ავჰაერდი თითქოს. გამიკვირდა, ნუთუ ფრენა შემძლება და ფეხით რალაზე დავდიოდი-მეთქი და საოცარი, მართლაცდა აუხსნელი და აღუწერელი სიმშვიდე და სინყნარე ვიგრძენი. ტკივილის ნასახიც აღარსად მქონდა, უკვე აღარაფერი მტკიოდა და დიდ შვებას ვგრძნობდი. ოთახის ზემოთ ვტივტივებდი და თავს დავცქეროდი.

ლელიომ კი ხმამაღლა შეკივლა და უცებვე შემოქანდა მედდა ქეთიც და შემოცვივდნენ ექიმებიც. გოგამ ყველა განია და ჩემ მკვდარ სხეულს დაუნყო სინჯვა. ლელიო ადგა. მუცელზე ეკიდა ორივე ხელი და უკან-უკან ადგამდა ნაბიჯებს. ტიროდა. მთელ ხმაზე ბლაოდა და გარშემო მოცისფროდ თუ რალაცნაირად მოლურჯოდ თითქოს, გამჭვირვალე ნათება უღივლივებდა. ვილაც სხვა ექთნები ორივე მხრიდან ამოუდგნენ და პალატიდან დერეფანში

გაიყვანეს, ის კი ტიროდა და ჩემს სახელს გაკიოდა, ჩემს სახელს გაყვიროდა მთელ საავადმყოფოს და მთელ ქვეყანას, მთელ სამყაროს თითქოს!

ჩემი ტანი, საკაცზე გადმოაწვინეს და საოპერაციოში გააქანეს. დეფიბრილატორებს მოვკარი თვალი, მაგრამ მათკენ აღარ წავსულვარ, ლელიოსთან მივედი და ხელები შემოვხვიე. ის ვერ მგრძნობდა, კედელთან ჩაცუცქულიყო და ორივე ხელი ახლა სახეზე აეფარებინა და ქვითინებდა. ექთნებმა წამოაყენეს, სკამზე ჩამოსვეს და ჭიქა წყალი დაალევივნეს, თითქოს მოსვა ყლუპიც, მაგრამ ერთერთ მედდას ხელი აკრა და სირბილით გაქანდა დერეფანში, სადაც მე მიმაგორებდნენ... მაგრამ აქაც გზა გადაულობა ექთანმა და იქით აღარ გაუშვა. მეორეჯერაც მივედი ლელიოსთან, ისევ შემოვხვიე, მას და მის ირგვლივ, მოლურჯოდ გამჭვირვალე იმ უცნაურ ნათებას ერთადვე შემოვხვიე და დავინახე, ქალის მუცელში, როგორ მოკუნტულიყო, სათითესხელა ცოცხალი არსება, ჩემი შვილი. ლელიომ, უეცრად, თითქოს შეყოვნდა წამით, გვერდით გაიხედა. თითქოს დამინახა, მაგრამ ჩემ ხმას ვერ იგებდა, მე კი ვეუბნებოდი, მოიცა, მოიცა, თუ ასეთია სიკვდილი მოიცა წამით, თურმე სიკვდილი არ არსებოს, აბა მე სადა ვარ ახლა, თურმე საიკვდილი არ არსებოს-მეთქი აბა ეს რალაა, როგორ ავიხსნა, როგორ მოგანვდინო ხმა ახლა სადა ვარ და როგორი ვარ-მეთქი! ან სად წავალ ახლა და თუკი ასეა, მაშ ოდესმე ისევ შევხვდებით-მეთქი ანგელოზო! მაგრამ ის მხოლოდ დერეფნის ერთი ბოლოსკენ

იყურებოდა და დიდი გაოგნება ედო სახეზე, ისევ ისევე რომ უცახცახებდა მთელი სხეული და ძარღვები ეჭიმებოდა ყელზე. მამამისი დაინახა, ირაკლი. დერეფანში მორბოდა ლელიოსკენ და მოიბრინა თუ არა, გულში ჩაიკრა თავისი ქალიშვილი. ტიროდა ისიც და მთელ სახეს უკოცნიდა ლელიოს. მოიბრინა ფიდომაც და ფარნამაც და ყველა ერთმანეთს შემოეხვია. თავიანთი და, ისევ იმ სკამზე დასვეს და ფერება დაუნყეს. დერეფანში დავით გეგეშიძე, სანდრო რაზმაძე, ლადო ქაშაყაშვილი და ლალი გამოჩნდნენ. ლალის უკან კი კერესელიძე ირაკლის დედაჩემი მოყავდა.

ცოტა ხანში გოგი გამრეკელი გამოჩნდა, დედაჩემთან მივიდა. უთხრა რაღაცა და ხელზე აკოცა დედაჩემს. მერე გულში ჩაიკრა და გაბრუნდა უკან. დედა შენც რა ლამაზი ხარ, ვამბობდი ჩემთვის, მაგრამ ისიც, თითქოს სადღაც იყურებოდა, ლელიოსავით შავებში ჩაცმული და მუჭაში მაგრად მოემწყვდია ყელზე ჩამოკიდებული, თავის დროზე მამაჩემის ნაჩუქარი ჯვარი. ცოტა ხანი დავყავი მათთან, ყველას სათითაოდ ვეხუტებოდი, მათ შორისაც შევეფინებოდი და გამოვიდოდი და მიყვარხართ, მიყვარხართ-მეთქი ვეუბნებოდი, ისინი კი ერთმანეთს არ სცილდებოდნენ და სიბრაზედაყოლილი მწუხარებით უმძიმდებოდათ სახეები. ერთი დედა იყო, თითქოს რომ გაიტრუნებოდა წამით, თითქოს კი გრძნობდა ჩემ სიახლოვეს და ღიმილნარევი ცრემლით ენათებოდა სახე, შიში და სიხარული, თუ გაკვირვება და სიმშვიდე ეკრთობოდა მის გულს

და ხმას არ იღებდა... თითქოს მე მეუბნებოდა თავისთვის ჩაფიქრებული, თავის გაშეშებულ ფიქრში ამბობდა, ნუ გეშინია ჩემო ბიჭუნა, მამაშენს შეხვდები ალბათ და მეც ალბათ მალევე გინახულვით, ნუ გეშინიაო და მეორე იყო ჩემი შვილი ლელიოს მუცელში, რომ შეირხეოდა ისიც და მასაც რომ რალაც ნათება ეხვეოდა გარს და თითქოს მფარველი ანგელოზივით ევლებოდა ირგვლივ.

ჩემი სიმშვიდე კი ნელა ნელა თავისთან მექაჩებოდა, ნელა, რბილი და მდორე ამაღლებით აყვავდი და მეც, მის ჩრდილებშემოცლილ სინათლეებს აყოლილი, ასევე ავუყვებოდი სამოთხეებისკენ გამავალ აღმართებს. იქვე სადღაც ანათებულ სინმინდეებში, იმ აყუდებულ სიმაღლეებში მამაჩემიც რომ უკვე მიქნევდა ხელს და ანგელოზებს ეუბნებოდა, ნახეთ, ნახეთ, ეს ჩემი ბიჭი მოდის, მეოთხე ბრიგადის, ჩარლი ასეულის ასმეთაური, უფროსი ლეიტენანტი გიორგი სარდლიშვილიო.

## მელისა და მელისას მამა მელქისედექი

9 ივნისი 2008

შუადღისას ლალი სახლის აივანზე იჯდა. ბაღში შვილებს გასცქეროდა, ლელიო ჰამაკში ჩანოლილიყო და ძმები კი, მის გარშემო ისხდნენ და რაღაცეებზე ესაუბრებოდნენ.

— ირაკლი, — თქვა ლალიმ, — გამო რა ერთი წუთით, — ხელისგულით შუბლი დაეჩრდილა ლალის და ბალისკენ იყურებოდა.

ირაკლი ოთახიდან გამოვიდა.

— რა იყო?

— აი ისინი ვინ არიან, — ხელი ეზოს გაღმისკენ გაიწვინა. ჭალებისკენ ანიშნებდა.

— სად? — გაიხედა ირაკლიმაც, — სად ვინ არიან?

— აგე იქ ვერ ხედავ ვერავის?

— ა, შოორს? რაღაც კარავი როა?

— ჰო, ეგ.

— რავიცი მე. ტურისტები ალბათ. მოგზაურები. რაში გაინტერესებს.

— ღამით მოსულან. დილას ეზოს ვალაგებდი

თვალი მოვკარი, ცხენები ყავდათ და ბორბლებიანი დიდი ვაგონი, ახლა კი მარტო კარავი უდგათ. ბოშებს გვანან. რაღაცით არ გვანან ბოშებს?

— გავდნენ მერე შენ რა. მივიდე გავეცნო?

— არა, ისე მაინტერესებდა, — მტვრის ტილო მოაჯირს გადაუსვა ლალიმ.

ფარნა და ფიდო ჭიშკრისკენ წავიდნენ. ლელიო ჰამაკში დარჩა.

— ჰეი! სად მიდიხართ? — გასძახა დედამ.

— შორს არსად, — უპასუხა ფარნამ, — წყაროსთან ლოკოკინები უნდა ვნახოთ.

— აქვე იყავით ახლოს, შორს არ წახვიდეთ, — თქვა ისევ დედამ, — იქით ვიღაცეებს კარავი აქვთ გაშლილი, უცხოები არიან. არ შეაწუხოთ.

— რატომ ლელავ ლალი? — უთხრა ირაკლიმ.

— სულაც არ ვლელავ, მინდა იცოდნენ რომ შორს არ იარონ.

— როგორც გინდა, — ირაკლი ოთახში შებრუნდა, — წერილი მომსვლია ნიუ-იორკიდან, კაი ამბებია, გზას ისინი აფინანსებენ, ბილეთის ფულს ეგრევე ამინაზღაურებენ, — დაიძახა ოთახში შესულმა და კომპიუტერს მიუჯდა.

— ლეკვის საყიდალად როდის მიდიხართ? — თქვა ლალიმ.

— ზეგ არა აქვს დაბადების დღე? ჰოდა ზეგვე წავიდეთ.

— ზეგ უკვე თორმეტია? რა მალე გარბის დრო, — სკამებსა და მაგიდას უსვამდა ლალი ტილოს.

ბიჭები კი უკვე ჭიშკრიდან გასულიყვნენ და ჭა-

ლებისკენ ეჭირათ გეზი.

სიცხე ჩამონათებოდა ალაგს. მწერთა გაბმული ბზუილი ისმოდა ივნისის ხვატში და შუადღის სიმშვიდე დაფენოდა მინდვრებს.

— ლელიოს მოუსმენია ესეიგი შენთვის, — გზად ამბობდა ფარნა, — მე კი ჩამეძინა. გიდარაჯე როგორც შემეძლო, მაგრამ ჩამეძინა, ნეტავ ვის ეუბნებოდი დაგვიფარეთო? ჩვენ დაგვიფარეთო. ჰა ფილო?

— არ ვიცი ფარნავაზ არა! — მიაბიჯებდა ფილო და ხეებს გაჰყურებდა, — ხომ გეუბნები ეგეთი ამბები არ მახსოვს-მეთქი. ნეტავ რა კარავია იქ გაშლილი, აიქ ხო ხედავ?

— კი. წამო ჩქარა ახლოდან ვნახოთ.

— უხერხული არაა?

— უხერხულია მეზობლის კართან მოფსმა, ეს არა. წამო. არ შეიძლება ვნახოთ ვინ არიან? — ნაბიჯს აუჩქარა ფარნამ და გამდინარე რუს გადაახტა.

ჩავიდნენ.

კარავთან, მდელოზე ბოშები ირეოდნენ. მელქისედექი სკამზე იჯდა და დანას ლესდა. ცხენები და ვაგონი აღარსად იყო.

მელისას დიდ ხის გობში დაეგროვებინა წყალი და კაბას რეცხდა. იქვე იდგა რადაც, ხელში აყვანილი ბავშვით და იქვე იყო ჰაიკოც, ზარასთან ერთად, ნოხი დაეგოთ ბალახზე და ზედ წამომჯდარიყვნენ. ზარას, სახესა და მხრებზე მანონი ესვა.

— ვინ არიან? — ბიჭები ჯერ მიახლოებულები არ იყვნენ, როცა ფარნამ იკითხა.

— ბოშები ალბათ, ციგნები, ჯერ არ ვიცი, — თქვა ფილომ, — იქნებ მოხეტიალე ცირკია, თუმცა ცირკი რომ იყოს, აქ უფრო მეტი ხალხი იქნებოდა. ფეხით მოვიდნენ თუ რა არის?

მელისამ ბიჭების დანახვაზე, კაბა გობში ჩატოვა, ხელები ნაჭრით შეიმშრალა და მამამისს გახედა. მელქისედექმა არაფერი თქვა, თავი დაუკრა მხოლოდ და ჯაყვის ლესვა განაგრძო, ხოლო ჰაიკო კი ფეხზე წამოდგა, მომავალი ბიჭებისკენ ნაბიჯი გადადგა და თქვა, — რადა ნახე. მოდით რა შორს დამდგარხართ, აქაურები ხართ? — უთხრა ძმებს.

ბიჭები შედგნენ, — დიახ, — თქვეს მოკრძალებით და უფრო ახლოს მივიდნენ, — თქვენ? მოგზაურები ხართ?

— ჩვენ ბოშები ვართ, — თქვა ჰაიკომ.

— აი ხომ გეუბნებობოდი, — ფარნას შეხედა ფილომ, — და აქ საიდან გაჩნდით?

ბიჭებთან მელისა მოვიდა, — გამარჯობა ბავშვებო. ძმები იქნებით, ისე გავხართ ერთმანეთს. თქვენი მშობლები სად არიან?

— იქით, — უკან გაიშვირა ფარნამ ხელი, — ჩვენი სახლიც იქაა. და თქვენი სახლი სადაა?

— ჩვენი სახლი გზაა, — უპასუხა მელისამ, — გუშინ ჩამოვედით, უფრო სწორად დღეს, გამთენიისას და ისევ დღეს მივდივართ.

— სად? — თქვა ფილომ.

— დასავლეთისკენ, — მიუგო ჰაიკომ და ფილოს მიაჩერდა, მის სახესა და იერს მიაკვირდა. კარგად შეათვალიერა ბიჭი, თითოც გაისვა ტუჩზე და

საეჭვოდ ჩაფიქრებულმა ფიდოს თვალელებში შეხედა.

— რა? — უკან გადაა ფიდო.

ჰაიკომ კი პასუხი არ გასცა, მელისასკენ განია სახე, იმანაც უხმოდ დაუკრა თავი და ცოტათი ახლოს მოინია ფიდოსკენ. ჰაიკომ ზარასაც დახედა ნოხზემჯდარს და რადას გასაგონადაც თქვა, თითქოს ყველა თავისიანს მიმართავდა, — ესაა!

ფიდომ და ფარნამ ერთმანეთს გადახედეს. ფარნამ წარბები შეკრა.

— მეე? — თქვა ფიდომ, — რა მე?

— მესიზმრე გუშინ, — გაუღიმა ჰაიკომ, და მერე დაამატა, ბიჭის გაკვირვება რომ დაინახა და ცოტა დაბნეულობაც, — არ გჯერა?

— ნუ აშინებ ბავშს ჰაიკო, — ფიდოსთან მივიდა მელისა, ხელი გადახვია, — წამო ცაცხვის ჩაით გამიასპინძლებით.

— არა გამაღობთ, — თქვა ფიდომ, — ჩვენ ვისადილეთ უკვე.

— მარტო თქვენ ხართ აქ? — ფიდოს წინ დაუდგა ფარნა, გამომწვევად საეჭვო მზერით ათვალაიერა ჰაიკოც და დანარჩენებიც, — დიდი ხანი დარჩებით? თუ მართლა დღეს მიდიხართ?

— მართლა დღეს მივდივართ, — ისევ ისე იღიმოდა ჰაიკო. რადას შვილმა კი წამოიტირა, ქალი მიეფერა ბავშვს და ისიც დაჩუმდა მყისვე, — კი ესაა! არ შემეშლება. ეს ბიჭი იყო რომ ვნახე. რა გქვია? — ფიდოსთან ჩაიმუხლა ჰაიკომ.

— ფიდო, — თქვა ჩუმად ფიდომ.

— ფიდო, — გაიმეორა ბოშა ქალმა და ასევე ხმა-

დაბლა უთხრა, — გინდა გითხრა როგორ მესიზმრე და ის რა ნათებაა შენ რომ ხედავ ხოლმე?

შეცბნენ ძმები.

— რაა? — დოინჯი მომართა ფარნამ, — ეს თქვენ საიდან იცით და მართლა ვინ ხართ და ის მოხუცი კაცი ვინაა თქვენს უკან?

მელქისედექის გვერდით კი ჯავადი, ომარი და ხალილი მოვიდნენ, — წყაროზე ვიყავით, — თქვა ხალილმა, — საუცხოოა, მართლა საუცხოოა, — მორზე ჩამოჯდა, — ჩიტები როგორ გალობენ, ღმერთო რა სიმშვიდეა.

— ესენი ვინ არიან? — თქვა ფიდომ.

— ნუ გეშინიათ ბიჭებო, — თბილი ხმით მიუგო მელისამ, ჰაიკო წამოდგა, მინამდე ჩამოგრძელებული კაბა წელის ირგვლივ შემოისწორა. მელისამ კი ძმებს თავისიანები გააცნო, — ჩვენ ერთი დიდი ოჯახი ვართ ბავშვებო, ბოშებზე გსმენიათ ალბათ, ეს ომარია, ის იქითა ჯავადი რადას ქმარი და ამ პატარას მამა და ის კი ხალილი, როგორც ჩანს წყაროში რომ უბანავიათ ახლა, არა ხალილ? — გასძახა კაცებს.

სამივემ ხელი დაუქნია ძმებს. გვერდიგვერდ რომ მიმდგარიყვნენ და არ ინძრეოდნენ ადგილიდან.

— ის მოხუცი კი ჩვენი პატრონია, — განაგრძო მელისამ, — მამაჩემია, მელქისედექი. წამო ახლოს გაგაცნობთ.

ბიჭები ისევ არ განძრეულან და დაჭყეტილი თვალელებით ათვალაიერებდნენ ბოშებს.

— იჩქარე ჰაიკო, — მელისამ ჰაიკოს მიმართა,

— მემგონო თქმა იჩქარე, მაგრამ არაუშავს.

— ჯერ თქვენ გვიპასუხეთ, — შუბლშეჭმუხნული, თითქოს საომრად მომზადებულიყო ფარნა, — საიდან და რა იცით ფიდოს შესახებ, — წარბებშეკრული თვალებში აჰყურებდა ჰაიკოს.

— შენ რა გქვია მეომარო? — მასთანაც ჩაიმუხლა ჰაიკომ, — სპარტანელის სიმტკიცე რომ გახატია შუბლზე?

— ფარნა, — ნიკაპი ანია ფარნამ.

— მე ჰაიკო... და სიზმრების ახსნა შემიძლია. ზარა კარტის ოსტატია, გუშინ მზეზე დაინვა და ახლა მანონი უსვია, ეგ წითელი თმები ბუნებრივად ეგრე აქვს, არ იფიქრო რომ ეგეც მზეზე დაენვა, ზარას ხელისგულს თუ აჩვენებ ყველაფერს გეტყვის, მაგრამ გუშინ სწორედ შენი ძმა მესიზმრა ფარნა, — ჰაიკოს ღიმილი და საუბარი, შუბლს უხსნიდა ფარნას და თითქოს იმ თავის საბრძოლოდ მომართულ გაეჭვებასაც უქარწყლებდა. წამოიმართა ჰაიკო, წელზე ისევ შემოისწორა კაბა და მელისასკენ მიბრუნდა, — შენი ის ქამარი მათხოვე რა, თორემ დიდი მაქვს ეს მგონი და სულ მძვრება.

— მამას და დედას უნდა ვუთხრაო, — თითქმის ერთხმად თქვეს ძმებმა.

— გაგვაცნობო? — ისევ რეცხვას მიყო ხელი მელისამ.

— და არ გაინტერესებს ფიდო, — თქვა ჰაიკომ, — რა ნათებაა ჰერში რომ თავისით ჩნდება და მარტო შენ ხედავ?

ფიდომ სიტყვა არ დაძრა. მიწას ფეხი გაუსვა და

ფარნასკენ ააპარა მზერა. არც ფარნა ამბობდა არაფერს, მაგრამ ფიდომ თითქოს ძალღონე მოიკრიბა და მტკიცედ ამოთქვა, — ეგ ვისაც გინდათ იმას უთხარით, მე ვიცი რაც არის.

— ო, — ჩამოხედა ჰაიკომ, — ესეიგი იცი? და რა არის?

ფიდო ჩუმად იყო. ჩუმად იყო ფარნაც და უფრო დიდ მოლოდინში იყო, ვიდრე თავისი ძმა.

— თქვი თუ იცი, — ჩაეკითხა ჰაიკო, — რატომ ხარ ჩუმად, — და წამით გვიან ვიდრე ვინმე კიდევ რამეს იტყოდა ჰაიკომ თქვა, — ეგ შენ თვითონ ხარ ფიდო. გესმის პატარა? ეგ ნათება შენგან მოდის. გიკვირს?

— არა.

— ყოჩაღ, ასეც ვიცოდი, — გაილაღა ჰაიკომ და გაიცინეს კაცებმაც.

ერთი ფარნა იყურებოდა დაბნეული და ვერაფერი გაეგო. ხან თავის ძმას შეხედავდა, ხან ბოშებს და განზე გამჯდარ მოხუცს, — ესეიგი, — ამოღერდა ფიდოსთვის ოდნავ გასაგონად, — შენგან რაღაც სინათლე მოდის და მე არ მეუბნები შეჩემამ!

— ეგრეა ფარნა, — უთხრა ჰაიკომ, — ეგ შუქი ფიდოს სულიდანაა, შენცა გაქვს, მაგრამ შენ ჯერ ვერ ხედავ, მოვა დრო და დაინახავ. ზუსტად ვიცი რასაც გეუბნები. ეგ ყველასა აქვს და საერთოდ ყველას ყველაფერი აქვს, მაგრამ ეგ რომ დავინახო... ო, ჩემო კარგო ფარნა... ეგ რომ ყველამ დაინახოს, ერთნამში შეიცვლება სამყარო. ერთ ნამში. და შეიცვლება ისეთი უკეთესისკენ საითკენაც ყველა

კეთილშობილი ადამიანი მიისწრაფოდა ჯერ კიდევ სამყაროს დასაბამიდან.

— რას ნიშნავს ეს ყველაფერი? — თითქმის უკმეხად თქვა ფარნამ.

— იმას რომ ცხოვრება გამოცანაა, გამოიცანი, — თქვა მელისამ, თან კაბას რეცხდა, — ცხოვრება საჩუქარიცაა, მიიღე.

— ცხოვრება ტანჯვაა, — თქვა მინაზემჯდარმა მანონნასმულმა ზარამ, — გაუძელი და გაიმარჯვე და ცხოვრება მადლიცაა, მიიღე და გაეცი.

— ცხოვრება სიზმარია, — თქვა ჰაიკომ, — დაე-სიზმრე და დაისიზმრე, ის მუსიკაა, მოუსმინე და დაუკარი, ცხოვრება მოგზურობაცაა, იმოგზაურე.

— და კიდევ ცხოვრება, — ხელები გობიდან ამოიღო მელისამ. კაბა ამოწურა და ხეებს შორის გაბმულ თოკზე გადაკიდა, — ცხოვრება სიყვარულიცაა, შეიყვარე, ის თავისუფლებაცაა, განთავისუფლდი, ის სიხარულიცაა, გაიხარე და კიდევ, ცხოვრება შენ თვითონ ხარ, გახდი შენივე თავი, ვინც გინდა სინამდვილეში რომ გახდე.

— ფილო წავედით, — თქვა ფარნამ და ძმას იდაყვზე მოკიდა ხელი, უკვე შებრუნებულებიც კი იყვნენ, როცა შორიდან მოხუცის ხმა გაიგონეს.

— მოიცათ! — ფეხზე იდგა მელქისედექი. ბიჭები შემობრუნდნენ. ადგნენ დანარჩენებიც და ქალებიც მყისვე გაჩუმდნენ.

მოხუცი ახლოს მოვიდა ძმებთან. მათ პირის-პირ დადგა, ხელები უკან დაიწყო და ჩამოხედა, — როგორი ლურჯთვალეა და ქერები ხართ ორივე,

— სათნო და მშვიდი სახე ჰქონდა მოხუცს, — ნუ-რაფრის გეშინიათ, აქ რაც მოისმინეთ ყველაფერი სიმართლეა და რამე სექტა არ გეგონოთ, დღესვე მოვალთ თქვენს მშობლებთან, — თქვა ძალიან მშვიდად, — ესეიგი თქვენ ყმანვილო, ფილო. და თქვენ ახალგაზრდავ ფარნა არა? ბრწყინვალე სახელებია. ალბათ იცით რასაც ნიშნავს.

— დიახ ვიცით, — ნდობით განენწყნენ ძმები, ფარნა კი მელქისედექის თეთრწვერა ჩამოგრძელებულ სახეს ააჩერდა და ნელა უთხრა, ჩუმადაც კი, — თქვენ ჯადოქრები ხართ?

ყველას გაეცინა. ეცინებოდა მოხუცსაც, — არა, არა, ეს მეტისმეტია, ჩვენ ვართ ის ვინც ვართ, — თქვა მელქისედექმა, — დღეს სალამოს გესტუმრებით თუ თქვენი მშობლები უარზე არ იქნებიან, ცოტა ხნით შემოგივლით, რადგან ისევ შორი გზა გველის და დიდხანს ვერ დავყოვნდებით, — მელისას გახედა, — მე და ჩემი ქალიშვილი მოვალთ.

ბიჭები უხმოდ შებრუნდნენ და სირბილით გაიქცნენ სახლისაკენ. სახლში შევარდნენ თუ არა, ირაკლის და ლალის და ლელიოს, მომხდარი უამბეს და თან ისე ყვებოდნენ, ისეთი აღელვებითა და ინტერესით და შთაბეჭდილებებით, რომ ერთმანეთსაც არ აცლიდნენ საუბარს.

— უცნაური ხალხია, — ამბობდა ფარნა, — მათი უფროსი და მისი ქალიშვილი დღეს აქ მოვა. იმ მოხუცს უცნაური სახელი ჰქვია, მელქიორი თუ მელქისედექი თუ რაღაც ეგეთი.

— მოვიდნენ მერე, — თქვა ირაკლიმ, — ღვინო



მაქვს.

— იქ ერთ ქალს კი, გუშინ რომ სიზმარში ვუნახივარ და ყველაფერი იცის ჩემზე კიდევ სხვა სიზმრების ახსნაც შეუძლია, — ვაშლი ჩაკბიჩა ფილომ.

— მოიცა რას ნიშნავს ყველაფერი იცის შენზე? ისიც მოვა?

— არ ვიცით, — თქვა ფარნამ.

— თუ მართლა ბოშები არიან, მთელი მათი ბანაკი სადღაა? — მიიხედა ირაკლიმ, — ცხენები არ უნდა ჰყავდეთ და ვაგონები და მთელი ამბები? თუ ოცდამეერთე საუკუნეში უკვე ჯიპებით დადიან?

— ეგეც არ ვიცით, — თქვეს ისევ ძმებმა და მთელი დღე, ვიდრე მოსალამოვდებოდა სულ ამაზე საუბრობდნენ, ისევ ეზოში დადგეს მაგიდა და სუფრა გააწყეს, ხილითა და ღვინით და ლალის გაკეთებული სალათებით. სუფრა ყვავილებითაც მორთეს და ის ფერადი სკამები შემოუნყვეს გვერდით.

ირაკლი და ლალი ერთმანეთში საუბრობდნენ, არ იცი მაგათი ამბავიო? ამბობდა ირაკლი, სახლი მაგათ არა აქვთ და სამშობლო, თუმცა ქართულად მშვენივრად უსაუბრიათ, როგორც ბიჭებმა გვითხრესო, იქნებ აქაურები არიან ირაკლი? ამბობდა ლალი, მაგრამ იმ ქალის სიზმარმა კი დამაეჭვა, ასე პირდაპირ? ასე ზუსტად? ირა? ცოტა მემგონი მემშინია. რისი გემშინია, პასუხობდა ირაკლი, არა ისე გეთანხმები, გარკვეული მაგია ბოშებს აქვთ, ეს უდაოა, მაგრამ საშიში არაფერია, ეს ერთანმინდაა ლალი, ერთანმინდა, მოვიდნენ და ვნახოთ ერთი რა უნდათ, მარა ფილო რომ დასიზმრებია ამან მეც ჩა-

მაფიქრა. მართლა რეები ხდება...

მაგრამ სანამ ბოშა მამა-შვილი მოვიდოდა, ირაკლი თავის ოთახში განმარტოებულყო. იჯდა უხმოდ. იჯდა თავსა და ოჯახზე ჩაფიქრებული და შესაძლოა არც არაფერს ფიქრობდა უკვე, გამოთიშვოდა იქნებ გონება და კომპიუტერის ეკრანზე მიჩერებული, სადღაც გონების გარეთ დაუდიოდა რამე ფიქრი და თავში კი უკვე აღარ აღწევდა. მისი ასეთი ცარიელი და თანაც თითქოსდა ჩაფიქრებული მზერა სხვას არაფერს ნიშნავდა გარდა უეცარი გაკვირვებისა და ჩვეულებრივობისა ერთდროულად. ალბათ მართლაც ასე იყო შემთლიანებული, საკვირველი ჩვეულებრივობით მონუსხული, რადგან უცხოთა სტუმრობა ახლა, მისთვის რაღაც უცნაური სტუმრობათაგანი იყო, რომელიც ყოველდღე ასე არ გელის კაცს. თითქოს ირაკლის ფიქრი, მისივე ბალის მცენარეებმა და ყვავილებმა გადაისურნელეს თავიანთკენ, ის ახლა ჩუმად, თითქოს რალაცნაირ, მისთვის უცხო სიცარიელეში აღმოჩენილიყო და ელოდა, მისი მეუღლე როდის შემოალეზდა ოთახის კარს და დაელაპარაკებოდა.

დიდხანს არ მოუწია ლოდინი. ოთახში ლალიმ შემოიხედა.

— რა, ირაკლი, რატომ ზიხარ ასე? — თქვა ქალმა.

— არ ვიცი, — ეკრანისთვის თვალი არ მოუშორებია ქმარს.

ქალმა კი იატაკზე ამოყუდებულ წიგნებსა და სხვა ნივთებშორის გადააბიჯა და ქმრის გვერდით

ჩამოვჯდა, ტანსაცმელგადაკიდულ სკამზე, — არ დავჭმუჭნი, — თქვა ლალიმ, — დაიჭმუჭნება და ხელად გაგიუთოებ, არ იტყვი ასე რატომ ზიხარ? ისინი სადაცაა მოვლენ ალბათ.

— საქმეც ეგაა, რომ ვერაფერს ვხვდები, ნუთუ ეს ყველაფერი სიმართლეა, ფიდო და ფარნა რასაც ამბობდა ლალი, ნუთუ სიმართლეა?

— დავუშვათ სიმართლეა. რა მერე? — ქმარს თავზე ხელი გადაუსვა ლალიმ, — რამე გაშინებს?

— არაფერი მაშინებს. ან შეიძლება მაშინებს. ვერ გეტყვი, სიცარიელე მაქვს ტვინში. მოვლენ და მერე? რაზე უნდა ველაპარაკოთ?

— მოვლენ და ვნახავთ. წამო, მგონი ჭიშკრის ხმაა და მოვიდნენ კიდეც.

ასეც იყო. ეზოში შემოსასვლელ დაბალ, ვარდებ-შემოხვეულ ჭიშკართან მელისა და მელქისედექი იდგნენ, სასტუმრო სამოსელში გამონყობილნი. მელისას გრძელი ფირუზისფერი კაბა ეცვა და მამას კი ახალ, სუფთა, თეთრ პერანგზე წამოეცვა ხავერდის ქურთუკი, ხავერდისავე შავი შარვლის ტოტები გაპრიალებულ ჩექმებში ჩაეყო და ხელში ბუმბული ეჭირა. გრძელი თითქოს მოყვითალო თუ მოთეთრო ბუმბული.

ირაკლიმ და ლალიმ სტუმრები ბაღში მოიპატიჟა და ყველანი ერთად მაგიდას მიუსხდნენ. ბოშებს ოჯახი გააცნეს და ფარნამ ჭიქებში დაასხა ღვინო.

მელქისედექი ირაკლის პირისპირ იჯდა. მელისა კი ლელიოსა და ძმების გასწვრივ. მაგიდის თავში დაჯდა ლალი და მელისას კერძზე ანიშნა, გასინ-

ჯეთ, ძალიან გემრიელიაო.

გაცნობისწინანამიერი მორიდება წამშივე გაქრა და სტუმარ-მასპინძლები მყისვე საუბარს მიყვნენ. ბოშებზე საუბრობდნენ, ერთანმინდაზე, მათ სახლსა და საქმიანობაზე. მელქისედექმა გრძელი, მოყვითალო-მოთეთრო ბუმბული ირაკლის გაუნოდა, ეს წეროს ბუმბულია, ბედნიერება და ილბალი მოაქვსო, უთხრა და აჩუქა. საჩუქარი ფრთხილად გამოართვა ირაკლიმ და თავის წინ, მაგიდაზევე დადო. თეფშებისა და დოქის გასწვრივ. ნიშნად ჩვენი პატივისცემისა და ასეთი მოულოდნელი სტუმრობისა, მიიღეთ და გქონდეთო, თქვა მელქისედექმა და ჭიქა ირაკლის მიუჭახუნა. გაცნობისა შესვეს და ისევე განაგრძეს საუბარი.

ძმები ჩუმად ისხდნენ. არც მათი და იღებდა ხმას, მხოლოდ მელისას შეაპარებდა მზერას და ისევე თავის თეფშს დააცქერდებოდა. ხოლო როცა საუბარი მოწმენდილ ცაზე და ერთანმინდას მშვიდ ამინდებზე შეყოვნდა, მაშინ მელისამ ღიმილით თქვა: — ამინდის პროგნოზი, ძალიან არაპროგნოზირებადი მეთანხმებით?

— ჰო, მაგრამ ჩვენთან ხშირად ასეთი დარია ხოლმე, ამინდის პროგნოზს არც კი ვუსმენთ, — უპასუხა ლელიომ და ბუმბული აიღო, ხელისგულზე გაისვა და მელისას ჰკითხა, — საიდან წეროს ბუმბული?

მაგრამ მელისას ნაცვლად მელქისედექმა უპასუხა, თან მხოლოდ ლელიოს არა, ყველას უთხრა: — აქეთ, რომ მოვდიოდით, წერო მოგვეცებოდა

ფრენით, როგორც კი ერთანმინდაში შემოვედით, ჩვენთან ჩამოჯდა, ნისკარტით ფერდი გაიფხანა და ეს ბუმბული ჩამოუფარდა. ჩვენთვის ეს ნიშანი იყო, რომ აქ უნდა დავბანაკებულიყავით, მაგრამ ძალიან ცოტა ხნით, რადგან ჩვენი ცხენები და ვაგონი გავყიდეთ, ისევ გზას ვადგავართ, ამჯერად, მატარებლით დასავლეთისკენ.

— ბოშებზე ბევრი ტყუილ-მართალი გაგიგიათ ალბათ, ეს სიმართლეა და ასეთ ამბებსაც ხშირად მოისმენთ ჩვენზე, — თქვა მელისამ.

— კი მაგრამ ქართულად ასე კარგად როგორ საუბრობთ? — თქვა ლალიმ, — საქართველოს მოქალაქეები იქნებით...

— მამამ გვასწავლა ენა, — მელქისედექს შეხედა მელისამ, — მამამ ბევრი ენა იცის.

— ფრინველთა ენაც? — თქვა ფიდომ.

— ფიდო!? — შეხედა დედამ.

— არაუშავს, — ლალის მიმართა მელისამ, — საქმე ისაა, რომ მამამ ფრინველთა ენაც იცის და ცხოველთაც და თევზებისაც, არაფერია სანყენი, ბავშმა სრულიად გულწრფელად იკითხა, — მელისამ თავი გვერდით დახარა და დაძმას შეხედა თავისი მოთბილული მზერით.

მართალია უხერხულობა არც თავიდან შექმნილა და არც ახლა იყო, მაგრამ ირაკლი მაინც ვერ ისვენებდა, თითქოს უნდოდა ეკითხა, რატომ მოხვედით, რამე მნიშვნელოვანი ხომ არ უნდა გვითხრათო და როცა ღვინით ისევ შეივსო ჭიქა და ფარნამაც დაწარჩენ ჭიქებშიც ჩაამატა სასმისი, მელქისედექმა

თქვა: — ვიცი ირაკლი ბატონო, ვიცი რაც განუხებთ, ეს დაძაბული ვითარება და თქვენი ოჯახის ბედიც და ქვეყნის ბედიც და ამერიკაში გამგზავრებაც და ყოველივე ირგვლივ რაც კი სიბოროტეს უპირისპირდება.

— სიბოროტეს? — გაიმეორა ირაკლიმ, — რას გულისხმობთ? ზოგადად? ფილოსოფიურ რიტორიკულად სიბოროტეს? თუ რაიმე კონკრეტული უნდა გაგვიმხილოთ? ჩემმა შვილებმა თქვენი გაცნობის შემდეგ ყველაფერი დანვრილებით მიამბეს, თქვენზეც და თქვენი ბანაკის დანარჩენ წევრებზეც, მაგრამ როგორ გადმოლახეთ ან საზღვარი? ან საიდან მოხვედით საერთოდ? უკაცრავად ასეთი ტონისთვის, ოსეთიდან? თუ...?

— მოდი ასე ვთქვათ, შორეული აღმოსავლეთიდან, — ხელები მაგიდაზე დააწყო მოხუცმა, — და სიბოროტე კი...ოჰ, მიზეზი მისი მიზეზი ირაკლი.

— მართალი ხარ, მოდი შენობით, — თქვა ირაკლიმ.

— კეთილი, ვიყოს შენობით, — განაგრძო მოხუცმა, — თქვენი ხვედრია ბოროტებასთან ბრძოლა, ზღაპრებს არ ვგულისხმობ და არ გიყვები, თქვენი ხვედრია დიდ სიბოროტესთან ბრძოლა, — გამჭოლი დამაჯერებლობით გაუმეორა ირაკლის და დასძინა, — ესაა გაუთავებელი და ერთი შეხედვით დაუსრულებელი ბრძოლა, მაგრამ მე ვიცნობ მას. პირადად ვიცნობ, თქვენ გაიმარჯვებთ.

— უკაცრავად, — ჩაეკითხა ირაკლი, — ვის იცნობთ პირადად?

— სიბოროტეს, — იმავე სერიოზულობით უპასუხა მელქისედექმა. მელისა ჩუმად იყო. ნაკვთი არ უთრთოდა სახეზე.

— და გაიმარჯვებთ? ანუ გულისხმობთ საქართველოს?

— სწორედაც ვგრე, — მიუგო მელქისედექმა.

— საიდან ასეთი დამაჯერებლობა? — თქვა ირაკლიმ, — ან სიბოროტეზე რა იცით. იქნებ უფრო ზუსტად გვითხრათ.

— გვააქვს ხომ ჯერ დრო ვიდრე მანქანა მოვა? — მელისას ჰკითხა მელქისედექმა. ქალიშვილმა უხმოდ დაუკრა თავი და სუფრის წევრებს გადახედა, დიდის ინტერესით რომ მისჩერებოდნენ ბოშებს. მელქისედექმა იმავე სიმშვიდით განაგრძო, — რომ ვისაუბრო სამყაროს წესსა და მის თვისებებზე ახლა მე არ შემიძლია, თუ ერთ ძველ ამბავს არ გავიხსენებ, თუმცა ამბავი მანამ მოხდა ვიდრე დრო გაჩნდებოდა, ამიტომ რამდენად ძველია ვერაფერს გეტყვით, მოკლედ ამბავი რომელიც ერთ-ერთ სხივმოსილ სულს შეემთხვა, ისარგებლა რა თავისუფალი არჩევანის უფლებით, ის ღმერთს განუდგა, — მელქისედექმა საუბარი დაიწყო და მისი სმენისას და მანამდეც, მოსვლისთანავე და გაცნობისთანავე, უკლებლივ ყველას მისდამი მინდობისა და მათთვის ჯერაუხსნელი რაღაც ახლობლობის საერთო გრძნობა დაუფლებოდა. ყველანი გაჩუმებულიყვნენ და მხოლოდ მოხუცი საუბრობდა, — ღმერთს განუდგა და ამ საქმეში ბევრიც აიყოლია...დაე შეექმნა მას ახალი სამყარო, რომელიც

ღვთისმიერ შექმნილი სამყაროს საზღვრებშიც იქნებოდა და საზღვრებგარეთაც, რათა მოეცვა მთლიანი უსასრულობა, მაგრამ იქამდე ჯერ შორია. განდგომილი, ჩვენი გმირი ეშმაკი და სულნი მისნი, გნებავთ ძმანნი მისნი, ცდილობდნენ თავისი ნებით შეექმნათ, თავისივე წარმოდგენით სრულყოფილი და მათთვის მისაღები სამყარო, მაგრამ ქმნიდნენ ისინი ამას, ჯერჯერობით და მხოლოდ სწორედაც რომ ღვთის მიერ შექმნილი სამყაროს ფარგლებში, მაგრამ მათი ასეთი სამყაროები გამძლე არ აღმოჩნდა და მყის ინგრეოდა, რადგან მთავარი დულაბი აკლდათ, ეს დულაბი კი მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულია, ეს მეტაფორა არ გეგონოთ და ეს ამბავიც ცხადია ყველამ იცის, — მელქისედექმა სუფრის წევრებს შეხედა და ირაკლის მიუბრუნდა მერე, — ეს სინამდვილეა, ნამდვილი ამბავია, ისინი კი თავისი არჩევანით და გნებავთ ჯანყით სწორედ მას განუდგნენ. სიყვარულს, — მოხუცმა ცაში არეული ჩიტებისკენ აიხედა და ლაპარაკიც ააყოლა, — არსებობს ღვთაებრივთან აახლოება. წადილი ამ აახლოებისა ყოველ ადამიანშია და სამყაროს აბსოლუტურად ყველა ქმნილებაში და მოვლენაშიც კი, შერწყმა ღმერთთან ისე რომ თავი არ დაკარგო, არ გაქრე როგორც პიროვნება, რადგანაც შენ თვითონ ხარ ღმერთი, ის შენშია და ყოველთვის შენში იყო, გაჩენის დღიდან კი არა, შენი ჩანაფიქრის წამიდან და მანამდეც, ვიდრე ჩაირთვებოდა დრო, — მოსვა ყლუბი ღვინო და განაგრძო. ყველა უსმენდა, მისი მოულოდნელი ახსნაგანმარტებანი და თხრობა კი

აოცებდათ, ახლა ეს რა შუაშიაო, მაგრამ მისდამი იმ უეცარი მინდობისა და აუხსნელი სიახლოვისა თუ დაჯერების განცდა, კიდევ უფო ეახლოვათ და ერთ ფიქრად მოიმართა ყოველი მათგანი, განსაკუთრებით ირაკლი, რომელიც ახლა თვალს ვერ წყვეტდა მელქისედექს, — და ეშმაკი ამდროს რას აკეთებს? — ჩვეულებრივად ამბობდა მოხუცი, თითქოს ვინმე ფეხბურთელზე ყვებოდა, მოედანზე რომ თამაშის წესებს დაარღვევს, — ის პირიქით იქცევა და იმდენს ახერხებს რომ ყველა მისი მეკავშირე დროებითმეკავშირეა, ნახევრადმეკავშირე, ნახევრადმეგობარი და რაც მთავარია ნახევრადმონა, სანამ არ გაქრება და არ ჩაემატება მის რაობას. მისი აზრით კი კანონი ასეთია...არსებობს მე და არსებობს სიყვარული, არა-მე, ყველა არა-მე უნდა გახდეს მე. ესაა ირაკლი გაცნობიერებული სიბოროტე. სახელმწიფო ასეთი ცნობიერებითა და პოლიტიკით მონყობილი ეშმაკეული, ავი სახის კაცობრიობის სახელმწიფოა, ეს ცნობიერი სიბოროტე მათი ცივილიზაციის მთავარი ნიშანია, საიდენტიფიკაციო კოდი. მე, არის სამშობლო და საჭიროა სამშობლოს სასწრაფოდ გაფართოება. თანაც კიდევ რაღაც ახალი, ბრძოლა ეშმაკთან და ღმერთთან ერთდროულად, ახალი სახის განდგომილება, შთანთქმა თავისივე თავის, თავისვე გასაძლიერებლად. ეს წარმოდგენილი, ყოვლად ალოგიკური, ყველა რელიგიური თუ სამეცნიერო ახსნით აუხსნელი, წინასწარგანუჭვრეტელი სიბრიყვე, მაგრამ ძალიან საშიში სიბრიყვე. ასეთ ბრძოლაში არ იმარჯვებს ბრძოლის არცერთი

კანონი, დაწერილი თუ დაუწერიელი, არ იმარჯვებს არც სიმართლე, არამედ მხოლოდ ძალა, მაგრამ ეს ომი სულაა, გესმით? ის სულ მიმდინარეობს. გესმით ცოდვა რაშია? მთელ, ხილულ და უხილავ სამყაროსთან ზიზღში. ნაწილი იმ დიადი ძალის, ვისაც კეთილი სურს და ავს სჩადის. ის ცნობილი სიტყვები, ოღონდ პირიქით. პირიქით.

ეს არააო ჩვეულებრივი ბოშა, გაიფიქრა ირაკლიმ და ლალიმაც იგივე ფიქრი გაიკარა სულთან ახლოს, ამბავს ისე ყვება თითქოს ბიბლიური ან საკაცობრიო ამბების მომსწრე და მონაწილე იყო, იყო და ახლაც არისო. ვინ არიან, ფიქრობდა ლელიო, რა ბავშვურები არიან, საიდან მოვიდნენ და სად მიდიან, სიზმარი ხომ არ მიგრძელდებაო, ფიქრობდა გოგონა, მაგრამ ყველასთან ერთად ვერც ის ბედავდა ხმის ამოღებას, მხოლოდ სმენა უნდოდათ მისი და ასეც იქცეოდნენ, მისი ხმის, სადღაიციდან ამოყოლილ სიმშვიდეზე სმენამიმუღები ისხდნენ მაგიდის გარშემო და კერძებიც გადაავიწყდათ, მხოლოდ მაგიდაზე დადებული, მათივე ბაღში დაკრეფილი ყვავილებისა და თაიგულის სურნელება ანიშნებდათ რომ სახლში არიან.

— ღმერთი კი როგორც აბსოლუტური ნათელი, — რაღაც განსაკუთრებული თრთოლვილთა და სიამოვნებით ამბობდა მელქისედექი, — აბსოლუტური სიყვარული, სიკეთე, შემოქმედი. ის ქმნის და ქმნის ახალ სამყაროებს, ახალ სულებს, ადამიანებს საკუთარი ახალი არჩევანით. ეშმაკი კი ვერაფერს ქმნის და უჩნდება ზიზღი, რაც ისედაც

გამოიმუშავა ოდითგან. მას ჰქონდა დიდი, ადამიანისთვის წარმოუდგენლად დიდი ამპარტავნება და ის ყოველთვის გაბოროტებული იქნება სიკეთეზეც და სიბოროტეზეც ერთნაირად. ივანებს რა ადამიანის ტვინში სული მისი, მისივე პიროვნებას მისგანვე დევნის და შთანთქავს, აჩენს და ჭამს სხვა სიბოროტეს რათა უფრო ბოროტი გახდეს, ეს უკვე მისი ბუნებაა, გენომი გნებავთ. სიკეთე კი ამ მხრივ უცნაურია, რადგან არცერთ კეთილ ადამიანს არ უჩნდება სურვილი სხვა კეთილ ადამიანზე უფრო კეთილი გახდეს. მას შური და ამპარტავნება არა აქვს, მან არც იცის ეს რა არის. ის კეთილია და მორჩა. სიკეთისგან სიკეთეს აღარ ეძებენ, რადგან ის უკვე ნაპოვნია. ესაა ირაკლი და პატივცემულო ჩვენო მასპინძლებო, ესაა ჭეშმარიტი სრუყოფილება, აიის თავიდან ჩემს მიერ ნათქვამი ღვთაებრივთან აახლოება. ახალი კაცობრიობის ნიშანი, კაცთა ახალი მოდგმა, შესანიშნავი და ბრწყინვალე გონებითა და შემეცნებით და სულით, სისხლით გაერთიანებული ერთი დიდი სიკეთე, რომელიც არაფერს ფლობს და მხოლოდ გასცემს, როგორც ეს ყვავილები გასცემენ ახლა სურნელებას და უკან არაფერს ითხოვენ, ეს ყოველივე ერთადაა კაცში და ის ყოველთვის ირაკლი, ლალი, ის ყოველთვის ინვევს ნათებას.

ცოლქმარმა ერთმანეთს შეხედეს და მერე ყველამ ფიდოს გამოხედა. მელისას კი გაელიმა და კვლავ მამისკენ აქცია სმენა. ის ამბობდა, — ჰო ნათებას ჩემო ძვირფასებო, ამან მოგვიყვანა აქამდე,

— მელქისედექმა ფიდოს შეხედა, — რაო ყოჩალო და მამაცო ბიჭუნა?

ფიდომ დაიმორცხვა. თავი დაბლა დახარა.

— სისხლიც კი ანათებს, — თქვა მოხუცმა, — მაგრამ დაეუბრუნდეთ ნათქვამს, ამაზე ცოტა ხანში. მამ ასე... ომი, — ამოისუნთქა მელქისედექმა, — ომი, წინააღმდეგ ღმერთისა და ეშმაკისა. სიავის სიმრავლემ უკვე დიდი სიბოროტე შემოიგროვა და მოახერხა გენომის დონეზეც კი შეეცვალა კაცთა ტვინი, აზროვნება, ხასიათი და ფსიქიკა, ასევე მოახერხა, რომ მართალ ადამიანთა რასა, ვუნოდოთ მათ კეთილშობილი სახის კაცობრიობა, ასეთივე ამპარტავნებაში ჩავარდნილიყვნენ, როგორშიც თავიდან ჩვენი ამბის გმირი აღმოჩნდა და სამყაროს დიდი ნაწილი ჩაიყოლია ამ ყოველად აუხსნელ და საზიზღარ ქაოსში. ისინი დაუპირისპირა სამყაროს ჩანაფიქრს — ბედნიერებას, ადამიანის ბედნიერებას, ჰარმონიას. ვინც გაუძლო კეთილშობილადვე დარჩა და გენეტიკურადაც არ შეცვლია იერი და შიგ ჩადებული საარსებო ინფორმაცია, ინსტინქტის დონეზეც კი, ვინც მიემხრო და ვერას გაუძლო, იქცნენ ავებად, რომლებიც უკვე ამდენი ათასი წელია საერთო კაცობრიობასთანაა შერეული და თავისი გზით მიიკვლევს ამავე გზას, რომელიც თითქოს აღარავინ იცის საით მიდის და კეთილშობილი და ავი სახის კაცობრიობა ერთმშვენიერ დღეს, თუმცა ვინ იტყვის ის დღე რამდენად მშვენიერი იქნება, ერთმანეთის პირისპირ დგება. ისევ და ისევ ის ომი, ყველაფრის წინააღმდეგ და ამ

ომს ადამიანები აწარმოებენ. კეთილშობილი სახის კაცობრიობა, ვიტყვოდი ღვთაებრივი კაცობრიობა, ყოველთვის, ახლაც და სხვა ყველა მომდევნო მსოფლიო დროებაში, ყველა სიკეთისა და სიყვარულის და მადლის ნებაყოფლობითი ერთობა იქნება, მრავალი ერთში და ერთი მრავალში, ეშმაკეული, ავი სახის კაცობრიობა კი, როგორც ჩანს კიდევ ბევრჯერ წამოიწყებს ბრძოლას სამშობლოს გაფართოებისთვის, ასე იყო და ასე იქნება, გადიქცევა ერთის ტირანიად, მაგრამ ასეთი გარდაქმნა, ასეთი გადაქცევა მისთვის მხოლოდ საფეხურია, რომელსაც თავისი კაცობრიობა, თავისი სახელმწიფო გნებავთ, თავისივე ბრმა რწმენით მიყავს, აზრის დაცემას თუ ვგულისხმობთ, მაშინ არა მიყავს, არამედ ჩაყავს, გონების აბსოლუტურ სიბნელეში, ჯოჯოხეთში, რომელსაც ის მიიჩნევს, როგორც უსაზღვრო თავისი არსისა და ყოფის გაზრდასა და გაძლიერებას, იმ თავისი მეს საბოლოო გამარჯვებამდე, რომ მსოფლიო იყოს ისეთი, როგორი მეცაა თვითონ. ამიტომ თავისი განვითარების ახალ საფეხურზე, ის ახალ აღმოჩენას აკეთებს, თუ როგორ ჩადგეს კიდევ ახალ საფეხურზე, — მოხუცი დადუმდა, თვალები ბალისკენ აქცია, ცოტა ხანი უყურა ბალის საუნჯეს და მერე თქვა, — ესაა სიკვდილი და ეს ძალზე ცოტაა მისთვის, მას სურს, ამ დიდ სიბოროტე-სახელმწიფოს, სურს ერთად მოიზიდოს და შთანთქმას ყველა აქამდე არსებული თუ დარჩენილი თუ ახლად აღმოცენებული სიბოროტე, შთანთქმას თვით ეშმაკიც კი, რომელსაც ის მიიჩნევს როგორც

ღმერთისგან განმდგარ დიად სულს, რომელიც ახლა მხოლოდ პატიმარია და შემოყავს ახალი იარაღი, ბრძოლის ახალი იარაღი...რელიგია, ამ შემთხვევაში ქრისტიანობა პირდაპირ რომ ვთქვათ, მაგრამ ის არაა ქრისტიანობა, ის მხოლოდ ხაფანგია მომავალი ნახევრადმეკავშირე ნახევრადმონა ქვეყნებისთვის დადებული, რელიგია დიდ და უნამუსო ტყუილში მოქცეული, ჭეშმარიტების გაადამიანებული სინმინდე იქცა ტყუილის მანკიერებად, რომელსაც ის თავისი უზომოდ გადიდებული მე, ასევე ებრძვის სიყალბესთან ერთად. ყველა და ყველაფერი მისთვის უნდა იყოს ნახევრადმეკავშირე, ნახევრადმონა. ასეთია ავი სახის კაცობრიობა, თავს მოიკლავს სანამ ყოველივეს თავის მედ არ გახდის და სწორედ აქაა გზა გამარჯვებისკენ, მას თავი უნდა მოვაკვლევინოთ, — მელქისედექი აქაც დადუმდა, ისევ მოსვა ყლუპი ღვინო, წამით ისევ დააფიქრდა მაგიდასა და წეროს მოთეთრომოყვითალო ბუმბულს და განაგრძო, — ხოლო ღვთაებრივი კაცობრიობა ღვრის სისხლს და აი მოვედით, საინტერესო ამბამდეც, თუმცა მანამდე არ მოგინყენიათ იმედი მაქვს, მოკლედ ასე, ჯანყი ჩანაფიქრის წინააღმდეგ და მისთვის დაღვრილი სისხლი ერთნაირად იზიდავს ამ სახელმწიფოს, ის თავს არ იცნობს და ყველაში მტერს ხედავს, რადგან მისი მესთვის, მისთვის მისაღები სხვისი არა-მე, ჯერ ვერ მოიხელთა და ვერ მოიმწყვდია, ჯერ იმედი ვერ წაართვა. იმედი. გესმით? ჯერ იმედი ვერ წაართვა და სანამებელი ვერ ჩაუდო მის ნაცვლად. შური. ყველგან მო-

ქმედებს მიზეზებისა და მათი შედეგების კავშირის კანონი, რომელიც აქ, ამ სამყაროში მიედინება, თაობიდან თაობამდე უსასრულოდ, მაგრამ ღვთაებრივი კაცობრიობის კანონი, ამ ყოველივეს განმმენდი კანონია, იგივე მიზეზებისა და შედეგების კავშირი, მაგრამ სიბოროტის სიკეთედ გადასაქცევად... და აქაა ხსნაც. ხსნა ბედნიერებაა და მადლი და სიხარული და ჰარმონია და თუ თამაშის მსოფლიო წესები, თავისი სიმკაცრით ჩვენ ყველას ერთად გვაოგნებენ და შოკს გვგვრიან, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენში, იმ დიდ ცდუნებას გადარჩენილი ღმერთი სუნთქავს, მისი ხმა ღაღადებს, გალობს, გვესიტყვება, მაღლდება ჩვენში, ადამიანებში და ამ დიდი საკაცობრიო სანამებლის წინააღმდეგ გვაფხიზლებს. ეს სიფხიზლეს და ეს ომიც ჩვენ სამყაროზე ძალიან თვალსაჩინოდაა ასახული, ეს სახება კი ნათებას იწვევს, დიახ დიახ, სულის, არსების, ყოველი ტკივილი, ტანჯვა, მის სიცოცხლეში ნანამები ყოველი წამი და სევდა და სამყაროული ერთობისა და ტანჯვათა განცდა, ნათებას იწვევს, იწვევს აქ, სააქაოში, არა მხოლოდ საიქიოში, ისტორიის ერთ ნაწილში, არამედ აქვე, ჩვენს შორისაც და ჩვენშივე, სულის აფორიაქება ან მისი სიმშვიდე თავისივე შესაფერის ნათებას იწვევს, მაგრამ ფრთხილად, სწორედ ესაა ავი სახის კაცობრიობის საკვებიც, მის გარეშე ის უძლურდება, ანგარება, სიხარბე, ბოროტი ზრახვანი და ყველანაირი მანკი, ამ კაცობრიობის სხვადასხვა შრეებზე მოქმედებს, შემეცნების გონებრივ შრეებზე. დიდი სიბოროტე კი რო-

გორც გნებავთ ხალხთა, გნებავთ ერის ძალიან დიდი ნაწილის, ისეთი სინთეტიური მთლიანობაა, რომ სამყაროს მყისვე ამახინჯებს, რომლის მსგავსიც ვერა და ვერ შექმნეს ჩვენმა პატივცემულმა განდგომილებმა და სიბოროტეებადვე დარჩნენ თავიანთი სახელმწიფოთიც, უბედურებას, რომ კანონითა თუ უკანონობით ერთდროულად აჩენენ და ამის ხარჯზე მრავლდებიან, წარმოიდგინეთ ისეთი ტერორისტი, რომელიც თავის აფეთქებითაა შეპყრობილი, მაგრამ თუ თავი აიფეთქა ის ამით უფრო ძლიერი გახდება, — მოხუცთან ახლოს შემოგროვდა თითქოს მთელი ამ ბალის მოტკბო სურნელება, თითქოს ხილულადაც გამოჩნდა სუნი, თხელი და ფერადი გამჭვირვალეების ისეთი ნაკადი, რომელიც მაგიდის ყველა წევრს გადაედო და კიდევ უფრო დაამშვიდა ვიდრე მისი სმენისას იყვნენ მშვიდნი, უნდოდათ კიდევ რაღაც ეთქვათ, აი ეს რა ფერებია აქვე ჩვენს თავზე დატალღულიო, მაგრამ ისე დაჩუმებულიყვნენ და თავში დაძირულიყვნენ აღარც ახლა უთქვამთ რამე. მოხუცმა ქალიშვილს გახედა, თავის მელისას, სურნელის ერთ აცეკვებულ ფერადოვნებას რომ ახლა ხელისგულზე ეთამაშებოდა და საუბარი ისევ განაგრძო, — მკითხავთ თავი როგორღა უნდა მოვაკვლევინოთ თუ ასეთ შემთხვევაში უფრო გაძლიერდებო, გიპასუხებთ, ის უნდა გადავღალოთ ჩვენი სასიცოცხლო კანონით, საყოველთაო მეგობრობის მთლიანობით. ყოველი ჩვენგანის ცხოვრებისეული გზა, როგორც ცალ-ცალკე, ისე გვერდი გვერდითაც მიედინება და ხშირად



ერთმანეთს კვეთს, ეს ჩვენი განვითარების გზაცაა, ეს ჩვენი შემეცნების შრეებია, საქციელთა და არსებობის შრეები, რომლებიც ასეთ სამყაროში მხოლოდ მწამებელთა საკვებად გამოიყენება, ვინც ასეთ სახელმწიფოს აარსებს, ასეთ ხალხთან, ასეთ დროს, მონამეთა წამებას რომ შვებად მიიჩნევს და ყოველთვის ყველას წინაშე იმართლებს თავს და ხშირად ეს კარგად გამოსდის. ეს სიგიჟის უკვე სხვა მხარეა... და ესაა სისხლისღვრა. კანონითა და არჩევანით განპირობებული ომი, ნებადართული სისხლისღვრა. საერთოდ ასეა, როცა ცხოველისგან და მით უმეტეს ადამიანისგან, მისი ჭრილობისგან სისხლი იღვრება, პირველივე წამებში ის ნათებას იწყებს, დიდი, თითქოს წარმოუდგენელი სასიცოცხლო ძალის ნათებას. ამას ბევრი ვერ ხედავს, როგორც სხვა დანარჩენს, თუმცა სურნელებათა ფერები წამით ახლა გამოჩნდნენ კიდევ, მელისა ერთერთ მათგანს აგე ხელისგულზეც კი მიეფერა... ესაა სასიცოცხლო ენერგია, რომელიც ასევე მოქმედებს შემეცნების, გონების, ყველა არსებულ შრეზე და ასევე აძლიერებს მას. ამიტომ ავი სახის კაცობრიობის ბევრი მანამებელი და თვით დიდი სიბოროტის ის ერთი ტირანი გნებავთ, ხშირად დაინტერესებულია არა მხოლოდ დანარჩენთა სიკვდილით, და თუ გნებავთ საიქიოში მათ სულთა მომდევნო ტანჯვით, არამედ სწორედ რომ ამ განსაკუთრებული სიგიჟით, სისხლისღვრით, როგორც ძველი დროის მსხვერპლშენიერები, სისხლიანი, უბედური, მაგრამ სარიტუალოდ ყველა მხრიდან გა-

მართლებული სანახაობები, რომლებიც არცერთ მაშინდელ ღმერთს არ სჭირდებოდა, თვით ამ მანამებელ ბოროტთა გარდა. მერწმუნეთ ისინი სამყაროს ორივე მხარეს არიან, აიეს ბოროტი სისხლისმემელები სამყაროს ყველა მხარეს მოედნენ და მათი ჩაგონების გარეშე, აქ, ჩვენს სააქაოში არცერთი დიდი სისხლისღვრა არ მომხდარა. სწორედ ასეთ დროს, ღვთაებრივი კაცობრიობის წარმომადგენელი, კეთილშობილი სახის იმ საზოგადოების წევრი, ის მოქალაქე იწყებს ნათებას, მისი სისხლი კი არა, მისი ყოველი გაფიქრება ანათებს. ეს ნათებაა რაც კაცს კაცთან აახლოებს და ღმერთთანაც ერთდროულად. სიყვარულის უარყოფა სიბოროტეს რადგან აჩენს, ამ სამყაროული სიბოროტის გონების ხალხი, ადამიანები, ცალ-ცალკე და ერთად, ერის უდიდესი ნაწილითაც კი და იმ თავისი ერთი ტირანით და წარსულითა თუ აწმყოთი არიან და ყოველთვის იყვნენ დიდ, ვეებერთელა მაგრამ ძალზე საშიშ ხიბლში ჩაყრილნი, რადგან მთელი მათი სიბრძნე და თავიანთი წესებით შექმნილი სამყარო, მეტად მერყევი და არასარწმუნოა, უსაფუძვლოც კია ამავე სიბოროტეების ყველა არსებულ მიზეზებთან მიმართებაში, რადგან ჭკუასგან შორსაა მართლა გწამდეს, რომ შეგიძლია ყველა და ყველაფერი ირგვლივ მოიბოროტო და სიავედ აქციო, მითუმეტეს რომ თვით ეშმაკის შემომწყვდევაც ჩაფიქრებული აქვთ თავიანთი მრწამსით. აი ამ სიგიჟეზე ვამბობდი, რაც ყველაზე დიდი სიბოროტეებიდან უბოროტესია და მსგავსი არ ყავს არსად საა-

ქაოში. სამყაროს ფლობისკენ კი მისი დაუოკებელი მისწრაფება, დროებითი, ერთი სიხარულის წყაროა, ის ასეთ სიხარულს ყოველ ჯერზე განიცდის, როცა შეიჭრება, როგორც ცალკეულ ტვინებში, ისე სახელმწიფოებში, მას ხომ ერთი სიბოროტე ერთ დიდ ნაბიჯად აქვს მიჩნეული, ერთ გარდამავალ საფეხურად ამ თავის საშინელ გზაზე, რომელიც ახლა უკვე ყოველი ჩვენგანის სულზე გადის, რადგან ომი ახლოა, ის ყოველთვის ახლო იყო და ის არსადაც არ წასულა და მასთან პირისპირ დადგომა შეიძლება სწორედ ისევე თქვენ მოგიწიოთ.

შეიშმუშნა ირაკლი. შვილებს გადახედა, მაგრამ ისე აბნეოდა ახლა გონება, ხან მეღქისედექის თეთრი წვერით შენათებულ სახეს მიაჩერდებოდა, ხანაც თავის ყვავილებს, მაგიდაზე კოხტა მწვანე ლანგარში ჩათაიგულებულნი რომ წამიერად ხილულად ასურნელებდნენ იქაურობას და გამჭვირვალე, ძალზე თხელი ფერნი მათი ისეთივე თხელი ნაკადითა და მდორე ზღაზღნით, მიტივტივებდნენ მაგიდის თავზეც და ბალისა და სახლის მთელ გაყოლებას. მელისამ ახლა ლელიოს ხელისგულზე გადაუჯინა სურნელების სხვა გამჭვირვალე ფერადოვნება და გოგონები, სიცილით დასცქეროდნენ მას, ყნოსავდნენ და ისევ ჰაერში აბრუნებდნენ, ხელის ოდნავი აქნევით.

— ასეთია ამ წყეულის ბუნება, — განაგრძობდა მოხუცი, — ის თავს ხომ მთელ სამყაროდ მიიჩნევს, მზის უსასრულო სისტემად, ცხადია მზე თვითონაა, მის ირგვლივ კი სიბოროტეები ბრუნავენ, როგორც

პლანეტები, რომლებიც ჯერ მის ორბიტაზე ბრუნავენ, ეს ის ნახევრადმეგობრული ნახევრადმონური კავშირია, შემდეგ კი იმ საყოველთაო სისხლისღვრით შიგ ინთქმებიან და თქვენ წარმოიდგინეთ, მისი წარმოდგენით და ასევე ყოველად აუხსნელი თვითდაჯერებით მას ჰგონია, რომ მთელი სამყარო, მინიერიც და ზეციერიც ამ მდგომარეობაში მოდის, ყველანი მის გარშემო იწყებენ ბრუნვას და მასში ეფლობიან სამყაროები სამყაროების მიყოლებით. გაავებული კაცობრიობის გონებამ, სხვა რამ რომ წარმოიდგინოს შეუძლებელია, აი ასე, სჯერათ, რომ ეს სამყაროს წესია, მათივე დადგენილი, მათთვისვე დადგენილი და იწყებენ სამყაროს ქამას, ჯერ პატარა მისი ნაწილებით, მაგრამ ნათელი კაცობრიობის განადგურებით, შემდეგ გადადიან უფრო დიდზე, დარწმუნებულნი იმაში, რომ სასჯელი არ არსებობს. მე ერს როგორც კაცობრიობას ისე ვუყურებ, მთლიან კაცობრიობას კი მთელი სამყაროს სასიცოცხლო ანარეკლად და სხეულად მივიჩნევ, მის სულად და ჩანაფიქრად, მის განსხეულებად. ამიტომ ვლაპარაკობ ასე. უკანასკნელ გამარჯვებაში დიდი რწმენით მომართულნი ბოროტნი კი ისეთ სისულელეებს სჩადიან, საშიშ სისულელეებს, სასიცოცხლოდ უმნიშვნელოვანეს სისულელეებს, რომ კაცმა არ იცის როდის და როგორ შეიძლება მათი შეჩერება, თუ არა სასწაული რამე, რომელიც მთელ ამ მოდგმას ერთ, მართლაც მშვენიერ დღეს ან მოსპობს საერთოდ ან სინათლის, ანუ ღვთაებრივი კაცობრიობის მხარეს გადმოიყვანს და კეთილშობი-

ლებად აქცევს, — მელქისედექმა ყვავილთა უნაზე-  
სი სურნელი შეისუნთქა და საბოლოოდ თქვა ასე,  
— მგონი ყველაფერს სწორად მიმიხვდით. დარჩით  
ფხიზლად. არავინ იცის სად რა მოხდება. თითქმის  
არავინ.

— და ფიდო ვის ესაუბრება ძილში? — სკამიდან  
ოდნავ წამოიწია ლალი.

— თავის ანგელოზს. სხვას ვის, — წამოდგა მელ-  
ქისედექიც, — თავის მფარველ ანგელოზს, — თქვა  
ფეხზემდგარმა და ყვალილთა სურნელებაც მთლიან-  
ნად გადაედო ბალს, როგორც მათ მოსვლამდე იყო.  
გაქრნენ სურნელებათა ფერნიც და ღია ცისქვეშ  
განყობილი მაგიდა და მის გარშემო შემომსხდარნი  
მასპინძლები, მელისასთან ერთად, თითქოს სხვა  
სინათლით დაიმოსნენ. ეს ჩვეულებრივი დღის სი-  
ნათლე იყო, თითქმის საღამოსკენ გადასული, მა-  
გრამ წამით ყველანი მიხვდნენ, რომ ვიდრე მოხუცი  
ბოშა საუბრობდა, დრო გაჩერებულიყო თითქოს და  
მზე სწორედ მათ თავზე შემდგარიყო და დასუნთქე-  
ბოდა ბალსა და ბალის სტუმრებს.

— პირდაპირ? აი ასე? — თქვა ირაკლიმ.

— რა პირდაპირ აი ასე? — ჰკითხა მელქისედე-  
ქმა.

— გინდა მფარველი ანგელოზი, გინდ შენი მო-  
ნაყოლი, პირდაპირ უნდა გავიგოთ? თუ?

— არ არსებობს ისეთი მეტაფორა რომ სინამდ-  
ვილეს არ ასახავდეს ირაკლი და არც სინემდვილეა  
ისეთი, რომ მეტაფორით არ იჩინდეს თავს, — თქვა  
მოხუცმა, — ყველაფერი კარგად იქნება, წესით

ყველაფერი კარგად უნდა იყოს, — დაამატა და თავის  
ქალიშვილს გაუნვდინა ხელი, — მელისა, წერომ  
ზუსტად მოგვიყვანა, მაგრამ ახლა ჩვენი წასვლის  
დროა.

მელისამ მამას ხელს მოკიდა თავისი ხელი და წა-  
მოდგა.

— მოიცათ ასე ვერ გაგიშვებთ, — თქვა ირაკლიმ,  
— ჭიქა ღვინო გაუნოდა მელქისედექს და თავისიც  
აიღო, — მართალი გითხრა დაბნეული ვარ, მაგრამ  
ეგ არაფერი, რატომღაც თითქოს ყველას გვჯერა  
შენი და მართლაც უცნაური დღეა, დალოცვილები  
იყავით, მეგზური ანგელოზები მისურვებია თქვენს  
გზაზე და მშვიდობით.

— მშვიდობით, — თქვა მოხუცმა, — ღმერთი გვ-  
ფარავდეს ყველას და რა იცი იქნებ ოდესმე შევხვ-  
დეთ კიდევ, — შესვეს ღვინო და უსიტყვოდ გამო-  
ვიდნენ შემოსასვლელ ჭიშკართან.

— თუ აქეთა მხარეებში მოხვდით შემოგვიარეთ,  
— თქვა ირაკლიმ და ჭიშკარი შეხსნა, — ისე გისმენ-  
დით, როგორც ბავშვები ისმენენ ზღაპარს, — ჩაი-  
ლაპარაკა თავისთვის.

— მაშ ის რა ზღაპარია თუ კეთილი ბოლო არა  
აქვს, — დაემშვიდობა მელქისედექი და ქალიშვილ-  
თან ერთად გავიდა ეზოდან, მელისამ კი ფიდოს,  
ფარნასა და ლელიოს გამოხედა და ხელი დაუქნია,  
ლელიომაც დაუქნია ხელი და ყველანი ჭიშკართან  
დარჩნენ, ვიდრე ბოშები ჭალებს არ შეერივნენ და  
მოეფარნენ თვალს.

— ირაკლი გინდა მეზობლებში გადავიდეთ და

ვკითხოთ, მათ შესახებ რამე თუ იცინან? — ცოტა ხნის მერე თქვა ლალიმ, — ეს ყოველივე ძალიან, ძალიან უცნაურად არ გეჩვენება?

მაგრამ ირაკლი არაფერს ამბობდა. შვილებს უყურებდა და მერე ფიდოს მიაშტერდა. დიდხანს უყურა შვილს, თითქოს მისგან ელისო რაიმეს ახსნას და მერე, ასევე უხმოდ, მაგიდისკენ წავიდა, სკამზე დაჯდა და ცას ააშტერდა. გონებაში მელქისედექის ხმა დაუდიოდა და არ იცოდა როგორ მოქცეულიყო, დადევნებოდა მათ, ის სხვა ბოშებიც ენახა, თუ სახლში მჯდარიყო. ასე მართლაც არსაიდან გამოჩენილი ეს მამაშვილი და ხილულად წამოტივტივებული სურნელებანი ემღვრებოდა საფიქრელში და მარტო თვითონ არ იყო ასე, ლალიც იგივეს განიცდიდა და ფარნაცა და ლელიოც, ერთი ფიდო იყო თავისთვის, ჰამაკში ჩამჯდარი და ქანაობდა, ოდნავ ეხებოდა მიწას ფეხით. არავინ ლაპარაკობდა. ან ერთმანეთს უყურებდნენ, ან ბაღში მიმოდრიოდნენ და მხოლოდ წამით შეყოფდებოდნენ, თავიანთ საფიქრელზე დადუმებულნი.

მერე ფარნამ დაინახა, საბარგო მანქანა როგორ ჩამოდგა ბოშათა იმ კარავთან, როგორ დაშალეს მათაც კარავი, ალაგი მოასუფთავეს, მანქანის საბარგულზე როგორ აგროვდნენ და თავიანთი ბარგიანად როგორ წავიდნენ, სოფლის ხვიარა გზით. დაინახა და ყველას დაუძახა, ეგე, სატვირთო მანქანა მოვიდა და მიდიანო და ყველანი ასევე უხმოდ მათ წასვლას ადევნებდნენ მზერას, სანამ მტვრიან შარაზე საერთოდ არ მიქრა მანქანა და მათი აქყოფნის

კვალიც. ელვისმა შენობა დატოვა, გაიფიქრა ფარნამ...

ბოშები კი საბარგულზე აბარგებულნი, მელისას და მელქისედექს ეკითხებოდნენ, როგორ მიგიღეს და როგორ ისაუბრეთო და მელისა, უკვე სხვა კაბაში ჩაცმული ასე პასუხობდა, ეს სათნო და ამაყი ხალხია, იმიტომაც ვიყავით მათთან მე და მამა, რომ დიდი სიყვარული გვიხმობდა სწორედ მათგანო, ბიჭის სინათლე და მთელი მათი ოჯახის სიყვარულის გარდა კიდევ ბალები ხალილ, რადა, ჰაიკო, ბალები, ბალებიო.

თავი მეთხუთმეტე

### ალფა ასეულის ასმეთაური დავით გეგეშიძე

3 სექტემბერი 2008

ჩემი ასეული, ისე როგორც ყველა დანარჩენი თავის პოზიციაზე იდგა. ჩვენ მზად ვიყავით, ისევე როგორც ყოველთვის მზად ვართ საომარ მოქმედებათა თეატრისას, როგორც სწავლებისას, ისე ბრძოლის ველზეც, მაგრამ ჩვენი მზაობა დიდი სისხლით მოიწინა. თქვენ იცით სისხლს და დენტს ერთად რა სუნი აქვს? არა, თქვენ ეს არ იცით. ეს მხოლოდ ჯარისკაცებმა იციან. ჯარისკაცებმა და იმ ადამიანებმა ვინც იქაა. ვინც იქ იყო და სიკვდილით იჟლინებოდა. ვინც იქ არ ყოფილა არაფრის აზრზე არაა და იქნებ აეკრძალოთ კიდევ ასეთებს, ომსა და მშვიდობაზე ლაპარაკი. როცა ბომბა სკდება და უშველებელი ნაფლეთები ჰაერში ყველა მიმართულებით ფრენენ და ეხეთქებიან და ზანზარებს მინა. იცით ეს რისი ნაფლეთებია? ესაა რკინა და ადამიანის დაგლეჯილი ხორცები ერთად, თავები და შუაგაფხრენილი სხეულები, ადამიანები ერთად აზელილი, იმ რკინებთან ერთად დაჭეჭყილი, იმ ტყვიებითა და ტალახში გადღაბნილი სისხლით დაცეცხლილი და დასახიჩრებული, იმ ყარის სუნ-

ში ჩამხრჩვალნი... და მერე უცებ, ყველაფერი ირგვლივ, როცა ჩაშავდება და გამაყრუებელი ნივინი ისევ ისმის, მომდევნო, ჩამოყრილი ბომბებისა, იცით ეს რა ზარის დამცემია? არა, რათქმაუნდა არ იცით... ჩემმა ასეულმა დანაკარგები განიცადა, დანაკარგები ჩვენივე სამშობლოში, დანაკარგები... ეს ერთი სიტყვაა მხოლოდ, მაგრამ ამ სიტყვაში ადამიანთა სიცოცხლეა, ადამიანთა იმედი და ვაჟაცობაა, ადამიანთა სიხარული და მოთმინება დევს, გამძლეობა მათი, ყოველი ჩვენგანის გამძლეობა. მიცვალებულებს თავიანთ ეზოებში რომ ჩუმად მარხავდნენ სოფლისა მკვიდრნი ან სარდაფებში ჩუმადვე ათენებდნენ ღამეებს, მტერს რომ მათი ადგილსამყოფელი ვერ გაეგო და როცა სახლს ბომბა ხვდებოდა და ინგრეოდა, იმ მიცვალებულებთან ერთად ცოცხლადვე იმარხებოდნენ, ცალ-ცალკეც და მთლიანად, მთელ ოჯახებს ცეცხლში ჩამდნარი რკინები და ქვები და აგურები და სახლის ნანგრევები, ცოცხლად სრესდნენ და მარხავდნენ მინაში. თავისი ქვეყნის მინაში... შ აგვისტოს, დილის ხუთსა და ოცზე, მტრის ჯარებმა დაბა ჯავა გამოიარეს. დილის ექვსის ოც წუთზე, გამთენიისას სამხრეთისკენ შევიდნენ გერი-დმენისის გზით, დაზვერვა, ჩვენი S-2 გვატყობინებდა, რომ კიდევ ორი კოლონაა შემოსული, ტანკები და ჯავშანტექნიკა და უკვე სადაცაა ავიაციაც დაიწყებდა სოფლების დაბომბვას, ქართული სოფლების დაბომბვას, სადაც მათ არაფერი ესაქმებოდათ. სადამოს, თვრამეტსა და ორმოცდახუთზე, მათ, დმენისში, ცხინვალში და

გარშემო სიმალღეებზე განლაგებულ ჩვენ შეიარაღებულ ძალებს, მასირებული ცეცხლი გაუხსნეს და მიუხედავად ჩვენი პასუხისა, ოცდაორსა და ნულ-ნულზე, ჩრდილოეთიდან მიუახლოვდნენ დიდი ლიახვის ხეობას, მაგრამ იქ, ო იქ, იმნამსვე წერტილი დაესვათ. ჩვენმა არტილერიამ ბეთქა და ბეთქა და მიაჭლიტა იქვე, იქვე ჩაადულა მტერი. მიასრისა. სულ რაღაც წამებში ჩაფერფლა ცეცხლითა და ჯოჯოხეთით. ბიჭებს წამითაც არ შეშინებიათ, არ დაუყოვნებიათ და არ გაჩერებულან. შიში რაა, იერიშამდე ერთი გადავაფურთხეთ და შიშიც გაქრა და ბრძანებაზე – ცეცხლი! დიდი სასჯელი დავატეხეთ მყის. დასჯა სასჯელია უსამართლოთათვის... ისინი უმოწყალოდ დავსაჯეთ და ხეობაში არ შემოვუშვით და აღარც ძარას გზით გავუშვით ცხინვალისაკენ. დიდი დანაკარგი განიცადეს და ძალიც მიაკვდათ... და, აი მანდ ჩადგა და ჩაიზღაზნა სისხლის ჭაობიც, აი მანდ დადგა ყარი და ძრწოლა და ყველგან მძიმედ ახვეული შავი ბოლი, რომელიც კაცთა ნაფლეთებს თავზე გვაფერფლიდა და გამაყრუებელი ღრჭიალი გვესმოდა მუხლუხობსშორის ჩაჩყლეტილი სიკვდილისა და ადამიანის კენესით შერყეული ბუნებისაც თითქოს. ჰო, თითქოს მიწა და ხეები და მდინარე და ქვები და ღრუბლებიც კი ერთნაირი ძრწოლით შეირყნენ. დაძიძგნილი მიწა თითქოს ყიოდა იმ დღეს, რასა სჩადით ხალხნო, რა დააშავა ასეთი დედამიწამო. ღმერთი ფარავდეს საქართველოს, გამკრა მაშინ თავში, ღმერთი ფარავდეს-მეთქი და 9 აგვისტოს უკვე, თერთმეტსა

და ორმოცზე, ამ წყეულებმა, მათ შორის მედესანტეებმაც, ცხინვალში შესვლა ჩრდილო-დასავლეთიდან დაიწყეს, სოფელ ტბეთიდან. რამდენი იყვნენ, ღმერთო მართლაც რამდენნი იყვნენ, ჩვიდმეტსა და ნულ ნულზე ცხინვალში დამატებითი ჯარებიც შევიდნენ და იმავე დღეს, ცამეტსა და ორმოცზე და მერე კიდევ თოთხმეტსა და ორმოცზე, სწორედ მაგ შუალედში, სამხედრო თვითმფრინავებმა, ჩვენს მიერ კონტროლირებადი სოფლების დაბობმვა დაიწყეს, კოდორის ხეობა და ჩხალთა და მერე კიდევ, ოცდაორსა და ოცზე, მათმა ავიაციამ კიდევ დაბობმა ზემო აფხაზეთი. 10 აგვისტოს კი, დილა იყო მახსოვს, დილით ადრე როკის გვირაბი 300-ზე მეტმა ტანკმა და ჯავშანმანქანამ გამოიარა და 10 000-ზე მეტმა ურჯულო სამხედრომ. ორი დღე ზედიზედ ვიბომბებოდით და მათაც ვჟღელდით როგორც შეგვეძლო. მაშინ გიგლასგან ვიცოდი რეზერვი უკან რომ გაიწვიეს და ერთი ბიჭუნა რეზერვისტი, თავგზადაბნეული დაკარგულა ფრონტის ხაზზე და გიგლას ასეულს ეძებდა, ჩემებმა იპოვეს, მომიყვანეს. ღამე იყო, ვინ ხარ-მეთქი ბაღლო, რატომ ჩამორჩი შენს ქვედანაყოფს-თქო და ჯერ დანაპირს არ უხსნიდა, მერე კი გონს რომ მოვიდა სახელი მითხრა და გვარი, ფარნა მქვიაო, მთვარელიძე, ავტომატს ხელს არ უშვებდა და ისე გაფართოვებოდა თვალები, ვიფიქრე ალბათ მაგარი შიში ჭამა და აჯობებს დროზევე უკან მივაბრუნო-მეთქი. ის კი ერთი და იგივეს ამბობდა, მკვდრები ვნახე, დახოცილები ვნახე და ვნახე სისხლი წამით როგორ ანა-

თებს და იმავე ნამში როგორ ქრება და შავდებაო. იმეორებდა გაუთავებლად, შოკი ქონდა ალბათ. ეჰ, შვილო, რა გინდა აქ, ვფიქრობდი, ამ ჯოჯოხეთში რამ შემოგაგდო-მეთქი. ჩავსვი ჰაილუქსში და გავისტუმრე უკან. სამშვიდობოს რომ გაუყვანიათ და ჩვენი მანქანა დისლოკაციის ადგილზე ბრუნდებოდა, ნალმსატყორცნიდან დაიცხრილა, მაშინ ერთი კაპრალი და ორი რიგითი დაიღუპა. გვამებს ველარ მივაგენით, 11 აგვისყო იყო და უკან ვიხევდით. თბილისისკენ. ზუსტად რომ თბილისისკენ, მისკენ დაძრული მტრის ჯარებისაგან რომ დაგვეცვა. მე არ ვიცი ეს რა ომი იყო, როცა ისინი და სეპარატისტების რალაც ბანდები, მშვიდობიან მოსახლეობასთან ერთად ომის გასაშუქებლად ჩამოსულ ჟურნალისტებსაც ხვრეტდნენ ან ტყვეებად მიჰყავდათ. ჰო, ადგილზე დახვრიტეს ორი ქართველი ჟურნალისტი და ერთი გაიტაცეს. მაშინ, სწორედ მაშინ, გორში, ისრაელის ოთხი ჟურნალისტიც გაძარცვეს და სცემეს და სნაიპერმა კი ერთ-ერთ ქართველ ჟურნალისტს, გოგონას, პირდაპირი ეთერის დროს ესროლა და ხელში დაჭრა, გაძარცვეს ჩეხი და თურქი ჟურნალისტებიც, წაართვეს აპარატურა და მანქანა და ბევრი დაიღუპა მაშინ, როცა გორში კიდევ და კიდევ და კიდევ შემოვიდნენ ჯარები. ჩადგნენ მეფჯრისხევეში, გორიჯვარში და ახალგორს ლენინგორი გადაარქვეს ეგრევე და ეგრევე დაიწყეს მაროდიორობაც. ო როგორ მეზიზღება ეგეთი საქციელი, როგორი ამაზრზენია ეგეთი სიღორე. შედიოდნენ გადარჩენილ სახლებში და საქმელი და ტანისამოსი

გამოჰქონდათ. იტაცებდნენ ადგილობრივებს და... ჩვენ ტყვეებთან ერთად ანამებდნენ, კბილებსა და თითებს უმტვრევდნენ და თავებს უხეთქავდნენ, აუბატურებდნენ გოგოებს და მერე ისევ ანამებდნენ...

ეგენი დაკომპლექსებულიები არიან. მათი ცინიზმი, სხვა არფერია თუ არა ისედაც მათი გარყვნილი გონების სიხარული, ტრიუმფი, მათივე სირცხვილის ხარჯზე, თავიანთი ზიზღის ხარჯზე, რომ ყველას ამავე ზიზღითა და სირცხვილით აჰყურებენ. ესაა მათი სიხარბე. სიხარბე ბრმაა, უძიროა, ომშიც და ომის გარეშეც, ის ვერასდროს სჯერდება თავის წილს, ყველას და ყველაფერს ეპოტინება და ხან გამოსდის და ხანკი, უფრო ხშირად, იმასაც კარგავს რაც კი რამ ჰქონდა. რაც უფრო ხარბი და ძუნწია ის, უფრო უღმობელი და უაზრო ხდება, უფრო საშიში. ამ საშიშროებამ დააშრო ალბათ მათი სული და ამაზე გამწარდა, როგორ შეიძლება ეს ერთი ბენო ქვეყანა კარგად იყოსო. ისინი თავიანთთვის ზოგჯერ არიან კეთილნი...ეს ბოროტებაა და ისინი ვერასოდეს ბედნიერები ვერ იქნებიან, ვერასოდეს, რადგან მათ ბოროტმოქმედებას, ყოველთვის საბაბი სჭირდება და დაუსჯელობა ჩემი აზრით, ამ ბოროტმოქმედების წახალისებაა მხოლოდ. სიბოროტემ შეიძლება ხანდახან აირიდოს სასჯელი, მაგრამ ის ვერასდროს გაექცევა საკუთარ შიშს, სასჯელის შიშით რომ უჩნდება და თრთის მის წინაშე და მხოლოდ არნახული ცინიზმით იფარავს ამას. მე კი ვნახე მათი ცინიზმი და ნახა ყველამ, მთელი ამ

ორასი წლის მანძილზე.

უკვე სამასი წლის მანძილზე, როცა მივხვდით, ჩემივე ასეულთან ერთად მივხვდით, რომ მათი ბრძოლა, ბრძოლაა მხოლოდ აღმატებისთვის. ერთ-მორწმუნეობას გავკარი თქვენსას, სინანულის ნა-სახიც რომ არა გაქვთ, რაც თქვენ ცოდვას მოკლა-ვდა, მაგრამ სინანულს ხომ სიმართლის გააზრება, მისი შემეცნება შობს, მაშ როგორღა გექნებათ იგი, როცა სულ იმას გაიძახით, რომ იქ უკეთესია სადაც ჩვენ არ ვართ.

და ახლა როცა ძმა ჩემი გიორგი, ეჭ გიგლა გი-გლა, ძმა ჩემი მამაცი და ამაყი სარდლიშვილი მკვდარია და ჩემი ასეულიდანაც ბევრი შეუერთდა მას იმქვეყნად, გახსოვდეთ ძმებო, დიდხანს მეც ალბათ აღარ დავრჩები აქ და გესტუმრებით მალე, ხოლო თუ შეყოვნება მომინია, მაშ არაუშავს, ჩვენ მაინც შევხვდებით, უფრო სრულყოფილ სამყაროში ვიდრე ესაა, ეგაა რომ ჩვენ ცოტას დავიგვიანებთ და ნურც ნურავინ განგვსჯით იკაროსივით მაღლა აფრენისას, როგორც მზეს არავინ განსჯის, რომე-ლიც გვიშანთავს ფრთებს.

თავი მეთექვსმეტე

## ფარნა და ივნისის შემდეგი დღეები

9 ივნისი 2008

შემდეგ მაგიდა აალაგეს და ყველანი თავთა-ვიანთთვის იყვნენ. ირაკლი და ლალი ერთად, შვი-ლები ცალ-ცალკე. მაგრამ დროებით, ეს მათი გან-ცალკეება მალევე მოიბეზრეს და ისევ ერთად შეგროვდნენ ბაღში. სკამები წრეზე დაანყვეს და დასხდნენ. ჯერ ისევ ჩუმად იყვნენ, შემდეგ კი ლე-ლიომ თქვა: — არავის უნდა რამე ახსნას? მე მეჩვენ-ება რომ ეს ბოშები საგანგებოდ რომ ჩვენთვის ყოფილან თურმე მოსულნი, კიდევ რაღაცის თქმას აპირებდნენ და აღარ ვაცალეთ.

— რატომ დედა? — თქვა ლალიმ, — რატომ ფიქრობ ასე? მე პირიქით, ისეთი განცდა მაქვს რომ სიზმარში ვიყავით, აბა როგორ შეიძლება ჩვენ დროში ასე საუბარი როგორც ეს კაცი საუბრობდა, — ვაშლის გათლა დაიწყო, — გინდათ? — გაუნო-და შვილებს, — მოგიტანოთ თეფშები? თუ ასევე შეჭამთ?

— და სუნის დანახვა თუ შეიძლება დედა, დანარ-ჩენი რატომ არ შეიძლება, — ლელიომ, ვაშლის ორი



ნაჭერი გამოართვა, ერთს უკბიჩა, მეორე ფარნას გაუწოდა.

— გარდა მაგისა, — თქვა ფარნამ, — ჩვენს გარდა ერთანმინდაში, კიდევ რამდენი ცხოვრობს და მაინცდამაინც ჩვენთან, რომ მოვიდნენ ეგ მე სულაც არ მიკვირს, მე სხვა რამ მიკვირს, — ფარნა გაჩერდა, ვაშლი მოკბიჩა და აღარაფერი თქვა.

— რა, — გახედა ირაკლიმ, — დალეჭე და მერე თქვი, მანამდე მე გეტყვით რომ, შემოვიდნენ თუ არა რალაც უცხო სიმშვიდე შემოყვათ და კაცი ისე ლაპარაკობდა, რომ თუკი რამის თქმას ვაპირებდი, ან რამე კითხვა მიჩნდებოდა, მისი მომდევნო სიტყვების მოსმენის შემდეგ სურვილი მიქრებოდა ისევე მეკითხა რამე, ან საერთოდ ხმა ამომელო.

— ყველა ეგრე ვიყავით ირაკლი, — თეფშზე დანყობილი გაჭრილი ვაშლები, დედამ ბალახზევე დადო, — აიღეთ ვისაც გინდათ, კიდევ მოვიტან მერე. ჰო, ყველა ეგრე ვიყავით, რა მოხდა ახლა აქ? სულ ამას ვფიქრობ, რა მოხდა ახლა აქ?

— მოხდა ის რომ, — ისევე ფარნამ თქვა, — ჩვენ ყველანი ერთი დიდი ამბის გამირები გავხდით.

— რას გულისხმობ, — თქვა მამამ, — და დაამთავრე წელან რაც დაინყე, მე სხვა რამ მიკვირსო რომ თქვი.

— ისინი არც იყვნენ შეიძლება ბოშები, უბრალოდ ბოშათა იერი მიიღეს, — მიუგო ფარნამ, — ან სწორადაც რომ ბოშები იყვნენ, რომლებმაც ქვეყნად ყველა საიდუმლო იციან.

— ბოშათა იერი მიიღეს რას ნიშნავს? ანგე-

ლოზები იყვნენ? თუ სულები რამე? — ამბობდა ირაკლი, — არა, ისინი ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ, ოღონდ ცოტათი არაჩვეულებრივებიც, როგორც ჩვენი ფილოა, არა ფილო? ამოიღე ხმა, რას გაჩუმებულხარ.

ფილოს გაელიმა, თითქოს უნდოდა რალაც ეთქვა, მაგრამ ვერაფერი თქვა და ისევე ჩუმად დარჩა სკამზე.

— ფაქტია რომ, — განაგრძო ირაკლიმ, — ძალინ ჯეროდათ იმისი, რასაც ამბობდნენ და ეს ჩვენც გადმოგვედო, თან სუნების, ეს რალაც ულტრაიისფერები და გამჭოლი მათი გამოხედვები, მაფიქრებინებს, რომ არ იყო ჰალუცინაცია, არამედ, სინამდვილე იყო და ძალზე დანყნარებულები ვართ ახლა ჩვენ ყველანი. რადგან ვინმე ერთისთვის რომ ეთქვათ ის რაც თქვეს და როგორც თქვეს, და მერე ჩვენთვის იმ ერთს მოეყოლა, ნაკლები ალბათობაა, რომ ყველას ასევე დაეჯერებინა მომხდარი, როგორც ახლა ჩვენს შემთხვევაშია, მეთანხმებით? გამოდის რომ საქმე გვაქვს განსაკუთრებული ნიჭის ხალხთან და ამაში გასაკვირი არაფერია, პირიქით, უნდა გვიხაროდეს, რომ სწორედაც ჩვენთან მოვიდნენ, ჩვენ ამოგვირჩიეს, წეროს გარდა, თუ განგების რამე ამ მინიშნების გარდა, მოვიდნენ სასაუბროდ, როგორც ჩანს ძალიან დიდგზამოვლილები, ესეიგი ჩვენზე რალაცაა დამოკიდებული. მაშინ რატომ ჩვენ? თან ცუდი ხომ არაფერი ქნეს, ბოშები ჩამოვიდნენ და მათი ბარონი, თავის ქალიშვილთან ერთად სტუმრად გვენვია. მაგრამ ამას ახლა ვლა-

პარაკობთ, როცა აქ იყვნენ ამდენი ეჭვი და კითხვა ხომ არ გაგვიჩენია? ისე ვიყავით მათზე მინდობილნი და მათით მონუსხულნი, რომ არც გაგვიფიქრია მსგავსი რამ. ამაში ხომ მეთანხმებით? არსებობს რაღაც შეუცნობელი და ეს შესაძლოა სწორედ ეგ შემთხვევაა, მაგრამ შინაგანად ისეთ სიახლოვეს და სიკეთეს ვგრძნობდი მათგან, რომ თუ ამ სამყაროში ის შეუცნობელიც ადრე თუ გვიან როგორმე, ვინმეს მიერ აიხსნა, დარწმუნებული ვარ ის ვინმეც ასე იტყვის, მეც ასეთ რამეს ვგრძნობდიო, მეც სიკეთე და სიმშვიდე მეუფლა და თითქოს ყველაფერი გავიგეო, როგორც ფილოს მოუვიდა ამასწინათ ჭალაში ყოფნისას, როცა უეცარი თანაზიარება იგრძნო თავის გარემოსთან, არა ფილო? მაგრამ ფილო ახლა ჩუმადაა და ცოტა ხანი შევეშვათ. მგონი აჯობებს ტვინი აღარ ვიჭყლიტოთ არაფერზე და ყოველივე აქ, ჩვენს ოჯახში, ჩვენს სახლში მომხდარი მივიღოთ არაჩვეულებრივ ფაქტად, რომელიც ჩვენ შესაძლოა სხვებისგან გამოგვარჩევდეს კიდევ, — ირაკლიმ ვაშლის ერთი ნაჭერი აიღო, — ჩვენში დარჩეს და მეც თავი რაღაც სიზმრისმაგვარში მგონია, — მოკბიჩა ვაშლი, — ფარნა და ის დანარჩენები როგორები იყვნენ?

— ლამაზები, — თქვა ფარნამ, — ერთს ერქვა ჰაიკო, ვინც სიზმრებს ხსნიდა, რაღა, შვილიანი ქალი და ზარა, ნითელთმიანი ქალი და სამი კაციც იყო, სახელები თუ არ მეშლება ერთს ომარი, მეორეს ხალილი და მგონი ჯავადი მესამეს.

— გავიგო ვინ იყიდა მათი ცხენები და ვაგონი?

— თქვა ლალიმ, — ისე კი საინტერესოა საზღვარს როგორ გადაკვეთენ, ან აქ შემოსვლისას როგორ გადაკვეთეს... მაგათ პასპორტები აქვთ?

— იმდენად უცნაური და უცხო იყო და თან ახლობლური ეს ყოველივე, — ჩაერთო ლელიო, — რომ მაგაზე არავის გვიფიქრია, თუმცა არა, მამამ ხომ ჰკითხა საიდანო და შორეული აღმოსავლეთიდანო გვიპასუხეს, მე მელისა ძალიან მომეწონა, ზღაპრული გოგო იყო, ხელში რომ შემათამაშებინა სურნელების ფერი, ვაიმე ვინ დაიჯერებს ეს რომ მოყვე, არადა რა სასწაული იყო არა?

— კი, უცნაურობა იყო ნამდვილად, სასწაული, გეთანხმები, — თქვა დედამ, — ირაკლი, შენ ცამეტში მიფრინავ.

— რათქმაუნდა, — მიუგო მეუღლემ, — ლელიოს დაბადების დღის მერე, საღამოს ჩავალ თბილისში, დავლაგდები, ჩავლაგდები და ცამეტში უთენია აეროპორტში. თბილისი, სტამბოლი, ნიუ-იორკი. არ მოინყენთ იმედია.

— ვეცდებით, — უპასუხა მეუღლემ.

ისხდნენ ასე წრეზე დანყობილ სკამებზე და საუბარის სურვილიც თითქოს მალევე გაუქრათ. ფილო ჰამაკში გადაჯდა, შეაქანა ჰამაკი და ჩანვა შიგ. ბალიში თავიკვე ამოიღო და ცას უყურებდა. ფარნა ფილოს უყურებდა, ფიქრობდა, ჩემი ძმა არაფრითაა ჩემგან განსხვავებული, მაგრამ მაინც რაღაც უჩვეულო განსხვავებას რომ ვგრძნობ იმის ბრალი ხომ არაა, მე რომ მის ნათებას ვერ ვხედავო. არა, თუ რეზერვში გამომიძახეს ნავალ და რაც მე-

ვალეზა იმას ვიზამო, ფიდო კი აქ დარჩება, ფიდო აქ უნდა დარჩესო. მე უფროსი ძმა ვარ და მე ვარ მოვალე უმცროს ძმაზე ვიზრუნო, თორემ ლელიო ამბობს ჯარში ქალებიც არიან თან ძაანაც მაგრა არიან, თქვენ კაცებს, არაფრით ჩამოგივარდებიანო. ლელიო, ჩემი ლელიო, გახედა თავის დას და ადგა. ბაღში გაიარა. გარშემო შემოუარა სახლსა და ბაღებს და ფიქრი განაგრძო, მამა როცა ამერიკაში წავა ჩვენ აქ დავრჩებით ალბათ, ან ფიდოს გამოცდების გამო თბილისში ჩავალთო. მერე რა. ჩავიდეთ რა. ფიდო ჩააბარებს, მერე ისევ აქ ამოვბრუნდებით და ძაღლს ვეთამაშებით. ძაღლმაც რომ ფიდოსავით სიზმარში დაიწყოს ლაპარაკი? ადამიანის ენას ვერ ვიგებ და ცხოველისას როგორ გავიგებ, ის ბოშა ხომ არ ვარ აქ რომ სამყაროს ავსა და მადღზე გველაპარაკაო. ისე მართლა ვის გინდა უთხრა რომ სუნი დავინახე. მართლა მართლა, ვის გინდა უთხრა ჩვენ ისეთი ბალი გვაქვს სადაც სუნები ჩანან და ჩემი უმცროსი ძმა ანათებს კიდევ და შესაძლოა წმინდანური თანაგრძნობა გაუჩნდა მთელ ირგვლივა სამყაროსთანო. სახლის კედელს მიეყრდნო ფარნა და ახლა შორიდან უყურებდა თავის დასა და ძმას, დედას. მამა ისევ სახლში აბრუნებულიყო, ბაღის თავზე კი ჩიტები ირეოდნენ. ხან დაბლა ფრენდნენ, ხან ძალიან მაღლა შეკრავდნენ და შემოხაზავდნენ წრეებს, ძალიან ზემოთ ღრუბლებთან თითქმის, ირეოდნენ და ფარნას ველარ გაეგო სად მერცხლები იყვნენ და სად ის კვირიები. სახურავს და კედელს შორის მერცხლის ბუდე აათვალიერა, როდის

მოასწრეს აქ ბუდის გაკეთებაო გაიფიქრა და თავის ფეხებთან მძიმედ გაბობღებული კუ დაინახა. ჩაიცუცქა და თითით ჯავშანზე დაუკაკუნა, ჰეი არის მანდ ვინმე, დააძახა და კუმაც თავი და ფეხები ერთდროულად შემალა შიგნით.

ლელიო კი ფიქრობდა სამ დღეში ჩემი დაბადების დღეა და ძაღლი მეყოლებო. ჯენი. ისე რას ავიჩემე ეს სახელი იქნებ სხვა მოვიფიქრო რამე, მაგრამ დრო ძალიან ნელა გადის და როდისღა გავა ეს სამი დღეც და ჩემ მეგობრებს თუ მოუნდებათ მოლოცვა აქ როგორ ჩამოვიყვანოო. არა, არავითარი მეგობრები, გაიფხანა შუბლი, არავის ჩამოსვლა არ მინდა, აქ მინდა მარტო ყოფნა და გიგლა მინდა რომ ჩამოვიდეს, კიდევ კაი მაგის მობილური მაქვს ირაკლის მობიდან, რომ ჩუმად ამოვიწერე და ესემესს მივწერ და ვეტყვი. არ ჩამოვა? შეიძლება ვერ ჩამოვიდეს, მაგრამ მე მაინც მივწერ, თანაც იმავე დღეს მამა მიდის და...

ლელიო ჭიშკრისკენ წავიდა, ჯიბიდან ტელეფონი ამოიღო და ესემესის აკრეფა დაიწყო. მაგრამ ხელი უკანკალებდა და ვერც გამართულად აწყობდა აზრს. რაღაცას დაწერდა, დახედავდა და მერე შლიდა და თავიდან წერდა, სანამ მოკლედ არ დაალაგა წინადადება, *Gigla hi, Lelyo var, esaa chemi nomeri, 12-shy chemi dabadebis dgea da chamodi. Dzalilian minda rom chamokhvide.* კიდევ უყურა ტექსტს და როცა გული, მისი კითხვისგან იჯერა და დარწმუნდა რომ აღარაფრის მიწერა საჭირო აღარ იყო, გააგზავნა. ნუთიც არ იყო გასული, პასუხი მოუვი-

და. შფოთმა ნაჰკრა გოგონას. უკან გამოიხედა შიდა ეზოსკენ, სკამები რომ წრეზე დარჩენილიყვნენ, მაგრამ აღარავინ იჯდა იქ და ჭიშკრისკენ, კიდეც რამოდენიმე ნაბიჯი გადადგა. სადღაც უნდოდა თითქოს გასვლა, არავინ არ უნდა დამინახოსო, მაგრამ არც არავინ უყურებდა, ლალი და ირაკლი სახლში იყვნენ, ფილო ჰამაკში იწვა, ფარნა ისევ სახლის უკან იყო და ბალახებში კუს ეთამაშებოდა. ღრმად ჩაისუნთქა ლელიომ, თვალეები დახუჭა, ტელეფონის ლილაკს დაანვა და გაშეშდა ასე რამოდენიმე წამი. მერე წელა გაახილა თვალეები და ტელეფონის ეკრანს დახედა. ჩაეცინა კითხვისას და ზედიზედ, რამოდენიმეჯერ წაიკითხა, Magaria! Me asec vapirebdi. 12-shi Ertatsmindashi viqnebi. 13-shi ukan vbrundebi. Madloba rom dampatizhe. Albat sagamos chamoval, dro jer ar vitsi. Droebit Angelozo.

ანგელოზო?... ამას გიგლა წერდა? ანგელოზო?! ხელიდან უვარდებოდა ტელეფონი.. ჰა? ანგელოზოო? მართლა ასე მწერს? ღმერთო ჩემო, შეხტა გოგონა, ღმერთო ჩემო, ესეიგი იცის, გამიგო! მიხვდა! იგრძნო! ხმამალა გაიცინა და ტელეფონს ორივე ხელით ჩაეჭიდა, თითქოს საშველად გადმოგდებულ ბანარს ეჭიდებოდა რამეს.

— ვის ემესიჯები ასე გახარებული? — ჰამაკიდან გამოსძახა ფილომ.

— არავის, ისე! — სიცხილითვე უპასუხა დამ და სახლისკენ გაიქცა, თავის ოთახში ავარდა და ლოგინზე პირქვე დაემხო.

ოჰ ლელიო ლელიო, გაიფიქრა ფილომ, ცეცხლი

ხარ, ნამდვილი ცეცხლი. და ფიდოს თავზე მისმა ლურჯად გამჭვირვალე ნათებამ გაიკრთოლა. ფილომ დაბუყება იგრძნო და როცა ნათება უფრო გამსხვილდა და თითქოს ჩიტებიც ახლო გაჩნდნენ სტვენითა და გალობით, ფილომ ფარნას დაუძახა, — სად ხარ მოდი დროზე, ნახე რა ახლოსაა, მოდი და დაინახავ, — ფარნამ ძმის ხმა გაიგონა, კუ იქვე დატოვა და ჰამაკისკენ ჩქარი ნაბიჯით წამოვიდა. ძმის გვერდით ჩაიმუხლა და იქით აიხედა სადაც ფილო აჩვენებდა.

აიხედა და დარჩა ასე გაშტერებული. ასე პირლია და გაკვირებული. ასე ენაჩაგდებული და დასუსებული თითქოს. ჰო, დაინახა ფარნამ! უცებვე დაინახა ძალზე თხელი, მოკვამლული და საოცრად გამჭვირვალე მოოქროვილ-მოცისფერო რაღაც ნათება. ენა დაება. ნერწყვი დაუშრა პიროში, სუნთქვაც კი შეიკავა წამით და ძმას მიეკრო.

— რაო ძმაო ფარნავაზ? — ღიმილით თქვა ფილომ, — ხედავ? აი უკვე შენც ხედავ, — თქვა და ნათებაც აქრა. ჰაერმა გაიწოვა თითქოს. შეიმთლიანა ბალის სიჩუმემ და სალამოს ბინდმა. ჩიტებიც აიფანტნენ და ისევ ზემოთ აკრეს წრეები, — დაინახე? ხომ დაინახე? — ამბობდა ფილო, მაგრამ ფარნას გაოგნება არეტიანებდა და ასე ჩამუხლებული ჩაჯდა კიდეც ბალახზე, მერე ზურგითაც განვა მიწაზე და სიცხილი აუტყდა. იცინოდა სინარულის ჯერ მისთვის აუხსნელი მიზეზით, იცინოდა უფრო და უფრო ხმამალა და ორივე ხელი თავზე წაეცლო.

— რა გაცინებს? — ჰამაკიდან ჩამოვიდა ფილო,

— ახლა დაიჯერე? მითხარი, ახლა ხომ მართლა გჯერა?! — მაგრამ ფარნა ვერაფერს ამბობდა, თვალეები ცრემლით ავსებოდა და ისევ სულმოუთქმელად იცინოდა. სახლიდან ირაკლიმ გამოიხედა.

— რაზე იცინით? გამოსძახა შვილებს, — ფარნა რა გჭირს? ფიდო რა მოუვიდა, რა გიჟივით იცინის, უთხარი რამე?

— ის ნათება დაინახა მე რომ ვხედავ! — სიცილი ფიდოსაც გადაედო, ეცინებოდა და მამას პასუხობდა, — დაინახა მამა! უკვე ფარნამაც დაინახა!

ირაკლი ძმებთან მოვიდა. მათთან ახლოს დადგა და მიმოიხედა. ფარნა და ფიდო ოდნავ დაცხრნენ და მერე გაჩუმდნენ. ერთმანეთს უყურებდნენ. ირაკლიმ კი თქვა, — აფსუს, მეც მინდოდა მენახა.

— ფარნა თქვი რამე, — მხარზე ხელი გაკრა ფიდომ, — თქვი როგორი იყო.

მაგრამ ბიჭი ვერაფერს ამბობდა, ხან მამამისს შეხედავდა გაცისკროვნებული სახით, ხან თავის ძმას. მერე წამოხტა და ირაკლის ჩაეხუტა. ფიდოსაც ჩაეხუტა და დედამისთან გაიქცა. ლალი სამზარეულოში ხელებს იმშრალეობდა, ფარნა რა სახე გაქვსო უნდოდა ეთქვა შემორბენილი შვილისთვის, მაგრამ ხმის ამოღება ვერ მოასწრო, ისე ეცა და ჩაეხუტა ფარნა დედამისს და თვალეებში შეხედა, გაბედნიერებულმა, თითქოს სასწაულნანახმა და უცნაურად დამუწვებულმა, ერთიჯ აკოცა დედას და ლელიოსკენ აირბინა სახლის კიბეები, კარი შეაღო და ეცა დასაც. გადმოაბრუნა პირქვე დაწოლილი და, და გულში ისიც დანარჩენებივით ჩაიკრა და ულაპა-

რაკოდვე გამოიქცა დის ოთახიდან. გაირბინა ეზო და ბალი, გადაახტა იმ დაბალ, ვარდებშემოვლებულ ჭიშკარს და ჭალებში შესტა.

— აუ აზრზე ხარ, მე რომ დამენახა ესეიგი რა მომივიდოდა, — თქვა მამამ, თვალი გააყოლა ფეთიანივით გაქცეულ თავის შვილს, — მითხარი რა მოხდა, — მიუბრუნდა ფიდოს.

— მოხდა ის რაც ყოველთვის ხდება მამა, — წყნარად მიუგო ფიდომ, — რაც ბოშებმა გვითხრეს და რაც ისედაც ვიცოდით ჩვენ. შენც დაგანახებ, — ისევ ჰამაკში განვა და ხელები თავქვე დაიწყო, — ჩვენ უცნაურ სამყაროში ვცხოვრობთ, — თქვა და კვლავ ჩიტებს ააკვირდა.

— გეთანხმები, — თქვა მამამ, — ჩვენ მართლაც რომ უცნაურ სამყაროში ვცხოვრობთ.

ჰამაკთან დედა და ლელიო მოვიდნენ, — რა მოუვიდა? — თქვა ლალიმ, — რას გვეცა ყველას, ან სად გაიქცა?

— მოვა მალე, — თქვა ფიდომ.

— ნათება დაუნახავს, — დედაშვილს მიუბრუნდა ირაკლი, — ჰო, საქმე მეტად უცნაურ სახეს ღებულობს, — ჩაილაპარაკა და იქვე ჩამოჯდა სკამზე, — ნათება დაუნახავს.

— ნათება დაინახა? — გაიმეორა ლალიმ, — რა ნათება? ფიდოს ის.. რამე... ნათ...

— ჰო ლალიკო, — თქვა ირაკლიმ, — ზუსტად რომ ფიდოს ის რამე ნათ.

— სერიოზულად გეკითხები, რადროს ეგაა, — ირაკლისთან მივიდა ლალი.

— მეც აბსოლუტურად სერიოზულად გპასუხობ და ბოშების სიტყვებზე ვფიქრობ.

— და სად გაიქცა?! — ჭიშკრისკენ გაიხედა ლელიომ, — ფარნა! — დაიძახა მთელი ხმით.

— მოვა მალე, — იმავე სინყნარით ამბობდა ფიდო და ისევ ისე ეღიმებოდა.

— არა, სიცილი კი მესმოდა რაღაც გიჟური სიცილი, მაგრამ... — დედაც სკამზე დაჯდა, — მაგრამ...

— რაღა მაგრამ ლალი. ინდიგო! — თქვა ირაკლიმ

— მოიცა რა ინდიგო ირაკლი, მანამდე ლელიოც იცინოდა ასევე ხმამაღლა, — ქალიშვილს მიუბრუნდა დედა, — რა გაცინებდა შე ქოფაკო.

— სიცოცხლე დედა სიცოცხლე, — ადგილზე დაბზრიალდა ლელიო და კიდევ გაიცინა, — მიხარია! მიხარია! ღმერთო როგორ მიხარია! — ხელებგაშლილი ადგილზე ტრიალებდა ლელიო.

— თავბრუ არ დაგეხვას, — თქვა დედამ, — მართლაც რა უცნაური ზაფხულია. თან ნაკიანი წელია ახლა. ნაკიან წელს ყველაფერი ხდება.

სალამო ღამისკენ მიიწეოდა, როცა ფარნა სახლში დაბრუნდა და აივანზე დაჯდა. ყველანი ირგვლივ შემოუსხდნენ და უხმოდ უყურებდნენ. ბიჭის სახე თითქოს ყველასთვის უცხო მდუმარებით შთაგონებულყო და თვალებში უცარი ნაპერწკალიც გაუელვებდა, როცა გაკვირვება და გაშტერებული თითქოს მზერა, წამით დაენმინდებოდა და ბალისკენ განევდა სახეს. განევდა სახეს და მყისვე ატყდებოდნენ ჩიტებიც, იცნესო თითქოს მათიანი ვინმე.

ჩამოთბა საღამოს ბინდითა და ფარნას ასეთი დადინჯებული დუმილით. ჩამოთბა მთელ ერთანმინდაში და ანარინჯებული დაისის ღრუბლებიც გადაიფანტნენ. საღაც ძლიან მალლა აქაჩულიყოცა და იწვა სიმშვიდე ყველგან. სხივებმინელებული, ჩათბილული, ზაფხულის სიმშვიდე. ოჯახი ჩუმად იყო და ჯერ არც ფარნა იღებდა ხმას, სანამ ფიდომ არ თქვა, კაი, რა მოგივიდა, ალბათ ახლა შენც შეივსე ჩემნაირი განცდითო, და ფარნამ თავი დაუქნია, ჰო ეგრეა, დაბუჟებას ვგრძნობ და გული ისე მიცემს თითქოს მთელი ქვეყნიერება ჩამეტიასო შიგ. მინის ფეთქვას ვგრძნობ და მდინარის ხმა მესმისო, ოღონდ ისე კი არა ადრე რომ მესმოდა, თითქოს შიგნიდან მესმისო და მცენარეების ხმებიც გავიგონე და ჰაერისაც და მწერებისაც და თითქოს შენი არ იყოს ფიდო, მეც რაღაცას მივხვდი და ისევ დამავინყდაო, რაღაცა ძვირფასს და მემგონი ყველაზე, ყველაზე მთავარ რამესო. ფარნა თავის ხელებსა და ფეხებს დასცქეროდა, როცა ლაპარაკობდა არავის შეუნყვეტინებია მისთვის და ისე ეგრძნობებოდათ, რომ ფარნა ახლა, ასე გახურებული და გაფიქრებული რაღაც საიდუმლოსთან იყო თითქოს მდგარი და როგორც მთვარეულისთვის, ღამის გასეირნებისას არ შეიძლება, ხელის შეშლა და ხმაური, ასევე არ შეიძლებოდა ახლა ფარნასთვის გაუთავებელი კითხვების დასმაო.

დედა კი, ხვდებოდა რომ მისი შვილები ამ ზაფხულს შეიცვალნენ, ყველა იცვლება ლალი, ასევე შეეფიქრებოდა ირაკლი და ასეთი ცვლილება

მხოლოდ იმას უჩვენებს ადამიანს, როგორც არის ის სინამდვილეში, რადგან მართლაცდა ყველაფერი იცვლება თვით ადამიანის გარდაო, მაგრამ დედა სხვანაირად ხვდებოდა ფერისცვალებას, შვილები შვილებად კი დარჩნენ, მაგრამ არათუ გაიზარდნენ და სიყმანვილედან დაკაცებისკენ მიიქციეს სული, არამედ ზუსტად რომ ეგ სული გაუმდიდრდათ და ამით შეეცვალათ ნირიო, კარგისკენ, ჰო, კარგისკენ, რათქმაუნდა კარგისკენ შეეცვალათ, აბა ფარნა ასეთი მე არსდროს მინახავს და ფიდოზეც ხომ საუბარი ზედმეტიო, თვით ლელიოც კი უკვე ქალდება და უკვე ენიჭება სუნთქვაზე ნავლებული ვნება და ყველა უცნაურობას ერთად, თუკი რამ არის ქვეყნად, თითქოს ახლა ჩვენთან მოუყრია თავიო.

ფარნა დინჯად საუბრობდა და სიტყვებს ისე ამბობდა, თითქოს ასოები ჰაერში ეძერნებოდნენ და ჰაერშივე ტივტივებდნენ გარკვეული ხანი, ვიდრე მომდევნო აზრს არ გამოაყოლებდა მათ. რომ არ გავქცეულიყავი ალბათ ჩამენვებოდა გულმკერდიო, ამბობდა ბიჭი, ალბათ ყელში ამომანვებოდა რალაც ისეთი რაც მე არ ვიცი და ჩემი ძმის ნათებაც ახლა ჩემშივეა და ვხედავო, გესმით რას ვამბობ? ვხედავო მას და ის ახლა ჩემიც გახდაო, მან მიმახვედრა თითქოს რაღაცას და მიმაახლოვა თითქოს ამ რაღაცასთანო და მე კი ვერ გიხსნით, ვერაფერს გიხსნითო. თანაზიარება, ფიქრობდა ირაკლი, ეგაა მამა თანაგრძობა და თანაზიარება, როგორც ადამიანთან ისე მთლიან სამყაროსთანო. შენ ახლა გაგეხსნა

სული და ახლა დაენაფები ულევ სიმდიდრეებსო, ახალი დროება ახალ სიცოცხლეებს გააჩენს და აგეტქვენ უკვე მისი მაცნეები ხართო, ფიქრობდა თავისი შვილის შემყურე მამა და ლალიც, სამივეზე მიკვირვებული არცერთს რომ არ აშორებდა თვალს, მხოლოდ ირაკლის მზერას უხვედრებდა თავისას და ჩუმადვე უქნევდა თავს, ეგრეა ირაკლი, ჩვენი შვილები ახალი სამყაროს შვილები არიანო ეუბნებოდა თითქოს გრძელი და ქმარში შეყვარებული მზერით, კი ლალი ეგრეა, ეფიქრებოდა ირაკლისაც, თაობა იცვლება და სამყაროც შეიცვლება მალე, შეიცვლებიან მშვიდობანი და ომები, შეიცვლებიან აღმოჩენები და გმირობები და ერთი ჭეშმარიტება საბოლოოდ და საყოველთაოდ გამოაჩენს თავს, რომ არ იცვლება ალბათ არასდროს და რომელიც ალბათ აქვეა სადმე, ჩვენს ცხვირნიანა და ჩვენშივეაო.

ის ღამე მშვიდად ეძინათ. მეორე დღეც ასეთი სიმშვიდეგადაფენილი შუადღითა და საღამოთი შეიმოსა. საუბრობდნენ, თამაშობდნენ, სეირნობდნენ, სადილობდნენ, თითქოს ყოველი წამის სასიამოვნო განდინებას გრძნობდნენ და ლელიოს შეძახილისა არ იყოს მიხარიაო, რომ ხტუნაობდა ერთ ადგილას, ასევე ახარებული მოჩანდა მათი კარმიდამოც და ბალებიც, ჭალები და გლეხები იმ ჭალებში, სათიბეები და მტვერაცეკვებულ სხივებში, ერთმანეთს დადევნებული პეპლები. ფარნა საათობით იჯდა წყაროსთან და რუს დაჰყურებდა, საათობით იდგა ხეებთან და თითებს უსვამდა ფოთლებსა

და ტოტებს, საათობით ეჯდა წინ ის თავის ახალ-ნაპოვნი კუ და უყურებდა, აკვირდებოდა კენჭებსა და ღრუბლებს, სიჩუმეებსა და ფრთების შირილს ჩიტის აფრენისას და იყო მდუმარებაში სადღაც ჩაკარგული, ჩაფლული. ფიდოც ასევე კითხულობდა იმ თავის დიკენსს და მერე ისევ მინაზე დაჯდებოდა და ფარნაზე რომ გაეფიქრებოდა ახლა სადაა ქალაში თუ წყაროსთანო, ძმისავე ფიქრი ჩაესმოდა, მოდი ნახე წყალი როგორ ირეკლავს სხივებს და ლაპარაკობსო და რომ მივიდოდა სოფლელი ბავშვებიც იქვე გროვდებოდნენ და ძმები მათაც ასმენინებდნენ, წყაროებისა და მათზე დარეკლილი სხივების ხმებს.

მერე სახლში ბრუნდებოდნენ და ვახშობდნენ. იძინებდნენ. ფიდო ისევ ძილში ლაპარაკობდა, მაგრამ ფარნას აღარ აშფოთებდა ძმის ამბავი. სულ იმ ბოშას სახე დაუდგებოდა წინ, ბიჭი სიზმარში თავის ანგელოზს ელაპარაკებო, როცა უთხრა და ერთი-ორჯერ თვითონაც წამოაყრანტალა რალაც გაუგებრად. უცებვე გამოელვია, ვაითუ რამე ისეთი ვთქიო. მე ხომ ქალი ჯერ არ ვიცი და ვაითუ რამე წამომცდაო და მგონი არც ფიდოა ქალთან... და... მერე დახედავდა საბნის ქვეშ თავის ზეზეულად წამომდგარ ასოს, ხელს დააჭერდა, აბა დამინყნარდი გეთაყვა, ეტყოდა თავისთვის და აგრძელებდა ძილს.

დღეები ერთმანეთს მიემგვანენ. მამა ამბობდა მოვაგვარეო ყველაფერი, ძაღლების პატრონებს ველაპარაკე და კინოლოგებსაცო. ერთი ლეკვია

სეტერი, ერთია პუდელი, თანაც შავი და გოგო, ლელიოს როგორიც უნდაო და ერთიც სპანიელია. რა ვქნათ პუდელი ავირჩიოთ? ეკითხებოგა ყველას, ლელიოსა და დანარჩენებს. პუდელი ყველაზე პატარაა, თვენახევრისაა და აქ რომ წამოვიყვანთ ლელიოს ოთახში ვაცხოვროთო.

— მე როტვაილერს მოვიყვანდი ან დოგს, — თქვა მერე ფარნამ.

— მაგათ ორივეს სერიოზული განვრთნა უნდათ, — თქვა ფიდომ, — სულ ყურადღების ქვეშ უნდა გყავდეს.

— ლაიკაა მაგარი ძალღი და ქართული ნაგაზიც, — თქვა მამამ, — ლაიკა ყველაზე მაგარია, მაგრამ თოვლი უნდათ მაგათ, ჰასკი, თოვლის ძაღლებია და ჩვენთან საცოდაობაა მაგათი ყოლა, წარმოიდგინე აბაზანაში დელფინი რომ გყავდეს, ცოდო არაა. ისე აზრზე ხართ ძმებო, რუსებმა საუკუნის წინ ბლომად ქართული ნაგაზი გაზიდეს და კავკასიური დაარქვეს. ეგ რა ხალხია, ქვეყანა ძაღლს, რომ მოგპარავს, ეგ რა ქვეყანაა.

და ფარნა კვლავ თავის განმარტოებით ტკბებოდა, ვიდრე დედა დაუძახებდა სადილად. ხოჭოებს ხელისგულზე იჯენდა და დიდხანს აკვირდებოდა, მერე ღრმად შეისუნთქავდა ბალისიმ ჩვეულ, უნაზეს და მოტკბო სურნელებას და სახლის უკან გადიოდა, ბალახებში გულაღმა ჩანვებოდა და ძაღზე სიამოვნებდა ზურგში შეთბილული მინა, ცხელი მინა, ცოცხალი და ყოველთვის თავისთან მომხმობი მინა. მინა ინოვსო, ახსენდებოდა ფიდოს სიტყვები, მინა



ყოველ ჩვენგანს იწოვს, რაც არ უნდა მსუბუქი იყო და თუ გინდა ფრენაც შეგეძლოს, ის მაინც გინოვს თავისთანო. ფარნას კი დროდადრო ლელიოს ხმა დაუქროლებდა ფიქრს, ყოველთვის დგება ისეთი დღე როგორც დღევანდელიაო. რას გულისხმობსო ლელიო, ეგ ადრე მითხრა მაგან სამი წლის წინ ალბათ და ნუთუ ამას გულისხმობს ახლა მე რაც მჭირსო, სულ რომ მიბუყდება თავი და სხეული და ღრუბლებამდე შემიძლია ხელი ავიწვდინო და უფრო შორსაცო. მერე გვერდით თავისი ძმა მოუნვებოდა და ისევ საუბრობდნენ, — ქალთან მართლა არ ხარ ნამყოფი? — ეკითხებოდა ფარნა.

— არა, — პასუხობდა ფიდო, — ჯერ არა. შენ?

— არც მე, — მორცხვად იტყოდა ფარნა, — ჯერ არა არც მე... უკვე უნდა ვიყო?

— რა ვიცი, ალბათ, — გაეცინა ძმას, — თავისით მოვა ეგ ყველაფერი. თან ძალიან მალე. ეგაა რომ ისეთ ქალის ხელში მინდა აღმოვჩნდე, რომ არ გაეცინოს თუ პირველად დავიბენი.

— ისიც რომ კაცთან არ იყოს ნამყოფი? და ორივე დაიბნეთ?

— თან ნათება რომ გამოჩნდეს უცებ და მე ყურადღება გამეფანტოს? გაბრაზდება და თავის დაქალებს მოუყვება?

— არ ვიცი, — თქვა ფარნამ, — მთავარია ინსტიქტს მიენდოო მაგ დროს, ასე გამიგია.

— შენ მოგწონს უკვე ვინმე?

— არის ერთი. თეა. არ ვიცნობ და არც ის ვიცი მომწონს თუ არა. შენ?

— მე ჯერ არავინ, — თქვა ფიდომ, — იქნებ იმას მოწონხარ? აქაა?

— არა, აქ რა უნდა, ჩემი კურსელია. პირველ კურსელია, შეიძლება არცაა ქალიშვილი და ვინმეც ყავდეს იქნებ, მე რა ვიცი.

— აბა რატომ ფიქრობ მომწონსო? და ქალიშვილობა რა, ის არის?

— რა ის?

— რა და რალაცის განმსაზღვრელი.

— მე რა ვიცი, ღმერთი კი არ ვარ.

— და ღმერთი რომ იყო რას იზამდი, — მუხლებზე ჩადგა ფიდო, — ჰა? რას იზამდი.

— შენ?

— გამოვჩნებოდი, — უპასუხა ფიდომ.

— რას ნიშნავს გამოვჩნებოდი?

— აი ეგრე, ავდგებოდი და გამოვჩნებოდი, ყველაში გამოჩნებოდი, ყველაში და ყველაფერში, ადამიანებიდან დანყებული, ცხოველებითა და მცენარეებით და კენჭებით და ყველაფრით დამთავრებული, რაც ხილულია და უხილავიც და სამყარო შეიცვლებოდა.

— იქნებ ჩანს და ჩვენ ვერ ვხედავთ? ბებო ამბობდა ღმერთი იმას არ უსმენს, ვინც ხმას არ იღებსო.

— აბა მუნჯები როგორ ლოცულობენ? ტყუილად ლოცულობენ?

— არა ფიდო, შინაგანი ხმა იგულისხმება, თავს დააკვირდი, მოუსმინე და ნახავ.

— შენ მაინც არ თქვი ღმერთი რომ იყო რას იზამდი. შენი ჯერია, თქვი.

ფარნა დაფიქრდა. ბალახებს შორის გაუსვა თითი. თითზე ჭიამაია ააცოცდა. ფარნამ ხელი ამოწია, ფიდოს დაანახა ჭიამაიანი თითი და თქვა, — მე რომ ღმერთი ვიყო, ალბათ მივხვდებოდი რომ ღმერთი ვარ და ყველას ვეტყოდი, როგორ უნდა მიხვდე ამას და თავს მეც თუ გადავირჩინდი მთელი სამყაროც ეგრევე გადაირჩინდა ალბათ თავს.

— თავს რისგან გადაირჩინდი? ან სხვები რისგან გადარჩებოდნენ?

— აი ამ მიუხვედრელობისგან ფიდო.

ფიდოც გაჩუმდა და თავისი თითი ფარნას თითს მიადო. ჭიამაია მეორე თითზე გადაძვრა, ფიდოს თითზე... და ახსნა თუ არა ზურგი, უცებვე აფრინდა, ცოტაც იტრიალა მათ თავზე და გაქრა.

— სურვილის ჩაფიქრებაც ვერ მოვასწარი, — თქვა ფიდომ, — ფოთლების ქვეშ დაუნყო ძებნა და გამქრალ მწერს მიაძახა, — მიდი წაუღე ღმერთს ჩვენი ამბავი, აქ რომ ორი ძმა ცხოვრობს, ძალიან უცნაური ბიჭები არიან და ბუნების ხმები ესმით-თქო.

— გაგიჟდი?! — წამოჯდა ფარნა, — რას ეუბნები, მართლა რომ მიუტანოს ენა? მერე სად მიდიხარ თუ ის გაბრაზდა?

— არ გაბრაზდება, ვიცი ის ახლა აქ იყო, ის ახლაც აქაა და და სულ აქ იქნება, სადაც არ უნდა წახვიდე ფარნიკო.

— საიდან იცი?

— ვიცი და მორჩა. არსაიდან.

— არსაიდან არავინ არაფერი იცის, არსაიდან

არც არაფერი იქმნება, ღმერთიც კი ვერაფერს შექმნიდა არსაიდან და თვითონაც ვერ იქნებოდა არსაიდან. გაიგე? ამიტომ თქვი, როგორ მიხვდი, თუ არ მატყუებ რამეს.

— რას უნდა გატყუებდე, — თქვა ფიდომ, — მე არასდროს ვიტყუები. თუმცა მიმაჩნია რომ სიცრუე ტერმინოლოგიური უზუსტობაა.

— რა?

— არაფერი. გაჩუმდი და უსმინე.

და ბიჭები უსმენდნენ. უსმენდნენ სიჩუმესა და ხმას, თუ კი რამ გაისმოდა მათ ბაღში და ის მართლაც არსაიდან გაჩენილი თანაზიარების განცდა ისევ და ისევ უმნიფებლათ სულს. ხან ეძინებოდათ ასე გაყურებულებს, ხან ფხიზლობდნენ გულით ათრთოლებულნი და ზოგჯერ ყურს მიწას ადებდნენ, გესმისო, როგორ გრუხუნებო შიგნით და როგორ უცემსო გული, ეუბნებოდნენ ერთმანეთს, მერე ხეებს ადებდნენ ყურებს და ხეებს უსმენდნენ. თვალეხს ხუჭავდნენ და სხვა ბგერებიც ეგრძნობებოდათ, თითქოს ფესვებიდან ამოყოლილი, წვეთი-წვეთ ამოცოცებული ბგერები, ეს პლანეტის ბგერააო, ამბობდა ფიდო, პლანეტები ხომ ბრუნვისას ბგერებს გამოსცემენ და მუსიკა გამოსდითო. მერე ისევ საღამოვდებოდა, ისევ ყველა ერთად ვახშმობდა და ვახშმის შემდეგ, ისევ ბაღში, წრეზე განყო-ბილ სკამებზე სხდებოდნენ და ხან გამოცანებს თამაშობდნენ, ხან მამა ყვებოდა გრავიტაციისა და კოსმოსის ამბებს და ლელიო კი ისევ ცქმუტავდა. საათებსა და წუთებს ითვლიდა, როდისღა გავაო

დრო და თორმეტი როდისღა დადგება თუ დადგებაო საერთოდ ჩემი თორმეტი ივნისიო. ესემესი გიგლასთვის აღარ მიუწერია, მაგრამ ხელში გამუდმებით თავის ტელეფონს ატრიალებდა და ისევ ჯიბეში ინახავდა. ლალი ყველაფერს ამჩნევდა. ირაკლიც ამჩნევდა, მაგრამ ლალიმ უკვე ყველაფერი იცოდა, გიგლა რომ შეიძლება, თავისი ქალიშვილის გადამკიდე, უცებ აქ გამოჩენილიყო და ლელიოს ისევ უპნკენდა ის უჩინარი კრაზანა, ფეხშიშველს რომ არბენინებდა წყაროსკენ თუ სახლშიც და უფორიაქებდა ვნებას.

ამერიკის სამზადისი კი, ირაკლის თითქმის მოემთავრებინა. თვენახევრის წინ საელჩოში კონსულთან შეხვედრის შემდეგ, თავის პასპორტში ჩარტყმულ ამერიკულ ვიზას გადაატარებდა ხოლმე ხელს და ფიქრს გაჰყვებოდა, ბილეთები მაქვს, ვიზა მაქვს, დაზღვევა მაქვს, იქ დამხვდებიან, წავალთ ფიზიკის დეპარტამენტში და ჩემ თემასაც ყველას წარვუდგენ, ისედაც უკვე ყველას გავაცანი ინტერნეტითო, შემდეგ, მთელი ივლისი იქ ვარ და მთელი აგვისტოც, ფული ჯერ მაქვს, ბევრი არც მინდა, ადგილზე ჩემი ჰონორარის საქმეც გაირკვევა, ამათ საკმარისად დავუტოვე და ღმერთმა ქნას ყველაფერი გამომივიდესო. ლალი კი ოდნავ ანერვიულებულიყო, მაგრამ ქმარს არ აჩვენებდა თავის ფორიაქს. ლელიოსა და ბიჭებზე აღელდებოდა წამით და მერე ისევ გაუვლიდა შფოთი. ის ბოშა მელქისედექი და მისი ქალიშვილი მელისა ახსენდებოდა, წინა დღეებში მათი მოულოდნელი სტუმრობა და ის უც-

ნაური მონათხრობიც რალაცნაირად უთრთოლებდა გულს. პირჯვარს გადაინერდა, თავისთვის მარტოდ ოთახში ღვთისმშობლის პატარა ხატის წინ მდგარი და ირაკლის მიუწვებოდა გვერდით. ადამიანთა მთელი უბედურება, ფიქრობდა დედა, ალბათ იმითაა გამოწვეული და ალბათ ისაა, რომ მათ არ შეუძლიათ ერთ ოთახში მშვიდად დარჩენა, გაეფიქრებოდა და მყისვე ეხუტებოდა ქმარს, ჩამიკარი, გულში ჩამიკარიო, ეჭიდებოდა მის მხრებსა და ზურგს და ისევ შვილებისკენ ექაჩებოდა საფიქრალი, ქმარს ეკითხებოდა მეცნიერებით ხომ იხსნება ის რასაც ახლა ფიდო და ფარნა განიცდისო, აიმ ნათებას და ამ ყველაფერს რასაც განიცდიან ბავშვები ფიზიკა ან სხვა მეცნიერება ხომ უძებნის ახსნასო ირეკლი, და ირაკლიც ამშვიდებდა, ქვეყნად არაფერია აუხსნელი ლალი, ყველა საიდუმლო იხსნება ადრე თუ გვიან და ბავშვებზე კი, ასე ნუ ღელავ გთხოვ, თორემ მეც გადმომედება და შეიძლება ყველაფერი გავაფუჭოო. გეთანხმები უცნაურები იყვნენ ის ბოშები, წამით მოვიდნენ და წამშივე წავიდნენ, მაგრამ თითქოს ისეთი რამე თქვეს რაც ვიცოდით, მაგრამ არ გვეგონა თუ ვიცოდით, ან ყურადღებას არ ვაქცევდითო. ბოლო ბოლო ეს ქვეყანა ზღვაში უღუზოდ და უგზოუკვლოდ მოტივტივე გემი ხომ არაა, სახელმწიფოა ბოლო ბოლო და ყველაფერს თავისი ადგილი აქვსო.

და სიზმრებიც ყველას თავთავიანთკენ მიაცურებდათ, მაგრამ თითქოს ერთი და იგივე ხილვა ედებოდა მათ სამშვინველთ, უცაბედად მოვარდ-

ნილი შიშისა და მძიმე წინათგრძნობის ხილვა, თითქოს ერთნაირად ეგრძნობებოდით, რომ შესაძლოა ეს სახლიც და ეს ბალებიც ერთ წამში, წამის ერთი ამოუცნობი და მოუხელთებელი განივლებისას, გაქრეს, განადგურდეს, მოკვდეს როგორც ცოცხალი არსებაა ზოგჯერ, რალაც წყეულ ჟამისას იძულებით მოკვდინებული, ან სამსხვერპლოდ გაღებული დანარჩენი ბალებისა და ადამიანთა ბედისთვის, მათი ბედისწერისთვის, სახსნელად.

ასეთ შემზარავ ფიქრთან მიახლოება არავის უნდებოდა, არავის უნდოდა მეორესთვის ეთქვა რალაც უაზრობა მესიზმრა, თითქოს ჩვენი ბალი აღარ იყო, დაინვა და განადგურდაო. ახლოსაც არ იკარებდნენ ფიქრს რომ სიზმარი ოდესმე შეიძლება სიცხადედ იქცეს, ეს ხომ სიზმარია ეს ხომ სიზმარი იყო და ხშირად სიზმარში ყველაფერი პირიქითაცააო, წყალს გავატანოთო და მორჩაო, ფიქრობდა ყველა სათითაოდ და როცა ფარნამაც გამოაცხადა ხორცს მეც აღარ შევჭამო, მეცოდებიანო ცხოველები, მაშინ მამამ თქვა, — აი მოვედიო, ჩემი შვილები მაჰათმა განდის აშრამში ჩაენერნენ, მართალია განდი დიდი ხნის გარდაცვლილია, მაგრამ მისი სახელი და საქმენი მისი, ჩემს ბიჭებში იჩენენო თავს, ლალი მოგინწევს სალათებზე და ხილზე გადასვლა, მე კი ნიუ-იორკში დიდ ჰამბურგერებს დავეტანები და ვნახოთ ვისი აჯობებსო.

ირაკლის ნათქვამზე ყველას დამაჯერებლობა და შვება ეგრძნობოდით, მამისადმი განსაკუთრებული პატივისცემა და რიდი კი, ბავშურ სიალალეში გა-

დასდიოდით და სიცილითა და კოცნებით, ლელიო, ფარნა და ფიდო, ერთადვე დააცხრებოდნენ მამას და როგორც დიდ ბავშვს ისე ექცეოდნენ, მის ინტონაციებს და მისი სიარულის მანერას იმეორებდნენ და ფიზიკის, მათთვის გაუგებარი ტერმინებით, რალაც სისულელეებს ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, — ფიდო, — ამბობდა, წარბაჭიმული და სერიოზული ლელიო, — თუ შეიძლება განმარტე კვანტური დიალექტიკა რა ფორმით ესადაგება კვაზი წერტილის არსებობას ყველა ჩვენ მისწრაფებაში?

— ეს ველის თეორიის ძირითადი პოსტულატია, — ასეთივე სერიოზულობით პასუხობდა ფიდო, — როცა ფსიქონტილექტუალისტიკა და ულტრაბგერითი კვადროფონია ისეთ ინტეგრალურ სისტემას ქმნის სადაც მოწყენილობას ადგილი არა აქვს. ფარნა?

— დიახ, დიახ, — ოთახში თავანუელი გაივილიდა ფარნა, — გეთანხმებით, თუ იენისს მივიჩნევთ თორმეტი თვის შუა თვედ, მაშინ დანარჩენი თერთმეტი თვის ყოველი იქს წამი ამ დროის განვმავლობაში, თავისი არსით დანარჩენი თვეების იგრეკ და ზეტ წამებს გაუტოლდება და მიღებული თანაფარდობა მე მაფიქრებს რომ ენერგია არა მხოლოდ სინათლის სიჩქარისა და მასის კვადრატს უდრის, არამედ ის, მამაჩვენის დაუცხრომელ ლტოლვას უდრის დედაჩვენისადმი და პირიქით. ამ ლტოლვამ წარმოგვექმნა ჩვენც ბატონებო და ეს ლტოლვა მიექაჩება მამას ნიუ-იორკში. რისი დამტკიცებაც გვინდოდა.

— აი სალოლო, — თქა მამამ, — არის თქვენში

რალაც კვანტური ფიზიკისა და კიბერნეტიკის ერთად. არა ლალი? ხომ არის მათში მამისეული სუპერმეოცნებეობა, მართალია თქვენს მიერ წამოყენებული ვერსია დაზუსტებას მოითხოვს, მაგრამ თუ ახლა სამივე ერთად დაგიჭირეთ, — წამოხტა ირაკლი და შვილებიც სხვადასხვა მხარეს გაიქცნენ ეზოში.

— მიყვარხარ, — ირაკლისთან გვერდით დადგა ლალი. თავი მხარზე დაადო და შვილებს გახედა. ირაკლიმ აკოცა ცოლს, მოაბრუნა და მაგრად ჩაიკრა გულში, უფრო მაგრად აკოცა და ხელები ნელსა და კისერზე შემოხვია.

— მიყვარხარ მეც, — უთხრა ჩუმად, — გამიკეთე ყავა... და უი ის სულ გადაგვაგინყდა! — ხელები გაშალა ირაკლიმ.

— რა ირაკლი? — თქვა ლალიმ.

— იმ ბოშებმა აგვრიეს.

— რა გადაგვაგინყდა თქვი, — სამზარეულოში შევიდა ლალი.

— რა და, მე რომ ყველას ერთი სურვილი უნდა აგისრულოთ, — აივნის მოაჯირს დაეყრდნო მამა, შვილებს გასძახა, — ჰეი! ნათელმოსილო ძმებო და ფეხშიშველა ასულო ჩემო, თქვენი სურვილების ასრულება რომ დაგვაგინყდა, მიდით ჩაიფიქრეთ.

— ხვალ უკვე თორმეტი ივნისია, — მოვიდა ლელიო, — ჩემი სურვილი იცი რაცაა.

— კეთილი, — თქვა ირაკლიმ, — თქვენ? სხივზე მოგზაურნო? თქვენ რა სურვილი გაქვთ?

ბიჭები ერთად მოვიდნენ სახლის ამ დაბალ ხის

აივანთან.

— ჩვენ ბევრი ვიფიქრეთ თუ ცოტა ერთ დასკვნამდე მივედით, — დაიწყო ფიდომ, — ფარნა განუმარტე მამას, ჩვენი მიღებული აზრი.

— საქმე ისაა, — თქვა ფარნამ, — რომ ის, ვისაც არაფერი სურს, ის არც არაფერს კარგავს, ისეთიც ჯერ არავინ გვინახავს, რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ის რომ ეკმაროს და ამიტომ, ჩვენ ამ ეტაპზე თავს შევიკავებთ რაიმე სურვილისაგან, რადგან თუ ისინი მართლაც სრულდებიან, მაშ ადრე თუ გვიან ყველას ყველაფერი აუსრულდება, ჩვენ კი გვინდა რომ შენ ბედნიერი იყო და გაგიმართლოს და ნიუ-იორკიდან ძალიან, ძალიან ბევრი, მაგარი შთაბეჭდილება ჩამოგვიტანო, — ფარნამ ფიდოს შეხედა, — სწორედ დავალაგე აზრი?

— აბსოლუტურად, — ხელები მკერდზე დაიწყო ფიდომ.

— შეხედე შენ...? — ნიკაპზე ხელი გაისვა მამამ და უცებ სადღაც გაფიქრებულმა თქვა, — ეს უკვე საინტერესოა.

— აჰა ირაკლი შენი ყავა, — ლალი სამზარეულოდან, ფინჯანი ყავით გამოვიდა და ანთებული სიგარეტი საფერფლეზე დადო.

თავი მეჩვიდმეტე

## ბრავო ასეულის ასმეთაური ნიკა მაჭავარიანი

3 სექტემბერი 2008

ყველასთვის ცნობილი გახდა, მთელი მსოფლიოსთვის ცნობილი გახდა, რომ 13 აგვისტოს, ცეცხლის შეწყვეტისა და მშვიდობის დამყარებისთვის, თბილისში ისევ ჩამოვიდა საფრანგეთის პრეზიდენტი. მაშინ ყველა საქართველოს უყურებდა, ყველა აქ იყო.

ის საქართველოს პრეზიდენტს შეხვდა, იმ ექვსპუნქტიან გეგმაზე მუშაობდნენ, მაგრამ მტერი ისევ ბომბავდა გორს და კასპის შემოგარენ სოფლებს. სეპარატისტების ბანდები კარალეთს აწიოკებდნენ. ახლა დაჭრილი ვარ და ჯანდაბას ჩემი თავი, მაგრამ არა, ვერ მოგართვით ძვირფასო მეზობლებო, დადგება დღე... დადგება დღე და...

...მაშინ, ისევ გაგრძელდა დაბომბვა, გორში, დამატებითი ჯარები მაინც შევიდნენ და გორთან არსებული არტილერიის სამხედრო ბაზა გაგვინადგურეს და ისევ განაგრძეს ქართული სოფლების გაპარტახება და დაკავება. ქარელში შესვლისას, მათ

უკან ვილაც გაურკვეველი ხალხი მიჰყვებოდათ, ვინ იყვნენ ისინი, სამხედროებს არა გავდნენ, არც ჯარისკაცები გავდნენ სამხედროებს, აგრესიულ მათხოვრებს უფრო გავდნენ, მაგრამ ესენი ვინლა იყვნენ. აღმოჩნდა, რომ დაქირავებული მკვლელი და ათასი ჯურის ყაჩაღი იყო, ვინც მათ მხარეს დადგა, ცოტაოდენი გასამრჯელოს სანაცვლოდ, რათა მერე, როდისმე, მათ დაბრალეობდათ მაროდირობა და ძარცვა...და არა ჯარისკაცებს, რომლებიც მათ გარეშეც ყელამდე სალორეში იყვნენ ჩამხრჩვალნი და რასაც უნდოდათ იმას აკეთებდნენ. ესენი კი, ეს გაურკვეველი წარმოშობის შეიარაღებული დაჯგუფებები, იმ დროისთვის სოფელ ატოცს ძარცვავდნენ.

მაშინ, როცა პრეზიდენტები და კიდევ ქვეყანა პოლიტიკოსები, იმ ექვსპუნქტიან დოკუმენტის დეტალებზე თანხდებოდნენ, იქაც ერთი მახე იყო დაგებული და საქართველოს პრეზიდენტი არ თანხმდებოდა, და შეაცვლევინა კიდევ ის ერთი პუნქტი, ზუსტად მაშინ, დასავლეთ საქართველოს მიმართულებით დაიწყო იმათი შეტევა. შევიდნენ წალენჯიხაში, წალენჯიხის სოფელ ფახულანში თუ არ ვცდები. ფოთში კი, შიგ ნავსადგურში, სანაპირო დაცვის სამი ჩვენი გემი ააფეთქეს. მეორე დღეს კი, 14 აგვისტოს, ზუგდიდსა და ფოთში დამატებითი ჯარი შეიყვანეს. და იცით რა ქნეს? ზუგდიდში საკონტროლო გამშვები პუნქტები გააძლიერეს და ბეტონით, გესმით? ბეტონით, დაიწყეს ვრცელი და მაღალი კედლის მშენებლობა. მერე

შეცვივდნენ სენაკში და ჩვენი სამხედრო ბაზა რომ დაინახეს, მონესრიგებული და ცივილიზებული, სულ ააფრინეს. დაინყეს ბაზის ნგრევა და ძარცვა. თან ყველაფერ ამას ტელეფონებით და კამერებით იღებდნენ, ნახეთო, ყველამ ნახეთო, ქართველები, ჩათლახები, როგორ ცხოვრობდნენ ყაზარმაშიო, ჩვენსავით გაბომჟებული მათხოვრებივით კი არაო, არამედ ნახე რა პირობები ჰქონიათ, სერჟანტები ცალკე ცხოვრობდნენო, რიგითები ცალკეო, მაგრამ დაგენძრათო, ჩვენ აგახიეთ ახლაო. მეორემ უთხრა, ნახე, მეც შესაყლევებელი ფეხსაცმელები ვიპოვეო და ჩაცმა დაიწყო... იქაურობა გადაბუგეს და ნაღმები ჩატოვეს ყველგან. მანდაც და აღმოსავლეთ საქართველოს უმეტესობა სოფელშიც.

ომში, არავინ დაიკვებხნოს გმირობა. ეგ ჩვენი წესი არაა. მეც არაფერს ვიტყვი არც ჩემზე და არც სხვებზე, დაე დრომ გვაჩვენოს და მარადისობაში წარმოჩინდეს ჩვენი სახელი, თუკი ქვეყანა ამას საჭიროდ ჩათვლის, მაგრამ ერთს გეტყვით — მე ამაყი ვარ რომ ბრავო ასეულის ასმეთაურობა მიწევს, ახლა ვიცი, ჩემი ჭრილობა არაა სასიკვდილო, მაშ გიგლას რაღა უნდა ეთქვა, მაგრამ მე ვიცი რა ღირსების ბიჭებთან მიწევდა სამშობლოს დაცვა. ვინ არ დაჭრილა? ვინ არ შემდგარა წამით და უნატრია შემდეგი ტყვია დაე მე მომხვდეს, ამთმა კი შეტევა განაგრძონო, მაგრამ ეს სხვებმა განსაჯონ. ჩვენ ვიბრძოდით. ისინი სისხლისღვრით ტკბებოდნენ. ეს სხვადასხვა რამაა, რადგან მერე, როცა არაფერი მათთვის საკმარისი არ იყო, თქვეს - მიზანი

სამხრეთ ოსეთში არსებული ქართული ანკლავების განმენდა იყო, რათა ეთნიკური ქართველები აღარასოდეს დაბრუნებოდნენ თავიანთ სახლებსო და დაიწყო კიდევ უფრო ახალი სიგიჟის ჩვენება, იერიში ახლა უკვე ბუნებაზე მიიტანეს. ბორჯომის და ნალვერის ტყეებში, ვერტმფრენებით ცეცხლგამჩენი ჭურვები ჩამოყარეს და დაიწყო ყოვლად საზიზღარი და გაუგონარი და ბარბაროსული ჯოჯოხეთი...ცეცხლი სწრაფად მოედო ტყეებს, იქ ხალხიც იყო, იყვნენ ქალებიც და ბავშვებიც, საბედნიეროდ მოასწრეს თავის შეფარება, მაგრამ ხანძარი იმდენად ჩქარი და მასშტაბური იყო, რომ სწრაფადვე მოედო ასობით ჰექტარს და ქართული ჩვენი ძალებით შეუძლებელი გახდა მათი ჩაქრობა, თანაც ისინი ჩვენ მეხანძრეებს ახლოს არ აკარებდნენ, გადაეკეტათ გზა და ყველასთვის ირგვლივ იარალი მიეშვირათ. მოგვიანებით, საშველად თურქეთიდან და უკრაინიდან, ვერტმფრენები გამოფრინდნენ, მაგრამ მტრის საჰაერო ნავიგაციამ არ გამოატარა და ჩვენი ბუნება დაიწვა. შედეგი? სრულიად განადგურებული ბორჯომ-ხარაგაულის უნიკალური ტყე-პარკის ტერიტორიის ორასორმოცდაათი ჰექტარი.

და კიდევ. იგივე ქნეს კასპსა და ატენზეც, ხანდაკზეც. ატენის ტყეები ინვოდნენ და მათთან ერთად, როცა ყველა წვიმას ნატრობდა და საშველად წამოსულ ცეცხლჩამქრობ ვერტმფრენებს, ინვოდნენ ერთანმინდას მიდამოებიც, იქაური ბაღები და ჭალები, ფერდობები და ფერდობზე აყვავებული

ნალკოტები. გიგლა მეუბნებოდა, ჩემ სახლთან შენ და კერესელიძეს უნდა გაყიდინოთ სახლიო და განახოთ რა ბალებია ერთანმინდაშიო... ერთანმინდაშიო, იქ ჩემი ერთი მეგობარი ოჯახი ცხოვრობს და მათ ისეთი ბალი აქვთ თავი სიზმარში გეგონებო, ისეთი სიმშვიდეაო.

ეგ ბალები დაინვინენ. მთლიანად ამოიწვინენ მიწასთან ერთად.

როგორც ვიცი სახლი და სახლის უკანა ბალის პატარა ნაწილი გადარჩა, მაგრამ დანარჩენი ნალკოტი სულ გადაიბუგა, ჩაღვრა და ქალებთან ერთად ცეცხლს ჩაყოლია მიწაში. იქაურებს უთქვამთ, როცა მოვახერხებ და ჩავაქრეთო, ის საზიზლარი ყროლის სუნი იდგაო იმ შავ ბოლშიო ყველგან, მაგრამ მთვარელიძეების დაფერფლილი ბალების თავზე, უცნაური შუქი ლივლივებდაო, ყვავილთა იმ ძველ სურნელებას თითქოს ფანტავდაო და გვეჩვენებოდა, თითქოს ტიროდაო ვიღაცა, მშობელი როგორც მოთქვამს, როცა მკვდარ შვილს მოუყვანენ და გულში ერთი ნატვრა აქვს, გამიცოცხლეთ, ვინმემ შვილი გამიცოცხლეთო. მერე უცებვე გაქრა ის შუქიც და დარჩენილი ის თხელი სუნიც აღარსად იყო, არსადო და ახლა გამხმარი სისხლივითაა იქ მიწა გადაშავებულიო...

მე პოლიტიკოსი არ ვარ. მე ვარ სამხედრო პირი. მეოთხე ქვეითი ბრიგადის, ბრავო ასეულის ასმეთაური კაპიტანი ნიკა მაჭავარიანი და ბრძოლის ველზე, ჩემი ასეულიდანაც დაწვინენ ბიჭები, მათი სისხლი ახლა ჩემი სისხლია, მათი სული ახლა ჩემი

სულია და მათი ქვეყანა ჩემი ქვეყანაა, მათი სიცოცხლეც ჩემი სიცოცხლეა და მათი სიკვდილიც ჩემი სიკვდილია და ოცნებითაც ჩვენ ყველანი ერთმანეთს ვგავდით, მაგრამ მე მახსოვს თარიღები და დღეები და კიდევ გეტყვით, რომ ყოველი თარიღისა და დღის უკან, ჩვენი გულისფეთქვაა, ჩვენი სიმტკიცეა და მოთმინება. ამ ომს ბოლო არ უჩანს, სანამ კაცნი, ჩვენ ყველანი უკეთესნი არ გავხდებით ამ ომს ბოლო არ გამოუჩნდება. ჩემი ქვეყანა სულ იარსებებს და ეს ომიც სულ იქნება, სანამ სიკეთე ერთხელ და სამუდამოდ, სამარადჟამოდ, საყოველთაოდ, სიბოროტეს ისევ სიკეთედ არ აქცევს, ან არადა საერთოდ ამოშანთავს მას ჩვენი ბედიდან. ჩვენი ბედი კი იმ დღეებში ასე აენყო... 16 აგვისტოს, მტრის არმიის მძიმე ტექნიკა შედის ფოთში და იქ ჩერდება. ერთ-ერთი კოლონა დგება იგოეთთან, თბილისიდან 20 კილომეტრში და აწყობს საკონტროლო გამშვებ პუნქტს. მათი პრეზიდენტი იმ ჩასწორებულ ექვსპუნქტიან გეგმას ხელს აწერს, მაგრამ თურქების და უკრაინელების მეხანძრე ვერტმფრენებს მაინც არ უხსნის საჰაერო სივრცეს, პირიქით, სურამშიც იგივე ცეცხლგამჩენი ბომბები ჩამოყარეს და ტყეების გადაწვა განაგრძეს. გრაკალთან ააფეთქეს სარკინიგზო ხიდი, ახალგორის შესასვლელთან კი, დამატებითი ჯავშანტექნიკა დადგა და იქაურ მოსახლეობას რუსული პასპორტები დაურიგდათ, რომლებიც ჩვენი მოქალაქეებისთვის დიდი რაოდენობით ჰქონდათ ჩატანილი. 17 აგვისტოს, მტერი მთლიანად მოედო დასავლეთ და აღმოსავლეთ სა-



ქართველოს, კასპშიც დაინაღმა ორი ხიდი და მესტიისკენ ამავეალი გზებიც. სუფსის ნავთობტერმინალთან და მის გარშემო ტერიტორიაც დაინაღმა და სამხედრო ნაწილიც განლაგდა იქვე. 18 აგვისტოს, დილით, უფრო ბლომად განლაგდნენ იგოეთთან და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმაც იმავე დღეს საგანგებო განცხადება გააკეთა, კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების გაგზავნის აუცილებლობაზე. ღმერთო SOS, ვფიქრობდი მაშინ, SOS ღმერთო, მაგრამ 21 აგვისტოს ფოთში იმ კედლისა არ იყოს, სანგრების გათხრა დაიწყეს და იმ ექვსპუნქტიანი ხელშეკრულების სრული იგნორირებით, რაღაც სირული ბუფერული ზონები მოაწყეს და დამაგვირგვინებლად კი, 26 აგვისტოს, მათმა პრეზიდენტმა, ხელი მოაწერა ბრძანებულებას სეპარატისტთა დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ.

იმავე დღეს, მათი სამხედრო გემები, ზანტი, მოუქნელი, მაგრამ უკიდურესად საშიში სარაკეტო კრეისერის “მოსკოვის” მეთაურობით, სრულ საბრძოლო მზადყოფნაში, რაკეტებმომართული, ჟანგის ხრინწით შევიდა ფოთში.

დღეს 3 სექტემბერია. გიგლას დღეიდან ვეღარ ვნახავ... დღეს 3 სექტემბერია და ზუსტად ახლა, ჩვენმა ქვეყანამ ოფიციალურად განწყვიტა დიპლომატიური კავშირი მტერთან.

ვის გაქვთ შეკითხვები? თუ გაქვთ საერთოდ!

თავი მეთვრამეტე

**All you need is love**

12 ივნისი 2008

გათენდა თორმეტი ივნისი. დილიდან ყველანი ფეხზე იყვნენ. ირაკლის მანქანა ეზოში გამოეყვანა და საქარე მინას ჩვართი წმენდდა. ლალიმ ჭიშკარი გაალო. დანარჩენები მანქანაში ჩასხდნენ. ირაკლის შავი სათვალეები ეკეთა, ლელიო თავის შინდისფერ გრძელ საზაფხულო კაბაში იყო და წვივებზე აეკრა სანდლების თასმები. ბიჭებს ერთნაირად ეცვათ თეთრი მოკლესახელოებიანი სელის პერანგები, მუხლებამდე გადაჭრილი ჯინსები და კედები. ლელიო წინ იჯდა. ბიჭები უკან.

— როდის ჩამოხვალთ, — თქვა დედამ, როცა ირაკლიმ თავის მუქიმენამული როვერი ჭიშკართან მოაყენა და ფანჯარა ჩანია.

— მცხეთაში ვხდები პუდელის პატრონს, — თქვა ირაკლიმ, — თბილისში ჩასვლა არ გვინევს, თვითონაც აქეთ ჰქონია სადღაც აგარაკი, გზიდან კიდევ უნდა დავურეკო, შეიძლება იგოეთთან შევხვდეთ ერთმანეთს თუ აქეთ წამოვა, ასე რომ არ ვიცი ლალი, მალე ჩამოვალთ. ერთი საათი. არც კი. ნელა ვივლი. შენ მანამდე ჯენისთვის გაამზადე ფაფა და

ჩვენთვის გემრიელი, ვეგეტარიანული, ხაზს ვუსვამ ლალიკო გენაცვალე, ვეგეტარიანული კერძები ჩვენი ბატკნებისთვის, ხორცს რომ ჭამდნენ ვიტყვოდი ლომებისთვის, თუმცა ფიდომ მწვადი კარგად კი მიირთვა იმ დღეს და რავიცი აბა, მოკლედ ასე... ხოლო ჩემთვის კი ის ჩემი ჩაშუშული გააცხელე, ok baby? შუადღეს მე მივდივარ my beautiful Laly, მივფრინავ from here to eternity! დაქოქა მანქანა და ეზოდან გავიდა. მერე უეცრად დაამუხრუჭა და უკანასვლელად ისევ ჭიშკრისკენ წამოვიდა, ფანჯრიდან გამოყოფა თავი.

— რა მოხდა? — ჭიშკარს კეტდა ლალი, — დაგრჩათ რამე?

— დიახ, — თქვა ირაკლიმ, — მოჩოჩდი ახლოს, — ცოლს კისერზე მოხვია ხელი, ახლოს ჩამოინია მისი ლოყა და აკოცა, — ეს დამრჩა, თან ნახე რა სიმღერაა... — ირაკლიმ რადიოს აუნია და მთელ მანქანაში მუსიკა ამოხალისდა.

— აა! — გაელიმა ლალის, — ბიტლზი, all you need is love, ოჰ ირაკლი, აბა გზა მშვიდობისა, — თქვა დედამ, — ლელიო ჭკუით, — ხელი დაუქნია და შებრუნდა ბაღში. ხელთათმენები ჩაიცვა, სარწყავი დოქი აიღო და ყვავილების მორწყვა დაიწყო. უქალიშვილო ოჯახი, მართლაც უცეცხლო ღუმელია, ფიქრობდა ლალი, როგორც უდიასახლისო ოჯახია უსახურავო სახლივით, ასევე შვილებით ინყება ოჯახი. ფიქრობდა ყვავილებზე მიჩუმებული და პატარა ნიჩბით უსწორებდა ალგ-ალაგ ამოყრილ მიწას. ქოთნებში ჩარგული ბუჩქები ერთად გა-

მოახობა დანარჩენი ყვავილებისგან ოდნავ მოშორებით და თიხას ჭუჭყი და მტვერი მოანმინდა. მორწყა ესენიც და მიახობა ისევ თავიანთ ადგილას.

გადახედა მთლიან ბაღს. დილის ცისკრებით ბზინავდა ბაღი. ყვავილები და მცენარეები და ხეები, ვაშლისა თუ ალუბლების, დილიდანვე კრთოდნენ თითქოს, ფოთოლ-ფოთოლ ეჩრდილებოდათ ტანი და დილიდანვე ამომწიფებულიყო, მათ ბაღში მსუყედ დაბუდეებული სურნელი. ზრაპრული ზმანებასავით, რომ ესახებოდა ლალის და სულ ერთი ფიქრი დატრიალებდა თავს, ამ ბაღს თუ რამე მოუვა მე მოვკვდებიო.

საქმე, როცა მოამთავრა, ყავა გაიკეთა და აივანზე დაჯდა. სიგარეტს მოუკიდა, დავლევ ყავას და პატარა არსებას ფაფას მოვუმზადებო, გახედა დაბალ ცეცხლზე შემოდებულ ქვებს. მზე უკვე ქედების ამოღმა იწევდა, თავზე ადგებოდა სახლს და სახლის სიჩუმეს, რომელსაც ახლა ლალი ისე მიყურადებოდა, როგორც მუსიკას. მართლა რა სიმშვიდეა ჩვენთან ამდროს, ფიქრობდა და სიჩუმის მუსიკა ეფინებოდა სიგარეტის კვამლში ახვეულ მის ყურადღებას, მოსვა ყლუპი ყავა, შეანჯღრია ჭიქა და ისევ მოსვა. შორიდან სოფლელი ხალხის გადაძახილი მოისმოდა, ვიღაცა შარაზე, თივის ზვინით ამძიმებულ ურემს მიარწევდა და უკან დადევნებულ პატარა ბიჭს ეძახდა, დროზე მოი აქ არ ჩამომრჩეო. ლალიმ სიგარეტი ჩააქრო ყავაც ჩაცალა და ქურასთან მივიდა. ჯამს სახურავი ახადა, წამოდუღდება სადაცაა ფაფის კეთებას დავინწყებო გაიფიქრა და

ისევ იმ მოხუცი ბოშის სახე წარმოუდგა თვალწინ და ის გრძელთმიანი, შინაგანი, თითქოს თანდაყოლილი ღიმილით დამშვენებული ქალიშვილი მისი მელისა. ისევ მელქისედექის ხმა და სიტყვები აუტივტივდა თავში, კეთილშობილი სახის და ავი სახის კაცობრიობა. ამ სიტყვებს იმეორებდა და თან მაცივრიდან იღებდა ხორცს, მალე გალღვება ესეც და შევუდგებო საქმეს, თან ბოსტნეულის გარეცხვაც დაიწყო და ჯამში, წყალიც ოდნავ რომ წამოდულდა, ლეკვისთვის დაიწყო ფაფის სამზადისი... კეთილშობილი სახის და ავი სახის კაცობრიობა, იმეორებდა სიტყვებს და იმეორებდა გაუთავებლად, თითქოს იმასსოვრებდა, რაღაც საგანგებოდ და მისთვის თითქოს მართლაც საკრალური ჟღერადობით ნათქვამ სიტყვებს იმასსოვრებდა, ან კი შესაძლოა თავს თვითონვე ამასსოვრებდნენ ეს სიტყვებიც და ძალიან ღრმად ებეჭდებოდნენ თავში.

ერთ წინადადებაში ჩატეულ, ამ ორ სხვადასხვა ნიშანს, ამ ორ სხვადასხვა აზრსა და მნიშვნელობას ახლა ლალი ისე აღიქვამდა, როგორც ადრე, როცა თვეების გაჩენილი ყავდა შვილები, რომელიმე მათგანი როცა თვეებისა იყო და ძილში თუ წამოიტირებდა ვინმე და შეშინებული გამოიღვიძებდა, დედა ამშვიდებდა და ჩუმად ეუბნებოდა, დაიძინე პატარა, ეს მხოლოდ ცუდი სიზმარია, დაიძინეო. მიეფერებოდა, მშვიდად წაუძღვრებდა და თვითონაც მიუწევებოდა გვერდით და იძინებდა მასთან ერთად. ვინ იყვნენ ის ბოშები ვინ იყვნენო, არ ასვენებდა აზრი, მაინცდა მაინც ჩვენთან რატომ მოვიდნენ ასე

საგანგებოდო, და სამზარეულოში მარტოდ დარჩენილი, ისევ თავის ფიქრს წაჰყვებოდა, კეთილშობილი და ავი სახის ხალხი, იმეორებდა თავისთვის და ვერც კი ამჩნევდა რა უცებ გადიოდა დრო, როცა შუა სამზადისში ყოფნისას ირაკლის მანქანის სიგნალი გაიგონა და ჭიშკრისკენ გაიხედა.

ვარდებშენავლებ კარს ფიქრო ხსნიდა და მანქანა ეზოში შემოდებოდა.

ასე უცებ? ხელები გაიმშრალა დედამ და საფეხურებზე ჩავიდა.

მანქანა გაჩერდა. ჯერ ფარნა გადმოვიდა, წინა კარი გახსნა, სადაც ლელიო უნდა მჯდარიყო და მერე გადმოვიდა ირაკლიც, — ლალები!? — თითები შეათამაშა მამამ და ორივე ხელი ლელიოსკენ გაიშვირა, — გთხოვთ ძვირფასებო! — თქვა ხმამაღლა, — ჩვენი ოჯახის ახალი წევრი, სამეფო ჯიშის პუდელი, ჯენი! ჯენიფერ მთვარელიძე! გთხოვთ ლელიო...

ლელიომ ფრთხილად გადმოდგა ჯერ ერთი ფეხი, მერე მეორე და მანქანიდან, მკერდზე მიხუტებული, ერთიბენო, შავი და მრგვალი, მოკუნტული და მძინარე ლეკვი გადმოიყვანა.

შუადღემდე ყველანი ლეკვის გარშემო იყვნენ და დასცქეროდნენ, ეფერებოდნენ და კალთაში იჯენდნენ. ეძინა პატარას, მრგვალი ხუჭუჭა თავი, თავისივე პატარა და ასევე მრგვალ თათებში ჩაეყო და პატარავე ყურები ჩამოეყარა. ხელისგულზე ეტეოდა შავი და საყვარელი და ოჯახიც ჩუმად საუბრობდა. გამზადებული ფაფა და წყალი ლალიმ

ორ მომცრო ჯამში, იქვე აივნის იატაკზე, გვერდი-გვერდ დადო და რბილი, ნაქსოვი ნოხიც დაუფინა. ელიმებოდათ და ერთმანეთს გაკვირვებულები უცქერდნენ. სანამ პირი არ გაამწლაკუნა ლეკვმა და თვალები აახილა. ხის იატაკზე დასვეს და ისიც გაბობლდა ფაფისკენ, მაგრამ ფეხები ერთმანეთში აერია და იქვე ჩაჯდა. გაინკნავლა და პატარავე თავისი მოჭრილი კუდი გააქიცინა. ჯამთან მივიდა, დასუნა და ვარდისფერი ენით ალოკა, ჯამის კიდეზე მოთბილული ლუკმა. ცხვირიც ენითვე გამოილოკა და მის თავზე დაყუდებულ ადამიანებს, თავისი შავი თვალებით და იმ თვალებში ჩაღვრილი, ღია და მიმდობი სიკეთით ამოხედა. წვრილად ამოიყეფა და ისევ რბილად და ძლივ-ძლივობით გადაადგა ნაბიჯები. ყნოსვა ყნოსვით მივიდა ნოხთან, დაწვა და თავი ისევ თათებში ჩაყო.

რათქმაუნდა ისევ შუა ბაღში გაშალეს სუფრა, ლელიოს დაბადებისდღისა და ირაკლის გაცილების სუფრა. ძალღი ხან ფიდოს ეკავა და ხან ფარნას, ლელიო დედას ეხმარებოდა თეფშებისა და კერძების დაწყობაში და არ აწვალოთო, გასძახებდა ძმებს. იმათ კი ეცინებოდათ, ამის წვალება ვის გაუგია, ეს ხომ გემრიელი და საყვარელი არსებააო, ჰოდა მითუმეტეს არ აწვალოთო, იმეორებდა და. მერე კიდეც გამოართვა ლეკვი, კალთაში ჩაისვა და ნაზადვე დაუნყო ფერება, ყურების ფხანა და რალაცეების ლაპარაკი. გულში იკრავდა, კოცნიდა და იხუტებდა თვითონაც თვალებდახუჭული.

— ჰა? რას იტყვი? — თქვა ირაკლიმ, — ძან საყ-

ვარელია არა?

— ძან, — თქვა ლალიმ, — მოდით დავსხდეთ რა, — დაუძახა შვილებს, — სადაცაა მამა უნდა წავიდეს და დროზე ახლა, დავსხდეთ.

მაგიდას რომ შემოუსხდნენ, ძმებმა თეფშებზე მწვანილები და ხილი დაიდეს და ცოტა სალათიც. მამას ეცინებოდა. ახლა კურდღლებად კი ნუ გადაიქცევით, ჭამეთ რასაც ღმერთი გვაძლევსო, ეუბნებოდა ძმებს და ქალიშვილს ადღეგრძელებდა, ლალისაც მიუბრუნდა, რა იყო, რაღაც მოწყენილი ჩანხარო და ლალიმ მიუგო, არაფერია, მე ისევ იმ კეთილსახება და ავსახება კაცობრიობაზე ვფიქრობდი, თქვენ რომ წახვედითო და ალბათ მაგიტომ მომეწყინაო და შენც რომ ამდენი ხნით ასე შორს მიფრინავ, მაგიტომაცო.

— არაუშავს, მალე გაირბენს დრო, — თქვა ირაკლიმ, — მალევე ჩამოვალ, ქალბატონი ჯენიფერიც გაზრდილი დამხვდება და ცხოვრებას ისევ გავაგრძელებთ. თქვენ კი არ გაბედოთ უჩემოდ მოწყენა და თუ ესენიც სამუდამო ვეგეტარიანიზმს აღიარებენ, — ძმებზე მიუთითა, — სადმე ბოსტანში გამოუნახე ადგილი და გრინპისში დარეკე.

ფილომ და ფარნამ მამის ჩემოდნები გამოიტანეს და მანქანის საბარგულში ჩადეს. მისი პერსონალური ნოუთბუქიც, ასევე თავის ჩანთაში საგულდაგულოდ ჩადებული, მანქანის წინა სკამზე დადეს და ღია ჭიშკართან დადგნენ. ლელიო მამას ჩაეხუტა, — დიდი მადლობა მამა, — აკოცა ირაკლის და ლეკვის თათი დაუსვა ლოყაზე, — ჯენი, მიდის მამა,

დაემშვიდობე, — გაეპრანჭა ძალღს და ლეკვმაც წვრილად წაიყეფა ისევ, — ნახე? ნახე, როგორ ეს-მის უკვე? — მამას თავი დაადო ლელიომ.

— დროებით ჩემო გოგონა, — თქვა ირაკლიმ, — გილოცავ, გილოცავ მშვენიერო ანგელოზო. მალე დაგიბრუნდები. ლალი! — დაუძახა ცოლს.

— ჰო, — იქვე იდგა ლალი.

— ყურზე მიკბინე და მეგზური ანგელოზები მისურვე.

ლალიმ ყურზე უკბინა და შემოეხვია, — მეგზური ანგელოზები ირაკლი, დარეკე აუცილებლად და ღმერთით, — ქმარს აკოცა და ისიც ბიჭებთან მივიდა.

— იცოდეთ, — ძმებს უთხრა ირაკლიმ, — ისეთივე მაქსიმუმები დამხვდით, როგორებიც იყავით და თქვენ ნათებანს, თუ კი ის კვლავ გამოჩნდება, ჩემი მოკითხვა გადაეცით, — შემდეგ დაიხარა, ორივე ძმა ახლოს მოიყენა და ჩასჩურჩულა, — მე ყოველთვის თქვენთან ვარ ლომებო, ყოველთვის თქვენთან ვარ, გესმით? დაიმახსოვრეთ, არსადაა ისეთი ადგილი მე რომ იქ არ გყავდეთ და თუკი ქალებში წასვლას გადანყვეტთ, ცხადია იქ ვერ შემოგყვებით, მაგრამ თუკი ამას ახლა გადანყვეტთ, მაშინ მათრახის წაღება არ დაგავინყდეთ, როგორც ეს ბებერმა ფრიდრიხმა დაგვიბარა, გეხუმრეთ, ნუ დაიბღვირეთ, ქალთან ისევე როგორც ცხოვრებასთან, მარტო და პირისპირ რჩები კაცი და სიყვარული თავისით გაჩვენებთ რა და როგორ და გახსოვდეთ ესეც, — ირაკლის სახეზე ოდნავ ჩამოუმიძიდა

ჩრდილი, აღარც უხუმრია, მტკიცედ უთხრა, — დაიხსომეთ, თქვენი სამშობლო თქვენვე ხართ, ის თქვენშია, როგორც თქვენა ხართ მასში, თქვენივე სული და თქვენივე სისხლი და თქვენივე ხორცი თქვენი სამშობლოა, აქამდე რამაც მოგიყვანათ და კაცებად გაქციათ. ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ თუ რამე საშინელება დაგვატყდა, იყავით ფხიზლად. იყავით ფხიზლად ფარნა და ფიდო, ყოველთვის იყავით ფხიზლად, — ორთავეს ხელი შემოხვია მამამ, მაგრამ მიიკრა ორივე ძმა და მანქანის საჭეს მიუჯდა. გავიდა ეზოდან, ერთი სიგნალიც მისცა უკვე ჭალას მიფარებულმა და ძმებმაც შემოხურეს კარი.

მოსალამოვდა. მოიწყინეს. ლეკვს კი ეთამაშებოდნენ, მაგრამ სევდა ედებოდა მათ გამოხედვებს, მათ მზერებსა და ჩაფიქრებას. მამის წასვლა ჯერ არც ჰქონდათ ასე გაცნობიერებული, მართლაც და რა მოხდა ასეთი, წავიდა კაცი და ჩამოვიდოდა ისევ, მაგრამ სევდა რატომღაც უღრღნიდათ ფიქრებს. რა უცნაურად დაგვემშვიდობა და რეები გვითხრო, ფიდოს ეუბნებოდა ფარნა და ის პასუხობდა, კაი რა ფარნა, შტატებში წავიდა თავისი საქმით, როგორც ტურისტი კი არ წასულაო, ხომ იცი ეგ როგორიცაა, იქ რას ჩაატარებს კიდევ კაცმა არ იცის, მაგრამ მისი ბოლო სიტყვები მეც უცნაურად მომხვდაო ყურში, ნუთუ ომს გულისხმობს რაზეც ვილაც ვილაცეები უკვე ლაპარაკობენო, არა ბიჭო რა ომი, ღმერთმა დაგვიფაროს, მოიცა რა, რა ომი, ამბობდა ფარნა, თუმცა რაა რო? მერე რა! ვის არ უომია! გაჩე გაჩე,

პასუხობდა ფიდო, ჩვენ არ ვიცით ეგ რა არის, ამიტომ მოკეტე და მაგაზე არ ილაპარაკო.

ლელიო, ძალღს კალთიდან არ იშორებდა. ხან ზურგზე დაგმონვენდა და თხელ და თბილ მუცელზე უღიტინება, ხან თათებზე უსვამდა თითებს და ხანაც ბალახში ჩასვამდა და უყურებდა, როგორ დაბოდილობდა ლეკვი, როგორ გახტებოდა იქვე და ცხვირს მიწაში ჩარგავდა.

— რწყილები არ აიკიდოს მიწაზე რომ დასვი, — უთხრა ფარნამ.

— აიკიდოს რა, სოფელია, ავდგებით და დავბანთ, — თქვა გოგონამ.

— რამე მწერი რომ გადაყლაპოს? და მუცელი ატკივდეს? მერე რა ვქნათ? აქ ვეტერინარი სად ვუშოვოთ?

— არაფერი არ მოუვა, — ძალღი ხელში აიყვანა ლელიომ და მობილურზე საათს დახედა. ექვსი ხდებოდა, ნეტავ სადაა და როდის ჩამოვა? გაიფიქრა გოგონამ, ძან გვიან რომ ჩამოვიდეს, მე როგორ გავძვრე სახლიდან? ან როგორ დამიკავშირდება? ხმას ჩავუწევ ტელეფონს და ვიბრაციაზე დავაყენებ, მაგრამ დავუშვათ გადავძვერი ფანჯრიდან და ბოძით ქვემოთ ჩავცურდი და გიგლას შევხვდი, ძალღი? ღამე რომ წაინკმუტუნოს ან შეეშინდეს და ყეფა ატეხოს? დედა შემოვა და რომ არ დავხვდები, ძებნას დამიწყებენ და პანიკა ატყდება, რა ვქნა მერე? ამიტომ დღეს ჯენი დედასთან წვება, — ფიქრი სწრაფად მოჭრა ლელიომ, — ჰო ჯენიკო? ხომ დანვები დედასთან? მიგიხუტებს, ჩაგინვენს

თბილად და დაგაძინებს, ჰო პატარა? — დასცქეროდა ლეკვს და ისიც ამოჰყურებდა ჩუმი და კეთილი სახით, რა უნდაო ნეტა ამქალს ჩემგან, შესაძლოა გაეფიქრა კიდევ, გვერდზე ისე გადაეხარა ყურებჩამოყრილი შავი და ხუჭუჭა თავი და ლელიოს ამტერებოდა.

დედა გამოვიდა.

— რაო ლელი? კმაყოფილი ხარ საჩუქრით?

— ძალიან დე, ნახე რა საყვარელია, მალე გაიზრდება?

— მალე, — თქვა დედამ. სიგარეტი ამოიღო.

— მართლა რა მონყენილი ხარ? რატომ?

— ყველა განა ასე არა ვართ?

— რაზე ფიქრობ?

— ჩვენზე, ყველაზე, ირაკლიზე, ყველაზე.

— და რას ფიქრობ.

— ლელიო ნუ გიყვარს შენ დაკითხვების მონყობა, — სიგარეტს მოუკიდა ლალიმ, — რას უნდა ვფიქრობდე? — გააბოლა, — მართლა რა საყვარელია, — ძალღს დაეღიმა დედა, — ბოლი ხომ არ ანუხებს პატარას, აქეთ დავჯდები, — გვერდით გადმოჯდა ლალი, — სად ნახეთ ამის პატრონი?

— მამამ როგორც თქვა, თვითონ დარეკა, მცხეთაში აღარ ჩამოხვიდეთ, იგოეთს ვუახლოვდები და კასპთან შევხვდეთო.

— კაი ტიპი იყო?

— კი, ცხვირზე აკოცა ჯენის და ისე მომცა, მამამ ფული გადაუხადა და წამოვედით, — ლელიოს ტელეფონზე ესემესი მოვიდა. გოგონა დაიძაბა. არ

შეიმჩნია ჯიბეში ჩადებული მობილურის ზარი და ხმამალლა თქვა, — დღეს შენთან დაიძინოს ამან კარგი?

— კარგი, — ადგა დედა, — ეზოში ჩავიდა, ვაშლის ხეივნისკენ და იქიდან უთხრა, — ნუ იტანჯები, ნაიკითხე ესემესი.

შეცბა გოგონა, მაგრამ არც ახლა შეიმჩნია არაფერი და მობილურს დახედა, გიგლა წერდა, Lelyo hi, Gilotsav kidev, akhla gavintavisuphle tavi da tsota khanshi tsamoval, jer deda mkavs sanakhavi da mere mogtser isev. Shegidzlia tskarostan shemkhvde, chalashi? Tormetis nakhevarze albat.

ლელიომ ლეკვი აივნის იატაკზე ჩასვა და გამალებით მიწერა პასუხი, Ki Gigla, Sikvarulo chemo, shevdzleb. Tormetis nakhevarze tskarostan chalashi.

ორი წამის შემდეგ გიგლას პასუხი მობრუნდა, Angelozo, ase rom meubnebi bednieri vkhdebi. Sitkvebi veraphers amboben, rotsa ase meubnebi. Droebit.

ანთლდა ლელიო. მორჩა, ამოვისუნთქეო გაუგიჟდა ფიქრი, ყველაფერი გადანყვეტილიაო, ფიქრობდა და თან საკუთარი ფიქრი ეუცხოებოდა. გიგლა უნდოდა და თან თავისივე ნდომა აშინებდა. როგორ მოხდება? რა მოხდება? სად მოხდება? ვაიმე დედიკო, რამე საშინელებაში ხომ არ ვხვევ გიგლასო? ექაჩებოდა თმას, მამაჩემის ძმაცაცია, მასზე ძალიან უმცროსია, მაგრამ ხომ მეგობრობენ და მე რამე ცუდს ხომ არ ჩავდივარო? რა ცუდს ჩადიხარ! სულ გააფრინე გოგო შეენ?! უკანვე შემოუბრუნდებოდა თავისი ფიქრი. სარკესთან იმ მაშინ-

დელი ჯდომისა არ იყოს, ახლაც თავს ექიშებოდა, რას ქვია ცუდს ჩადიხარ! ხომ გიყვარს და აი უკვე ჩანს კიდეც რომ გიგლასაც უყვარხარ! რა? არაა ასე?

— ლე, ძალლი სადაა? — ფიქრებიდან წამოაგდო ფარნას ხმამ.

— რა ძალლი? — დაბეულად წამოწია თავი გოგონამ და ტელეფონი ჯიბეში შეინახა.

— რა ძალლი და ბასკერვილების ძალლი! რა გჭირს რა ნითელი ხარ? ჯენი რა უყავი!

— ვაიმე ჯენი! ჯენი ჯენი ჯენი? — იქვე დაუნყო ქებნა.

— აივნის კუთხეშია მიმძვრალი, — ბალიდან დაიძახა დედამ, — აქედან ვხედავ.

— ჯენი, — ლეკვისკენ წავიდა ფარნა, — გინდა კუ განახო?

ძალლი შებობრუნდა, უკანა თათებზე ჩაჯდა და ფარნას ააკვირდა.

— რაო სიხარულო? — ხელში აიყვანა ფარნამ, — აი ჩვენი კუ, — აივნის მეორე ბოლოში ფიდო ჩაცუცქულიყო და კუც იქვე იზანტებოდა. კომბოსტოს ფურცელი ეგდო წინ.

ლეკვი კუსთან მიიყვანა ფარნამ და გვერდით მიუჯინა, — აბა რას იზამს? — თქვა ჩუმად.

— ვინ რას იზამს. ჯენი თუ კუ? — მივიდა ლელიოც.

— ორივე.

— ლეკვმა ჯერ დასუნა ჯავშანი, მერე თათი დაადო და დაუყეფა, თავისი წნიკა, ძლივსგასაგონი

ხმით. კუ კომბოსტოს ღეჭდა და არაფერი უქნია, ერთი ფეხი, ხის იატაკზე ნელა გააფხაჭუნა და შესაძლოა ამანაც გაიფიქრა, აღარ შემარგოთ ახლა ეს ერთი კომბოსტო, რას დამყურებთო, ისე დინჯად შენია ჯავშანში თავი და ფეხებიც შეიკეცა შიგნით. ლეკვი კი შეხტა და ორივე თათი დაადო ჯავშანს. შეყეფა ერთიც და ჩამოძვრა, თავისი ჯამებისკენ ნაცუნცულდა და წყალი მოსვა.

— რა ჭკვიანია ხედავ? — თქვა ფიდომ, — როგორ უცებ დაიმახსოვრა სად რა უდევს.

ლელიო კი ესემესებს შლიდა, ბალისკენ ზურგით შებრუნებულყო, რადგან იქ დედა იდგა და გიგლასა და თავის ესემესებს შლიდა, ესენი ვერაფერს მიხვდებიანო, ფიქრობდა ძმებზე, ლალი კი საშიშია, როგორ გრძნობს ჩემ ყველა გაფიქრებასო, ვერ ისვენებდა გოგონა და მერე უკვე, ღამე რომ ერთანმინდას დაევიარსკვლავა, ირაკლიმ ლალის მობილურზე დარეკა, კარგად ჩავედიო, მანქანა გარაჟში ჩაკვეთე, თორმეტზე გამომივილიან და დავიძრებიო, გაფრენა სამზეა და საათნახევრით ადრე იქ უნდა ვიყოთო. თერთმეტი იყო, როცა ირაკლიმ დარეკა, უკვე დასაძინებლად ემზადებოდნენ, ეზოში მაგიდაც დიდხნის ალაგებული ჰქონდათ და ბალიც მიელაგებინათ. მიხურეს ჭიშკარიც და თვალი გადაავლეს ლობის ნაცვლად შემოფარგლულ ბუჩქნარს. ბიჭები თავიანთ ოთახში ავიდნენ და დასაძინებლად მოემზადდნენ, ლელიო კი, მშობლების ოთახში შევიდა, ლეკვი შეუყვანა დედამისს და ის ნაქსოვი ნოხიც დააფინა იატაკზე, — არა, მომიყ-

ვანე ეგ აქ, აქ მოვიწვევ, — უთხრა ლალიმ, ფრთხილად გამოართვა ნახევრადმძინარე ძალლი და როცა თვითონაც ლოგინში ჩანოლილმა, გვერდით ჩაინვინა ლეკვი, ლელიოს შეხედა. გოგონა კართან იდგა და დედამისს უყურებდა. არცერთი იღებდა ხმას, იდგნენ წამით ასე ჩუმად და ლალის დაჟინებულ მზერას რომ ვეღარ გაუძლო ლელიომ, ხელი ნელზე დაიდო, თავი შეაქნია, თმები უკან გადაიყარა და სახეზე სიმკვახე ამოკანრულმა ჰკითხა, — რა?!

დედას ჩაეცინა, ლეკვს ხელისგულს უსვამდა და არაფერს ეუბნებოდა. მძინარე ძალლს დასცქეროდა და როცა ზურგით ბალიშს მიეყრდნო და საწოლის გვერდით მორგებული ნათურა ჩააქრო, მხოლოდ მაშინ, ისე რომ ქალიშვილისკენ არც გაუხედავს და ფანჯრიდან შემოსული მთვარის, მოთბილულ-მოცილებული შუქი და ჩრდილი, ერთად შემოაცოცდა ოთახის კედელს და ღია კარიდანაც შემოსულმა სინათლის იმ ერთმა თხელმა ზოლმა ლელიოს ჩრდილი მთელს იატაკზე გაანვინა, მაშინ დედამ თქვა, — ალბათ იცი რასაც აკეთებ, ჰო, ლელიო?! დარწმუნებული ხარ ჰო, რომ სწორად იქცევი?!

გოგონას არაფერი უთქვამს. იდგა როგორც იდგა და სული წართმეოდა თითქოს. საზარელი, გამაყრუებელი ნახეთქი იგრძნო ყურებთან, ისე გაშეშებულიყო ერთ ადგილას და დედის ნათქვამით გარეტიანებული, სუნთქვასაც ვეღარ ბედავდა.

— წადი. მე ვიძინებ, — თქვა დედამ და ლელიომაც ჩუმად გამოხურა საძინებლის კარი. თავის ოთახში ტურების კვნეცით შევიდა და საწოლზე



ჩამოვჯდა. ბალიშები მუხლებზე დაიდო და თავით ჩაყვინთა შიგ. სცოდნია, ყველაფერი სცოდნია, გაიფიქრა და ტირილი მოუნდა, მაგრამ არ უტირია, ყელში ამოწვია რალაც მახრჩობელა და თვალები მოისრისა, თავის ოთახშიც ჩააქრო შუქი. სცოდნია, ყველაფერი სცოდნია, გაიმეორა ისევ და ფანჯარასთან მივიდა.

ღამეს გასცქეროდა და ცალი თვალი მობილურისკენ ეჭირა, იქვე რაფაზე რომ დადო და თან ძმების ოთახსაც მიაყურადა, სძინავთ უკვე თუ ჭორაობენო? ამათაც იციან? არა ამათ რა იციან ან რომც იცოდნენ რა მაგათი საქმეა, თუ? უნდა იცოდნენ და ყურადღებას არ უნდა მაქცევდნენ? ესეიგი მამამაც იცის? მაგრამ რა მაშინებს? რატომ ვნერვიულობ? რა დიდი ამბავია, რა არის ასეთი, რომ ასე ვნერვიულობ? არ მესმის? მე თვითონ ვინამებ ახლა თავს და ვაიმე ღმერთო, როგორ მიჩქარდება გული, გეხვეწები ღმერთო, ჩემ მხარეს იყავი რა, ამაღამ ჩემსკენ იყავი რა გეხვეწები. ღამეს ესუნთქებოდა ლელიო და სუნთქვებთან ერთად წამებში ეცვლებოდა შიში და სიხარული, ვნება და სიმშვიდე, ფიქრები და სიჩუმე ფიქრებს შორის, სიტყვები და გულის ბაგაბუგი, ახლა მთელ მის სხეულს რომ მოსდებოდა და ტერფებამდე ჩაუდიოდა ყოველი დანარტყამი. ყურებთან გაგლეჯილი ის შემონახეთქი, დედის ხმასა და მის სიტყვებს რაც გამოყვა, უცებვე მიუქრა, როგორც კი მისი ოთახის კარი გამოხურა, მაგრამ ახლა ფანჯარასთან მიმდგარს თითქოსდა აღარაფერი უნდოდა გარდა სახლიდან გაქცევისა და სადღაც

გადაკარგვისა, აღარც გიგლას აღარ ვნახავო, ნაეფიქრა ზერელედ, ან ვნახავ, ვაკოცებ და ჭალებში გავიქცევი, მერე იქიდან სხვა სოფლებში გადავალ და გავქრები საერთოდ. ხედ გადავიქცევი და... რას იზაამ?! შემოუბრუნდა ფიქრი, რა სიშტერეს ლაპარაკობ ამხელა გოგო! აბა მოეგე ახლავე გონს! რას ჰქვია გაქრები! რას ჰქვია ხედ გადავიქცევი!? დამინყნარდი ახლავე და მშვიდად ლელიო, მშვიდად! უბრძანა თავმა, მშვიდად! არავის შენთვის ცუდი არ უნდა, მშვიდად.

ოღნავ დაწყნარდა გოგონა, მაგრამ დრო განელილიყო ისე რომ, ის თორმეტის ნახევარი აღარსად ჩანდა. ჭრიჭინები სტვენდნენ და მთვარეც დაყუჩებულიყო მათი ბალის თავზე, რა უცნაურია, გაიფიქრა ლელიომ, ერთწმინდაში ზოგი ჩვენს ბალებს მთვარის ბალებს ეძახის, გვარის გამო ალბათ... შემეფარეთ ბალებო, ჭრიჭინებო უფრო მაგრად იმღერეთ რომ ჩემი ნაბიჯების ხმა არ ისმოდეს, ბალახებო, სულ ფეხშველაა თქვენი ლელიო და ახლა უფრო ჩაიკარით გულში ყოველი ჩემი ნაბიჯი, რომ არავინ გაიგოს როგორ მივდივარ ჩემ სიყვარულთან პირველად შესახვედრად, ნიაგო, არ ამიშალო კაბა, რომ შრიალმა ვინმე არ გამოაღვიძოს, ფოთლებო ფოთლებო, არც თქვენ არ აშრიალდეთ, რომ საიდანმე ქარი არ იხმოთ და წვიმა არ წამოვიდეს, ნვეთებმა რომ სახურავზე არ ატეხონ კაკუნი, ღრუბლებო თქვენც გადაიფანტეთ დროებით სადმე და მდინარეებო და შენც ჩემო პატარა რუ, ჩუმადიდინე, რომ თევზები და ლიფსიტები არ შეხტნენ

და ღამე წყლის შხეფებით არ გაიწუნოს, სიზმრებო, გამოდით თქვენი ნისლებიდან და სიკეთეებად ეჩვენეთ ამაღამ ყველას, რომ დილაამდე მშვიდად იძინონ და არავინ დაგვინახოს, მე და გიგლა, მწერებო არ იზუზუნოთ და ღამურებო არც თქვენ შეაკართოდ და გაანვალოთ ჩრდილები, დაე ეს ღამე მე მაჩუქეთ, ეს ერთი ღამე ჩემს მხარეს იყავით და არ დათმოთ ჩემი თავი, დამიფარეთ, დამიფარეთ...გთხოვ დიდო სიჩუმეც დააჩუმე დღეს მთელი სამყარო... მთელი სამყარო...

ამოისუნთქა ლელიომ, შეულოცა თითქოს სამყაროს და სამყარომაც თითქოს მიიღო მისი სუნთქვა და ნატვრა და ის წადილი, მიღმიერი გარდასახვის, ის მოუთვინიერებელი წადილი, ახლა სისხლში რომ დაუდიოდა, გამალეებული მხურვალეებითა და საიდუმლოთი რომ აფორიაქებდა და სადღაც, საზღაპრეთში მიაქანებდა კაცთან შესახვედრად. არცერთი კითხვა აღარ უღრღნიდა ტვინს და არც არაფრის პასუხს ეძებდა ლელიო, ის თვითონ გამხდარიყო ახლა ღამეც და ჭალაც, მდინარეც და ნიავიც, ჩრდილიც და ბალახიც და მწერიც, ხოჭოც და ღამურაც და თევზიც და ფოთოლიც და სიჩუმეც, თვითონვე იყო, ისე შეზავებოდა ამ უცნაურ თავის განფენას. იდგა ფანჯარასთან და ეგონა სამყაროს კიდევ ვდგავარო, სადაც თუკი ოდესმე ვინმე გადასულა, უკან აღარ დაბრუნებულა და თუ დაბრუნებულა არა ისეთი როგორც მანამდე იყო. პირველი შეყვარება არ მეორდება და არც უკანასკნელი იჩენს თავს ამ სამყაროში ორჯერ, ლელიო, ჩასჩურჩულებდა

თითქოს უჩინარი ვინმე, თუ საკუთარი ხმა ეუბნებოდა, ახლა ველარ გაეგო, ახლა მთელი თავისი სულითა და ძვალზე აყოლილი, რაღაც უეცარი მტვრევითა თუ დაბუჟებით, ლელიო ღამეს ესუნთქებოდა და მაგრად ეწვოდა მკერდი. ხელისგული პირსა და ყელზე დაიდო, რაფაზე დადებულ მობილურზე, ეკრანი აანთო, დახედა და გაიფიქრა, დროა!

თორმეტის ნახევარი იყო!

დროა. ძალა მოიკრიბა გოგონამ და ფანჯრიდან, გარეთ გადაძვრა, რაფაზე ფრთხილად გაიარა და სართულის საყრდენად შემდგარი ბოძით წამშივე ჩაცურდა ეზოში. შეყოვნდა. ხმა არ ისმოდა... და წამშივე გაირბინა ეზო და ბალი, როგორც ფერია, გაცურდა, გაენისლა ღამის სასიზმარე ჩრდილებსაც და ვერც კი იაზრა მართლა რა უხმოდ და რა სწრაფად გამოვიდა სახლიდან, ბუჩქნარიდან, და ჭალისკენ როგორ ჩუმადვე მიიფრინა თავი. ღამემ თხოვნა შემისრულაო, სიხარულისგან სუნთქვა აუფრიალდა და სირბილით მიანყდა წყაროს, სადაც გიგლა იდგა და გალიმებული და გაცოცებული უყურებდა ასე უხმოდ, ღამეში გამონათებულ ხილვას, მის წინ გაჩენილ ლელიოს. თმებგაშლილი, ჩქარი სუნთქვებით მკერდამობერილი და მუხლებამდე ახსნილი კაბით, ფეხშიშველი როგორ იდგა მის წინ და თითქოს შიგ სულში უყურებდა კაცს, უხაროდა და სიხარულით ესუნთქებოდა მთელი თავისი ვნებაც. მერე როგორ წამოვიდა მისკენ, თვალი რომ არ მოუშორებია მისთვის და მიუახლოვდა თუ არა და შედგა თუ არა და თითქოს ეს ღამეც და დროც შეა-

ჩერა თუ არა, თავისი ხელები მის ხელებს დიდი სიფრთხილით მიადო და მიეხუტა გიგლას. მიესუნთქა მის სახესა და ტანს და მიყურდა მასზე.

გიგლამ მიიკრო ლელიო და ის შეჩერებული წამიც თან მიიყოლა თითქოს.

და როცა კოცნა, გოგონას ლოყიდან, მისივე ტუჩებისკენ ნელა დააცურა და ცხელ ბაგეებს თავისი დაადო, ლელიომაც გახსნა პირი, აკოცა და მთლიანად შეყვა თავისივე ამბორს, გიგლას ლამის ამოგდებულ გულში შეუყვანა თავისი გულიც და ორივემ, ასე ღამეში გაშეშებული წამისას, ერთდროულად იაზრა, მათი სხეულებისა და სიმბურვალის მიღმა რომ, თითქოს ერთავეს შეკვროდათ სული, თითქოს სული გაუმოძრავდათ ტანში და ორივე, ასე ერთმანეთზე და ერთმანეთში მიჭერილი, ერთარსობას, ერთ სუნთქვასა და ერთ სიმშვიდეს გაყოლილი, სადღაც დიდ თავბრუსხვევას გადაეფლნენ. ერთმანეთის დანახვისთანავე, რომ დაენაფნენ ერთმანეთს და სიმშვიდის გაღმა, თითქოს შეზანზარებულ, რაღაც ზმანებრივ და აუხსნელ გაბრუებაში აღმოჩნდნენ.

გიგლამ, ღილებით შეკრული კაბა გაუხსნა ლელიოს და ქალის შიშველ სხეულს დაემდულრა, თვითონაც გაიხადა სამხედრო ფორმა, მთლიანად გაშიშვლდა და ქალიც, თვალებდახუჭული და ბნედაატანილი და მთლიანადვე დაშიშვლებული, მთვარისა და ჭალების ათინათებში გამოძერწილ მის სიმკაცრეს შეეხორცა.

გადახვეოდნენ ერთმანეთს და თითქოს საკუთარ

თავებს ეტკბილებოდნენ, ისე კოცნიდნენ და ცხელ ხელისგულებს უსვამდნენ, მინაზევე შიშვლად დამცხრალნი. მთელი ტანი, ჯერ კაცუნახავი, დათბილული და განამული ტანი, გიგლამ ყელიდან მუცლამდე რომ ჩაუკოცნა ქალს და ფეხები გაუშალა, მის ვნებადაფარულ საშოს ძალიან ნაზად მიედო და ახურება თავისი, ძარღვებში თითქოს მზეჩამწვარი, ნელავე და ფრთხილად შეუყვანა შიგნით, ნელავე გამოვიდა თითქოს სააქაოს და ისევ შეუყვანა უფრო ღრმად და უფრო ნაზად და ისევ მიადნა ზედ, და ისევ შეღრმავდა მის დამდულრებულ ალერსში, სისველე და სისხლის განათხააპნი რომ ეცხებოდათ ორივეს და ლელიოც, მოჭიმული, მოკრუნჩხული თითებით, გიგლას ზურგს მოჭიდებულებო და მხარზე კბენდა, ენას უსვამდა, კოცნიდა და კბენდა დაღამებულ მინაზე ასე ზურგით დაკრული, მთლიანად კაცზე მინდობილი და მიყვარებული. უკვე შეხსნილი სიქალწულის წამიერი ტკივილიც, რომ ახალ და დაუჯერებელ სიამოვნებაში გადაეთბილა და წამით გონებაც კი დაკარგა, მაგრამ მისივე ტკბობის და ჟინის, პირველყოფილმა საუნჯემ უკანვე წამოაცოცხლა და უფრო ააღზნო, ცრემლი წამოუვიდა და პირი დაუშრა და უფრო მაგრად აეხუტა თავის გიგლას, ხელები და ფეხები მთელ სხეულზე შემოაჭდო და არ უშვებდა, ასე მძიმედ რეტდასხმული და სუნთქვაშეკრული.

გიგლა სახეს უკოცნიდა, დაცრემლილ თვალებს უკოცნიდა, ყელსა და გამკვრივებულ მკერდს უკოცნიდა და ლელიოში, სულ უფრო და უფრო შედიოდა,

ღრმავდებოდა და ისწრაფოდა შიგნით, მისი არსობისკენ მიიკვლევდა თითქოს გზას, თვითონაც ჟრჟოლვამეპყრობილი და უეცრად აშინებული, ქალის სხეულში, მისი ჟინით შემნიფებულ იმ რაღაც საიდუმლოში ახლალმოჩენილი და ტკბილი გაგიჟებით შეხურებული, საშოსა და ბარძაყების მოდუნებულ სიმშვიდეზე შეხორცებულიყო და მოქცევა-მიქცევის ნასიზმრალი ტალღებით, ტკბობისა და სიყვარულის ჯერ მათთვის ორივესთვის აღმოუჩინელი ნაპირებისკენ მიადინებდა თავს, სანამ ლელიოც იქ არ გაიყვანა, იმ ყელში ნაჭერილი კანკალითა და ნადილით სანამ არ გაასრულებინა ქალისთვის ჯერ უხილველი ტრფიალი, სიცოცხლის ასეთ არნახულ სიახლოვეში შერწყმული შიში და სიხარული, სულიდან ამოყვანილი და ხორცამდე ამოყლენთილი რაღაც უცნაური უსაზღვრობა და სანამ ერთადვე არ ამოიკვნესეს და ერთადვე არ ამოიხარეს ალერსისა და ჟინის, მათი პირველი ამოძახილიც, თითქოს ვერაფერი იაზრეს. თითქოს ორივეს ერთი, გახურებული შანთი გაესოთ, მათ გულეებში ერთად შეიხლიჩა და გაიშანთა მომაკვდინებელი თუ გამაცოცხლებელი ჯადო.

ის შეყოვნებული წამი შეტორტმანდა. ელვამ გაიკრთოლა თითქოს და ჭალაც შეირხა. ძალიან სწრაფად შემოეჭდოთ ორივეს, თითქოს ადგილიდან დაძრული დრო და თითქოს ვერც მიხვდნენ რა ხდებოდა მათ თავს. ეწვოდათ ერთმანეთი, ეწვოდათ და ეს წვა იყო ასე ჩქარა რომ მიაქანებდათ ისევე ერთმანეთისკენ.

ქალის ხმა და აჩქარებული, ნაშიშარი სუნთქვები გულს უხეთქავდა გიგლას, ძალიან სიამოვნებდა მასზე მინებებული ოფლშენაკური და მინდობილი სხეული და უკვე მთლიანად, იმ შიშით და სიხარულით და რაღაც საბედისწერო სიმღევით გამგელეებული და მთლიანადვე უკვე სიცოცხლედექცეული, იმ უეცარ გაელვებასთან ნდომადყოლილიც, საიდუმლოსთან თითქოს მიღრმავებული და სადღაც ჩაკარგული, ბოლომდე შეიღვარა მასში და შეითავა ის წამით შენაგრძნობი თავისი სულიც. გაიჭიმა ყოველი ძარღვითა და კანით და თითქოს მიეცოცხლა და მიაკვდა კიდევ ზედ.

დაჟეჟილიყო გიგლა. ასე აჩქარებულმა და გამწვავებულმა თითქოს შეხეთქებამ დაჟეჟა. დააბრუა და გააოგნა. არც სჯეროდა თითქოს, ვერც მოასწრო რამის დაჯერება ისე დასდებოდა ბნედა და მისთვის თითქოს, რაღაც უცხო სუსხმაც კი დაუარა, ამ მწვავედ გატკბილული ჟრჟოლვისას, ქალს რომ ფრთხილად დაესუნთქა და ყელში აკოცა.

ლელიოც დადუნდა და გაბრუვდა. დიდ გაბრუებას გრძნობდა. ფეხებს ერთმანეთს უჭერდა და ცაცხცახებდა. გიგლას ვერ ელეოდა, არც ხელებს უშვებდა და კოცნიდა ყველგან, ნიკაპსა და მკერდზე, თვალებსა და ტუჩებზე, მკლავებზე, თითებზე, ყურებსა და ისევე ტუჩებში ემდულრებოდა, ასეთი გაბრუებით ერთდროულად შეციებულიც და გახურებულიც.

ჩაყურდნენ. სამშვიდობოს დაბრუნებოდნენ თითქოს და დაბუჟებამაც წამით ანება თავი.

ჯერ არ ინძრეოდნენ.

გაისრულეს რა ერთმანეთი და გაბრუების იმ სატრფიალო სიტკბოსაც რომ გაენებნენ, მაინც არ განძრეულან. ინვნენ ასე ჩუმად და ღამეც დაჩუმებოდათ თავზე და ჭალაშიც გაყურებულიყო ხეების ძირში მიწოლილი ნისლი, მთვარის სიმკრთალეს რომ ილღვობდა და თითქოს შეყვარებულებს იცავდა, სიბნელეშივე სადღაც გატრუნული უხილავი ჩრდილებისაგან.

ხოლო, წამის მერე, შფოთი და ცეცხლი რომ მიუნელდათ და სიმშვიდე იგრძნეს და გიგლამაც თითქოს გამოყვინთა ლელიოსაგან, შუბლსა და სახეზე გაისვა ხელი და მიწაზევე განვა. გვერდით მოიწვინა ქალი და მიიხუტა ისევ. ლელიომ ფეხი გადმოადო და თვალეები დახუჭა. ჩუმად ინვნენ. ჩუმადვე სუნთქავდნენ ერთმანეთით დამცხრალნი და ჭალების ძალიან თხელ და შორიდან მოსულ, ოდნავ გასაგონ შრიალს უგდებდნენ ყურს, როცა ლელიომ ნაცრემლი თვალეები თითებით გამოიმშრალა, გიგლას დახედა და გაუღიმა. ღამეზე და გიგლაზე ერთად მიტმასნილმა, ჭალის სიბნელეში თავისი კაბა მოძებნა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, წამოჯდა და თავისივე კაბა გადმოიფარა ტანზე.

გიგლაც წამოჯდა. ტანისამოსი მიწაზე დააფინა და ლელიოზე ისევ მიხუტებული განვა ზედ.

არეულად სუნთქავდნენ, დაღლასა და წვას ერთნაირად გრძნობდნენ და სიჩუმეზე მიყურადებულნი, თითქოს გაკვირვებულნიც, ერთმანეთს უყურებდნენ. არაფრის თქმა არ უნდოდათ. არც იცოდნენ

რა ეთქვათ. ელიმებოდათ მხოლოდ და ერთმანეთს უყურებდნენ. აკვირდებოდნენ, თითქოს ახლა პირველად იცნესო ერთმანეთი და როცა გიგლამ თითქოს რალაცის თქმა დააპირა, ლელიომ თითით გააჩუმა და ხმადაბლა უთხრა: — მიყვარხარ.

— მიყვარხარ, — გაიმეორა გიგლამაც და ისევ დააშტერდა ქალის სახეს, სადღაც სიღრმიდან, რომ ამონათებოდა მზერა და თვალეებს უცრემლებდა ისევ.

— ახლა, — თითქოს ძალდატანებით გადაყლაპა ნერწყვი ლელიომ, — ახლა როგორ ვიქნებით? — თქვა დაბნეულად, — არა, არ იფიქრო რომ რამე ისა... მე უბრალოდ...

— სულელო, — მკერდზე დაადო გიგლამ თავი, — როგორ უნდა ვიყოთ? ერთად ვიქნებით.

— სულელ? სულ ერთად?

— ჰო, — თქვა გიგლამ, — სულ, სულ ერთად.

— შენ რომ რამე მოგივიდეს?

— რა უნდა მომივიდეს? — ეცინებოდა გიგლას.

— ომი რომ დაიწყოს და რამე მოგივიდეს? მე რა ვქნა მერე?

— მაგაზე ნუ ლაპარაკობ რა, — თვალეები ხელით დაიფარა გიგლამ, — მაგაზე ნუ ლაპარაკობ, გთხოვ, — ხმაში უცნაური და გაუცხოებული თითქოს დარდი ამოჰყვა და ლელიოც გაჩუმდა, მუცელზე დაიდო ხელი და ფეხები მოკეცა. მერე მხარზე გიგლას სამოსელი გადმოიფარა და გიგლამაც თქვა, ჩუმად, მშვიდად, — მე ვნახე სოფლები, მე ვნახე ქვეყნები, სიგნალებს ღამეში განგაშით მიყვავარ, ვეყრები

ზეცას და ვენახებს ვეყრები, მინასაც ვეყრები. გახსოვდეს მიყვარხარ.

ლელიომ თავი წამონია, — ე, ვისი ლექსია? რატომ თქვი? ახლა რატომ თქვი ასე?!

მაგრამ გიგლას აღარაფერი უთქვამს. მის გვერდით იწვა და ეხუტებოდა.

— წინათგრძნობა გაქვს გიგლა? — ჩუმად დაეკითხა ლელიო, — რატომ უნდა მახსოვდეს რომ გიყვარვარ?!

— ნუ შეშინდები პატარა, — ისევ გაუღიმა გიგლამ, — მე არაფერი მომივა. როგორ გრძნობ თავს? ხომ არ გტკივა?

— თავიდან ცოტა მეტკინა, მაგრამ ახლა არაფერი, კაი რა, — და უფრო მიეხუტა კაცს, — ჩემი ხარ. მითხარი რომ ასეა! მითხარი რომ ჩემი ხარ!

— ასეა, — თქვა გიგლამ, — რომ შემომხედე მაშინ, აი მაშინ... იმის მერე დავკარგე მოსვენება და...

— მეც, მეც, მიყვარხარ, მიყვარხარ, — ზედიზედ გაიმეორა სიტყვები და კოცნა დაუწყო, ხელებით გიგლას ლოყები მოიმწყვდია და კოცნიდა, თან ისევ ეცრემლებოდა თვალები და თან კოცნიდა, მთელ სახეს უკოცნიდა და ეხუტებოდა, — არ შეიძლება სულ ასე ვიყო? — თქვა ოდნავ ხმააკანკალებულმა, — რა მოხდება რომ სულ ასე ვიყო და ყველა ასე იყოს. არ შეიძლება? მითხარი, არ შეიძლება?

— ვერ გეტყვი, შეიძლება ალბათ, მაგრამ რატომღაც არ გამოდის, რატომ არ გამოდის არ ვიცი. და ისევ გაჩუმდნენ.

— რომელი საათია? — ლელიომ მობილური აან-

თო, — ორი დაიწყო. ჩემი დაბადების დღე მორჩა.

— მე მალე უნდა წავიდე ლელ, — თქვა გიგლამ.

— სად?

— ახლა სახლში. დილას უთენია ნაწილში უნდა ვიყო, მანქანა მოვა და წავალ და მერე ვეცდები ისევ ჩამოვიდე. შეიძლება ოცდაერთ ივნისს ჩამოვიდე. არ ვიცი. წინასწარ არაფერი ვიცი.

— ოცდაერთ ივნისს მზის ბუნიობაა, — გაიცინა ლელიომაც, — მაგ დღეს მზე ყველაზე მაგრად ანათებს... მომენატრები.

— მეც მომენატრები, — მძიმედ ამოისუნთქა გიგლამ, — არც იცი როგორ მომენატრები.

— მონატრება მოთმინებასავითაა არა? — იცინოდა ლელიო, — არა? ხომ ამბობენ ქალებს მოთმინება უხდებათ?

— ბევრ რამეს ამბობენ, — ხელი მოხვია გიგლამ, მეორე ხელი თეძოებზე დაადო და მკერდით მიეხუტა, — და შენც უკვე ქალი ხარ, სიხარულო ჩემო, მართლა რა ცხელი ღამეა და რა სიმშვიდეა, — ღიმილზე აკოცა, — დავიძინებდი ახლა ასე შენზე შემოხვეული.

— მერე დაიძინე, — თავი დაადო ლელიომ, — დაიძინე.

— ჩემი ნება რომ იყოს, — წყენით თქვა გიგლამ, — ლელიო.

— რა სიხარულო, — მიეთბილა ლელიო.

— მე ახლა თავი გაჩუქე.

— ვიცი, — თქვა ლელიომ, — მეც თავი გაჩუქე, — თქვა და ორივეს ერთნაირი მშვიდი ღიმილით დაუ-

ნათდა სახე. თითქოს არაფერზე სურდათ საუბარი, მხოლოდ წოლილიყვინ ასე და არ არსებულებო ნეტავ დრო, არც სივრცე, არც არაფერი. მხოლოდ წოლილიყვინ ერთმანეთზე მისუნთქებულნი, ამ შუალამიდან სამყაროს იმ აღსასრულამდე ნეტავ ერთი სული ჩამდგარიყო მათში და ერთადვე განეცადათ ის დიდი, ის უშველებელი სიხარული ახლარომ სისხლში დაუდიოდათ და ერთსულადვე კრავდა მათ. მოდუნებისა და სიმშვიდის მერე, ისევ ერთმანეთზე რომ მიახორცა ორივე, ისევ ააღზნო სატრფიალო მათი საწადელი და ისევ გააკანკალა ორივეს ვნებამ. გიგლამ გვერდით რომ გადმოიწვინა ლელიო, მისი ზურგი მიიკრა თავის ტანზე, ხელები მის წელსა და მკერდს რომ შემოხვია და ისევ, ისევ შევიდა და შეყვინთა ქალის სხეულში, ორივეს ჟინი ისევ ერთადაც რომ გაუდუღდათ და ახლა უფრო, უფრო დიდი სიმძაფრითა და ღზნებით გაცეცხლებულნი და მთლიანად ერთგულისფეთქვად ქცეულნი გიგლა და ლელიო, ერთმანეთს, იმ ერთი, უკვე განუყოფელი სულითა და სხეულებით მიეხეთქნენ.

ლელიო ხელით მიწას ეფხოჭნებოდა და თავისი მიჯნურის მხურველებას, ძალიან ღრმად გრძნობდა თავისივე აზნექილ ტანში, ზურგით ჩაჭიმული და მიკლაკნილი, წელსა და თეძოებს, ბედნიერებისა და თრობის, რაღაც ჯადოსნური, რაღაც წარმოუდგენლად სასიცოცხლე აღტაცებით უნებივრებდა თავის შეყვარებულს და უსიტყვო, სამარადისო და ფიქრებჩამოცლილი მინდობით ეძლეოდა გიგლას... და კაციც ხელმეორედ იღვრებოდა მასში. მის-

თვის ნაჩუქარ თავს, დიდი სიმძაგითა და ზაფრით ღვრიდა ქალის არსობაში და მაგრად, სუნთქვის წართმევამდე მაგრად იკრავდა გულში. ეწაფებოდა მის სხეულს, მის გაშიშვლებულ ნდობას ეწაფებოდა, მის ხუთივე გრძნობასა და მის გაბრუებას და ამოკვნესილ სინაზეს ეწაფებოდა და კიდეც და კიდეც შედიოდა მისი ნეტარებისა და აღტყინების წიაღში და ვერ სცილდებოდა, თავს ვერ ანებებდა, სანამ სულ მთლიანად არ ამოიღო და ამოისუნთქა და ამოიჟონა თავი, სულთან ერთად არ ამოიყოლა ყველაფერი რაც მასში იყო და სამუდამოდ ჩატოვა ლელიოში. თან ამ სახელსაც რომ იტარებდა პირზე, ჩუმად ამოთქვამდა მის სახელს და თვითონაც მოჯადოებული, მის ყოველ ასო-ბგერას აღღვებოდა.

და რომ დალღვა ღამეც, მათ ირგვლივ და მათშივე თითქმის ვნებადამცხრალი, და რომ მოიმშვენეს ერთმანეთის უკვე მიწყნარებული აღერსი და ის შემაზანზარებელი, ატეხილი ჟინიც და გულისფეთქვაც რომ, ერთ მთლიან მათ საერთო თითქოს ჰარმონიასა და სიჩუმეს დაჰყვა, საუცხოო სიმშვიდე იგრძნეს. აღარსად იყო არც შფოთი, არც ის საამო დაბუჟება და არც სიუცხოვე რამე. ერთსულობა უკვირდათ თითქოს, იქნებ მართლა ერთი სული გვიდგასო, გაეფიქრათ კიდეც და გაფიქრებას კი, დიდი და საამო და ძალზე ახლობლური სიმყუდროვე გაესურნელათ. თითქოს ბალების სურნელი აქამდე აღწევდა, ამ ღამედადუმებულ ჭალამდე აღწევდა და სუნთქვებზე ერთვოდა ორივეს. ინვინ კიდეც, თითქოს დროის მიღმა განმარტოებულნი,

ან დროშივე მოტივტივედ და მათი სულიც და სამშ-  
ვინველი მათი, ამავე ტივტივით ძილისკენ მიიტა-  
ლღებოდა, მდორე, რბილი სრიალით სიზმრებისკენ  
მიედინებოდა და თვალებსა და ფიქრს უმძიმებდა.  
აძინებდა. ათრობდა.

მაგრამ გიგლა უცებ წამოდგა, სახე მოისრისა  
და ჩაიცვა. ააყენა ლელიოც, კაბა მოაფარა, აკოცა  
ერთიც და მიიხუტა, — დროა ლელი, არ დაიძინო.  
უნდა წავიდეთ, — უთხრა ყურში.

მყისვე შემოეფანტათ საძილე თრობა. ყურები  
დაგუბებოდათ და ახლალა ეგრძნობოდათ თითქოს  
საუკუნო დაღლა. სხეულებზე უხილველი სიმძი-  
მით თითქოს შემონწული. გიგლა სადღაც ღამეში  
იყურებოდა და ლელიოსაც თითქოს სხვანაირად  
ეჩვენებოდა ღამე და ჭალა, მთვარე და სიჩუმე. ოდ-  
ნავადაც კი გაუბრუნვდა თავი, მაგრამ წამოფხიზლ-  
და და ღრმად ჩაისუნთქვა ღამეშივე ჩანმენდილი  
ჰაერი. მყისვე წამოცოცხლდა სიშიშვლით ახლად  
ახარებული.

როცა ჩაიცვეს და ჭალაში, ხის ქვეშ დადგნენ,  
ისევ გადაკვროდნენ ერთმანეთს, ისევ ჩუმად იდ-  
გნენ და ოდნავ ქანაობდნენ, თითქოს ცეკვავდნენ.  
ღამეც თითქოს მათ თავზე დაფლულიყო და არც  
შორი ჭოტი მოესმოდათ. ჭალების გადაღმა რომ წყ-  
ვეტილი და მოკლე გაკვივლებით ეღამებოდა ბაღებს.  
ხეების ქვეშ, თხლად წაფენილი ნისლიც თითქოს  
ლელიოს თხოვნით მონუსხულიყო, დამიფარეთ,  
დამიფარეთო, როცა ფანჯარასთან მდგარი ღამის  
მეკვლეებს ეძახდა და არც ვარსკვლავი რამე, ჯერ

არ მონყვეტია ცას, სანამ წყაროსთან არ გამოვიდ-  
ნენ, ხელ-პირი არ დაიბანეს და ზედ გიგლას თავზე,  
დასავლეთის ქედებისკენ არ გაიფრინა ერთმა.

ლელიომ წამში დალანდა მონყვეტილი ვარს-  
კვლავი, უეცრად შეკრთა და თითქოს, იმ ზეციურ  
წყვეტასთან ერთად, მის გულშიც ჩაწყდა რალაცა.

ხელი გულთან მიიტანა და წყაროსთანვე განვე-  
ნილ ხის მორზე ჩამოჯდა. ისევ ცას ააცქერდა, აა-  
თვალეირა ის უშველებელი ირმის ნახტომიც და შიგ  
ახუნძლული თანავარსკვლავედიც, მაგრამ იქ სხვა  
ვარსკვლავები ფეთქავდნენ მხოლოდ და არცერთი  
ახალი არ მონყვეტია ცას.

— რა იყო? — გიგლამაც ცას ახედა, ხელი მოხვია  
ლელიოს, — დაინახე რამე?

— ვარსკვლმა გაიარა, სულ ეგ იყო.

— ამ დროს ვარსკვლვი მონყდა? უცნაურია, —  
თქვა გიგლამ, — აგვისტოში იცის ხოლმე.

— დღეს დილას ჩემთვის ლეკვის საყიდლად,  
რომ წავედით, რადიოში ერთი სიმღერა იყო.

— მერე?

— არაფერი. ის სიმღერა დიდი ხანი არ ყოფილა  
რადიოში და ახლა კი ეს ვარსკვლავიც, ჰო უცნაური  
და საოცარი დღეა, — თქვა ლელიომ და უნებლიედ  
თითქოს ამოაყოლა ნათქვამს, — მე უკვე ქალი ვარ  
და რაც მჭირდება მხოლოდ სიყვარულია.

— ეგ ყველას სჭირდება ლელი, — თქვა გიგლამ,  
— წამო ჭიშკრამდე მიგაცილებ.

— არა, ჭიშკრამდე არა, გზამდე მიმყევი.

— წამო გზამდე, — ნელა გამოვიდნენ, — ხედავ



რამეს? როგორი ღამეა, თან ჩანს ყველაფერი, თან არა, — თქვა გიგლამ, — მოინყინე?

— ჯერ არა, — როცა ნახვალ ალბათ მერე უფრო მომენყინება და იცი კიდევ რა..?

— რა.

— იმ ვარსკვლავმა შენს თავზე გადაიფრინა, — თქვა და გაჩერდა, — ხელები რომ დაიბანე და სახეზე შეისხი წყალი და რომ წელში გასწორდი და მიყურებდი აი მაშინ.

— მერე რა. მაგარია, — გაეცინა გიგლას, — ძაან მაგარია, — შედგა ისიც და თვისკენ მოაბრუნა ქალი, — ნახე რამდენი რამ მოხდა დღეს?

— და ის ლექსი რატომ მითხარი, — ჩუმად უთხრა ლელიომ.

— ლელი, — თვალებში ჩახედა გიგლამ, წამით მიაჩუმა მის მზერას და ჩუმადვე დაასუნთქა სიტყვები, — ყველაფერი რაც ჩვენ გვჭირდება მართლაც სიყვარულია. ნუ გეშინია. მე არ მოვკვდები.

თავი მეცხრამეტე

## დელტა ასეულის ასმეთაური ირაკლი კერესელიძე

3 სექტემბერი 2008

ომი ყველამ იცის. ახლა უკვე ომს ყველა ხედავს. ღია ეთერში თუ გადაიცემა ტერორიზმი და კომმარო, ყრმათა ჟღერას და სკოლის შენობაში ცოცხლად ჩამწვარი ბავშვების სახეებსაც თუ ყველა ხედავს და თუ ავღანეთის დამტვერილი და სასიკვდილო ჩრდილები, მხოლოდ სიზმარივით არ აღიქმება და ერაყის შეზანაზარებული და რაკეტების აფეთქებებით შეწითლებული ღამეებიც, ყველა არხითა და ინტერნეტით გადაიცემა და უამრავი ფილმიც მზადდება ამაზე და უამრავი თვითმხილველი, ყველა ინტერნეტსაიტზე თითქმის, ამას ყველა და ყველამ ყველაფერი იცის და თანადასწრებულობის გრძნობა აქვს და არჩევნები მაინც ტარდება და უკეთესის მოლოდინში ჩვენ და მთლიანად მთელი სამყარო უკეთესნი მაინც ვერ ვხდებით, მაშინ შემოძლია ვთქვა, რომ ომი ყველგანაა და ომს ყველა იცნობს, მას ყველა ხედავს და უკვე ყველა მიეჩვია მას, როგორც სატელევიზიო, სისხლისღვრით მოუ-

ქარვებელ წარმოდგენას, რომელსაც არასდროს ქონია დასაწყისი და ალბათ არსადროს ექნება ბოლოც.

მინოდეთ ირაკლი. დელტა ასეულის ასმეთაური კერესელიძე ირაკლი. მეც კაპიტანი ვარ, ერთი გიგლა გვყავდა ლეიტენანტი. გიორგი ჩვენი, საუკეთესო ჩვენს შორის. ამბობენ საიქიო აქვეაო და რალაც საოცარი სივრცეებიანო ყველგან, ენით აღუწერელიო. ეგრეა გიო? მართლა ეგრეა როგორც ამბობენ? თუ არანაირი ხორბლის ყანებია არაა არსად და არც მიუაჩრდილებელი შუქებია, გიო... და აღარც მახსოვრობა აქვთო სულებს. მართალია? როგორ ვიბრძოდით ძმაო ჩემო! როგორ ვიბრძოდით... მახსოვს. აქეთკენ მათ არავინ გამოუშვებდა და თუ მაინც შემოვიდოდნენ, უბრძოლველად არავინ დანებდებოდა, თუ დანებდებოდა ვინმე საერთოდ, როგორც მაშინ, როცა ერთ-ერთ ჩვენგანს თავში უნდა დაეხალა ტყვია ვიდრე ჩაბარდებოდა მტერს. ჩვენი ბიჭებიც რომ აყარეს და დაამცირეს ასე, პირუტყვების დასაკლავად გამზადებულ თითქოს სასაკლაოზე. ჩვენ მათი ტყვეებისთვის ღირსება არ შეგვიღალხავს გიო. S-6, კავშირგაბმულობის ოფიცერი ვარდოსანიძე და S-3, დაგეგმარების უფროსი, დოლიძე, მაიორი, თვითონვე აყენებდნენ სატელიტურ ანტენებს, უკვე მრავალჯერ აფეთქებული ანტენების ნაცვლად და ტყვია რომ არცერთ მათგანს არ მოხვედრია ხომ იცი რატომ? იმიტომ, რომ აღარც ისინი თვლიდნენ თავს ცოცხლებად და ფეხებზე ეკიდათ ეგ შენი სიკვდილი, მიდი ჰა გვეს-

როლეთ, მიდით რას უცდითო, ამბობდნენ თითქოს და ომის დანყების დღიდან, მთელ ამ სასიკვდილეთს, საერთაშორისო მედია 24 საათის განვმავლობაში სწორედ მათ გამო აშუქებდა. სიგნალი სატელიტებზე გადიოდა და არ დარჩენილა არცერთი სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირი, რომ ავი მოდგმის ის ქვეყანა არ დაეგმო, არ მოენოდებინა და არ მოეთხოვა მათთვის თავიანთი ჯარების გაყვანა... იმედია იზოლაციის გზას არ დაადგებითო, მაგრამ კიდიათ ამათ, ხომ იცი, რგორ კიდიათ. ტერორი მათი უსაზღვროა და მე სულ მიკვირს, სიკეთე ყოველთვის რატომ აგვიანებს მასზე გასამარჯვებლად? ჩემთვის არ არსებობს და ჩემთვის უცნობია, უპირატესობის სხვა ნიშანი გარდა სიკეთისა, რამდენადაც კათილი და კეთილშობილია კაცი, იმდენად ცოცხალია ის და იმდენად იცოცხლებს ის მუდამ, სიკვდილის მერეც კი, მაგრამ ნყვდიადის დროს, შუქი რატომ აგვიანებს ხოლმე გიგლა? ნუთუ განგება ასე გვცდის? ნუთუ გაუთავებლად უნდა ვითმინოთ ჩვენც? ჩვენი სიკვდილი თითქოს ბრძენი კაცის სიკვდილს ჰგავს, რადგან სიკვდილის წინ შიში არ გვცოდნია გიო. მივხვდი, თუ რატომ არ გვეშინია სიკვდილის? რადგან სიცოცხლე არასდროს დაგვიკარგავს. რატომ არ ვშფოთავთ სიკვდილზე? რადგან ყოველწამს მოველით მას და არასდროს ვცდებით ამ მოლოდინში. რატომ გვახსოვს თუ ვისთვის ვკვდებით? რადგან სამყარო არ მოგვიძულებია. ყველა კვდება გიო. მართლაც მეტისმეტად სამწუხარო, ალბათ ის იქნებოდა, ერ-

თნი რომ კვდებოდნენ და სხვანი არა. სიკვდილი ხომ შეცნობილი, მიღებული, უკვე ჩვენთვის ნაცნობი დასასრულია, რადგან ჩვენი კანონი ყოველთვის თავისუფლება იყო გიო, შენიც და ჩემიც და ჩვენი ყველასი. ჩვენ ხომ თავისუფლებას ყოველთვის, როგორც დიდ ძალაუფლებას ისე აღვიქვამდით, ძალაუფლებას, რომელიც ჩვენვე, ჩვენივე თავზე მოვიპოვეთ და ჩვენ, თავისუფლებაზე ხელს, უკვე ველარასოდეს ავიღებთ, ეს იგივეა რომ ხელს შენ ადამიანურ ღირსებაზე იღებდე, შენ უფლებაზე, იყო ადამიანი და შენს მოვალეობაზე, ყოველთვის დარჩე ადამიანად, ალბათ, რითიც გავამართლებთ გიო, ჩვენ ამქვეყნიურ არსებობას, ჩვენ დანიშნულებას და სიყვარულს. ვინაა ისეთი ვისაც თავისუფლება არ უყვარს? მხოლოდ სამართლიანი ყველასთვის, უკლებლივ ყველასთვის ინდომებს თავისუფლებას, უსამართლო კი მხოლოდ თავისთვის.

მთელი ჩვენი მსოფლიო ისტორია, ყოველი დღე და ყოველი საუკუნე მისი, მხოლოდ თანდათანობითი და თანამიმდევრული განვითარება თუა თავისუფლებისა. თავისუფლების განვითარებისა... მტრები იტყვიან, თქვენ თავისუფალნი ხართ, თქვენ სიტყვის თავისუფლებაც გაქვთ და ამბობთ რაც გსურთ, ჩვენ კი ვაკეთებ იმას, რაც გვსურს და სიტყვებზე აღარ ვხარჯავთ დროს, თქვენთვის თავისუფლება ინდივიდუუმის სუვერენიტეტი, ჩვენთვის ასეთი სუვერენიტეტი არ არსებობს, რადგან ჩვენთან ისაა თავისუფალი, ვისაც ის სურს რაც ევალება, რასაც ჩვენ ვავალებთ, რასაც ჩვენ მოვი-

თხოვთ მისგან.

ვინ აღიარებს კაცს გმირად, თუ არა სხვა ვინმე გმირი. ასეა გიო? ჭეშმარიტი გმირი ხომ არასდროს, არასდროს, თავის დღეში გმირად არა ხდის თავს, ნუთუ ამაში არაა გმირის ის მთელი სიდიადე, რაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდებოდა ომშიც და სამშვიდობოზეც? ის ხომ შიშის შეგნებული დაძლევაა და როცა ტანკების პირისპირ დგახარ და თვითმფრინავები გამალეებით გვბომბავენ და სადაცაა სულიც უნდა აშორდეს სხეულს, უნდა გაეყაროს ერთი მეორეს, მაშინდა ხვდები კაცი, რომ შენ სწორედ ის ხარ ვისაც კი შენამდე უცხოვრია და მალე ის გახდები ვისითაც იცხოვრებენ შენს მერე და იბრძვი, იბრძვი ბოლომდე, სანამ ერთ ნამში თავს არ მოუყრი გამარჯვებასა და დამარცხებას და ომს სამუდამოდ არ აღმოფხვრი ჩვენი სამყაროდან.

ტკივილით ვგებულობთ სინამდვილეს და ტკივილითვე ვაფასებთ სიცოცხლეს. ზოგჯერ მგონია ყველაზე მაგრა იმას უცხოვრია, ვინც ყველაზე მეტად იტანჯებოდა-მეთქი, მაგრამ ხანომკლეა ტკივილი და სიხარული კი მარადიული. ყველამ ვიცოდეთ ბიჭებო, ჯერ არაფერია დამთავრებული, ჩვენ ხომ თავს არაფერს ვპატიობთ, სხვებს კი ყველაფერს, ჩვენ ხომ ძალიან ბევრი მოგვეთხოვება და ძალიან ცოტა გვეპატიება და ვიცით რომ მტერსაც კი უნდა შეეუწოდოთ, მაგრამ გვახსოვდეს, უნდა შეეუწოდოთ მას მერე, როცა ის დაისჯება, როცა სინანული თავადვე დასჯის მას. ან უპატრონო, მიუსაფარი და მოკვეთილი, ყველასგან და ყველაფრისგან დარჩე-

ბა ასე და ოდესმე მიხვდება, რომ დაუსჯელობითაა დასჯილი! ჩვენ ყოველთვის ასე ვექცეოდით მათ, ყოველთვის! ომშიც და სამშვიდობოზეც, მართლმსაჯულება, როგორც ყველანაირი სათნოების საფუძველი, არ შეიძლება კანონზე მკაცრი იყოს, მაშინ ის სხვა რაღაა თუ არა ტირანია და ვინც ასეთ ბოროტებას არ სჯის, ის მის აღსრულებას უწყობს ხელს და პატიებაც იგივე ჩვენი ვაჟკაცობაა ძმებო, რადგან სუსტებს ეს არ შეუძლიათ, თუკი ჯალათის შებრალება სიმკაცრეა მსხვერპლის მიმართ, მაშინ ასეთ სამყაროში, ჩვენი მსხვერპლიც უაზრობა გამოდის, ჩვენივე თავისუფლებისთვის რაც კი ოდესმე გაგვიღია და მთელი მსოფლიოც ერთ წამში, ერთ დიდ სიმარტოვის მსოფლიოდ იქცევა. მარტოობას კი მხოლოდ მწუხარება მოაქვს, მაგრამ მარტოობა ხშირად დიდბუნებოვან კაცთა ხვედრიცაა, ხშირად ასეთი ხვედრი აქვს ჩვენ სამშობლოს, რათა ყველას დაანახოს, რომ თავისუფლების ზნე, ჩვენი ნიჭია და ყველაფერი ზნეობრივი, ყოველთვის და ყველგან, თავისთავად გასაგებია.

მე ახლა, ჩემ იარაღს გავწმენდ, შევინახავ და პლატცზე გავალ. ალბათ გაბრუება წამით მაინც გამივლის, გაბრუება ჩემი ქვეყნისა და ჩემი არჩევანისა ამ ქვეყანაში. შემდეგ ზერელედ ვისადილებ, ლუკმას ალბათ დიდის ძალისხმევით ჩავიჭყლეტ ყელში, რადგან არ გადამდის, არც მეშიება და არც მენაყრება მადა. მერე დავდგები სამხედრო ჩვენი პლატცის შუაში და ცას ავხედავ, ჩემ ჩუმ და ლურჯად ამალღებულ ცას და ალბათ ასე ვიფიქრებ,

სადა ხართ ძმებო, ვინც ვერ მოგძებნეთ ბრძოლის ველზე და ვინც ახლა სადღაც სხვა სამყაროებისკენ აიკვლევთ გზებს, ვინც აქ სახელი დაგვიტოვეთ თქვენი და საქმენი და ოცნებებიც ალბათ და იქ კი ადიხართ და ადიხართ და მალღდებით და მალღდებით, ჩემ ამ ლურჯად აწეულ, ქართულ ცასთან ერთად აგაქვთ და აგაქვთ, ყოველი ჩვენგანის სუნთქვა და თუ როდისმე შევხვდებით ისევ, შორიდანვე ვიცნობთ ალბათ ერთმანეთს და გაგვიხარდება, თურმე ცოცხლები ვართ და ყოველთვის ცოცხლები ვყოფილვართო.

თავი მეოცე

**Love is all you need**

21 ივნისი 2008

ამ დღეს ლელიო ცხრა დღე ელოდა, ვაითუ ისევ ჩამოვიდესო გიგლა, ფიქრობდა თავისი დაბადების დღიდან დღემდე. დღეს მზის ბუნობაა, დღეს ყველაზე მაგრად ანათებს ეს უშველებელი ვარსკვლავიო, გაიფიქრებდა და მობილურზე გიგლას მიწერდა რამეს. პასუხი მაშინვე უბრუნდებოდა ხან ძალზე გვიან და ხანაც არ უპასუხია გიგლას არაფერი. ლელიომ კი იცოდა როგორ ელოდა გიგლა იმ დღეს, როცა მათ სახლში მოვიდოდა და ირაკლისა და ლალის მათი ქალიშვილის ხელს სთხოვდა, როცა ერთად დადგებოდნენ მშობლებისა და ძმების წინაშე და გიგლა იტყოდა მე და ლელიოს ერთმანეთი გვიყვარს და თქვენს დალოცვას ველითო.

დედა ლელიოს აკვირდებოდა და მასაც უთრდოდა გული. იმ ღამის მერე არაფერი უკითხავს მისთვის, მაგრამ ცხადი იყო დედა რასაც იაზრებდა, რასაც შეიგრძნობდა და რაც თავისი დედობით იტევდა ასე იქნებოდა და არა სხვაგვარად. გიგლაში ეჭვი წამითაც არ ეპარებოდა და თავის ბედნიერ

ქალიშვილზე თვალმიდევნებული, მისი სიმშვიდით ტკბებოდა. მის სიმშვიდეს კი უცებ მონისლული სევდა და ზერელე ფორიაქი თუ ეფინებოდა, მაშინ ლალი შვილს გაუღიმებდა და ისიც მორცხვად დახრიდა თავს. ასეთი უსიტყვო შეფიქრება მათი, ძალიან მოწონდა ლელიოს, უფრო ამშვიდებდა და სადღაც, გულის ჩაუღწეველ სიღრმეში ენუგეშებოდა. მისი განცდები და ფიქრები და ყოველი შეგრძნებანი მისი, სულ იმ მონყვეტილი ვარსკვლავით ეკარგებოდა თავის მიმალულ სამიჯნურეთში, გიგლას თავზე რომ გადაიფრინა და თვალის დახამხამებაში გამქრალმა, სევდაშენარევი სიხარული და უცნაური იმედი დაუტოვა. რისი იმედი იყო ეს, ლელიოს ვერ გაეგო, კი სინყნარე ახლა უფრო ერგებოდა მის გულისფეთქვას, ვიდრე ის ყელშინაჭერილი ვნება, თუმცა ისიც შემოუვლიდა უეცრად და მოსვენებას აკარგინებდა, ნუთუ კიდევ დიდი ხანი ველარ უნდა ვნახოო ჩემი გიგლა, გაიეჭვებდა წამით და სასწრაფოდ იღვენიდა გაფხაჭნილ აზრს, ნუთუ დღეს ველარ ჩამოვა და იმ თავის პოლიგონზე დარჩება თავისივე ჯარისკაცებთანო, მერე ბაღში ისევ დედას დალანდავდა ნიჩბითა და სარწყავით ხელში და მუხლებზე ლეკვჩაჯენილი აივნიდან გასცქეროდა, როგორ უვლიდა ის ყვავილებსა და მცენარეებს. ფილო და ფარნა ქალებში დადიოდნენ, ერთი ფრანი გააკეთეს და სოფლელ ბიჭებთან ერთად მინდვრებში დარბოდნენ, სანამ ფილო მათ ერთად არ მოიგროვებდა ახლოს და რალაცეებს უყვებოდა, ერთად როცა დაწვებოდნენ გულაღმა ცისკენ და

ფარნასა და ფიდოს მონაყოლზე შეფიქრდებოდნენ, ბუნებასთან თანაზიარებას განიცდიდნენ თითქოს და არა მარტო ბუნებასთან, არამედ ყველაფერთან ირგვლივ. სოფელში ყველა მათზე საუბრობდა, სოფლის კაცები გზის განაპირას დგებოდნენ და ლაპარაკობდნენ, ირაკლი მთვარელიძეს რა უცნაური ბიჭები ეზრდება, ერთი სწავლობს, მეორე წელს აბარებს და ჩვენი ბაღლებიც რა უცნაურ თამაშობაში აიყოლიესო, საათობით ხეებსა და წყარობს უგდებენ ყურს და მერე ჩვენ გვიყვებიან, ფიდომ და ფარნამ მიწისა და ცის ხმები გაგვაგონესო, თუ მდინარის პირას დადგებიან უცებ, სადღაიციდან თევზები გროვდებიან მათთან ახლოს და თუ ჭალებში შევალთ მწყერები და სხვა ჩიტებიც ასე ერთად მოდიან და სანამ ძმები იქ არიან, არსად არ მიფრინავენ და ჩვენ ხელის შეხებაც კი შეგვიძლიაო.

ეცინებოდათ სოფლის კაცებს. ზოგი ამბობდა მაიცათ რა ხალხო, ბაღლები არიან, მაგათთან თუ არ მოვლენ მწყერნი და ჩიტნი მა სხვასთან ვისთან უნდა მივიდნენო. ეგა ჯო ჯადოქრობაა გაიგე? ერთვებოდა ვინმე, გეუბნები ჯადოქრობაა-მეთქი, იყოი ეგ შენი ჯადოი მერე რა?! თავს იჩინდა კიდევ ვინმე, განა შავდება მაგით რამე, მა ვაჟა-ფშაველა რა განა ეგრე არ იყოო? ვაჟა კაცო მგოსანი იყო, ენდე ესენი კედე რაის მგოსნები არიან, ისმოდა კიდევ ვილაცის ხმა, გეეშვით მაგ ბაღლებსა, მოხუცი გამკაცრდებოდა ერთი და ყველანი ღუმდნენ მერე, გეეშვით-მეთქი, ჩვენც ეგეთები არ ვიყავით მაგ ასაკში? ჯერ კაცობამდეს არ მისულან, მაგრამ

ყმანვილებიც აღარ არიან, ე მაგ დროს ხდება ეგეთი ამბები. სოფელში ხმა დაირხა, თქვა კიდევ სხვამ, რალაც სინათლეებს ხედამენო ეგ ორნი, ფიდოი და ფარნაი, რა სინათლეებსა ჯო, შუქი ჩვენცა გვააქ უკვე და რად არ უნდა დაინახონ? მაგაზე კი არა სხვა შუქზე ამბობს სოფელი, ნათებააო რალაც და მას ხედამენო. მერე? მღვდელი მავიყვანოთ და ვალოცინოთ მაგათ თავებზე? რათ უნდა ბიჭო მღვდელი, კიდევ და კიდევ ერთვებოდა ხალხი, სინმინდუა ეგა, გაიგეთ? სინმინდუა სულისა. პაპაჩემიც ეგრე მოკვდა გაიძახოდა ნათელსა ვხედამ ხალხო და არავინ უჯერებდა. ენდე იქა, ბაღების თავზე ნათელი მოჩანს განა თქვენ ვერ ამჩნევთო? პაპაშენი დიდი შებერტყილი იყო. აი თუ დაგცხე ახლაა, გაჩვენებ შებერტყილსა, პაპაჩემს, ღმერთმა აცხონოს მისი სული, წმინდა გიორგიც კი გამოეცხადა ერთხელ, ეიმ დროსა კი ომი დაიწყო გერმანიასთან. არა გჯერათ და ნუ გჯერამთ, თქვენ თავს დააბრალეთ, ეგენი კი მგოსნები არიან ნამდვილი მგოსნები, გაიგეთ ხალხო?! მართალია, ეთანხმებოდნენ სხვანი, განა ავთანდილი აღარ გახსომთ? რომ მიაჭენებდა ცხენსა და მღეროდა ჩიტებიც და ცხოველებიც მასთან ერთად განა არა მღეროდნენ? რა, განა იტყუებოდა შოთაი მაგრე რომ სწერდა, შოთაი სიმართლეს ამბობდა, ეგრე არიან ესენიც, ეგაა მგოსნობაი მა, მარტო ლექსები კი არა, არა ხალხო? ჰო ეგაა ეგაა, ერთხმად ამბობდნენ სხვანიც და ისევ იცინოდნენ, ნამოით ახლა, ისეთ ჩინურსა და ატენურს დაგაღვივნებთ მგოსნობაი მერე ნახეთო, დასძახებდა ერთიც

და გაიყოლებდა თავისთან ზოგს.

მზე მართლაც ახლო დაყუდებოდა მინას, ბუნიობა მისი თითქოს ახლოდანაც იყო შესაგრძნობი, გასწორებულყვენ დღეცა და ღამეც და ასეთი საზაფხულო წონასწორობა, თითქოს ერთანმინდის ყველა მკვიდრს დარგებოდა და დანათებოდა თავზე. ლელიო ფიქრობდა ჩემი ძმების დაბადების დღეც ოცდაერთ სექტემბერსაა, ისიც ბუნიობაა, ესენი ერთი წლის მიყოლებით გაჩნდნენ და რაღა მაინცა და მაინც ზუსტად ერთ დღეს ოცდაერთ სექტემბერსო, გაედინებოდა ფიქრი და შავ თავის ლეკვს მიეთამაშებოდა და ისევ თავს შეიფიქრებდა, ღმერთოჩემო რა ღამე იყო ქალაში, რა სიყვარული მერგოო. მერე დასვა ძალი და ბაღში გავიდა. დედა ირაკლის ოთახში იყო კომპიუტერთან. ქმრის წერილებს კითხულობდა და თავისას უგზავნიდა, უყვებოდა რაღაც ამბებს და ფანჯრიდან ისევ ლელიოს გახედავდა, გრძნობდა სულ რომ თავის გიგლაზე ფიქრობდა და როცა წერილი ირაკლის გაუგზავნა, კომპიუტერი დატოვა და ისიც ბაღში გავიდა. ორი სკამი წაიღო და ალუბლების ქვეშ დადო ერთმანეთის პირისპირ. დაჯდა ერთზე და ლელიოს დაუძახა, მოდი რას დამდგარხარ, ჩამოფექი ცოტა ხანი, ბიჭებიც მალე მოვლენ და ვისადილოთო, ჩვენ კი აქ ვისაუბროთო.

ლელიო მოვიდა. დაჯდა სკამზე და ჩამოდაბლებულ ალუბლის ტოტს მოკიდა ერთი ხელი.

— რაო ლელ, — თქვა დედამ, — ყველაფერი კარგად იქნება, რატომ ხარ ხოლმე ასე მოწყენილი?

გგონია მე გაგკიცხავ რამეზე?

ლელიო დედისკენ მობრუნდა, ტოტს ხელი გაუშვა, ისიც ამძიმდა ზევით, ბლუჯა-ბლუჯა დააღუბლებული და თითქოს ლელიოს გამკრთალი შფოთიც თან აიყოლა. დედას უყურებდა. პირი მოეკუმა და გაკვირვებული უყურებდა დედას. შემგედ ახლოს მიუჩოჩა სკამი და გადაეხვია.

— ო სულელო, მორჩი ახლა, — თბილად თქვა დედამ, — თავზე დაადო ხელი, — ჩუმად ყოფნა აღარ შეგიძლია და გინდა გიგლაზე მითხრა რამე? მთელი კვირა ხმას კი არ იღებ და...

— ბედნიერი ვარ, — თავი არ წამოუწევია ლელიოს, — მიყვარს.

— ეგ მე დიდი ხანია ვიცი, — თქვა დედამ.

— იმასაც ვუყვარვარ.

— ეგეც ვიცი, — მიეფერა დედა. თმები გადაუსწორა.

— მამამაც იცის? — კალთიდან ამოხედა დედას, — იცის მამამ? ან ფიდომ და ფარნამ იციან?

— მამამ ჩვენზე ყველაზე მეტი იცის და ძალიან უყვარხარ შტერო. ფიდო და ფარნა კი, ხომ იცი მათი ამბავი... მათაც უყვარხარ. თან თუ ატყობ ფარნა ნერვებს აღარ გიშლის, მათ ახლა სხვა ამბები აქვთ და მე ეგ ამბები უფრო მანაღვლებს თუ მახარებს ჯერ ვერ გავიგე.

— დედა, — ლოყიდან თმა გადაიყარა ლელიომ, — დედა, უკვე მინდა რაღაცა გითხრა, ვგრძნობ რომ ძალიან მინდა გითხრა რასაც ამდენი ხანი არ გეუბნები და შენ კი ყველაფერს ხვდებოდი, მაგრამ

მე ძალიან, ძალიან მინდა გითხრა.

— ვიცი რაც უნდა მითხრა, ჩემო სულელუკა, — დედა ისეთი სიმშვიდითა და სითბოთი ესაუბრებოდა, ლელიო, თითქოს თანდაყოლილ ნდობასა და ნუგეშთან ერთად, კიდევ უფრო ახლობლურ, მესაიდუმლეს დიდ ერთგულებასაც გრძნობდა მისგან, მისივე კალთაზე მიწყნარებულსა და თავჩაქინდრულს, ორივე ხელისგული ლოყისქვეშ ამოედო და დედის მუხლებზე ასე თავდასვენებული, ბალახებს უცქერდა, ერთ-ერთზე რომ მიმჯდარიყო მწვანე კალია და ოდნავ არხევდა ღეროს, — ნდობას მხოლოდ ნდობა იწვევს ლე, — თქვა დედამ, — ნდობა ძალზე ძლიერი რამაა, ერთგულება კი ისეთი ძალაა ლელიკო, ისეთი ძალაა რომელიც სხვათა მიმართ დიდ სათნოებას შობს, ხოლო სხვათა ერთგულების განცდა კი არის ბედნიერება. შენ სიყვარულმა მიგიყვანა გიგლასთან და ისიც სიყვარულმა მოიყვანა შენთან, უკვე დიდი გოგო ხარ, ქალი ხარ უკვე და ყველაფერი მშვენივრად გესმის.

ლელიო ჩაჩუმებულიყო და ოდნავ აცახცახებული უსმენდა დედას, მაგრამ არ ეშინოდა, რაღადროს შიში იყო, უკვე გადასულიყო თავისი საცხოვრისის მეორე, ახალ ნაპირზე და ძალიან უხაროდა დედის ასეთი ლაპარაკი, ძალიან უმშვიდდებოდა მასთან სიახლოვის ასეთი მესაიდუმლე განცდა, ასეთი სასიამოვნო და დაფარული. ეს ზაფხული, მისთვის სამუდამო ზაფხულად ქცეულიყო, რომელიც აღარასოდეს განმეორდებოდა, მისთვის სამუდამო სიმშვიდედ ქცეულიყო თითქოს, რომელიც

ახალი ცხოვრების წინასწარი მოლოდინითა და განცდით, თავისივე ფიქრსა და შეყვარებაში ჰყავდა ცოცხლად ჩამალული და ზედვე ერთვოდა მისთვის ჯერ გაუგებარი, ასეთ სიმშვიდეზე მახრჩობელა ასპიტივით, ჯერმიუხვედრელი საშინელების ზიზღნარევი ტკივილი.

— შენ რაღაცა გაშინებს, — თქვა დედამ, — რა გაშინებს? გიგლას რომ გადაუყვარდე? მაგის ნუ გეშინია. ასეთი ყაიდის ადამიანები ყოველთვის კეთილშობილი და ძალიან კაცურნი არიან, მე აქედან ვგძნობ მას რომ უყვარხარ, წარმომიდგენია შენ რას განიცდი ახლა. მთელი ცხოვრება წინა გაქვთ. უნდა უკვე ჩემთან მოსვლა? თუ ირაკლის ჩამოსვლას ელოდება?

— ირაკლის ელოდება, — წამოიმართა ლელიო. სკამზე გასწორდა. საზურგეს მიეყრდნო და ხელეზი შემოაკრა უკან, — მაგრამ მაგაში არაა საქმე, მეთვითონ ვერ ვხვდები რა წინათგრძნობა მაქვს, როცა ერთად... და როცა...

— მორჩი ახლა, ეგ რა ჩემი საქმეა, — გაანწყვეტინა დედამ, — რას განიცდი, ჯობია ეგ თქვა, თორემ ერთად რომ ერთმანეთს იყვარებდით, ეგ შენი და გიგლას საქმეა მხოლოდ შენი და მისი, გესმის რას გეუბნები?!

— მესმის, — გაელიმა ლელიოს.

— ჰოდა თუ გესმის, რაც გკითხე მაგაზე მიპასუხე, — დედამ სიგარეტს მოუკიდა, — მიდი. წინათგრძნობაო თუ რა? რა თქვი?

— არ ვიცი საიდან დავინყო, — ამოიხვნეშა.



ხელი ბალახს წაატანა, რაზეც კალია იჯდა და მოწყვეტა უნდოდა, მაგრამ თავი ანება და ლაპარაკი განაგრძო. კალია გადახტა, — გიგლა სამხედროა.

— მერე?

— მერე ის რომ, აქ ყველა ომზე ლაპარაკობს.

— ოჰ მეც არა ვთქვი, — ბოლი გამოუშვა ლალიმ, საფერფლე გვერდითვე მდგარ კერამიკულ ქოთანზე დადო, პატარა ნერგი ჩარგულიყო შიგ, — ჯერ ერთი ომზე არავინ ლაპარაკობს, მალე ოლიმპიდა იწყება. რვა აგვისტოს. მეორეც ერთი გიგლა რომ სამხედროა რატომ გაშინებს, ეგ ერაცშიცაა ნამყოფი და წვრთნებზე შეიძლება ამერიკაშიც წავიდეს. ომი აქ რა შუაშია.

— არ ვიცი. აბა რატომ მაქვს რალაცა ცუდი... რალაცა... როგორ გითხრა...

— ეს ნორმალურია შტერუკა, — სიგარეტის ნევით დაურთო დედამ, — კაცთან პირველად იყავი, თან შენ შეყვარებულთან, რომელსაც ასევე...

— დედა, მოიცა ერთი წუთით...

— რა მოიცა, მომისმინე ჯერ რას გეუბნები, — დააფერფლა ლალიმ, — ერთ კვირაზე მეტია არ გინახავს, რათქნაუნდა ეს ცხრა დღე საუკუნედ გეჩვენება, გგონია რომ მორჩა ყველაფერი და ველარასდროს ნახავ, ამიტომაც თან გიხარია, რომ გიყვარს და თან შიშობ რომ ვაითუ დიდი ხანი კიდევ ვერ ნახო და სულ არ გაგიჟდე.

— დღეს ღამე შეიძლება ჩამოვიდეს და უნდა შევხვდე ორი წუთით, მერე ერაცში მიდიან ისევ ძალიან დიდი ხნით და ველარ ვნახავ.

— აბა მამაშენს როდის უნდა შეხვდეს? კარგი ეს ამბავი დავიტოვოთ ჩვენთვის და მე მივხედავ როცა დრო მოვა. შევთანხმდით?

— კი... და მამას ხომ არ ვანყენინე? გიგლაც ასე...

— ლელიო ახლა მოგხვდება, — სიგარეტის კვამლს ხელი აუქნია ლალიმ, — შენ ეს უკვე გააკეთე. თქვენ ეს უკვე გააკეთეთ გვერდებო. ახლა სინდისის ქენჯნა გაქვს? მე გითხარი იმ ღამეს, დარწმუნებული ხარ-მეთქი? ზუსტად იცი რასაც აკეთებ-მეთქი? მაგრამ ასე ხდება მაგ დროს, ვნებამ და სიყვარულმა ზედმეტი ფიქრი არ იცის, შენს შიგნითვე მისკენ მიგაქანებს რალაცა, რალაცა ყველაზე საუკეთესო შენში და მორჩა. შენც მიყვები მას. ღმერთი გფარავდეთ ორივეს, — სიგარეტი ჩააქრო დედამ და საფერფლე იქვე დაიდო.

ბაღში კი, ბალის შიგ შუაგულში, წერო დაჯდა.

დაჯდომისას ფრთები შეაქანა და ჩადგა ბაღში. გრძელყელიანი, გრძელფეხებიანი, თეთრი წერო, რომლის ფრთებზე შავი და ოქროსფერი ელფერი ბზინავდა და ყვითლად გაეფერა ფერდებზეც ბუმბული.

— დე!?! — სკამიდან გაკვირვებული სახით ადგა ლელიო, — ეს რა არის? წერო?

ადგა დედაც, — მიდი ჩქარა ფოტოაპარატი გამოიტანე, ოღონდ ფრთხილად. არ დააფრთხო, — ლალიმ ჭალებისკენ გაიხედა, უცნაურია, გაიფიქრა და მიმოიხედა, შემთხვევით ეს ის წერო ხომ არაა, რომლის ბუმბულიც ბოშებმა რომ დაგვიტოვეს? იყურებოდა ჭალებისკენ და იქვე ეძებდა ბოშათა ბა-

ნაკს, შემთხვევით ხომ არ მობრუნდნენო, ფიქრობდა ლალი და ნელა, ძალიან ფრთხილად უახლოვდებოდა ასე უეცრად გაჩენილ ფრინველს, თავისი შავნისკარტიანი ყელი ზურგისკენ რომ გადახვეოდა და შუაგულ ბაღში ათეთრებული, ცალფეხზე დამდგარიყო.

ლელიომ აივნიდან გადაულო ფოტოები, მერე დედის ხელის დაქნევაზე, მოდი აქედანაცო, ფრთხილადვე ჩავიდა ბაღში და წეროს უფრო მიუახლოვდა. ის არ განძრეულა. იდგა და მხოლოდ ყელს ატრიალებდა აქეთ-იქეთ. ლელიო მივიდა და გადაულო ერთიც, მიუახლოვდა კიდევ უფრო ფრთხილად, ძალიან ფრთხილი დაკვირვებითა და მზერაშეყოვნებით, ფრინველის ფრთას, ნელა და დინჯად თითები შეახო და გული გაუთრთოლდა, მთელი მტევანიც დაადო და რომ დაინახა, წერო ადგილიდან არ განძრეულა, გალიმებულმა გამოხედა დედას.

ჭიშკარში ფილო და ფარნა შემოცვივდნენ, — მოფრინდა ჰო?! — ჭიშკრიდავნი დაიძახა ფილომ.

— ჩუმად! — ხელი ფილოსკენ გაიშვირა დედამ, — რა გაყვირებს! — თქვა ასევე ხმადაბლა, — არ დაფრთხეს და არ გაფრინდეს ისევ.

— სად უნდა გაფრინდეს? — წეროსთან სიცილით მიიბრინეს ძმებმა და ზურგსა და ყელზე თამამად მიეფერნენ, — ნახე დე როგორ მოსწონს, — თქვა ფარნამ.

დედა ისევ ნელა და აუჩქარებლად, ფრინველთან უფრო მიახლოვდა. ლელიო კი იდგა და თვალებს არ უჯერებდა, რა ხდება, ასე როგორ მოგვიფრინდა და

თავს გვაფერენინებსო, ფიქრობდა წეროსა და თავის ძმებზე პირლიად მიშტერებული.

— ნუ გეშინიათ, ჯერ იმედია არ გაფრინდება, — თქვა ფილომ, — წყაროსთან ვისხედით, ლიფსიტებს და ლოკოკინებს ვუსმენდით და იქ მოგვიფრინდა.

— სოფლის ბიჭები გაგიჟდნენ, მიიფანტნენ სადღაც, — თქვა ფარნამ, — ჩვენ კი ხელი შევახეთ და ფილომ პეშვით წყალიც კი გაუნოდა.

დედა გაოგნებული დაჰყურებდა შვილებს. ლელიოს ისევ ფრინველის ზურგზე შერჩენოდა ხელი და ვერც ის იღებდა ხმას.

— მერე, უცებ ის ბოშები გაგვახსენდა, — ალტაცებით ამბობდა ფილო, — იმათ არ თქვეს აქ წერომ მოგვიყვანაო? როგორი ლამაზია არა დეე?

— ეს ყველაფერი, — ძლივს ამოლერდა დედამ, — ძალიან, უცნაურია. ძალიან უცნაური, — თქვა თავისთვის და თვითონაც კიდევ უფრო ახლოს მივიდა, ბაღში, ასე გაუნძრევლად ჩამდგარ წეროსთან, — ლელიო გადაუღე ნუ გაშტერდი, ბიჭებთან ერთად გადაუღე და მამას გავუგზავნოთ, — თქვა ისე რომ ფრინველისთვის თვალი არ მოუშორებია, — როგორ არ მოგვაფიქრდა, მაშინ სურნელების ფერებიც გადაგველო.

— ჩვენ გვეგონა მელისამ და მამამისმა გამოგვიგზავნა, — სიცილით ამბობდა ფარნა, — ფეხებზე წერილის ძებნა დაუწყეთ, მაგრამ არაფერი ჰქონდა, მერე რომ მივეფერეთ...

— მერე რომ მივეფერეთ, — გაანყვეტინა ფილომ, ალტაცებულიყო ისევ და სახე უნათებდა, —

ფარნამ უთხრა მიდი ჩვენს ბაღში გადაფრინდიო და აი! ახლა აქაა! გადმოფრინდა!

ლელიომ რამოდენიმე ფოტო გადაიღო და კამერა ფარნას გაუწოდა, ახლა შენ გადაგვიღეო. ფარნამ ფოტოაპარატი მოიმარჯვა და ყველას უთხრა, — აბა ყველა წეროს გარშემო შეჯგუფდით, ჰო აი ეგრე, უფრო ახლოს, წერო! შენ ცოტა წამოწიე ყელი, — და ფრინველმაც ფრთები შეარხია და მათ შორის კვლავ მედიდურად ჩადგა, — კარგია, ვიღებ!

გადაიღო თავისი ციფრული კამერით და მერე იმ ორი სკამისკენ გაიქცა, მანამდე დედამისი და თავისი და რომ ისხდნენ. ის კერამიკული ქოთანიც მოიტანა, სკამზე დააყუდა, ფოტოაპარატი მომართა, ობიექტივით ბალისკენ დადო და გამოიქცა თუ არა მათკენ, წეროს ფეხებთან ჩახტა, — მოვემზადეთ! — თქვა გახარებულმა და კამერამაც გაიზუზუნა, — მზადაა! მამა გაგიჟდება! — ისევ წამოცვივდნენ ძმები და ფოტოაპარატის ეკრანზე გადაღებული ფოტოები გადაათვალიერეს, — მაგარია, — თქვა ფიდომ, — ყველა მაგარი გამოვიდა. რაო დე, გიკვირს? — გახედა დედას.

ლალი ჩაფიქრებული მიშტერებოდა შვილებს და წეროს და ლელიოს და ირგვლივ დაბნეული იყურებოდა.

— არა ბოშები არ მოსულან, ზუსტად ვიციო, მთელი ქალები დავირბინეთ, — ამბობდა ფარნა, — მაგრამ ეს კი მოგვიფრინდა. ნიშანია რამე?

წერომ კი ფრთები გაშალა, ნაბიჯები გადაადგა, მკვეთრად შეაქნია ორივე ფრთა და ბალიდან

აფრინდა, აინია მალლა, ირაო შეკრა ისარივით გაჭიმულმა და სახლის სახურავზე დაჯდა. ჯერ დადგა ანტენებსა და სატელიტურ თევშებს შორის და მერე ჩაჯდა იქვე.

ლელიო, სახურავზემჯდარს ფოტოებს უღებდა და მინაზე განოლილ ძმებს ეკითხებოდა, რა მოხდა წესიერად მოყვეით, როგორ? რანაირად? ასე ჩვეულებრივად?

— ჰო აბა? — უცინოდა ფიდო, — ასე ჩვეულებრივად.

— წეროებმა ჩვენზე კარგად იციან ადგილები, — თქვა ფარნამ, — თუ გინდა წამო ერთხელ ჩვენთან ერთად და განახებთ, ფიდო რომ წყაროში ხელს ჩაყოფს ირგვლივ ლიფსიტები როგორ უგროვდებიან.

დედა ჩუმად იდგა და უცნაური გაფიქრება დასდებოდა სახეზე. თავის შვილებს უცქერდა და სიტყვას არ ძრავდა, მელისას და მელქისედექის ხმები დაუდიოდა თავში, ნეტავ მისვლილყავი და დანარჩენი ბოშებიც გამეცნოო, გაიფიქრებდა რალაც უხერხული სინანულით და სახურავზე გადამჯდარ წეროს ააცქერდებოდა.

ლელიომ, ბოშებისგან საჩუქრად დატოვებული ბუმბული, სახლიდან გამოიტანა, ხელისგულსა და სახეზე გაისვა და ძმებთანვე ჩაჯდა ბალაზე, — აი, — თქვა დამ, — ესაა ალბათ ჰო? ზუსტად ეგ ფერია. მაგისი იქნება.

— ცხადია ეგ იქნება, — თქვა ფარნამ, თავი წამონია, ლელიოს მიაკვირდა და უთხრა, — რა სხვა-

ნაირი გახდი ლე, შეყვარებული ხარ?

— შეყვარებული თავი გაბია, — ბუმბული ცხვირზე გაუკრა დამ, — დიახაც ვარ. და ასწორებს! — გაეცინა დას.

— მაგარია, — მინაზე განვა ფარნა, — წეროები, წეროები, — ააძახა ცას.

— რა წეროები წეროები, — თქვა ლელიომ, — მიფრინავენ შოორს?

— უკვე აღარსად მიფრინავენ, — თქვა ფიდომ, ბალახზე ისიც გულაღმა იწვა, — უკვე ჩვენთან არიან, ეს მათი მთავარია, მთავარი და მარტოხელა წეროა. ჩვენთან მოუნდა მოფრენა და მოფრინდა კიდევც.

— წეროს ბედნიერება მოაქვსო ამბობენ, — ლიმილით თქვა დამ, — ყველა მაგას ამბობს, მთელი იაპონია წეროს კულტია. ფარნა კი ამბობდა ნეშენალ ჯეოგრაფიკში არ მიიღებენ შენს ფოტოებსო, მაგასაც ვნახავთ ბატონო ფარნა, ასეთი ფოტოები ნანახი არ ექნებათ, მერე აქაც ჩამოვლენ და ჩვენს ბალებზე ფილმებს გადაიღებენ.

— რა მეოცნებე ხარ დაიკო, რა გეშველება, — თქვა ფარნამ, — აუ მამა გააფრენს ფოტოებს რომ გავეუგზავნით, წყაროზეც უნდა გადავიღოთ ფიდო, თევზები და ლიფსიტების სიმრავლე აუცილებლად უნდა გადავიღოთ.

— გადავიღოთ რა, — თავს უპასუხა თითქოს ფიდომ, — აქ მთავარი სხვა რამაა.

— რა.

— თანგრძნობა, ჩვენ რომ უეცრად გაგვიჩნდა

და ახლა ხორცის ქამაც რომ აღარ გვინდა. მაგას რომელი ფოტოგრაფი გადაიღებს თუ ისიც ასე არ დაიჟღინთა ჩვენსავით, — ამბობდა ფიდო, — ანდა ვჭამოთ ხორცი, აღარც მაგაზეა უკვე საქმე.

— რა აბდაუბდას ლაპარაკობ, — თქვა ლელიომ, — გასაგებად თქვი და მოკლედ.

— კარგი, — წამოჯდა ფიდო და ცოტა ხანი დუმილის შემდეგ ერთად-ერთი სიტყვა თქვა, ლელიოს შეხედა და თქვა, — ჰანგი.

— ჰანგი? — გაიმეორა ლელიომ, — რა ჰანგი? რას ნიშნავს ჰანგი?

— სამყაროს ჰანგი დაო, — განაგრძო ფიდომ, — სამყაროს ენა. კიდევ ვერ ხვდები?

— ვერა...

— ნიჭი ისაა, — წეროს გასცქეროდა ფიდო, — რაც ადამიანს ეძლევა და მის ძალაუფლებაშია, სამყაროს ჰანგი კი, ძვირფასო და უტკბილესო ჩემო, ასეთი ნიჭების საბადოა, რაღაც უფრო დიდი და უფრო გენიალური, სწორედ ის რაც, ან ვინც, ადამიანს და მთლიან სამყაროს თავის ძალაუფლებაში იქცევს. ახლა და აქ ლელიო, ეს ჰანგი ისმის, ისმის ყველგან, ყველგან დაიკო ჩემო. გესმის რას გეუბნები? სამყაროს ჰანგი ყველაზე კარგად ან მარტოსულებს ესმით ან შეყვარებულებს, ჩემთვის კი ეს ორი რამ ერთი და იგივეა. ამ ჰანგმა მოიყვანა ეს წეროც ჩვენთან და იგივე ჰანგი წაიყვანს მას აქედან.

ლელიო ჩუმად უსმენდა ძმას. მის სიჩუმეში კი გიგლას სიახლოვე შეეგრძნობოდა და ისევ ის ასპიტივით შემოგრაგნილი ტკივილი უჭყლეტდა გულს,

ნაიყვანს აქედან? გაიფიქრა ქალმა, ჩემგან ნაიყვანს?... და ფიქრიდან უცებ გამოსული ლელიო, ფიდოს დაეკითხა, ფრთხილად ჰკითხა, — როდის მოხდება ეს ფიდო? ომის დროს? როცა...სიკვდილი...

— ჩვენ ეს არ ვიცით ლელ, — თქვა უკვე ფარნამ, — ომის წინათგრძნობა რატომ გაქვს ასე გამძაფრებული? გგონია რომ მაინც დაინწყება? და ყველაფერი განადგურდება? და ყველანი მოვისპობით? და გავქრებით?

— არ ვიცი, — თქვა ლელიომ, — უკვე არაფერი ვიცი, — მანაც სახლის სახურავს ახედა და დარჩა ასე სახურავისკენ აჩუმებული, ეწყინა თითქოს და შიშის ხრჩობა ამოაწვა ყელში, რადგან წერო უკვე, იქ აღარ იჯდა, — ჰე, — უნებლიედ წამოიძახა, — მორჩა, ვახსენე ეს ერთი წყეული სიტყვა და გაქრა ისიც, — ფეხზე ადგა ლელიო, — მორჩა. გაფრინდა.

ისევ თავ-თავიანთთვის დაიფანტნენ. ლალი, სახლში შესულიყო. კამერიდან კომპიუტერში გადაჰქონდა სასწაულნაზიარები ფოტოები და თავის ქმარს სწერდა წერილს. ლელიო ლეკვთან იყო მიმართოვებული და ჩაფიქრებული, ძმები კი ჭასთან იდგნენ და შიგ ჩადუმებულ წყალს ჩასცქეროდნენ, როგორ მიმჯდარიყო, ჭის ქვისა და ნესტიან კედელს ერთ ბაყაყი და ხტუნვა ხტუნვით როგორ მოიწევდა ზევით, სანამ ფიდოს და ფარნას ჩაკვირებულმა თითქოს მზერებმა ჭის ზედაპირზევე არ ამოიხმო იგი და ამოსვლისთანავე ბალახებში რომ გადახტა ისიც.

— ტრიტონები წყალს ასუფთავებენ, — თქვა

ფარნამ, — ბაყაყებიც?

მაგრამ ფიდომ აღარაფერი თქვა. თითქოს თავის დასავით მოიწყინა და დიკენსის რომანით ხელში, თავისთვის განმარტოვდა, მაგრამ შეატყო რომ აღარც წიგნის წაკითხვა უნდოდა ახლა და აღარც რაიმე სხვა, დადიოდა ხეებშორის და ვაშლებსა და ალუბლებს უყურებდა. ზაფხულის სითბო და მზიანი ჩრდილები ედებოდა სახეზე და კიდევ სევდა. სევდა, რომელიც ლელიოსთან საუბრის მერე თუ გაუჩნდა, რადგან მანამდე აღტაცებულიყო მომხდართა და ჭალებში ყოფნით. მანამდე აღტაცებულიყო ძმასთან ერთად ლოკოკინებთან დაკვირვებული და წეროთიც ცხადია, ნუთუ იმ ბოშებს გამოუბრუნდაო, ფიქრობდა ფიდო და დედამისივით ახლა მასაც, იმ ერთხელ გამოჩენილი, რაღაც სასიზმარე ხილვად გამოჩენილი მელქისედექისა და მელისას და დანარჩენი ბოშების ნათქვამი ახსენდებოდა, სიზმარში გნახეთო, კეთილსახება და ავსახება კაცთა მოდგმაო, სიკეთე სიკეთე და სიავე, სიავეო, სიტყვებს იბრუნებდა, თავისი ჩასუნთქვა ამოსუნთქვასავით ფილტვებიდან თითქოს გამოყოლილს. თუ მართლა რამე მოხდა, ფარნა ისეთია, რომც არ ნაიყვანონ რეზერვში, მოხალისედ თვითონვე ჩაენერებაო, ფიქრობდა ფიდო და ლელიოსავით, ამ ზაფხულსაც რაღაც უმნიშვნელოვანესი ზაფხულივით განიცდიდა, იქნებ მართლა აღარ განმეორდესო არც ჩემი ნათებანი და არც სხვა არაფერი, იქნებ მიმავინყდეს ერთ დღესაც, როცა გავიზრდები და თანაც ნელს უნდა ჩავაბაროო. რბილად ედგმებოდა ნაბი-

ჯები და ბალნარის სურნელებანი, იმ წეროსავით მოოქროვილ და ფერად ჩრდილებში ეტმასნებოდა ირგვლევე. როგორ უცებ მოფრინდაო და როგორ უცებ გაფრინდაო ფიქრობდა თავში ჩაჩუმებული, თითქოს ის მდუმარებაც ემოსებოდა სულზე, აი მაშინ ჭალაში მწყერების ნახვისას რომ მიაძინა უცებ ბიჭი და რალაცას მიახვედრა და იმავე წამს დაავიწყა ისევ, სამყაროს ჰანგით რომ შეითავისა თავში და აღარ უნდოდა მასთან განშორება, მაგრამ ახლა მასაც ის უჩვეულო წინათგრძნობა ეხვეოდა გარს, რალაცა დიდი დანაკარგის წინათგრძნობა, მის ჰარმონიებსა და სიმშვიდეებს რომ წააგლეჯდა, სიზმრად შეხვედრილ თავის ანგელოზთან საუბარს რომ ველარ მიახვედრებდა, დაგვიფარეთ, ჩვენც დაგვიფარეთო, როცა კი ამბობდა ძილში და ახლა ფიდომაც შეიგრძნო რალაცა შიშნარევი, ისქესა რალაც, ძალიან მწარე და უგემური სუნი. ბალიდან არ მოესმოდა სურნელი, ის თითქოს იმ შორეული წინათგრძნობიდან მოესმოდა ახლა, რალაცა ჟანგიანი გემოს მატარებელ ყროლს რომ წააგავდა და უცებ შეცივდა კიდეც. ამ სიცხეში, ივნისის ბუნიობისას, დღე-ღამედ განონასნორებულ სიცხეში ფიდოს შესცივდა. ოფლითაც კი გაენამა ტანი და ხელებსა და ფეხებზე, მისთვის უცხო და არასასიამოვნო მოჭიდება იგრძნო. გველი ხომ არ შემაცოცდაო, გაიფიქრა მაგრამ გველი არ იყო, ეს მისი ის შინაგანი წინათგრძნობა იყო, სადღაც იქვე ჩაბუდებული სიკვდილის წინათგრძნობა, რომელიც თავის დროს თუ ელოდა სადღაც იქვე შორი-ახლოს გაყუჩებული,

რათა გაღმა ქედებიდან გადმოსულიყო თითქოს და ყოველი მისი მსხვერპლი დაეკბინა. დაენგრია ქალაქი და სოფელი, ხალხი მოეკვდინა და მთლიანად გადაებუგა მათი ბალიც.

ჩუმადვე ისადილეს. ჯენი იქვე დაბოდილობდა და კუს ეთამაშებოდა ან ბალახებში დაძვრებოდა. ლელიო დედას ეხმარებოდა ჭურჭლის რეცხვაში და მერე, საღამო ჟამს, ძმები ისევ სოფელ ბიჭებთან ერთად, ცაში აშვებული ფრანით დარბოდნენ მინდვრებსა და ჭალებში. რა მოგივიდაო, ეკითხებოდა ფარნა, ლელიო რომ შეყვარებულია მაგან ხომ არ დაგამწუხრაო, მაგრამ ფიდო თავს გააქნევდა მხოლოდ და არაფერს ამბობდა და უკვე ღამეც რომ დადგა და საძილედ მოემზადდნენ და ჯენი ისევ ლალიმ მიიწვინა საწოლში, ფარნამ ფიდოს ჰკითხა:

— მთელი საღამოა გიყურებ და არ მომწონხარ. მოხდა რამე?

— არაფერი, — თქვა ფიდომ, — შუქი ჩააქვრე რა.

ფარნა საწოლიდან წამოდგა და ოთახში შუქი ჩააქრო, — ფანჯარა იყოს ოდნავ ღია კარგი?

— კი, დატოვე ეგრე.

— ფიდო.

— რა.

— არაფერს მეტყვი? ეგრე დაიძინებ?

— რა გინდა რომ გითხრა, — ფარნასკენ შემობრუნდა ფიდო, თხელი ზენარი გადაიფარა.

— მე რა ვიცი, — გვერდზე გადმონვა ფარნაც, — რამე.

— რამე, — ჩაფიქრებით გაიმეორა ფიდომ, — მალე ვაბარებ. და რამოხდება მერე, ჰა? მერე რა მოხდება როცა ჩავაბარებ?

— რა გინდა რომ მოხდეს, — თქვა ფარნამ, — საკუთარ თავთან ლაპარაკი? ადრე ვილაცამ მითხრა, საკუთარ თავს ან გიჟები ელაპარაკებიან ან გენიოსებიო.

— ეგ ხმამაღლა როცა ლაპარაკობენ კი.

— მე და შენ რომ ხშირად ხმამაღლა ვლაპარაკობთ? როცა მარტო ხარ, თავთან არ ლაპარაკობ ხმამაღლა? მე ზოგჯერ ვლაპარაკობ.

— მე კი სულ, — ხელი თავქვე დაიდო ფიდომ, — და ვერაფერზე ვპოულობ პასუხს.

— რა პასუხს ეძებ გააჩნია. ან რისგან ეძებ? რა კითხვას სვამ.

— მემგონია რომ ერთადერთი კითხვა არსებობს ქვეყნად, რატომ? აი ესაა ჩემი კითხვა, რატომ? რატომ ვცოცხლობთ და რატომ ვკვდებით? რატომ ან რატომაც არა...

— მამა მართალი იყო, — ჩაელიმა ფარნას, — ერთხელ მოვკარი ყური, ჩვენზე თქვა, ქალებში წავლენ და ყველაფერი გაუვლითო, მაგარია არა? არც ეგეთი კითხვები მოგიმრავლდება მაშინ და არც მილიონი სულელური პასუხის მოსმენა მოგიწევს.

— იქნებ არ მინდა რომ ყველაფერმა გამიაროს, — თქვა ფიდომ და ჭერზე ანოლილ ჩრდილებზე ამზერილმა დამატა, — იქნებ მინდა სულ ასეთი დავრჩე.

— დარჩი მერე, — ხმა დაადუმა ფარნამ, —

შიშობ რომ შეიცვლები? რას ლაპარაკობ, იმ დღეს ყველას რომ ვეცი და გულში ვიკრავდი აღარ გახსოვს? აი მაშინ...

— როგორ არ მახსოვს და მაგას ვგულისხმობ მეც. იქნებ ეს დროებითია ფარნა, იქნებ გაგვივლის ასაკთან ერთად? არ ფიქრობ ასე? რომ ეს დრო აღარასოდეს განმეორდება. ასეთი რამ ერთხელ შეიძლება მოხდეს და მეტი აღარასოდეს. არ გეჩვენება ეს ზაფხული რაღაც უცნაური ზაფხული რომაა?

— მეჩვენება კი არა ეგრეა. რა მოჩვენება ამას უნდა. ეგაა რომ ჩვენ არ ვიცით წინ რა გველის.

— ლელიომ კი მემგონი იცის. ვინ შეუყვარდა ისე? ვინ გგონია? ჩხუბი ხომ არ მოგვიწევს ვინმე ისეთთან. უღირსთან.

— გიგლა შეუყვარდებოდა სხვა ვინ, — თქვა ფარნამ, — შარშანწინდელიდან ეგრეა.

— ოჰ მეც არა ვთქვი, — ფიდომ მეორე ხელიც თავქვე ამოიღო, — გიგლა კაი ტიპია.

— მეც მომწონს. რალაცნაირია. ეგაა მაქსიმუსი თუა, თორე მე და შენ...

— რა მე და შენ, — თითქოს სიტყვა აუგდო ფიდომ, — რა?! ომი რომ დაიწყოს გგონია არ ვიცი რომ წაგიყვანენ! ვიცი... და მამამაც იცის და დედამაც. ლელიო სულ მაგაზე ფიქრობს. არ ეტყობა თუ რა.

— არ დაიწყება, — მშვიდად დაურთო ფარნამ და თითქოს გაახსენდა ან მიხვდა რამეს, ისე გაკვირვებითა და გაღიმებით გაიხედა სადღაც ოთახის სიბნელისაკენ, — ჰე, — მის მიხვედრილობას აღ-

მოხდა თითქოს, თავზეც მიიდო ხელი, ზერელედ გაეცინა და თქვა, — ადრე ლელიომ მითხრა, ყოველთვის დგება ისეთი დღე, როგორიც დღევანდელიაო. მას მერე სულ მაგაზე მეფიქრება, რას ნიშნავდა მისი სიტყვები. ახლა ვხდები რატომაც მითხრა. მას სწორედ მაშინ შეუყვარდა გიგლა. ის სწორედ ასეთ დღეს გულისხმობდა, რომ ყოველთვის დგებაო დღევანდელისნაირი დღე. მე კი ვერ ვიგებდი. ახლა გავიგე. მხოლოდ ანმყოფი გიყვარს ადამიანს, მხოლოდ დღეს გიყვარს, და ეგ დღეც როცა დგება და თან ყოველთვის დგება, მაშინდა ხვდები ალბათ, რომ ეს დღეა მთელი შენი სიცოცხლე, მთელი შენი სინამდვილე. ეგრეა. მართლაც ყოველთვის დგება ისეთი დღე, როგორიც დღევანდელია ფიდო და ან არასდროს მეორდება და ან მეორდება და მეორდება გაუთავებლად, ვიდრე ჩვენ ყველანი, მთელი ჩვენი დედამინა ამ დღით არ ისულდგმულებს, — ფარნამ ძმას გამოხედა და რომ ისევ სევდაში განაბული შეამჩნია, მიუგო, ისეთივე სიმშვიდითა და თავდაჯერებით, — იმ ბოშების ნალაპარაკებს რას უსმენ, მაგათმა რა იციან.

— მე კი მგონია რომ მაგათმა ბევრი რამ იციან და იმიტომაც დადიან ქვეყნიდან ქვეყანაში, — უპასუხა თითქოს არც უსმენია მანამდე მისთვის, — სულ დადიან, თავიანთი დღე და მოსწრება დადიან, მოგზაურობენ, სად ულამდებათ, სად უთენდებათ, მთელ პლანეტაზე დადიან და კაცმა არ იცის რატომ. ის მელქისედექი მაცოცებს და ის მელისაც და დანარჩენებიც და ეს წეროც და მისი ბუმბულიც, იმ

ლაპარაკის მერე რომ დაგვიტოვეს რაღაც თილისმად თითქოს. არა?

— დავიძინოთ, — გვერდით გადაბრუნდა ფარნა და აღარაფერი თქვა მეტი, ასე შებრუნებულმა ძილი ნებისა უსურვა ძმას და ზენარი გადაიფარა მხარზე.

— ძილი ნებისა, — თქვა ფიდომაც და თვალები დახუჭა. თან გაიფიქრა, ანმყო ცოცხლებს ეკუთვნის, ფიქრობდა ჩაძინებისას, მომავალი კი უკვდავებს. ანმყო... გაიმეორა თავისი შეფიქრება და ძილისპირულსაც შეჰყვა, ჰო, ანმყო კაცს ალბათ არა იმითი აგრძნობინებს ბედნიერებას ან სიამოვნებას, რაც უკვე აქვს, რაც უკვე მოიპოვა, რაც მისია უკვე, არამედ ალბათ უფრო იმით რასაც კაცი ესწრაფის, რისკენაც ილტვის, როგორც თავისი ცხოვრების მიზნისაკენ, თავისი ცხოვრების იმ პასუხისაკენ, იმ მწვერვალისაკენ სადაც მას სურს შედგომა, აი დავდექი, აი ავალწიეო. ძილი თავისი სანაპიროსკენ უხმობდა ის კი აგრძელებდა, თუ ეს მხოლოდ ოცნებაა, მაშინ სიყვარული რაღააო, თანაზიარება და გამძლეობა რაღაა თუ არა მისი შინაარსი, მისივე თანგრძნობა ყველასთან და ყველაფერთანო უკლებლივ, იქნებ გმირობებისკენ მისწრაფებაა ის? როცა ისეთ საქმეებს გინდა შეელო კაცი, რომელიც არ ბერდება, რომელიც წარსულისკენ არასდროს იქცევს თავს და არ კვდება. როგორც თარგმანია თითქოს... თავსა და სუნთქვას ძილთან ერთად მიიფიქრებდა ფიდო და სიზმართა ხილვების პირველი ათინათებიც, იმ ბალში მოოქროვილი ჩრდილებივით როცა გამოჩნდნენ, ის



მანც თავის გაბნეულ აზრებს ეპოტინებოდა, როგორც რაიმე ნაწარმოების თარგმანიო, ყველაზე უკეთეს შემთხვევაში, ამავე ნაწარმოების ექოსავითაა, იქნებ ჩვენც ექოები ვართო, ჩვენივე ნამდვილი ბუნების ექოებიო, ფიქრობდა და ველარც ამჩნევდა, ძილშიც უკვე რა ღრმად შეატოპებდა სასიზმარე თავის ნაბიჯებს, იქნებ ჩვენ მხოლოდ სიმბოლოები ვართ, ჩვენშივე ჩადებული, ჩვენში დავანებული რალაცა უფრო დიდისა და ნამდვილისა, ვიდრე ეს სიმბოლოაო, როგოც იმ წეროს ბუმბულია თითქოს ფრენისა და ან თავისუფლების იქნებდა მართლაც სიმბოლოო, რისკენაც თვით ის წერო მისწრაფოდა. იქნებ ჩვენს ნატვრებში და სურვილებში არა მხოლოდ ჩვენივე არსობა მოჩანს, არამედ მიზანიც, რომელიც ჩემთან ერთად იზრდება და თუ ის დიდია და მიუღწეველი, მაშინ რატომაა საერთოდ? ან კაცი მისკენ რატომღა ისწრაფის თუ ის მასავით დიდი არ გახდა? მაგრები მიზნებს ისახავენ, სუსტები, სურვილებს მისდევენო, ძილის სიღრმეში ლაპარაკობდა ფიქრო, იმ ხილვებს ეუბნებოდა ამ ორიდან მე რომელი ვარო? მე სადა ვდგავარ, მაგრებთან თუ სუსტებთან და ან რომელი მიზანია ისეთი დიდი, ისეთი ამაღლებული, რომ ნებისმიერი საშუალება გამოიყენო, თვით უღირსი საშუალება გამოიყენოო მის ასაღწევად? ძილისკენ სახემიქცეული, მისი დამათრობელი მდუმარებისკენ სულით მიქცეული, სადღაც სიზმრების ანარეკლებზე ეტივტივებოდა ის ნათებანანახი სამშვინველი და თავის მომავალზეც ფიქრობდა, ამ ზაფხულზეც და

საერთოდ, სიცოცხლეზე, როგორ ვიქნებითო, რას ვიზამთო, როგორ ვიცხოვრებთო. მამაჩემი ისე გაფრინდა სიტყვა არ უთქვამს, იცოდე რომ ჩამოვალ უკვე სტუდენტი დამხვდით, დარწმუნებულია ჩემში და მე? და მე? და მე?... დაყვინთა. ჩაიძირა. უკვე გარე ხმაურიც აღარ ესმოდა ფოთლების შრიალისა და არც ფარდის შენარხევი ედებოდა მის სიზმრებს, რომლებმაც იცოდნენ, იცოდნენ ალბათ რომ გავილოდა დრო და ცხადია გაიზრდებოდნენ ფიქროც და ფარნაც, რომ ჩამოვიდოდა ირაკლიც და რომ წინ ბედნიერებასთან ერთად განსაცდელიც ელოდათ, ფიქროს წინათგრძნობით ახლა სიზმრებში თავმოყრილი, რომ ერთადვე მიიღებდნენ მათ და ერთადვე გაუძლებდნენ, ერთადვე იხარებდნენ და განაგრძობდნენ გზას, რომ ერთადვე იცხოვრებდნენ და თავთავიანთ გზებსაც აირჩევდნენ, რომ იმოგზაურებდნენ და ისევ დაბრუნდებოდნენ, რომ მიზნებს დაისახავდნენ და ზოგს მიაღწევდნენ, ზოგიც ოცნებად შერჩებოდათ, რომ შეიყვარებდნენ და ქალებთანაც იგემებდნენ ცხოვრების სიტკბოსა და სიმარტოვეს, რომ იშრომებდნენ და სანუკვარ ნატვრებს აისრულებდნენ, რომ ისევ გავილოდა დრო და სიყვარულს იპოვნიდნენ, რომ ირაკლი ისევ გააოცებდათ თავისი დიდბავშვური ჩაგონებებითა თუ აღმოჩენებით და დედა უკვე დიდ შავ პუდელთან ერთად იჯდებოდა და ორივეს ისევ ისე იყვარებდა, როგორც უწინ და როგორც ყოველთვის განზე გაგდებული ხელში ჩაჭერილი ანთებული თავისი სიგარეტით მიაღვენებდა თვალს, რომ ის ნათება ისევ

გამოჩნდებოდა ოდესმე და ისევ დაინახავდნენ, რომ ყოველი მათგანი სულში სამუდამოდ ჩაიტოვებდა მათი ბალების ნელსურნელოვან და მოოქროვილ ჩრდილებს და როდისმე სადმე, შეიძლება იმ ბოშებსაც გადაჰყროდნენ და ამბებს მოუყვებოდნენ, რომ კეთილშობილი სახის კაცობრიობა თავს არასდროს დათმობდა ავი სახის კაცობრიობის წინაშე და ავსახება მოდგმაც როდისმე გაქრებოდა პირისაგან მიწისა, უკვე ალბათ გამოჯანმრთელებული და კეთილსახება მოდგმაში ანკარა წყალივით განზავებული, უკვე ყველასთან ერთად რომ ააკვირდებოდა ღამის ცაზე დიდი ნუგეშისა და რალაცა მასზე კიდევ უფრო დიდი, ყოველთვის თვალაუდგამი და თავისუფალი თანავარსკვლევედების, შემოქმედის თითქოს ჩანაფიქრს, თითქოს შეუცნობელს, მაგრამ ყოველი ადამიანისთვის დაბადებიდან ძალიან ნაცნობს, ირმის ნახტომივით გალაქტიკაზე გადაწვდენილს და მის მიღმადაც, უსასრულობის სადღაც დიდ კიდეებზე როცა ამოიკითხავდნენ თავინთ იმედებსა და მისწრაფებებს, მაშინლა მიხვდებოდნენ, რომ დიდ სიმარტოვეს და ამ სიმარტოვეში სამოგზაუროდ გადაკარგულ ჩვენს მოდგმას თურმე ერთი დიდი ბედნიერებალა ელოდება და ის ყოველთვის ელოდა, რადგან მართლაც ყოველთვის დგება ისეთი დღე, როგორიც დღევანდელია.

ეძინათ ძმებს, ეძინა მათ დედასა და პატარა ლეკვს, მასზევე მისიზმრებულს და იმ კუსაც ეძინა და ალბათ იმ წერომაც მიიფრინა თავისი სახლისკენ, რომელიმე სხვა სახურავისკენ, რომელიმე სხვა

ქვეყანაში და აქ კი ბალებში გაფანტულ სიჩუმესთან ნებადართული, მთვარის მქრქალი ლანდილა დარჩენილიყო, ზაფხულის ბუნიობისას ჭრიჭინებით მიმშვიდებულნი, როცა ჭალაში, ყველასგან განმარტოებით და საიდუმლოდ, ლელიო ეხვეოდა და გულში იკრავდა თავის სიყვარულს. ორივენი ერთმანეთზე დაშიშვლებულნი, ერთმანეთს რომ სიმწარემდე ატანილი ვნებით აცხრებოდნენ და ვერ ინაყრებდნენ ნდომას, რომ ინთქმებოდნენ ერთმანეთში და ტრფობისავე, თითქოს მართლაცდა უსასრულობამდე გადაწვდენილი აღტაცებით, ერთმანეთშივე იკარგებოდნენ. ის სამყაროს ჰანგიც რომ ჩაესმოდათ სადღაც სულთან ახლოს და ელიმებოდათ, ერთმანეთში გაუკვდავებულებს თუ სიცოცხლისა და სიკვდილის გაღმა, კიდევ რალაც სხვა არსობისა და სხვა საიდუმლოს სიახლოვეზე სუნთქვანავლებულებს. გარიჟრაჟამდე რომ არ მოცილებიან ასე გაადამიანებულ თითქოს ღვთაებრივ წადილს და როცა რიჟრაჟის იმ დაბუჟებულ და ჯერ კიდევ ღამეშენარჩენ, მაგრამ უკვე სხივმოლივლივე ნისლებშიც, სადღაციდან მამალმაც იყივლა, გიგლა ლელიოს ცხელ სუნთქვას, თავისი ამბორით მიეტანა და წამოდგა. სამხედრო ტანისამოსი ჩაიცვა და ლელიოც უხმოდ, მასთან ერთად შეიმოსა იმ თავისი შინდისფერი კაბით. ღილები შეიკრა და მიწის ნამცეცები კაბიდან სწრაფად ჩამოიბერტყა.

თენდებოდა. ისინი კი ისევ ისე დადგნენ ერთმანეთზე გადახვეულნი და ნელა ქანაობდნენ... თითქოს რომ ცეკვავენო... და იმ წყარომდეც რომ

ხელჩაკიდებულნი, უხმოდ და უსიტყვოდ გამოვიდნენ, რალაცები ჩასჩურჩულეს ერთმანეთს, ისევ მიეკოცნენ და გიგლაც წავიდა.

ლელიოც სახლისაკენ წამოვიდა და დროდადრო გახედავდა ხოლმე გიგლას, ისიც რომ შორიდან უქნევდა ხელს, თითქოს უსასრულოდ ღამენათევი ახლა მიდიოდა დასაძინებლად და ახლალა უნდა ენახა თავისი უკანასკნელი სიზმარი.

თავი ოცდამეერთე

**ალფა ასეულის ასმეთაური  
დავით გეგეშიძე**

21 სექტემბერი 2008

ამ ომმა, ყველას დაგვანახა, რომ ყველაფერი ეს, დიდი სიგიჟეა. იყო და არის. სხვადასხვა დროს მისი სახე განსხვავდება, მგარამ სიგიჟე ისევ სიგიჟედ რჩება. მას მერე რაც ქვეყანას სახელმწიფო ნიშნები გაუჩნდა და ასევე გაჩნდა დამოუკიდებლად არსებობის შანსი, მათ თავისი მეზობლის წინააღმდეგ, აშკარა სამხედრო აგრესიას მიმართეს, ხოლო საბაბად კონფლიქტური რეგიონები გამოიყენეს, მაგრამ დასახულ მიზანს ვერ მიაღწიეს. ჩვენი დანგრევა ვერ შეძლეს. მართალია ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი ახლა მათი მუხლუხობით ისრისება, სიმართლე ვთქვა, დროებითობის განცდა ახლა უფრო გვაქვს ვიდრე მანამდე გვქონდა, რადგან... მე სამხედრო ვარ და ეს წამითაც არ მავიწყდება, დღესავითაა ნათელი, რომ ჩვენს ამ ახალ საუკუნეში, საერთაშორისო კონფლიქტის გადანაცვლა, თვისობრივად ახალ მიდგომას ითხოვს, რისი მიზანია ქვეყნის სრული განთავისუფლება. სრული დეოკუპაცია.

დრო არ ითმენს, ბუნება სიცარიელეს ვერ იტანს და შიშიც ტყუილის განუყოფელია. მას ალბათ სულის უსუსურობა თუ წარმოშობს, ვიდრე შეიქმოდეს ის სიყვარულს და ამიტომაც, ვისაც ტანჯვის ემინია, ღრმად მწამს, რომ ის უკვე შიშით იტანჯება, საფრთხის შიშიც ხომ მართლაც უსასრულოდ საშინელია, ვიდრე თვით საფრთხე და ის ხომ მანკიერების უღვევი წყაროცაა და მისი მონობაც ხომ ყველაზე საზიზღარია მონობათა შორის. ჩვენ ისეთ ხალხთან გვაქვს საქმე ვისთვისაც პირადი, ეროვნული, სახელმწიფოებრივი შეურანყოფაა ჩვენი წარმატება, ჩვენი თავისუფლება, ჩვენი სიკეთე. ჩვენ ვღებულობთ იმას რაც გვსურს და გვსურს ის რასაც ვღებულობთ, ესაა ჩვენი წარმატებაც, ჩვენი ბედნიერებაც და ჩვენი თავისუფლებაც, ჩვენ არ ვისურვებთ ისეთ რამეს რაც მთლიანი კაცობრიობისთვის არ იქნება სიკეთე, რაც უკლებლივ ყველასთვის არ იქნება სიხარული და თუ მე, სამხედრო ასმეთაური ამას ვიაზრებ, მაშ რაღა თქვან ბრძენმაც, რომლებიც არასდროს ებმებიან ომში სანამ ის უკვე წინასწარ მოგებული არა აქვთ. მტერი ამბობს, იქ არის ჩემი სამშობლო, სადაც პური მაქვს სამყოფად, ჩვენ კი ვამბობთ, ჩემი სამშობლო იქ არის სადაც ადამიანად ვიქცევი. მითხარით ვინმემ, ასეთი საკრალური განსხვავებისას, როგორ მოიქცეს ჩემი ქვეყანა, რომლის მთელი ისტორია, ასეთ არაკულტივირებულ ხალხთან ბრძოლის ისტორიაა. ვიცი არ არსებობს ცუდი ხალხი, ჩვენ ყველანი ვიცი ადამიანები ვართ და შესაძლოა ხალხის ხმა სწორედ ღმერთის

ხმაა და არც გაცემულ სიკეთეს ივინყებს ხალხი და ხალხის კეთილდღეობა კანონთა შორის უმაღლესია და ერთი, ცალკეული პიროვნებაც შეიძლება წამში გაიხრწნას, მაგრამ ხალხი კი არასდროს, რადგან ხალხიც ისაა, ვის დიდებასა ან თუნდაც სიდიადეს, ჩვეულებრივი კაცის მაღალი დონე ანიჭებს და არა ამავე ხალხის, ვინმე დიდი ადამიანი, ასეთი ხალხები არასდროს იღუპებიან, არასდროს, ყველაზე სასტიკი და უმკაცრესი ტირანიის რეჟიმის დროსაც კი, მაგრამ მითხარით, ვინაა ხალხი? სადაა ხალხი? თუ ჩვენ ყველანი ერთად, ყველანი გვერდი გვერდ, იმ მართლაც საკაცობრიოდ გადაჭიმულ ჯაჭვში ერთადვე არ ჩავდექით ჩვენივე ბედნიერების და ამ ბედნიერების უფლების დასაცავად. და რადგან დროც არ ითმენს, მაშ აუცილებლად დადგება დღე, როცა მტერი უკვე აღარ იარსებებს და ყველა სობოროტე სიკეთედ იქცევა. და მაინც, მითხარით, როგორ მოვიქცეთ ამ უსაშველოდ დიდ მიწაზე და ამ უსაშველოდ, მარტოდ მოტივტივე სამყაროში.

ბევრი ითქვა და ბევრი გაკეთდა. წმინდა წყლის სიბოროტეს ბევრი წმინდა ადამიანიც შეენირა, ყველგან და ყველა დროს, მაგრამ სამყარო რატომ არაა უფრო უკეთესი? იქნებ ასეთები ვართ და უკეთესობა უცხოა ჩვენთვის?

არა. არ მჯერა. არ მინდა დავიჯერო.

მაშინ რაღა აზრია აქვს თვით სამყაროს? სიყვარულს? გამძლეობას? საკაცობრიო ბედნიერებისა და სამართლიანობის ყველა უძვირფასეს მდგომარეობას. ნუთუ ყოველივე ეს ერთადერთი რამაა

დავინყებას მიცემული ხალხებისა და ცივილიზაციებისგან, დღეს რაც შემოგვრჩა? ან უნდა შემოგვრჩენოდა.

ომი გრძელდება.

ის არ დამთავრდება.

ის არ დამთავრდება, არც მშვიდობით, არც გამარჯვებით და არც დამარცხებით. ის არ დამთავრდება არასდროს სანამ... სანამ რა? უპირატესობის დასამტკიცებლად, სანამ კაცობრიობა არ გაიყოფა ორად და ერთმანეთის პირისპირ არ დადგება? თუ..? სანამ უპირატესობად თავისუფალი კაცობრიობის სიცოცხლე არ იქნება უკლებლივ ყველას მიერ აღიარებული და ერთხელ და უკვე მართლა სამუდამოდ ომი წარსულისკენ არ აქცევს პირს?

ალბათ.

ჩვენ ვცოცხლობდით და ვკვდებოდით, ჩვენ ვიბრძოდით და ვიმარჯვებდით, ვმარცხდებოდით და ისევ ვიმარჯვებდით, ჩვენ გვიყვარდა და გვძულდა, ვიმედოვნებდით და ვკარგავდით იმედს, ჩვენ ვუძლებდით და ველოდით, როგორც ოდესღაც როცა კი ბავშვებიც ვყოფილვართ და ვხედავდით სიზმრებს, ვსწავლობდით და ვმოგზაურობდით, გვჯეროდა და ხშირად რწმენასაც ვკარგავდით და მერე ხელახლა ვპოულობდით არც ვნებდებოდით, არც მტერს და არც თავს, მაგრამ... მტერი... როგორ მძულს ეს სიტყვა. მტერი. ის ყველაზე დიდ საშინელებას გამოხატავს ჩემთვის, ერთი ჩვეულებრივი სამხედროსთვის, რომელსაც ასეულის ბედი და მისი ღირსება აბარია... ეს სიტყვა კომმარულ

სიზმრად და სიცხადედ მექცა ერთ ნამში, ნამის ერთ მეასედში, როცა ჩვენი ერთ-ერთი იერიშისას, სასიკვდილოდ დაჭრილ მონინაალმდეგეს მივადექით. ხელი ჰქონდა ნაცლილი და სისხლისგან იცლებოდა. გულალმა ეგდო გზის განაპირას და ფეხებიც დაცხრილული ჰქონდა. ოცეულებმა ჩემი ბრძანებით გზა განაგრძეს, აფეთქებებიც არ თავდებოდა, ყვირილი მესმოდა ყველა მხრიდან და ის საშინელი ყროლის სუნი მცემდა გახრწნილი ხორცისა და ბენზინის, მიწასაც რომ ეკიდა ცეცხლი და მოშორებით კი შუაგაბობილი ტანკი გრუხუნებდა. რამოდენიმე სერჟანტთან ერთად, იმ მომაკვდავს თავზე დავადექი. ამომხედა. სახეზე მიწა ჰქონდა მიყრილი და პირიდანაც სისხლი სდიოდა. მიყურებდა და ეშინოდა, მაგრამ თვალს არ მაშორებდა. გავიფიქრე, ამას რამდენი ჩვენიანი ეყოლება-მეთქი მოკლული, რუსი იყო, ალბათ აქვე დაიჭრა და თავისიანებს ჩამორჩა და ის კი მიყურებდა, სხვა არავისთვის შეუხედავს, მე მიყურებდა და სიტყვას არ იღებდა. ხან ხუჭავდა თვალებს, ხან ახელდა და ცდილობდა ალბათ ნერწყვი გადაეყლაპა, ისე ემანჭებოდა სახე. შემდეგ მანიშნა. მარჯვენა ხელში პისტოლეტი მეჭირა და პისტოლეტზე მანიშნა, მივხვდი რასაც მთხოვდა, მივხვდი რაც უნდოდა. გამანთავისუფლეო. მეტს ველარ გავუძლებ ასე ცოცხალ-მკვდარი და თუ შეგიძლია, გთხოვ, გამანთავისუფლეო. ძლივ-ძლივობით ნამონია მეორე ხელი და თითით ჩაფხუტი აიძრო, ოდნავ გადაიწია შუბლიდან და გვერდით დახარა თავი, თვალეები დახუჭა და რატომღაც გაე-

ლიმა, რაღაც უცნაური სიმშვიდით ამოისუნთქა იმ შეზანზარებულ ხმაურში და გაელიმა. ის გამაყრუებელი ხმაური წამითაც სადღაც მიწყდა თითქოს, ეს უბედურიც თითქოს დარწმუნებული იყო, ასეთ სახიჩარს ალბათ ტყვედ ვერ ამიყვანენო და როგორც იქნა, აქვე დამთავრდებო მთელი ეს ომი, როგორც ცუდი სიზმარი მორჩება და იქნებ მეც სადმე სხვაგან, სხვა ადგილას გამელვძიოს აქდან ძალიან, ძალიან შორსო. ასე მაფიქრებდა მისი სახე, როცა მეც, ასევე უხმოდ, მჭიდი მოვსინჯე, იარაღი თავან მივუტანე და ტყვია დავახალე.

მერე დიდხანს, დიდი ხნის მერე ცაზე ერთ ღრუბელს ავყურებდი, რომელიც ძალიან გავდა თითქოს ბაშვობაში ნანახ სიზმარს, თითქოს აფრიანი გემი მიცურევდა სადღაც და იმ გემში ვიჯექი მეც.